საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტექინფორმი

ISSN 1512-0775

ქართული
რეფერატული
ჟურნალი

#14 (26), 2015

თბილისი

ჩვენი მისამართია: **www.tech.caucasus.net**

მთ. რედაქტორი **მ. კოპალეიშვილი**

სარედაქციო ჯგუფი: **ი. ედინაშვილი, ი. კვაჭაძე** (თსსუ), **მ. ლებედევა, ნ. მახვილაძე, ვ. სარჯველაძე, მ. ღოღელიანი, ო. შატბერაშვილი** (ფედერაცია **GFID**, ასოციაცია **ESIDG**), **თ. ჩუბინიშვილი, ნ. ჩხაიძე, ფ. წოწკოლაური, ნ. ჯავახაძე, ნ.შოთაშვილი, ნ.ბაჩილავა, ნ.მეიფარიანი**

საკონტაქტო მისამართი **თბილისი, ტექინფორმი, კოსტავას 47**
ტელ.: 233 5315; 233 5903
ელ. ფოსტა: tech@caucasus.net, dor@caucasus.net
www. tech.caucasus.net

ჟურნალის წინამდებარე ნომერში ასახულ გამოცემათა ჩამონათვალი

1. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – # 18.
2. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. #3 (24)-2014., #1(26)-2015
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. –#2(4).
4. Annals of agrarian science. (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. - ტ. 12. - ## 2-4
5. ბავშვთა კარდიოლოგია. – 2014. - #8.
6. ბიზნეს – ინჟინერინგი. 2014. - #4.
7. Georgian Medical News, №4 (229) - #10 (235)
8. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47.
9. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. - # 7
10. კერამიკა. – 2014. - #1(31).
11. კლინიკური ონკოლოგია. – 2014. – # 2.
12. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014.
13. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. - #1(17).
14. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები.– 2014. - # 1.
15. მეცნიერება და ტექნოლოგიები. - 2014. - №1(715), 2014. - №2(716).
16. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. - 2(10).
17. Nano Studies. – 2014. – # 9
18. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. - საირმე. 9-13 ოქტომბერი - 2014.
19. სამთო ჟურნალი. – 2014. - #2(33).
20. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. - 2014. – ტ.40. - #1.
21. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. - ტ.8. - #1.
22. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494).
23. საჰაერო ტრანსპორტი. – 2014. - #1(9).
24. სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – 2013. – #16-11-10.
25. სამართალი და მსოფლიო – 2015. – #1
26. მართლმსაჯულება და კანონი. – 2014. – #3(42), 2(41); 2013. – 3(38)

თემატური რუბრიკები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.1 მათემატიკა
1.2 კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმატიკა
1.3 ფიზიკა
1.4 ქიმია
1.5 დედამიწისა და გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები
1.6 იოლოგია
1.7 სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. საინჟინრო საქმე და ტექნოლოგიები

2.1 მშენებლობა
2.2 ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები
2.3 მანქანათმშენებლობა და გამოყენებითი მექანიკა
2.4 ქიმიური მრეწველობა და ტექნოლოგიები
2.5 მასალათმცოდნეობა
2.6 სამედიცინო ტექნოლოგიები
2.7 უნებათსარგებლობა
2.8 გარემოსდაცვითი იოტექნოლოგიები
2.9 სამრეწველო იოტექნოლოგიები
2.10 ნანოტექნოლოგიები
2.11 სხვა საინჟინრო მეცნიერებები და ტექნოლოგიები

3. მედიცინა და ჯანმრთელობის დაცვა

3.1 ფუნდამენტური მედიცინა
3.2 კლინიკური მედიცინა
3.3 ჯანმრთელობის დაცვა
3.4 სამედიცინო იოტექნოლოგიები
3.5 სხვა სამედიცინო მეცნიერებები

4. აგრარული მეცნიერებები

4.1 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა
4.2 მეცხოველეობა და მერძევეობა
4.3 ვეტერინარია
4.4 აგრარული იოტექნოლოგიები
4.5 სხვა აგრარული მეცნიერებები

5. საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.1 ფსიქოლოგია
5.2 ეკონომიკა და იზნესი
5.3 განათლება
5.4 სოციოლოგია
5.5 სამართალი
5.6 პოლიტიკური მეცნიერებები
5.7 სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფია
5.8 მედია და კომუნიკაციები
5.9 სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.1 მათემატიკა

14.1.1.1. ერთი ფასწარმოქმნის მოდელის შესახებ განუზღვრელობის პირობებში. /მ. სალუქვაძე, ვ. ჟუკოვსკი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 125-129. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განიხილება ფასწარმოქმნის მოდელირების ამოცანა მოსალოდნელი აქციზის გათვალისწინებით, რომლის დონეც წინასწარ ცნობილი არ არის. 1929 წელს ამერიკელმა მეცნიერმა არნოლდ ჰოტელინგმა შექმნა ორველიანი ფასწარმოქმნის მოდელი სასაქონლო ფირმების სივრცეში განთავსების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომში განიხილება ჰოტელინგის მოდელი განუზღვრელობის პირობებში ორი მოთამაშისათვის, მიღებულია პარეტო-გარანტირებული წონასწორობის პირობები და ნაჩვენებია როგორ ავაგოთ იგი, ნაპოვნია პარეტოს მიხედვით შიდა მინიმუმი, აგებულია ნეშის წონასწორობის სიტუაცია, მიღებულია მოთამაშეთა გარანტირებული მოგებები. ლიტ. 5.

ავტ.

14.1.1.2. ერთი კლასის ცვლადპარამეტრებიანი დინამიკური სისტემების იდენტიფიკაცია. /ზ. შანშიაშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 130-135. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ცვლადპარამეტრიანი წრფივი დინამიკური სისტემების პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა. მოდელის სტრუქტურა წარმოდგენილია ნორმალური სახის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემით, ამასთან გამოსავალი მატრიცის ელემენტები – ცვლადებია. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კოშის ამოცანის გარკვეული აზრით შებრუნებული ამოცანა. სისტემის პარამეტრებზე, და შესავალ და გამოსავალ ცვლადებზე ზოგიერთი შეზღუდვების დროს ფორმულირებული და დამტკიცებულია თეორემა ისეთი ინტერვალის არსებობის შესახებ სადაც კოეფიციენტების უწყვეტი მატრიცა იდენტიფიცირებადია. პარამეტრების შეფასების ალგორითმი გამოკვლეულია მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე. ლიტ. 14.

ავტ.

14.1.1.3. ცილინდრული კონტეინერების ოპტიმალური ზომების და ნედლეულზე შეზღუდვების დროს პროდუქციის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. /დ. სიხარულიძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 147-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია ორი პრაქტიკული ამოცანა. პირველი მათგანი ეხება თხევადი პროდუქტის გადაზიდვისთვის საჭირო ცილინდრული კონტეინერების ოპტიმალური ზომების განსაზღვრას, როდესაც ერთი კონტეინერის გადაზიდვის ხარჯები, მოცულობის მიუხედავად, მუდმივია. კონტეინერების ზომები არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ მოცემულ სიდიდეს. ეს ამოცანა დაიყვანება გეომეტრიული პროგრამირების ამოცანაზე. ამოხსნა მიღებულია ანალიზური სახით. მეორე ამოცანა ეხება პროდუქციის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრას მალფუჭებადი ნედლეულის შემთხვევაში: რამდენიმე სახეობის ნედლეულისაგან, რომლის შენახვის ვადა იწურება და სასურველია მისი მაქსიმალური გამოყენება ზარალის ასაცილებლად, მზადდება პროდუქციის რამდენიმე გარკვეული სახეობა. წინასწარ მოცემულია თითოეული სახეობის დამზადებული პროდუქტის ერთეულის სარეალიზაციო ფასი, თითოეული სახეობის ნედლეულის მარაგი საგეგმო პერიოდისათვის, მისი ერთეულის ღირებულება, თითოეული ტიპის პროდუქტის ერთეულის წარმოებისათვის საჭირო თითოეული სახეობის ნედლეულის ერთეულის რაოდენობა საგეგმო პერიოდში. ეს ამოცანა დაიყვანება წრფივი პროგრამირების ამოცანაზე. მოყვანილი მაგალითის ამოხსნა მიღებულია პროგრამა MATLAB-ის გამოყენებით. ცხრ. 1, ლიტ. 1.

ავტ.

14.1.1.4. რიცხვითი მეთოდების გამოყენება გამოთვლებისათვის რეალურ დროში. /დ. ცინცაძე, ქ. ომიაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 180-184. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გამომთვლელი მანქანა თანამედროვე ტრენაჟორის მმართველ სისტემაში წარმოადგენს ძირითად კვანძს, მასში შეყვანილია დინამიკური ობიექტის მათემატიკური მოდელი, ხოლო მართვის კონტურში

ჩართულია ადამიანი. ამიტომ სამუშაოს შესრულების სრულყოფისათვის გამოთვლები უნდა წარიმართოს დროის რეალურ მასშტაბში. მათემატიკური სქემის შესადგენად გამოთვლითი მათემატიკის საფუძვლები გვთავაზობს სხვადასხვა მეთოდებს. ამ შემთხვევაში ვიყენებთ გამოთვლების რიცხვით მეთოდს. სტატიაში აღწერილია ობიექტის გადაადგილების პირობები სივრცეში, მოყვანილია ინტეგრირების რიცხვითი მეთოდის ამსახველი ფორმულები, გამოთვლების შესრულების მიმდევრობის ცხრილი. მოცემულია კოორდინატების გამოთვლის პროგრამა და წერტილის მოძაობის გრაფიკის აგების პროგრამა, შესრულებული BASIC-ზე. ცხრ. 1, სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.1.5. შენობის ფორმის, ზომებისა და ორიენტაციის ოპტიმალური შერჩევა. /ო. კიღურაძე, გ. ქეთელაური/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 105-110. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შენობის ფორმა, ზომები და ორიენტაცია უნდა შეირჩეს ისეთნაირად, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული შენობის თბურ ალანსზე გარემო კლიმატის დადებითი ზემოქმედება და მოხდეს ნეიტრალიზება უარყოფითი ზემოქმედებების. ოპტიმიზაციის დროს იცვლება შენობის ზომები, გაანგარიშებით საბაზისო შენობის გვერდების თანაფარდობა 52/13 შეიცვალა 31/23-ით. ასევე ანგარიშში მზის დასხივების გათვალისწინებით მცირდება გასათბობ ფართზე დაყვანილი მინიმალური თბური დანაკარგები და შენობის გათბობის დადგმული სიმძლავრე 31%-ით. ცხრ. 3, ლიტ. 2.

ავტ.

14.1.1.6. ოპტიმალური უკმეკერული კოეფიციენტების ფუნდამენტური თვისება. /ვ. ხუციშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 136-141. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დასაბუთებულია უკმეკერული კოეფიციენტებიდან ალბათობებზე ურთიერთგადასვლის ახალი H-მოდელი, ჩამოთვლილია მისი უპირატესობები კლასიკურ E-მოდელთან შედარებით. H-მოდელის საფუძველზე ახსნილია კოეფიციენტების გადახრის ფენომენი უდავო ფავორიტებსა და აუტსაიდერებზე. საბოლოო ჯამში იდენტიფიცირებულია ოპტიმალური უკმეკერული კოეფიციენტების ფუნდამენტური თვისება, რომელიც ხდომილებების კოეფიციენტებიდან მათ ალბათობებზე და პირიქით კვალიფიცირებული გადასვლის შესაძლებლობებს იძლევა. ის წარმოდგენილია შემდეგი აქსიომის სახით: გაცემა $\mathbf{e(p) = pk(p)}$ წარმოადგენს ალბათობის ზრდად ფუნქციას. ლიტ. 4.

ავტ.

14.1.1.7. კავშირი ხდომილებების ალბათობებსა და უკმეკერების კოეფიციენტებს შორის. /ვ. ხუციშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 142-146. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შემოთავაზებულია ხდომილებების კოეფიციენტებიდან მათ ალბათობებებზე და პირიქით გადასვლის თეორია. დამტკიცებულია თეორემა ორმაგ და ფრის გარეშე პოპულარული კლასიკური კოეფიციენტების არაოპტიმალობის (შემცირებულობის) შესახებ. მოყვანილია ოპტიმალური წარმოებული კოეფიციენტების გამოთვლის ზოგადი სქემა. კერძოდ, აღწერილია ლივერპული – ფედერერის ტიპის ვირტუალური მატჩების კოეფიციენტების მასიური წარმოების პროცესი. მოყვანილია ვებ-გვერდების მისამართები, სადაც აღწერილი სქემები არის რეალიზებული. ერთ-ერთ მათგანზე ჩოგბურთელთა მატჩის დაწყებამდე მათი შანსების აღმწერ კოეფიციენტებზე დაყრდნობით ორგანიზებულია ძირეული ალბათობების იდენტიფიცირება, მატჩის მსვლელობისას ძირითადი და სხვადასხვა სახის წარმოებული კოეფიციენტების ავტომატური გამოთვლა. ლიტ. 3.

ავტ.

14.1.1.8. ერნულის ორი რეგრესიის ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების შესახებ. /ე. ნადარაია, პ. აბილუა, გ. სოხაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 18-26. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

დადგენილია ერნულის ორი რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი ორი დამოუკიდებელი შერჩევისათვის. აგებულია ორი რეგრესიის ფუნქციის ტოლობის როგორც მარტივი, ისე რთული ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმები. შესწავლილია აგებული კრიტერიუმების ძალდებულების საკითხი, გარკვეული ტიპის დაახლოებადი ალტერნატივებისათვის გამოკვლეულია სიმძლავრის ყოფაქცევა. ლიტ. 7.

ავტ.

14.1.1.9. დრეკად-პლასტიური ამოცანა წესიერი n -კუთხედის ფორმის მქონე ფირფიტისათვის, რომელიც შესუსტებულია n ერთნაირი ხვრელით. /ზ. აბაშიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 27-31. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
განხილულია ერთგვაროვანი, იზოტროპული წესიერი n-კუთხედის ფორმის მქონე ფირფიტა, რომელიც შესუსტებულია n ციკლურად სიმეტრიული ერთნაირი ხვრელით. ფირფიტა იმყოფება დაძაბულ მდგომარეობაში, პლასტიური არე მოიცავს მხოლოდ ხვრელების კონტურებს და არ ვრცელდება ფირფიტის სიღრმეში. ამოცანა მიიყვანება წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანამდე ერთეულრადიუსიანი წრისათვის უბან-უბან მუდმივი კოეფიციენტით. მიღებულია ამოცანის ამონახსნი და მოცემულია ხვრელების უცნობი კონტურების განტოლება.სურ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

14.1.1.10. ვინერის ფუნქციონალების კლარკის წარმოდგენა და არიერული ოფციონების ჰეჯირება. /ო. ღლონტი, ო. ფურთუხია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 32-39. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
ვინერის პროცესის ერთი ფუნქციონალისათვის, რომელიც ფინანსური აზრის აშელიეს მოდელის შემთხვევაში წარმოადგენს გადასახადის ფუნქციას ნოკაუტ არიერული ოფციონისათვის, მიღებულია კლარკის ინტეგრალური წარმოდგენა ცხადი ინტეგრანდით. ეს ფუნქციონალი წარმოადგენს ევროპული კოლოფციონის გადასახადის ფუნქციისა და გარკვეული ხდომილების ინდიკატორის ნამრავლს. აქ კლარკ-ოკონის ფორმულის პირდაპირი გამოყენება შეუძლებელია, რადგანაც ხდომილების ინდიკატორი არის მალიავინის აზრით წარმოებადი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ხდომილების ალბათობა ნული ან ერთია. ვიყენებთ ჩვენს მიერ მიღებულ ვინერის ფუნქციონალების ინტეგრალურ წარმოდგენას, რომელიც წარმოადგენს კლარკ-ოკონის ფორმულის მცირე განზოგადებას და ვიღებთ ინტეგრანდის ცხად ფორმას. ეს ინტეგრანდი არის ოპტიმალური ჰეჯური სტრატეგია ნოკაუტ არიერული ოფციონის რეპლიკაციისათვის აშელიეს მოდელის შემთხვევაში. ლიტ. 4.

ავტ.

14.1.1.11. არალოკალური საკონტაქტო ამოცანა ორგანზომილებიანი წრფივი ელიფსური განტოლებებისათვის. /დ. გორდეზიანი, ი. მელაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 40-46. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
ორგანზომილებიანი წრფივი ელიფსური ტიპის განტოლებებისათვის დასმულია და ამოხსნილია არალოკალური სასაზღვრო საკონტაქტო ამოცანა. დამტკიცებულია ამ ამოცანის ამოხსნის ერთადერთობა; აგებულია იტერაციული პროცესი, რომელიც საშუალებას იძლევა დავამტკიცოთ არა მარტო დასმული ამოცანის რეგულარული ამონახსნის არსებობა, არამედ ავაგოთ მისი მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი. არალოკალური საკონტაქტო ამოცანის ამოხსნა დაიყვანება კლასიკური სასაზღვრო ამოცანების, კერძოდ, დირიხლეს ამოცანების ამოხსნაზე. სურ. 1, ლიტ. 22.

ავტ.

14.1.1.12. ნაწილაკთა გროვის მეთოდზე დაფუძნებული გლობალური ოპტიმიზაციისადმი ახალი მიდგომა. /ზ. მეფარიშვილი, ც. ქოროღლიშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ.17-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განიხილება გლობალური ოპტიმიზაციის ერთერთი ალგორითმი, რომელიც ეფუძნება ევოლუციურ გამოთვლებს, კერძოდ ნაწილაკთა გროვის ოპტიმიზაციურ მეთოდს. ნაწილაკთა გროვის მეთოდი – წარმოადგენს კვლევის ახალ მიმართულებას, რომელიც ჯერ კიდევ საწყის სტადიაში იმყოფება ხელოვნური ინტელექტის სფეროში არსებულ პარადიგმებთან შედარებით. ნაწილაკთა გროვის ოპტიმიზაციის ალგორითმებმა საკმაო პოპულარობა მოიპოვეს უკანასკნელ ხანებში. ნაწილაკთა გროვის ოპტიმიზაცია წარმოადგენს ხელოვნურ ნაწილაკთა პოპულაციაზე დაფუძნებულ სტოქასტიკურ-ევრისტიკულ მეთოდს, ევოლუციური ალგორითმების ერთერთ ვარიანტს, სადაც საძიებელ სივრცეში მიზნისაკენ გადაადგილება ხდება თანამიმდევრულად, ევოლუციურად. მისი მოდელი შეიცავს ნაწილაკთა გროვას, რომლის პოპულაციის ინიციალიზაცია ანუ ნაწილაკთა საძიებელ სივრცეში „გაბნევა“ ხდება რანდომიზებულად. ნაწილაკთა გროვის ოპტიმიზაციის ალგორითმში პრობლემის ამონახსნი მიიღება სწორედ ამ ინდივიდუალური აგენტების სიმრავლის ინტერაქციის შედეგად. ლიტ. 10

ავტ.

1.2. კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმატიკა

14.1.2.1. LabView და MathCad პროგრამულ გარემოში მონაცემთა დამუშავების შედარებითი ანალიზი. /ი. ჩხეიძე, ლ. ტოკაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 38-42. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია LabView და MathCad პროგრამულ გარემოში მონაცემთა დამუშავების შედარებითი ანალიზი პროგრამების უპირატესობისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით. კვლევას ექვემდებარებოდა ერთგანზომილებიანი (სიგნალი) და ორგანზომილებიანი (გამოსახულება) ობიექტები. კვლევის შედეგად დადგინდა რომ პრაქტიკული, საინჟინრო და კვლევითი ამოცანების გადასაწყვეტად კომპიუტერული ტექნოლოგიების აზაზე LabView და MathCad პროგრამული გარემოებები საკმაოდ თვალნათლივი და გამოყენებადი საშუალებებია. – 30^0C პროგრამულ გარემოში სასურველი ალგორითმების რეალიზაცია უფრო მარტივია მოცემული მზა ფუნქციებისა და მოდულების გამო, მაგრამ საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტის სპექტრი LabView პროგრამულ გარემოში გაცილებით ფართოა, ვიდრე MathCad პროგრამულ გარემოში. სურ. 5, ცხრ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.2. ცოდნის ორგანიზება ინტელექტუალურ საინფორმაციო სისტემებში დიაგნოსტირების არაფორმალიზებული ამოცანების გადაწყვეტისას. /მ. მიქელაძე, ვ. რაძიევსკი, ნ. ჯალიაბოვა, დ. რაძიევსკი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 50-56. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განიხილება ინტელექტუალურ საინფორმაციო სისტემებში ცოდნის ორგანიზების საკითხი დიაგნოსტირების არაფორმალიზებული ამოცანების გადაწყვეტისას. შემოთავაზებულია რთული სისტემების მდგომარეობათა დიაგნოსტირების მეთოდი, რომელიც მუშაობს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემების შემთხვევაში. მდგომარეობათა კლასის აღმწერი ფუნქციის სახით მიიღება მაღალინფორმატიული პრედიკატი – კონიუნქციების დიზიუნქცია, რომელთაგან თითოეული ხასიათდება სარწმუნოების კოეფიციენტით. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ მიღებული ევრისტიული ცოდნა პროდუქციული მოდელით სარწმუნოების კოეფიციენტების გამოყენებით, რომელიც ეფექტურად მუშაობს მონაცემების და ცოდნის არამკაფიობის, გაურკვევლობის და არასრულობის პირობებში. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 8.

ავტ.

14.1.2.3. ინფორმაციის გარდაქმნის თანამედროვე პრინციპების გამოყენება სხვადასხვა ტიპის დინამიური ობიექტების მართვის ამოცანების გადასაწყვეტად. /ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 31-36. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია ელექტრომაგნიტური ველის გამოყენების საკითხები სხვადასხვა ტიპის დინამიური ობიექტების მართვის ამოცანების გადასაწყვეტად. მათ რიცხვს მიეკუთვნება: სამპოზიციური ინფორმაციის ამსახველი და პერიოდულად ცვლადი უკონტაქტო მართვის ინდიკატორი; ფართო დიაპაზონში მართვადი დიდი მუდმივი დენის წყარო; სამკოორდინატური ურთიერთინდუქციული გამზომი გარდამქმნელი; გადაწყობადი სინქრონული უკოლექტორო ელექტროგენერატორის აგების მართვის სისტემა; შეთავსებული და რეგულირებადი მრავალარხიანი მიმღემ-გადამწოდი ანტენა. სურ. 8, ლიტ. 8.

ავტ.

14.1.2.4. რეალური დროის სისტემაში ამოცანების (Tasks) პრიორიტეტების განსაზღვრა. /ლ. პეტრიაშვილი, თ. ჟვანია, მ. კიკნაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 239-243. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
რეალური დროის სისტემები გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკური ობიექტების ან ტექნოლოგიური პროცესების სამართავად. ასეთი სისტემები ხასიათდება გარე მოვლენებზე უკიდურესად მისაღები დროითი რეაქციით, რომლის განმავლობაშიც შეიძლება შესრულებული იყოს ობიექტის სამართავი პროგრამა. რეალური დროის სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, სისტემაში არსებული ამოცანების პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხს და მათ დაგეგმვას. ამოცანები ხასითდება პერიოდულობით და ურთიერთდამოუკიდებლობით. ნაშრომში განხილულია რეალური დროის სისტემებში ამოცანების პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხები და მათი მათემატიკური მოდელით გადაჭრის გზები, რის შედეგადაც დროულად უნდა მოხდეს მიმდინარე პროცესებში წარმოშობილი

შეცდომის აღმოჩენა, კორექტირება და იმ დროისათვის ოპტიმალური შედეგის მიღება. ცხრ. 3, სურ. 4, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.5. დისტანციური მართვის გამნაღმველი სისტემის დაგეგმარება. /დ. ფურცხვანიძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 176-179. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ნაღმების გამაუვნებელყოფი დისტანციური მართვის სისტემა, რომლის გამოყენება საშუალებას მოგვცემს სიცოცხლისათვის უსაფრთხო მანძილიდან მოვახდინოთ მიწაში არსებული ნაღმების განეიტრალება (აფეთქება). სისტემა შედგება რადიომართვადი ავტომობილისგან, რომელზედაც დამაგრებულია სამი გზის სატკეპნი მძიმე ცილინდრი. ავტომობილი აღჭურვილია ვიდეოთვალით, რომლიდან გადმოცემული გამოსახულებაც აისახება სამართავი პულტის ეკრანზე. ავტომობილის გადაადგილებისა და მობრუნების მართვა ხორციელდება სამართავი პულტიდან. აღწერილია სისტემის კონსტრუქცია და გადამცემ-მიმღები მოწყობილობები სისტემის დისტანციური მართვისათვის. სურ. 3, ლიტ. 2.

ავტ.

14.1.2.6. მიზეზ-შედეგობრივი ცოდნის მოდელი სამედიცინო პროგნოზირების ინტელექტუალურ სისტემებში. /ვ. რაძიევსკი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 252-257. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განიხილება ცოდნის მოდელის აგების ამოცანა პროგნოზირების ინტელექტუალური სისტემებისთვის. ნაჩვენებია, რომ ამ სახის სისტემებისთვის ხელსაყრელია მიზეზ-შედეგობრივი ქსელების გამოყენება. განსაზღვრულია ალბათური მიზეზ-შედეგობრივი ქსელების ცნება. ქსელების მეშვეობით შესაძლებელია ცოდნის წარმოდგენა სტოქასტური პათოლოგიური პროცესების შესახებ დაავადებულ ორგანიზმში. ამასთან სტოქასტური პროცესი ამა თუ იმ მიახლოებით ვთვლით მარკოვის პროცესად. შეთავაზებულია ცოდნის წარმოდგენის მეთოდი დეტერმინირებული და სტოქასტური მატრიცების მეშვეობით. მატრიცული წარმოდგენის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ლოგიკური დასკვნის აგების პროცესი დავიყვანოთ ვექტორებზე და მატრიცებზე, ალგებრული ოპერაციების ჩატარებაზე. სურ. 6, ლიტ. 6.

ავტ.

14.1.2.7. არაწრფივი უწყვეტი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაცია და მოდელირება. /ბ. შანშიაშვილი, მ. სალუქვაძე, ვ. გაბისონია/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 13-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია არაწრფივი დინამიკური სისტემების სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა უწყვეტ ლოკურად-ორიენტირებული მოდელების სიმრავლეზე. სტრუქტურული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია ლ. ზადეს იდენტიფიკაციის კლასიკური განმარტების საფუძველზე. დამუშავებული მეთოდები და ალგორითმები გამოკვლეულია კომპიუტერული მოდელირების საშუალებით. ლიტ. 17.

ავტ.

14.1.2.8. ხელნაწერი სიმბოლოების ანალიზი და შედარების პროცესების ფორმირება მინი-მაქსის პრინციპით. /ო. შონია, ი. ქართველიშვილი, ლ. შონია/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 244-246. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების პროცესების ფორმირება მინი-მაქსის პრინციპით, რომელიც წარმოადგენს ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის ძირითად სტადიას. სიმბოლოთა შედარების პროცესები ჩამოყალიბებულია ეტაპების სახით, სადაც თითოეული მათგანი დახასიათებულია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებებით. ლიტ. 2.

ავტ.

14.1.2.9. ქართული ტექსტის კომპილაციური სინთეზის მეთოდის შესახებ. /ა. თუშიშვილი, მ. თუშიშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 210-212. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაჩვენებია, რომ უკანასკნელ წლებში პერსონალური კომპიუტერების ინტენსიურად გამოყენებამ აქტუალური გახდა მათთან ურთიერთობის მეთოდების სრულყოფის საკითხი. ეს გამოიხატება კომპიუტერის მიერ მასში დამახსოვრებული ტექსტური მონაცემების (ინფორმაციული აზების, ელექტრონული წიგნების, გაზეთების, და სხვა) გახმოვანება ქართულ ენაზე. ამ პრობლემის

ნაწილობრივად გადაწყვეტაც კი მნიშვნელოვნად გაადვილებს სხვადასხვა ტიპის დიალოგურ სისტემებთან (საავარიო სამსახური, სასწრაფო დახმარება, საპატრულო პოლიცია, სამხედრო საქმიანობა, ფონეტიკური და ლინგვისტური კვლევები, უსინათლოების მომსახურება) ურთიერთობას. გაანალიზებულია ქართული ტექსტის კომპილაციური სინთეზის ანუ ხელოვნური მეტყველების ერთერთი მეთოდი, რომელიც გულისხმობს უწყვეტი ინტონირებული მეტყველების მიღებას მცირეგრძლივობის საყრდენი ელემენტების (მარცვალთა და ფონემების) შეპირაპირებით. ლიტ. 7.

ავტ.

14.1.2.10. ჰესებში სიხშირისა და ძაბვის რეგულატორების მართვის ალგორითმების აგების საკითხები. /თ. ტროყაშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. –გვ. 37-42. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია სიხშირისა და ძაბვის რეგულატორების მართვის ალგორითმების აგების საკითხები. მოყვანილია სტრუქტურული სქემა. ნაჩვენებია სიხშირის რეგულატორების მნიშვნელობა გაერთიანებული ქსელის მდგრადობისათვის. ნაჩვენებია შეცდომის სიგნალისა და მისი პირველი რიგის წარმოებულის გამოთვლის სქემები. სურ. 7, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.11. კომპიუტერული ლინგვისტიკა და ენის მოდელირება. /გ. ჩიკოიძე, ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 43-49. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ენობრივი მოდელირება კომპიუტერული ლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ერთი მხრივ, ენის მოდელირება ვერ გაჩნდებოდა კომპიუტერის გარეშე, მეორე მხრივ, სწორედ მოდელირება ქმნის ამ მიმართულების ფუნდამენტურ ნაწილს, რომლის განვითარება გვპირდება გამოყენებითი ასპექტის სრულყოფას, მის მიახლოებას ადამიანის ვერბალურ აქტივობასთან. მოდელირების საკვანძო პრობლემაა შინაარსის წარმოდგენა და „გზის გაკვალვა“ გამოხატულებისკენ და პირიქით, გამოხატულებიდან შინაარსისკენ. ეს კი ასახავს ენის დინამიკას, ენის იმ თვისებას, რომლის გარეშე ენა კარგავს აზრს, თუმცა მას რატომღაც დღემდე არ ექცეოდა დიდი ყურადღება. ეს უფლებას გვაძლევს მოდელირება ჩავთვალოთ ენათმეცნიერების განვითარების მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად. სურ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.1.2.12. სიტყვამაწარმოებელი აფიქსების მონაცემთა აზა. /ნ. ამირეზაშვილი, ლ. სამსონაძე, ნ. ჯავაშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 194-203. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

აღწერილია სიტყვამაწარმოებელი აფიქსების მონაცემთა კომპიუტერული აზა, რომლის მიზანია დერივაციისთვის საჭირო ყველა მორფემის თავმოყრა, გარკვეული წესით მოწესრიგება და სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფილი დიდი მოცულობის სიტყვათა სიიდან ახალი სიტყვების ავტომატური წარმოება. სიტყვამაწარმოებელ აფიქსთა დართვა სიტყვებში გარკვეულ ენობრივ პროცესებს იწვევს. აფიქსთა ნაწილი სინონიმურ/ომონიმურია და ამ პრობლემის გადაწყვეტა კომპიუტერული მოდელების ასაგებად ძალიან მნიშვნელოვანია. ფონეტიკურ მოვლენებს და ფუძის ცვლილებებს აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში ალგორითმების აგებისას და შემდგომ დაპროგრამირების დროსაც. მონაცემთა აზაში გაერთიანებულია თანამედროვე სალიტერატურო ენაში გამოყენებული საკუთრივ ქართული და სხვა ენიდან შემოსული ქართულში დამკვიდრებული მორფემები. მიგვაჩნია, რომ ასეთი აზა ხელს შეუწყობს ფონეტიკური თუ სხვა ენობრივი პროცესის გამო ფუძეში თუ თვითონ აფიქსში მომხდარი ცვლილებების ადვილად აღმოჩენას. ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.1.2.13. DHCv6 პროტოკოლის ერთი გაუმჯობესების შესახებ. /პ. ქარჩავა, გ. ასანიშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 234-238. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია IP_{v6} ქსელში დამისამართების არსებული მეთოდები. მოცემულია იდეა $DHCP_{v6}$ პროტოკოლის ერთი გაუმჯობესების შესახებ. გაუმჯობესებულ მოდელში განახევრებულია მოწყობილობის მიერ დინამიურად IP_{v6} მისამართისა და სხვა აუცილებელი პარამეტრების მისაღებად საჭირო პაკეტების რაოდენობა. გარდა ამისა, აუცილებლობას არ წარმოადგენს იმის შემოწმება გამოყოფილი IPv6 მისამართი აქვს თუ არა დაკავებული რაიმე სხვა მოწყობილობას. ასევე, მეზობელი მოწყობილობის აღმოჩენა მარტივდება ერთიან აზაზე მიმართვით. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.2.14. ქართულენოვანი სემანტიკური ძებნის „ძრავის“ ალგორითმის შექმნის პროექტი. /მ. ხაჩიძე, მ. არჩუაძე, გ. ესიაშვილი, მ. ცინცაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 224-229. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
აღწერილია პროექტი, რომლის მიზანია შეიქმნას ალგორითმი, რომელიც საფუძვლად დაედება სემანტიკური ძებნის „ძრავის“ შექმნას, ზოგადად სემანტიკური ძებნის სისტემებისათვის და მოხდება მისი საცდელი რეალიზება ქართულენოვანი საძიებო სისტემის შექმნისათვის. პროექტის მიხედვით შემუშავდება არსატრუქტურირებული დოკუმენტების დაჭდევების ახალი მეთოდი. ამისათვის ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდის გამოყენებით შეიქმნება ცნების (კონცეპტების) „პატერნების“ ცოდნის აზა. შეიქმნება ცნების „პატერნების“ დარგობრივ ონტოლოგიებზე დაფუძნებული სემანტიკური ძებნის „ძრავის“ ალგორითმი. ცნების „პატერნების“ დარგობრივი ონტოლოგიების ცოდნის აზა, მანქანური სწავლების და თვითდასწავლის პროცესი საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ეს ძრავი ინტერნეტ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დოკუმენტებისათვის და ნებისმიერი ტიპის ელექტრონული საცავის დოკუმენტებისათვის. ლიტ. 10.

ავტ.

14.1.2.15. ერთი ახალი M-ფაილის შესახებ ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანისათვის. /ნ. კილასონია/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 152-154. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
წარმოდგენილია ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის ახალი მეთოდის კომპიუტერული რეალიზაცია, რომელიც შესრულებულია პროგრამული პაკეტის MATLAB დაპროგრამების ენის გამოყენებით. წარმოდგენილი M-ფაილი არ არის ინტერაქტიული (ინტერაქტიულობა გათვალისწინებულია მხოლოდ შესავალ ეტაპზე, მონაცემთა კლავიატურიდან შეყვანის დროს), თუმცა, ამავე დროს იგი ითვალისწინებს ამონახსნის იჯობრივ დაზუსტებას, ალგორითმის მიერ გარკვეული სიდიდეების გენერირების გზით. მეთოდის დაპროგრამებისას გათვალისწინებული იქნა, რომ რამდენიმე მისი ლოკი, განზოგადებული სახით, ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის სხვა ზოგიერთი მეთოდის ლოკების მსგავსია, ამიტომ დაპროგრამებისას გამოყენებული იქნა ობიექტზე ორიენტირე ული დაპროგრამება და შეიქმნა ორი ახალი „user defined” ტიპის კლასი. აღნიშნული კლასები მომავალში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვა კომპიუტერული რეალიზაციების შესაქმნელად. ლიტ. 5.

ავტ.

14.1.2.16. განაწილებული იზნეს-პროცესების მართვის საინფორმაციო სისტემების აგება პეტრის ქსელების და ობიექტ-როლური მოდელირების საფუძველზე. /გ. გოგიჩაიშვილი, გ. სურგულაძე, ნ. თოფურია, . ურუშაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 58-64. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
განიხილება მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროექტებისა და პროგრამირების საკითხები, მათი პროცეს-ორიენტირებული და ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, ანალიზის და რეალიზაციისათვის. მასობრივი მომსახურების მოდელების საფუძველზე ჩატარებულია კომერციული მართვის სისტემის ქსელის აგების მაჩვენებლების ანალიზი. მარკოვული პროცესების გამოყენებითგანისაზღვრება კლიენტ-სერვერული არქიტექტურის სტრუქტურა და შემოთავაზებულია ალგორითმული სქემების რეალიზაცია მათ გადასაწყვეტად. განიხილება ობიექტ-როლური მოდელირების პრობლემა ინტერკორპორაციული ავტომატიზებული სისტემისთვის და შემუშავებულია მისი განხორციელების გზა. წარმოდგენილია სხვადასხვა ფინანსური სტრუქტურების განაწილებული მონაცემთა აზების შექმნის კონცეფცია სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის საფუძველზე. შედეგად შემოთავაზებულია Web-აპლიკაციის ფორმები Ms Visual Studio. NET პლატფორმაზე NORMA პროგრამული პაკეტის და MsSQLServer მონაცემთა აზების მართვის სისტემის საფუძველზე. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება კორპორაციული სისტემების იზნეს პროცესების ავტომატიზებული დაპროექტების, მონაცემთა აზის სტრუქტურების და მომხმარებელთა ინტერფეისების შემუშავების ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაზე CASE ტექნოლოგიებით. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.1.2.17. მდგომარეობის სივრცის მეთოდი ციფრული მოქმედების მართვის სისტემებში. /ნ. ნარიმანაშვილი, დ. ნარიმანაშვილი, ვ. წვერავა/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 23-26. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ციფრული მოქმედების მართვის სისტემების ანალიზისათვის გამოყენებულია მდგომარეობის სივრცის მეთოდი. შემოთავაზებულია მდგომარეობის განტოლების ამოხსნის რამდენიმე ალტერნატიული მეთოდი, რომლებიც ადვილად რეალიზდება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ლიტ. 4.

ავტ.

14.1.2.18. საინფორმაციო სისტემის დაპროექტება ობიექტ-როლური მოდელირების და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის აზაზე. /გ. სურგულაძე, ნ.თოფურია, კ. აკურია, მ. ლომიძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 32-45. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

გადმოცემულია უნივერსიტეტის საინფორმაციო სისტემის განაწილებული აზის და მომხმარებელთა ინტერფეისების ავტომატიზებული დაპროექტების და პროგრამული რეალიზაციის პროცესის აღწერა ჰიბრიდული ტექნოლოგიების და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის საფუძველზე. შემოთავაზებულია Facts/ORM/ERM /DDL კომპონენტების თანამიმდევრული გარდაქმნით MsSQL Server აზის აგების პროცესის შედეგები. აგრეთვე მომხმარებელთა ინტერფეისების Web-სერვისების დამუშავება Workflow და Windows Communication Foundation ტექნოლოგიებით. სურ. 11, ლიტ. 14.

ავტ.

14.1.2.19. კომპანიებში ინსაიდერებისგან მომდინარე საფრთხეები, მათგან დაცვის პრობლემატიკა და ლოგ-მენეჯმენტი. /დ. გომელაური/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 52-55. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

მოყვანილია ინსაიდარებისგან და გარე საფრთხეებისგან ინფორმაციის დაკარგვა, დაზიანების მაგალითები და მათგან თავდაცვის თანამედროვე საშუალებები. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით განხილულია კორპორაციულ ქსელში ინფორმაციის დაცვის თანამედროვე მეთოდების ერთ-ერთი სქემა. ასევე ნაშრომში განხილულია ლოგ მენეჯმენტის კრიტიკულობა. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.2.20. სამფაქტორიანი აუტენტიფიკაცია - ნდობის დონის ამაღლება. /დ. გომელაური, კ. ოდიშარია, თ. კაიშაური/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 55-58. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

თანამედროვე საქმიანობა წარმოუდგენელია საინფორმაციო სისტემების გამოყენების გარეშე. ასეთი სისტემების ინფორმაციული უსაფრთხოება ორგანიზაციის საქმეთა წარმოების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად რთულდება მისი საინფორმაციო სისტემა და ინფორმაციის მთლიანობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები. ნაშრომში განხილულია ინფორმაციის დაცვის კონკრეტული მექანიზმი სამფაქტორიანი აუტენტიფიკაცია ნდობის დონის და ინფორმაციის დაცვის დონის ამაღლების მიზნით. ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.21. ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მართვისა და საქმიანი პროცესების ავტომატიზებული სისტემის დამუშავება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. /ო. შონია, ი. ქართველიშვილი, ლ.ყოლბაია/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 59-63. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

წარმოდგენილია სახელმწიფო დაწესებულებებში და კერძო სტრუქტურებში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების მართვისა და საქმიანი პროცესების ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის აგებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეტაპები. დოკუმენტების მართვისა და საქმიანი პროცესების ავტომატიზებული სისტემის სტრუქტურა წარმოდგენილია სქემატურად და თითოეული მათგანი აღწერილია თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით. წარმოდგენილია ის ფაქტორები, რომლის შესრულება აუცილებელია, რათა შეიქმნას დაცული ქსელური ინფრასტრუქტურა. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.2.22. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები მარკეტინგული პროცესების და წარმოების მენეჯმენტში. /გ. სურგულაძე, მ. ოხანაშვილი, მ. კაშიბაძე, მ. ნეფარიძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 64-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

წარმოების მენეჯმენტში წარმატების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს პროფესიონალური მართვა, პერსონალის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის უნარი, სწორად იდენტიფიცირება, პროექტირება,

მარკეტინგული იზნეს-პროცესების რეალიზება, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად მართვა. ამ პირობებში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც შექმნილია ინტეგრირებულ ინფორმაციულ სისტემებზე, წარმოადგენს შეუცვლელ ინსტრუმენტს სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფასა და კომპანიების მდგრად განვითარებაში. ნაშრომში განიხილება როგორც თეორიული ასპექტები მარკეტინგული პროცესების მენეჯმენტისთვის, ასევე მისი მოდელური და პროგრამული რეალიზაციის საკითხები პეტრის ქსელების, WORKFLOW, WPF და WCF ტექნოლოგიების აზაზე კლიენტ-სერვერ არქიტექტურით. სურ. 3, ლიტ. 10.

ავტ.

14.1.2.23. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ვირტუალური მარკეტინგის გამოყენება ფირმებში. /ო. გაბედავა, ს. პოჩოვიანი, ნ. გაბედავა/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 72-75. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია თანამედროვე ფირმებში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) და ვირტუალური მარკეტინგის გამოყენების საკითხები. IT-ის გამოყენება ხარისხობრივად ცვლის ფირმის მარკეტინგული მოღვაწეობის ხასიათს. ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ვირტუალური მარკეტინგის ცნება, რაც საშუალებას იძლევა მოკლე დროში, მინიმალური რესურსით მოვახდინოთ ფირმის რეფორმირება და განვითარების სტრატეგიის აგება, შევქმნათ კლიენტური აზა. სურ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.1.2.24. Microsoft-ის Web-ტექნოლოგიების ანალიზი და განვითარების ტენდენციები საინფორმაციო სისტემებისთვის. /ნ. კივილაძე, გ. სურგულაძე, მ. გულიტაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 84-89. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განიხილება Microsoft-ის თანამედროვე ვებ-ტექნოლოგიები და მათი გამოყენება იზნეს აპლიკაციებში. გაანალიზებულია ASP.NET, Silverlight და სხვა პაკეტები, გამოვლენილია მათი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. შემოთავაზებულია Silverlight-ისა და Microsoft-ის სხვა ტექნოლოგიების შედარება და ანალიზი. განხილულია Microsoft ტექნოლოგიების გამოყენების სფეროები. Silverlight ტექნოლოგიის საილუსტრაციოდ შემოთავაზებულია დავალებათა მართვის იზნეს აპლიკაცია - Issue Tracker, ილუსტრირებულია საჭირო დეველოპმენტ ინსტრუმენტები და მონაცემთა აზის სტრუქტურა. სურ. 3, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.25. ციფრული გრაფიკის ტონური კორექციის პრაქტიკული ასპექტები. /ე. კამკამიძე, თ. აფხაძე, მ. ჯანელიძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 90-95. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ნებისმიერი გამოსახულების უმთავრესი მახასიათებელი არის ტონი. ფოტოგრაფია, ციფრული გამოსახულება, სურათი, რომელიც ციფრული წესით არის დაბეჭდილი, შეიძლება იყოს: ნათელი, ნელი (მუქი) ან ჰქონდეს შუქისა და ჩრდილის არეების დაბალანსებული ურთიერთშეთანხმება. ნაშრომში განხილულია ციფრული გამოსახულების ტონური კორექციის ორი საშუალება – პროგრამა Adobe Photoshop-ის რძანებები Adjustment (კორექცია) და Histogram (ჰისტოგრამა). შესაბამისი მაგალითებისა და ილუსტრაციების დახმარებით მოცემულია მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდები და ის შედეგები, რომლებსაც გამოცდილი რეტუშერი მათი სათანადო გამოყენებით აღწევს. სურ. 6, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.2.26. სპეციალიზებული დროის ტაიმერ-კონტროლერი. /ზ. ენდელიანი, გ. დგებუაძე, ი. მეცხვარიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 9-12. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

შექმნილი ტაიმერ-კონტროლერი საშუალებას იძლევა ელექტროენერგიის არაგეგმური გამორთვისას განისაზღვროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის შეწყვეტის დრო, რათა შემდგომ ალგორითმის სათანადო კორექტირებით გაგრძელდეს ექსპერიმენტი. სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.2.27. სწავლებით სახეთა ამოცნობის სისტემისა და მისი ერთი ამოცანის გადაწყვეტის მეთოდის შესახებ. /ნ. ტყემალაძე, ვ. ჯიხვაშვილი, გ. მამულაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 13-18. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

მოცემულია მოკლე ინფორმაცია ავტორთა მიერ შემუშავებული სწავლებით სახეთა ამოცნობის სისტემის (სსას-ის) შესახებ, რომელიც რეალიზებულია პერსონალურ კომპიუტერზე. სისტემა გამოყენებული იყო სხვადასხვა კლასის ობიექტების ამოსაცნობად. სტატიაში განხილულია აგრეთვე ამ სისტემის ერთ-ერთი ამოცანის - (υ, b, k, r, λ) ტიპის კონფიგურაციების სამჯერადი გამოყენებით ხელოვნური (ფორმალური) პარამეტრების განსაზღვრის მეთოდი. ლიტ. 8.

ავტ.

1.3. ფიზიკა

14.1.3.1. დუღილი - კონვექციური თბოგადაცემის განსაკუთრებული შემთხვევა. /ი. შეყრილაძე, ჯ. რუსიშვილი, ე. მაჭავარიანი, გ. გიგინეიშვილი, დ. შეყრილაძე, მ. მეფარიშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 90-96. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია საქართველოში დუღილის თბოგადაცემის შესწავლის ისტორია და ჩატარებულ კვლევათა ზოგიერთი ძირითადი ასპექტი. ხაზგასმულია ნუკლეაციის მმართველი როლის გამოვლენის ფუნდამენტური მნიშვნელობა. განხილულია აგრეთვე საერთაშორისო სიტუაცია მეცნიერების ამ სფეროში. თუ მიღებული ფუნდამენტური შედეგები საერთაშორისო არენაზე ათწლეულების მანძილზე რჩება აუღიარებელი, მეორეს მხრივ, დუღილის თბოგადაცემის ინტენსიფიკაციის საკვანძო პრობლემა სწორედ ამ შედეგებზე დაყრდნობით არის გადაწყვეტილი (პუბლიკაციებში საფუძვლების მითითების გარეშე). საერთაშორისო არენაზე გამოთქმული მწვავე კრიტიკა და ფართო დისკუსიის მოთხოვნა ათწლეულების მანძილზე უშედეგოდ რჩება. გამოთქმულია იმედი, რომ ხსენებული არანორმალური სიტუაცია დაძლეული იქნება მომავალში. სურ. 2, ლიტ. 15.

ავტ.

14.1.3.2. დაბალი სიხშირის სიგნალების გაზომვა, გარდაქმნა და გამოყენება. /თ. ტროყაშვილი, გ. ურუშაძე, ნ. შენგელია/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 171-175. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია დაბალი სიხშირის სიგნალების გაზომვა იმპულსის ფორმირების წრედის გამოყენებით. ნაჩვენებია პულსირებული სიგნალის გარდაქმნა შესაბამის მუდმივ ძაბვაში. მოყვანილია სქემა, რომლითაც შესაძლებელია მგრძნობიარობის გაზრდა. გარდაქმნისათვის გამოყენებულია ჩებიშევის მეორე რიგის აქტიური ფილტრი. სურ. 7, ლიტ. 3.

ავტ.

14.1.3.3. სამპოზიციური უკონტაქტო დინამიური ინდიკატორი. /ო. ლაბაძე, პ. სტავრიანიდი, მ. ცერცვაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 167-170. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილული და პრაქტიკულად განხორციელებულია ფიქსირებული მდგომარეობის შეცვლის უკონტაქტო სამპოზიციური მართვის სისტემის მეთოდი. აღწერილი სისტემა ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშვება მართვის იმპულსური სიგნალები. ხედური ინფორმაციის შეცვლის შუალედებში სისტემა არ მოიხმარს ელექტრულ ენერგიას იმიტომ, რომ რუნავ სამკუთხა პრიზმებს შორის არ არის კინემატიკური გადაცემა, ხოლო ინდიცირების სიბრტყე ინარჩუნება მუდმივი მაგნიტების ველით და მაგნიტოგამტარებით. შემოთავაზებული მეთოდი გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობით ცნობილ ანალოგიური დინამიურ ინდიკატორებთან შედარებით. სურ. 4, ლიტ. 2.

ავტ.

14.1.3.4. რელატივისტური საცდელი ნაწილაკის კლასიკური მოძრაობა ცილინდრულად სიმეტრიულ სტატიკურ მეტრიკაში. /მ. იავარი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 51-57. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
ოჭკოვანი ფორმალიზმით განხილულია გრავიტოელექტრული და გრავიტომაგნიტური ველები. რელატივისტური საცდელი ნაწილაკის მოძრაობა ცილინდრულად სიმეტრიულ სტატიკურ მეტრიკაში შესწავლილია ჰამილტონ-იაკობის მეთოდით. ოჭკოვანი ფორმალიზმით გამოთვლილია აგრეთვე გრავიტოელექტრომაგნიტური ძალა ამ სახის მეტრიკულ სივრცე-დროში. ლიტ. 15.

ავტ.

14.1.3.5. ჩაკეტილ რეზერვუარში თხევადი აირის მასის განსაზღვრის მეთოდი და მისი რეალიზაცია. /ზ. აზმაიფარაშვილი, ნ. ოთხოზორია, მ. ნარჩემაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 96-99. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განხილულია თხევადი აირის მასის გაზომვის მოწყობილობა და მისი მუშაობის ალგორითმი. სისტემის გამოყენებით შესაძლებელია რეზერვუარში ჩაშვებულ რეზონატორში აღძრული ელექტრომაგნიტური რხევებით თხევადი აირების მასის გაზომვა. სისტემას გააჩნია გაზომვის მაღალი სიზუსტე და გამოირჩევა მარტივი კონსტრუქციით. გაზომვის მაღალი სიზუსტის მიღწევას უზრუნველყოფს რეზონატორის ტიპი და მიკროპროცესორი, რომელშიც რეზონატორის სამი საკუთარი სიხშირე ფიქსირდება და ხდება თხევადი აირის მასის განსაზღვრის ალგორითმის რეალიზაცია. სურ. 22, ლიტ. 2.

ავტ.

14.1.3.6. მართვადი თერმობირთვული სინთეზის ალტერნატიული მოდელი. /გ. ერია/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 145-159. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
საქართველოს ენერგეტიკული პრობლემები მსოფლიოს პრობლემების კომპონენტაა. ჩვენ ცივილიზაციას ემუქრება ენერგეტიკული კრიზისი უახლეს რამდენიმე ათეული წლის ფარგლებში, წიაღისეული რესურსების ამოწურვის შედეგად. ერთადერთი რადიკალური გამოსავალი ამ პრომლემიდან მართვადი თერმობირთვული სინთეზის (მთს) განხორციელებაშია, მაგრამ მისი რეალიზაცია აწყდება სერიოზულ არაპროგნოზირებად სიძნელეებს, რომელთა გადალახვა დღემდე რჩება პრობლემად. ამის მიზეზი არის ეგრეთ წოდებული „სამეცნიერო ვირუსები", დოგმებად გადაქცეული აქსიომური შეცდომები. მათი გადალახვა შესაძლებელია ანომალური მოვლენებისა და უახლოესი ფუნდამენტური აღმოჩენების საშუალებით. ასეთი უნივერსალური ხასიათის ანომალია არის იშვიათი ატმოსფერული მოვლენა – სფერული ელვა, რომელიც შეიცავს თავის არსში მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობ უნების ფუნდამენტურ კანონს. მისი თვისებების ანალიზმა საშუალება მოგვცა ამოგვეხსნა ამ მოვლენის უნება, მიგნებულ და მოცილებულ იქნა „ვირუსი", რის შემდეგაც იხსნება ახალი, ალტერნატიული გზა მთს-ის განხორციელებისაკენ. სურ. 3, ლიტ. 12.

ავტ.

1.4. ქიმია

14.1.4.1. B_2O_3-ის ნახშირბადთან ურთიერთქმედების თერმოდინამიკური ანალიზი. /ჯ. აღდავაძე, ქ. უკლება, ზ. წიქარიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 65-67. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
შესრულებულია B-O-C სისტემის სრული თერმოდინამიკური ანალიზი ატმოსფერულ წნევაზე და ვაკუუმში შემდეგი რეაქციისათვის: $2B_2O_3 + 7C = B_4C+6CO$. ანალიზის ძირითადი შედეგები ყველა შედგენილობისათვის წარმოდგენილია დიაგრამების სახით (კომპონენტების შედგენილობის ტემპერატურისაგან დამოკიდებულება 100^0-230^0K ინტერვალში). სურ. 2, ლიტ. 1.

ავტ.

14.1.4.2. ახალი ფორმულირები მოლეკულების მიერ სინათლის კოჰერენტული ანტისტოქსური გაბნევის შესაბამისი აგზნების პროფილებისათვის. /მ. ზაქარაია, გ. ჭონიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 72-77. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
კონდენსირებულ გარემოში მოლეკულების (მინარევული ცენტრების) მიერ სინათლის კოჰერენტული-ანტისტოქსური გაბნევის სპექტრებსა და შესაბამის აგზნების პროფილებზე გარემოს არაერთგვაროვნება საგრძნობ ზემოქმედებას ახდენს. გაანალიზებულია გარსის აგზნების პროფილებზე გარემოს არაერთგვაროვნებისა და მოლეკულის შიდა რელაქსაციური პროცესების ერთდროული და თანაზომიერი ზემოქმედების შედეგები. შედეგები ზოგადია და არაერთგვაროვნების მახასიათებელის (σ) და რელაქსაციური პარამეტრის (Γ) ნებისმიერი თანაფარდობისათვის სამართლიანია. ლიტ. 9.

ავტ.

14.1.4.3. N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-ბენზილიდენ-ოფენილენდიამინის ზოგიერთი წარმოებულის სინთეზი. /შ. სამსონია, დ. ზურაბიშვილი, თ. უკია, გ. უზალაძე, მ. ლომიძე, ე. ელიზბარაშვილი, უ. კაცმაიერი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 78-84. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
სინთეზირებულია N-(1-ადამანტილ)კარბონილ-ო-ფენილენდიამინი და 4-მეთოქსი-2-ამინოფენილ– N–(1–ადამანტილ) კარბოქსამიდი. შესწავლილია მათი კონდენსაციის რეაქცია სალიცილის-,5-

ბრომსალიცილის-და3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდებთან. მიღებულია: N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი ენზილიდენ)-, N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-, N-(1-ადამანტილ) კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-3,5-დიბრომ ენზილიდენ)-, 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-, 4-მეთო ქსი-N - (1- ად ამა ნტილ) კარბო ნილ-N'-(2 -ჰიდრო ქსი–5 -ბრომბენზილიდენ) -, 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი–3,5-დიბრომბენ ზილიდენ)-ო-ფენილენ დიამინები. სინთეზირებული ნაერთების აგებულება დადასტურებულია იწ, უი და მრ სპექტრული მონაცემებით. სურ. 2, ლიტ. 13.

ავტ.

14.1.4.4. ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიოანთიმონატებში (V) გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრა. /კ. რუხაია, მ. კიკალიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 9-11. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
შესწავლილია იოდიმეტრიის მეთოდით ნატრიუმისა და ლითიუმის ტეტრათიოანთიმონატებში(V) გოგირდის რაოდენობრივი განსაზღვრის შესაძლებლობა. ნაჩვენებია, რომ წონაკში გოგირდის მასური წილი ადვილად იანგარიშება გატიტვრაზე დახარჯული მჟანგავის(I_2) ტიტრიანი ხსნარის მოცულობით. ლიტ. 7.

ავტ.

14.1.4.5. ენზინში არომატული ნახშირწყალბადების განსაზღვრა ჩანაწყობიანი ქრომატოგრაფიული სვეტების გამოყენებით. /თ. კორძახია, ლ. ეპრიკაშვილი, მ. ზაუტაშვილი, ნ. ფირცხალავა, მ. ძაგანია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 45-49. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
შემუშავებულია საწვავში შემავალი ნახშირწყალბადების იდენტიფიკაციის გამარტივებული აირ-ქრომატოგრაფიული მეთოდი. აპარატურულ გაფორმებაში კაპილარული სვეტები პრობლემური და ძვირადღირებულია, ხოლო რუტინული ანალიზისათვის ჩანაწყობიანი სვეტების გამოყენება უფრო ხელმისაწვდომი და მიზანშეწონილია. სურ. 2, ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.1.4.6. აციკლური ამინომჟავების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ქვანტურ-ქიმიური აღწერა. /ნ. შენგელია, ჯ. კერესელიძე, ზ. ფაჩულია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 65-67. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
სიმკვრივის ფუნქციონალის თეორიის (სფთ) ქვანტურ-ქიმიური მეთოდით გამოთვლილ იქნა აციკლური ამინომჟავების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები. შესრულებულია განხილული ამინომჟავების მჟავე და ფუძე თვისებებზე R-ჯგუფის გავლენის სისტემატური და რაოდენობრივი აღწერა. ზოგიერთი ამინომჟავისთვის ნაპოვნია კორელაცია მჟავიანობასა და ჰიდროქსილის ჯგუფის დიპოლურ მომენტს შორის. გაკეთებულია დასკვნა ამინომჟავების მჟავე და ფუძე თვისებების შესაძლო პროგნოზირების შესახებ. სურ. 1, ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.1.4.7. ატომის ირთვის კლასტერული აგებულება. /მ. ჯიბლაძე, თ. აციკაძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 11-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განხილულია ქიმიური ელემენტების სხვადასხვა ირთვის სტრუქტურისა და აგებულების პრობლემა და ნაჩვენებია მათი კლასტერული სტრუქტურის არსებობის შესაძლებლობა. აღმოჩნდა, რომ ირთვების აგებისას პროტონებთან და ნეიტრონებთან ერთად ძირითადი ელემენტებია ჰელიუმის, ნახშირბადისა და ჟანგბადის ირთვები. ნაჩვენებია ისიც, რომ ირთვები აგებულია ძირითადად ნახშირბადისა და ჟანგბადის კლასტერებისაგან, ხოლო ფენოვანი სტრუქტურა აქვს მძიმე ირთვებს, რომლებიც ერთმანეთს ნეიტრონული კავშირებით უერთდება. განხილულია აგრეთვე მიზეზები, რომლებიც უნებაში არსებული სტაბილური და არასტაბილური ირთვების რაოდენობას ზღუდავს. აღსანიშნავია, რომ ირთვების ფორმირებაში მთავარ როლს ირთვული ძლიერი მიზიდულობის ძალები კი არა, პროტონის მიერ შექმნილი კულონური ძალები ასრულებს. სურ. 30, ცხრ. 1, ლიტ. 13.

ავტ.

14.1.4.8. ზოგიერთი ლითონის სულფანილამიდურ პრეპარატებთან კოორდინაციული ნაერთების სტრუქტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. /ე. მიმინოშვილი, ლ. ერიძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 9-20. – რუს.

სტატია ეხება გამოკვლეული სულფანილამიდის შემცველი ნაერთების სტრუქტურების შედარებით დახასიათებას და მათი სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობებს შორის არსებული განსხვავებებისა და სტრუქტურის მახასიათებელ გეომეტრიულ პარამეტრებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოვლენას. შესწავლილ კრისტალურ ნაერთებს შორის, დეპროტონიზებულ მდგომარეობაში მყოფი სულფანილამიდები (პროტონი მოწყდება N–H-დან და წარმოიქმნება შესაბამისი ანიონი) წარმოადგენენ გარეგნულად სფერულ რძემჟავა-ანიონებს და მეტად იშვიათად მონაწილეობენ კოორდინაციული მების ფორმირებაში. მიღებული შედეგების სივრცული ეფექტით ახსნის შესაძლებლობა გვაფიქრებინებს, რომ თუკი ეს ნაერთები მიიღებენ მონაწილეობას კომპლექსების ფორმირებაში, მაშინ მხოლოდ პოლიედრების გარდამავალი ფორმები წარმოიქმნება. მაშინ როდესაც აღწერილ კრისტალურ კოორდინაციულ ნაერთებში (M(II) = Mg, Mn, Co, Cu, Zn) სულფანილამიდები გარეგნულად სფერული რძემჟავა-ანიონებია, $[M(Aet)(OH_2)_5](Aet)^*kH_2O$ ნაერთებში (სადაც M(II) = Sr და Ba, Aet- – ეთაზოლის ანიონი, k = 3 და 2) ერთი ან ორი ანიონია ლითონთან კოორდინირებული და თამაშობს იდენდატური ხიდის – ციკლური ლიგანდის – როლს. მიღებული მონაცემების თანახმად, აბაზანის კუთხე იცვლება არეში 55–100^0, ხოლო გრეხვის კუთხე – არეში 55–70ო. გამონაკლისი იყო ნაერთი $[Ni(R)_2(OH_2)_2]$, (სადაც R სულფაპირიდაზინული ანიონია), რომლისათვისაც გრეხვის კუთხე 7.2ო-ს შეადგენდა. სურ. 7, ცხრ. 1, ლიტ. 22.

ავტ.

1.5. დედამიწისა და გარემოს შემსწავლელი მეცნიერებები

14.1.5.1. მიწისძვრების გავლენა იოსფეროსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. /ე. საყვარელიძე, ზ. შარაძე, ქ. მირიანაშვილი/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. 9-13 ოქტომბერი. – 2014. – გვ. 136-140. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

დადგენილია, რომ მიწისძვრის მომზადების დროს, მიწისძვრის მომენტში და მიწისძვრის შემდგომ პერიოდში მიწისძვრის რეგიონში ხდება ულტრადაბალსიხშირული (0,001-10 ჰც) სუსტი ელექტრომაგნიტური ველების გენერირება ეპიცენტრისგან მოშორებულ რაიონებში. ეს ველები ზედ ედება შუმანის რეზონანსული სიხშირეების ელექტრომაგნიტურ ველებს და იწვევს იოსფეროში დაბალსიხშირული ელექტრომაგნიტური სიტუაციის ცვლილებას. შუმანისა და ალვენის რეზონანსული სიხშირეების მნიშვნელობები შეიძლება იცვლებოდეს აგრეთვე მიწისძვრებით გენერირებული აკუსტიკურ-გრავიტაციული ტალღების გავრცელებით. ეს ტალღები და მათთან დაკავშირებული შუმანისა და ალვენის რეზონატორებში შეშფოთებების გავრცელება იოსფეროს ფონური ულტრადაბალსიხშირული ელექტრომაგნიტური სურათის ცვლილებას და ამასთან დაკავშირებულ იოეფექტს იწვევს. ლიტ. 4.

ავტ.

14.1.5.2. ოლნისის რაიონის სუბვულკანური და ექსტრუზული სხეულები, როგორც მინის ტარის არატრადიციული ნედლეული. /გ. ნადარეიშვილი, მ. ტყემალაძე, ე. შაფაქიძე/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 10-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

განხილულია ოლნისის რაიონის (ქვემო ქართლი) რიოლითური ექსტრუზივების (კოჩულო, რაჭისუბანი), დაციტური შედგენილობის სუბვულკანური სხეულების, ასევე მათი შემცველი ზედა ცარცული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი წყების გეოლოგიური აგებულება და მათი ლოკალიზაცია სხვადასხვა ტიპის სტრუქტურებში, თანდართული რუკითა და ჭრილებით. განხილულია სხეულების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული თავისებურებები და მოცემულია მათი ნივთიერი შედგენილობის ანალიზი. გამოთქმულია ვარაუდი ამ ნედლეულის ვარგისიანობის შესახებ მინის ტარის წარმოებისათვის. კოჩულოსა და ქვემო ოლნისის ადგილმდებარეობის სხეულებიდან სინთეზირებულია სამ და ოთხ კომპონენტიანი მინები. სურ. 1, ცხრ. 4, ლიტ. 8.

ავტ.

14.1.5.3. ქვაბულის ფერდოს გრუნტის დახრილი ანკერებით დამაგრების ტექნოლოგიის შესახებ. /თ. ფირცხალავა/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 17-22. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

ნაჩვენებია, რომ გრუნტის ანკერები შესაძლებელს ხდის მოხდეს ეკონომიური საპროექტო გადაწყვეტილების მიღება ღია წესით მიწისქვეშა ნაგებობათა აგებისას და ღრმა ქვაბულების უსაფრთხო მოწყობა საქალაქო განაშენიანების შეზღუდულ პირობებში, მშენებლობის ვადების შემცირებით;

მოცემულია გრუნტის ანკერების კლასიფიკაცია; განხილულია ანკერის ტიპური კონსტრუქცია და გრუნტის დროებითი ანკერის მოწყობის ტექნოლოგიური თანმიმდევრობა, აგრეთვე დახრილი გრუნტის ანკერის კრანცის მეთოდით გაანგარიშების შედეგები. სურ. 5, ცხრ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.1.5.4. სეისმური დატვირთვის განსაზღვრა ამონაღების ფერდოს მდგრადობის გაანგარიშებისას. /ნ. კუკულაძე, თ. ფირცხალავა/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 22-25. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
აღნიშნულია, რომ ფერდოს სეისმური მდგრადობის განხილვისას გრუნტის დაცურება ძირითადად ვითარდება ისეთი მიწისძვრების დროს, როდესაც მაგნიტუდა იცვლება 5,5-დან 8,8-მდე და ეპიცენტრული მანძილი რამდენიმე კმ-დან ასეულ კმ-მდე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის, რომლის მთელი ტერიტორიის სეისმურობა 7-9 ალით განისაზღვრება. მოცემულია ფერდოს სეისმური დატვირთვის განგარიშების ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს მიწისძვრით გამოწვეული დინამიკური ძალვების გამოთვლას და მათ გავლენას ფერდოს დაძაბულ მდგომარეობაზე. F_hჰორიზონტალური და F_vვერტიკალური ინერციული ძალები მოქმედებენ ფერდოს დაცურების პრიზმის გრუნტის მასების წონასთან ერთად და მათში გათვალისწინებულია სეისმურობის კოეფიციენტი, განსაზღვრული სეისმურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ფსევდო-სტატიკური მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულია უსაფრთხოების ფაქტორის მინიმალური სიდიდე ფერდოს დაცურების საწინააღმდეგო სტატიკური ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძალების გათვალისწინებით. სურ. 2, ცხრ. 1, ლიტ. 13.

ავტ.

14.1.5.5. მანგანუმის მადნის ფენების დამუშავების დაპროექტების მეთოდების სრულყოფა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენებით. /ე. მატარაძე, თ. ახვლედიანი, ნ. ოჭორიშვილი, გ. ტაბატაძე/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 26-31. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
გაანილიზებულია მანგანუმის მადნის წარმოების სფეროში ოლო წლებში განვითარებული ახალი ტენდენციები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საწარმოო საქმიანობაზე და ართულებენ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას. ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს სამთო სამუშაოების დაგეგმვისა და მადნის მოპოვების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების სრულყოფა თანამედროვე კომპიუტერული მოდელირების მეთოდების გამოყენებით. განხილულია მანგანუმის მადნის მოპოვების ტექნოლოგიური სქემებისა და მაღაროს ახალი ველების ათვისების საინვესტიციო დანახარჯების ეფექტიანობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავების ამოცანები. სურ. 3, ლიტ. 7.

ავტ.

14.1.5.6. მადნეულის სპილენძის მადნების დასაწყობებული კუდების კოლექტიური კონცენტრატის სელექციის საკითხები. /ნ. ჯიქია, რ. სტურუა, დ. ტალახაძე, ა. აბშილავა, ზ. არაბიძე, გ. გელოვანი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 31-34. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
განხილულია მადნეულის სპილენძის მადნების დასაწყობებული კუდების გადამუშავების შედეგად მიღებული კოლექტიური, სპილენძის შემცველ პირიტული კონცენტრატის გადამუშავების ტექნოლოგიები; კოლექტიურ კონცენტრატის მჟავე და ტუტე არეში ალბიონის მეთოდით გადამუშავების შესაძლებლობები. აღნიშნული ტექნოლოგიის ანალიზის საფუძველზე დადგენილია კოლექტიური კონცენტრატის ალბიონის მეთოდით ტუტე არეში გადამუშავების უპირატესობა; კოლექტიური კონცენტრატის ტუტე არეში გადამუშავებისათვის შემუშავებულია კოლექტიური კონცენტრატის სელექცია. პირიტული სულფიდური კონცენტრატის ალბიონის მეთოდით დადგენილი პარამეტრებით ტუტე არეში გადამუშავების შედეგად მიღებულია რკინის წვრილმარცვლოვანი მინერალი ჰეტიტი, რომელშიც ჩაწინწკლულ ოქროს ამოკრეფა გათვალისწინებულია ციანირებით. სურ. 2, ცხრ. 1, ლიტ. 1.

ავტ.

14.1.5.7. გამდიდრების პროცესებში შემაშფოთებელი სიდიდეების უწყვეტად საზომი მოწყობილობები მართვის ხერხებით. /მ. გამცემლიძე, რ. ენაგელი, მ. თუთბერიძე/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 35-38. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
განხილულია შემაშფოთებელი, განსაკუთრებით გამდიდრების პროცესების რეჟიმული პარამეტრების საზომი ორიგინალური მოწყობილობების მუშაობის პრინციპები, რომელთა სიახლე და სარგებლიანობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ერთდროულად ორი შემაშფოთებელი სიდიდის უწყვეტად გაზომვა. კერძოდ: პულპის სიმკვრივის და სიბლანტის; პულპაში მაგნიტური თვისების მქონე

მინერალებისა და თიხოვანი მასალის კონსისტენციის. ამავე დროს, რეჟიმული პარამეტრების გაზომვით შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს გასამდიდრებელი მასალის ფიზიკური თვისებები. განხილულია აგრეთვე, აღნიშნული შემაშფოთებელი პარამეტრების სიდიდეების ცვალებადობიდან გამომდინარე, ფლოტაციის, დალექვის და მძიმე გარემოიან ჰიდროციკლონში დაყოფის პროცესებისათვის მმართველი პარამეტრების რეგულირება მართვის ახალი ხერხების გათვალისწინებით, კონდიციური კონცენტრატის მაქსიმალური გამოსავლიანობის უზრუნველყოფით. სურ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.1.5.8. ხანძრით განპირობებული საგანგებო სიტუაციის მართვა ერთგვირაბიანი კომბინირებული სავენტილაციო სისტემის პირობებში. /ო. ლანჩავა, ნ. ოჭორიშვილი, გ. ნოზაძე, მ. ჯანგიძე, ნ. არუდაშვილი, ს. დემეტრაშვილი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 43-47. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

განხილულია ერთგვირაბიანი სავენტილაციო სისტემის ნახევრად განივი და განივი სქემები და მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციების ფაზები, რომლებიც თავს იჩენენ ხანძრისას. რიკოთის გვირაბის პირობებისათვის დადგენილია, რომ ადგილი აქვს უნებრივად და ანთროპოგენურად მიმდინარე პროცესების ნორმალური მსვლელობიდან გადახრის აკუმულაციას, ხოლო საგანგებო სიტუაციის პრევენციის ზომად შემოთავაზებულია განრიგის დაწესება საშიში ტვირთებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვამლისა და ტოქსიკური ნივთიერებების არინებისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისათვის სატრანსპორტო გვირაბში, ან მის არეალში მომხდარი ხანძრისას. გვირაბის სავენტილაციო სისტემის დამუშავების მიზნით მნიშვნელოვანია მისი ფუნქციური შესაძლებლობების დადგენა საგანგებო სიტუაციის სამართავად, როგორც ხანძრის საწყის სტადიაზე, ასეე სრული სიმძლავრის შემთხვევვაში. როგორც ცნობილია, ყოველ საგანგებო სიტუაციას ახასიათებს საფრთხის გავრცელების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიჩქარე. ხანძრით განპირობებული საგანგებო სიტუაცია არის სწრაფად გავრცელების საფრთხის შემცველი. მასშტაბის მიხედვით კი აღნიშნული საგანგებო სიტუაცია არის საობიექტო, რომლის შედეგები არ სცილდება ობიექტის საზღვრებს და მისი ლიკვიდაცია შესაძლებელია ობიექტის საკუთარი ძალებითა და რესურსებით. ნაშრომის შედეგები სასარგებლო იქნება გვირაბის დირექციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენი ღონისძიებების ადეკვატურად განხორციელებისათვის. სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.1.5.9. კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე. /გ. ხომასურიძე/. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2015. – #1(26). – გვ. 36-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე და ეკოსისტემების მდგომარეობაზე განუსაზღვრელად დიდია. ზოგი მეცნიერის აზრით ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატებული რაოდენობა და ტემპერატურის ზრდა დადებითად იმოქმედებს მცენარეებზე, თუმცა ტემპერატურის შემდგომი მატება და ტენის დეფიციტი უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. კლიმატის ცვლილების შედეგები უკვე დღეისათვის არის შესამჩნევი მარცვლოვანების, ყურძნის მაგალითზე. მოდელირებული ცდების მიხედვით შესაძლებელი გახდა დათბობით გამოწვეული შედეგების პროგნოზირება, რაც არასახარბიელოა და მომავალში კაცობრიობის წინაშე მრავალ პრობლემას წარმოშობს. ლიტ. 7.

ავტ.

14.1.5.10. თბილისის და ქართლის არტეზიული აუზების ზოგიერთი წყაროების უნებრივი რადიოაქტივობა. /ნ. კეკელიძე, თ. ჯახუტაშვილი, ე. თულაშვილი, მ. ჩხაიძე, ლ. მწარიაშვილი, ზ. ერიშვილი, ნ. ხიხაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 79-86. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია რადიოაქტიური აირის რადონის – Rn-222 შემცველობის კვლევა ზოგიერთი წყაროს წყალში, რომლებიც განლაგებულია დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე თბილისის (9 წყარო) და ქართლის (4 წყარო) არტეზიულ აუზებში. კვლევები ჩატარდა 2013 წლის იანვარ-მარტის პერიოდში. კვლევების ჩასატარებლად გამოყენებული იყო თანამედროვე რადონის დეტექტორი RAD7. დადგინდა, რომ თბილისის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე რადონის შემცველობა წყაროს წყალში არის დიაპაზონში რამდენიმე Bq/L-დან 100 Bq/L-მდე და მეტი; ქართლის არტეზიული აუზის ტერიტორიაზე ცვლილებების დიაპაზონი მნიშვნელოვნად ნაკლებია – რამდენიმე Bq/L-დან 13 Bq/L-მდე, რაც

დაკავშირებულია ამ რეგიონების ნიადაგ-გეოლოგიური სტრუქტურების სხვაობებთან. ჩატარებულია შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან. სურ. 1, ცხრ. 4, ლიტ. 17.

ავტ.

1.6. იოლოგია

14.1.6.1. ქსოვილის კულტურის მიღება დეკადან (Rhododendron Caucasicum Pall.) ფენოლურ ნაერთთა წარმოქმნის შესწავლის მიზნით. /დ. აგრატიშვილი, რ. ჯიქია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 85-88. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
პირველად იქნა მიღებული კალუსის კულტურები დეკას ფოთლიდან და ღეროდან, რომლებიც იზრდებოდნენ ახალ საკვებ არეზე გადატანისას. კალუსის საუკეთესო ზრდისთვის საკვების ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად გამოცდილ იქნა ზოგიერთი კომპონენტის – 2,4-D-ს, კინეტინის, საფუარის ექსტრაქტის და მიოინოზიტის სხვადასხვა კონცენტრაციები. აღმოჩნდა, რომ 5 და 10 მგ/ლ 2,4 D, 1000 და 2000 მგ/ლ საფუარის ექსტრაქტი და 20 მგ/ლ მიოინოზიტი უზრუნველყოფდნენ კალუსის ქსოვილის საუკეთესო ზრდას. წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ დეკას ფოთლიდან და ღეროდან მიღებული ქსოვილის კულტურები ინარჩუნებდნენ ინტაქტური მცენარისთვის დამახასიათებელი იოლოგიურად აქტიური ფენოლური ნაერთების სინთეზის უნარს, თუმცა მათი რაოდენობა და შემადგენლობა კალუსში მნიშვნელოვნად მცირდებოდა, რაც მთლიანად ემთხვევა მონაცემებს სხვა მცენარეთა კულტურებისათვის. ფენოლურ ნაერთთა რაოდენობა მშრალ წონაზე გადაანგარიშებით შეადგენდა 4-5%. მიღებულ ქსოვილთა კულტურებში იდენტიფიცირებულია (-)-ეპიკატექინი, (+)-კატექინი და პროანტოციანიდინები. სურ. 3, ლიტ. 9.

ავტ.

14.1.6.2. სმიტინის გავლენა აქტომიოზინის ფერმენტულ აქტივობაზე სარეაქციო არის სხვადასხვა პირობებში. /ნ. გაჩეჩილაძე, ჯ. გოგორიშვილი, რ. კუპატაძე, კ. ქურიძე, თ. ერისთავი, მ. ზაალიშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 89-93. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
შესწავლილია სმიტინის (C-ტიტინის) გავლენა ქათმის გლუვი კუნთის (კუჭი) აქტომიოზინის Mg2+ -აქტივირებად ATP-აზურ აქტივობაზე სარეაქციო არის სხვადასხვა პირობებში (იონური ძალა, PH, სმიტინის სხვადასხვა კონცენტრაცია). ნაჩვენებია, რომ სმიტინი ტიტინის მსგავსად იწვევს აქტომიოზინის Mg2+ -აქტივირებადი ATP-აზური აქტივობის ზრდას. Mg2+ -აქტივირებადი ATP-აზური აქტივობა სმიტინის თანაობისას მაქსიმალურია 30 mM KCL–ის და მინიმალურია 100 mM KCL–ის პირობებში. Mg2+ -აქტივირებადი ATP-აზური აქტივობა სმიტინის თანაობისას მაქსიმუმს აღწევს PH 8.0, ხოლო PH 9-ზე მცირდება. აქტივობა იზრდება სმიტინის კონცენტრაციის მატებისას და მაქსიმუმს აღწევს სმიტინის 40% კონცენტრაციის დროს (მიოზინის წონაზე გადაანგარიშებით). მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ გლუვ კუნთში სმიტინი იგივე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ტიტინი – ჩონჩხის კუნთში. სმიტინი განაპირობებს ერთის მხრივ გლუვი კუნთის ელასტიურ თვისებებს, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს „ეშაფოტს“ კუნთის შეკუმშვაში მონაწილე ცილებისათვის, წარმოქმნის რა სუპერმოლეკულურ კომპლექსს ამ ცილებთან. სურ. 3, ლიტ. 20.

ავტ.

14.1.6.3. Salmonella-ს ეპიდემიოლოგიური შტამების მგრძნობელობა ანტიბიოტიკების მიმართ და R-პლაზმიდების პროფილის განსაზღვრა. /ტ. გაბისონია, მ. ლოლაძე, თ. ქათამაძე, გ. მელაშვილი, კ. დიდებულიძე, ნ. თამარაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 114-117. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
მოყვანილია მონაცემები 2012-2013 წლებში, კასპის რაიონის ორი ფერმერული მეურნეობიდან გამოყოფილი სალმონელას შტამების მგრძნობელობის შესახებ ანტიბიოტიკების მიმართ. ნაჩვენებია პოლირეზისტენტული ფორმების ფართო გავრცელება. განსაკუთრებული რეზისტენტობით ხასიათდებიან გენტამიცინის, კარბენიცილინის და კანამიცინის მიმართ. დადგენილია, რომ შტამების 50% შეიცავს კონიუგაციურ R-პლაზმიდებს, რომლებიც შეუთავსებლობის სხვადასხვა ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ეს პლაზმიდები განაპირობებენ მდგრადობას სტრეპტომიცინის, ქლორამფენიკოლის, ტეტრაციკლინის, გენტამიცინის, კარბენიცილინის და კანამიცინის მიმართ. მათი შეუთავსებლობის ჯგუფებია T, J, M, N. მოლეკულური მასები 40.0; 62.0; 58.0; 30.0; 60.0; 50.0 MDa. სალმონელას ეპიდემიოლოგიურ შტამებში გამოვლენილი იქნა პლაზმიდები, რომლებიც მიეკუთვნებიან IncP

შეუთავსებლობის ჯგუფს. მათი მოლეკულური მასებია 30.0; 35.0 MDa ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ კონიუგაციური R-პლაზმიდები მონაწილეობენ ეპიდემიოლოგიური შტამების ფორმირებაში. ცხრ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.6.4. ახალი ანტივირუსული მცენარეული სამკურნალო საშუალებები მარტივი ჰერპესისა და შემოსარტყლული ჰერპესისათვის. /მ. აბუთიძე, ნ. ომიაძე, ჟ. როდრიგეს ლოპესი, თ. სადუნიშვილი, ს. ჩეზარა, გ. კვესიტაძე/. Annals of agrarian science (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #3. – გვ. 15-17. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.

სამკურნალო მცენარეების და ნატურალური პროდუქტების საფუძველზე მიღებულ იქნა ანტივირუსული მცენარეული საშუალებები მალამოს და ნაყენის სახით გარეგანი გამოყენებისათვის მარტივი ჰერპესისა (Herpes simlex) და შემოსარტყლული ჰერპესის (Herpes simlex) შემთხვევებისათვის. გამოკვლეულ იქნა ამ პრეპარატების ქიმიური შემადგენლობა და თვისებები, შემუშავებულ იქნა მალამოსათვის ესენციისა და ზეთის მიღების ტექნოლოგიური სქემები. მოცემული ანტივირუსული მცენარეული სამკურნალო საშუალებები არ შეიცავს სინთეზურ დანამატებს, იცავს კანს ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, მათი უნებრივი კომპონენტების ერთობლივობა მოქმედებს როგორც კონსერვანტები, ემულგატორები და სოლუბილიზატორები. მცენარეული პრეპარატები მზადდება საქართველოში ფართოდ გავრცელებული სამკურნალო მცენარეებისაგან, აგრეთვე საქართველოში წარმოებული ნატურალური პროდუქტებისაგან და ამიტომ ეს პრეპარატები გაცილებით იაფია, ვიდრე ფარმაკოლოგიურ აზარზე არსებული მათი ანალოგები. ცხრ. 1, ნახ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.1.6.5. X- phaseoli სპეციფიკური ფაგის იოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური კვლევა. /თ. სადუნიშვილი, ნ. სტურუა, მ. გამყრელიძე, დ. ღაღანიძე, ნ. ამაშუკელი/. Annals of agrarian science (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #3. – გვ. 44-48. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.

ჩატარებულ იქნა ლობიოს ყავისფერი ლაქიანობის გამომწვევი X-phaseoli აქტერიების სპეციფიკური აქტერიოფაგის სამი ხაზის ზოგიერთი იოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური თვისების კვლევა. X-phaseoli-ს სპეციფიკური ფაგი მიეკუთვნება Myoviridae-ს ოჯახს. კვლევისას ყველა შესასწავლი ფაგისათვის ადსორბციის დრო და ლატენტური პერიოდი იყო ერთნაირი. ფაგებზე და მათ ნარევზე მაღალი ტემპერატურის გავლენის კვლევამ აჩვენა, რომ X-phaseoli სპეციფიკური ფაგი მიეკუთვნება მაღალი ტემპერატურის მიმართ მდგრად ფაგებს. ცხრ. 3, ლიტ. 18.

ავტ.

14.1.6.6. ანთროპოგენეტიური მოდელი, როგორც მედიცინის თეორიის კონცეპტუალური საფუძველი. /გ. ელკანია, ლ. დილენიანი, ი. ღვინჯილია, ე. მატიაშვილი, ც. ჯაიანი, ა. აგრიი, . პუხალსკაია/. სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – 2013. – #16-11-10. – გვ. 97-104. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გრავიტაციული იოლოგიის და ანტროპოლოგიის პოზიციიდან გამომდინარე მკვიდრდება ადამიანების იოლოგიური თვისება - სწორად სიარული, როგორც ორგანიზმის საბაზო ადაპტაცია არსებობისათვის დედამიწის გრავიტაციის პირობებში. ამ ადაპტაციის მნიშვნელობა ადამიანის იოლოგიაში, როგორც სწორად მოსიარულე არსების გამოვლინება ადამიანისათვის დამახასიათებელი ონტოგენეტიკურ განვითარების ეტაპობრიობაში. ასევე ორგანიზმის ძირითადი ანტიგრავიტაციული ფუნქციის რეალიზაციაში და სიმაღლეში ზრდის პროცესის მთლიანობაში. ასევე ადამიანისათვის დამახასიათებელ დაავადებების ნოზოლოგიური პროფილის ჩამოყალიბებაში რაც მთლიანად დაკავშირებულია პოსტნატალურ პერიოდთან. განვითარებადი ანტროპოფიზიოლოგიური მიდგომის პოზიციიდან გამომდინარე შესაძლებელია ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის მთლიანობაში აღქმა - მისი მდგომარეობის ყველა დიაპაზონზე - ჯანმრთელი-არაჯანმრთელი - დაავადების წინა პერიოდი - დაავადება. სურ. 6, ლიტ. 48.

ავტ.

14.1.6.7. ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის ექსპრესია და ეპიდერმულიზრდის ფაქტორისა და მელატონინის შემცველობა სისხლის შრატშიენდომეტრიუმის მარტივი და კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს. /ნ. ძნელაშვილი, დ. კასრაძე, ა. თავართქილაძე/. სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – 2013. – #16-11-10. – გვ. 105-109. – ქართ.; რეზ.:ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანი იყო ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის (EGFR) პროგნოზული მნიშვნელობის განსაზღვრა ექსპრესიისა ენდომეტრიუმში და, ამასთანავე – ეპიდერმული ზრდის ფაქტორის (EGF) და მელატონინის დონეებისა სისხლის შრატში ენდომეტრიუმის მარტივი და კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს. EGFR-ის ექსპრესიის გამოსავლენად 35 პაციენტში ჩატარდა მორფოლოგიური მასალის (საშვილოსნოს გამონაფხეკის) იმუნოჰისტოქიმიური კვლევა. პლაზმაში EGF-ის და მელატონინის შემცველობათა დასადგენად პაციენტებისგან აღებულ იქნა სისხლი. EGF-ის დონის განსაზღვრა სისხლის შრატში ვაწარმოეთ მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით – HPLC მეთოდით, ხოლო მელატონინისა – იმუნოფერმენტული ანალიზით – ELISA მეთოდით. მიღებული ციფრობრივი მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამის SPSS-12-ის გამოყენებით; ასევე გამოყენებულ იქნა სტატისტიკის პროგრამული სისტემა IBM SPSS, ვერსია 20. როგორც ვლინდება, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიის შემთხვევებში (სისხლის შრატში EGF-ის სხვადასხვა დონის მიუხედავად), სადაც სუსტი ექსპრესიაა EGFR-ისა, იქ მელატონინი ნორმაშია. და ეს პროგნოზულად კარგია! და პირიქით – EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის დროს მელატონინის პლაზმური დონე დაკლებულია (მაშინაც კი, როცა სისხლის შრატში EGF-ის შემცველობა ნორმაშია). ასეთ შემთხვევებში EGF-ის პლაზმური დონის ყოველგვარი მატება EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის ფონზე სახიფათოა. და ოლოს, მელატონინი – ეს უნივერსალური ანტიპროლიფერაციული და ანტინეოპლაზიური ჰორმონი EGFR-ის ენდომეტრიულ ექსპრესიას გაცილებით მეტად „პასუხობს", ვიდრე EGF-ის პლაზმურ დონეს. და ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ მოცემულ ვითარებაში სწორედ EGFR უფრო „კანცეროგენეზულია", ვიდრე თავად EGF. ანუ, თუ კი მხოლოდ EGF-ის შემცველობა იქნება მომატებული სისხლის შრატში, ხოლო ენდომეტრიუმში EGFR-ის ექსპრესია იქნება სუსტი, ეს უკეთესი ვარიანტი აღმოჩნდება პროგნოზულად, ვიდრე, ვთქვათ, ძლიერი ექსპრესია EGFR-ისა ენდომეტრიუმში და EGF-ის ზომიერად მომატებული დონე პლაზმაში. ლიტ. 8.

ავტ.

14.1.6.8. ცილოვანი ნაერთების გამოკვლევა ღვინის სტაბილიზაციის პროცესში. /ნ. აღათურია, თ. ნანიტაშვილი, ნ. ეგიაშვილი, ც. შილაკაძე, . აღათურია/. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #3(24). – გვ. 52-57. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მოცემულია ელექტროფორეზის მეთოდის გამოყენებით ცილოვანი ნაერთების გამოკვლევის შედეგები ღვინის ტექნოლოგიური დამუშავებისა და სტაბილიზაციის პროცესში. დადგენილია, რომ ღვინის ტექნოლოგიური დამუშავების ცალკეული მეთოდები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ცილოვანი ნაერთების სხვადასხვა კომპონენტების რაოდენობრივ და თვისობრივ შემადგენლობაზე. დადგენილია ცილოვანი ნაერთების ცალკეული ფრაქციების იზოელექტრული წერტილების მნიშვნელობები და მათი არაერთგვაროვანი როლი ღვინოში ცილოვანი სიმღვრივის წარმოქმნის პროცესზე. საქართველოში მეღვინეობის მდგრადი განვითარების ინტერესები მოითხოვს ღვინის წარმოების მეთოდების შემდგომ სრულყოფას, ტრადიციული და ახალი იოტექნოლოგიური მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას, მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. ცხრ. 1, იბლ. 7.

ავტ.

14.1.6.9. საქართველოს ფლორის Ononis arvensis მიწის ზედა ნაწილების ქიმიური კომპონენტები. /მ. სიჭინავა, მ. სუთიაშვილი, მ. ალანია, ვ. მაილედეტი, ე. ოლივიე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 68-70. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია საქართველოში მოზარდი ფშნის ეკალას – Ononis arvensis მიწის ზედა ნაწილების ქიმიური შედგენილობა. დადგენილია, რომ მცენარე შეიცავს ტრიტერპენულ სპირტს და ფლავონოიდებს. გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ტრიტერპენული სპირტი – α-ონოცერინი და იზოფლავონები – დაიდზეინი, დაიდზინი, ფორმონონეტინი და ონონინი. ეს ნაერთები საქართველოში მოზარდი მცენარიდან პირველადაა გამოყოფილი. ცხრ. 1, ლიტ. 16.

ავტ.

14.1.6.10. ღვინო საფერავიდან ზოგიერთი ფლავონოიდის გამოყოფა და იდენტიფიკაცია. /თ. მითაიშვილი, ნ. ზამბახიძე, ი. თარგამაძე, დ. ჭრიკიშვილი, ა. შალაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 74-78. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ღვინო საფერავიდან გამოყოფილია ფენოლური ნაერთების ჯამური ფრაქციები – კატექინები, ფლავონოლები, ანტოციანინები და ფენოლური მჟავები, რომლებიც შემდეგ დაიყო ქვეფრაქციებად ქრომატოგრაფირებით სეფადექს LH-20 და პოლიამიდის სვეტებზე. ქვეფრაქციებიდან ინდივიდუალური ნაერთები გამოიყო ქაღალდის და თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის საშუალებით. ღვინო საფერავში

იდენტიფიცირებულია ფლავონოლები: კვერცეტინი, კვერცეტინ-3-O-მონოგლუკოზიდი (იზოკვერციტრინი) და კვერცეტინ-3-O-რუტინოზიდი(რუტინი); ანტოციანინები: მალვიდინ-3-O-მონოგლუკოზიდი (ოენინი) და პეონოდინ-3-O-მონოგლუკოზიდი (პეონინი). ცხრ. 2, ლიტ. 14.

ავტ.

14.1.6.11. რენტგენული სპექტრომეტრის გამოყენება ქიმიური შედგენილობის განსაზღვრისათვის და ეკოლოგიური ქიმიის ზოგიერთი ასპექტი. /ალ. ჩუბინიძე, ნ. ენდელაძე, ნ. რეგაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 87-89. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

რენტგენული სპექტრომეტრის (Skyray EDX Packet III. X-ray Fluorescence Spectrometer) საშუალებით შესრულებულია ქიმიური, ელემენტური ანალიზი კონტაქტური და სისტემური შხამქიმიკატით (კორსუბერი) შეწამლული ნიმუშებისა. ამჯერად ანალიზის ობიექტად შერჩეულია ყურძნის მარცვალი. ანალიზის მონაცემები მიღებულია 28 ქიმიური ელემენტისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოთქმულია სავარაუდო მოსაზრება, რომ სისტემური შხამქიმიკატის – კორსუბერის ქიმიური ფრაგმენტები აკუმულირდება მცენარის ნაყოფში. სურ. 1, ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.1.6.12. წყალი, როგორც მეხსიერების მატერიალური სუბსტრატი. /ნ. ალექსიძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 23-29. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია წყლის იოლოგიური როლი და მისი სტრუქტურები ფსიქოემოციური ზემოქმედების შემდეგ. ნაჩვენებია ნაკურთხი და სასმელი წყლის სტრუქტურები ქრისტიანულ ლოცვამდე და ლოცვის შემდეგ. სურ. 15, ლიტ. 2.

ავტ.

14.1.6.13. საავტომობილო შიგაწვის ძრავების ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების გზები. /რ. ქავთარაძე, მ. ღლონტი, თ. ნატრიაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 33-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში განხილულია შიგაწვის ძრავებიანი საავტომობილო ტრანსპორტის ეკოლოგიური და ენერგეტიკული პრობლემების ერთდროული გადაჭრის გზები ძრავას თერმოდინამიკური ციკლის თავისებურებების, საექსპლუატაციო პირობებისა და სოციალური პრობლემების გათვალისწინებით. XXI საუკუნის პირველი ნახევრისათვის საკითხის გადაჭრის ყველაზე მისაღებ და რაციონალურ გზადაა მიჩნეული საავტომობილო შიგაწვის ძრავას კვების წყაროდ უნებრივი აირის გამოყენება. ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე დიზელების უნებრივ აირზე გადაყვანის გზები და ნაჩვენებია დიზელის ორსაწვავიან ძრავად კონვერტირების უპირატესობები. მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილებში ელექტროამძრავების გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება, საავტომობილო ტრანსპორტში შიგაწვის ძრავები კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს დამკვიდრებულ ადგილს. შესაბამისად, აქტუალურია ყველა იმ ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მიერ ატმოსფეროს გაჭუჭყიანების შემცირებას. ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

14.1.6.14. ქ. თბილისის ტერიტორიაზე მდინარეების (ვერე, დიღმულა, გლდანულა) წყლის ხარისხის შეფასება. /გ. ზეიკიძე, ს. ინვია, ლ. ხურცია, დ. მჭედლიშვილი, მ. ერიშვილი, ლ. გოგალაძე, თ. გიგაური, რ. გაფრინდაშვილი, ნ. უაჩიძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 41-45. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია მდ. მტკვრის ზოგიერთი შენაკადის ეკოლოგიური მდგომარეობა. სამივე შენაკადზე შერჩეულ იქნა დაკვირვების წერტილები. შედგა გამჭუჭყიანებელი კომპონენტების ნუსხა და, შესაბამისად, მათი წყალში განსასაზღვრავი მეთოდიკები. საკვლევი მდინარეების ხარისხი შეფასდა კომპლექსურად. გაზომილ იქნა წყლის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, ჰიდროქიმიური სიდიდეები და ასევე იმავე შესასწავლ სინჯებში ჩატარებულ იქნა მიკრობიოლოგიური ანალიზები. მიღებული მონაცემების საფუძველზე დაფიქსირდა მდ. ვერეზე საკმაოდ გაჭუჭყიანებული მონაკვეთი, რაც დადასტურდა კიდეც ყველა გამოყენებული ანალიზის საშუალებით. სურ. 2, ცხრ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.1.6.15. ღვარცოფული ხასიათის ძირითადი წყალსადინარები და მათი მთავარი პარამეტრები. / ზ. ჭარბაძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 46-53. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია რაჭის რეგიონში მდ. რიონის ღვარცოფული ხასიათის წყალსადინარები. ღვარცოფის აქტიურობის შესამცირებლად გამოკვლეულ და შეფასებულ იქნა წყალსადინართა ძირითადი გეომეტრიული, ჰიდროლოგიური და ჰიდრავლიკური პარამეტრები, რაც საწინდარია ღვარცოფსაწინაღო ღონისძიებების წარმატებით გატარებისათვის. ცხრ. 3, ლიტ. 11.

ავტ.

2. საინჟინრო საქმე და ტექნოლოგიები

2.1. სამოქალაქო ინჟინერია (მშენებლობა)

14.2.1.1. შენობის გათბობის „წყვეტილი" რეჟიმის ოპტიმიზაცია. /ო. კიღურაძე, გ. ქეთელაური, ს. არამიძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 14-19. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.

დახასიათებულია შენობებში ხელოვნურადან ავარიულად გათბობის „წყვეტილი" რეჟიმი, ენერგიის ხარჯის ოპტიმიზაცია გათბობაზედახარჯული ენერგიის მინიმიზაციის მიზნით, გათბობის რეჟიმის მართვა, შენობების თბური ალანსის განტოლება, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების თბოფიზიკური თვისებები და თბოაკუმულაციის მაჩვენებლები. სურ. 1, ცხრ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

14.2.1.2. ქალაქის ფუნქციურ-სივრცული განვითარების იმიტაციური მოდელირება და მართვა. /მ. ახობაძე, ელ. კურცხალია, თ. ახტაძე, ნ. ვარძიაშვილი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 49-55. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.

მაკროსისტემური მოდელირების პრინციპზე დაყრდნობით შექმნილია ქალაქების ფუნქციურ-სივრცული განვითარების იმიტაციური მოდელი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია აიგოს ექსპერტული სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქალაქის განვითარების გეგმა. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.1.3. ეტონის ცოცვადობისა და შეკლებისადმი მიძღვნილი კვლევების მიმოხილვა, მიღებული შედეგების ანალიზი და განზოგადება. /გ. ალიაშვილი, დ. ჯიბლაძე, თ. რუხაძე/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 68-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

მოცემულია ეტონის ცოცვადობის და შეკლებისადმი მიძღვნილი კვლევების მიმოხილვა, მიღებული შედეგების ანალიზი და განზოგადება. განხილულია კვლევების მეთოდიკა, ცოცვადობასა და კლებაზე ზემოქმედების ფაქტორები, მათი დეფორმაციის მექანიზმი, პროგნოზირების მოდელები, კვლევების აქტუალურობა და მნიშვნელობა. ცოცვადობასა და შეკლებაზე ზემოქმედების მთავარი ფაქტორებია: ეტონის ნარევში გამოყენებული ცემენტის მარკა, აგრეგატის ტიპი და რაოდენობა; წყლის ცემენტთან შეფარდების მნიშვნელობა; გარემოს ფარდობითი ტენიანობა; ეტონის ელემენტის თეორიული სისქე; ეტონის ასაკი და დატვირთვის ზემოქმედების დრო; ეტონის სიმტკიცე; არმატურის არსებობა, რაც იწვევს ეტონის კონსტრუქციული ელემენტების დეფორმაციას, მზიდუანაინობის დაქვეითებას, დაზიანებას და ხშირ შემთხვევაში მწყობრიდან გამოსვლას; შენობა-ნაგებობების სამშენებლო-საექსპლუატაციო ხარჯების გაზრდას და უსაფრთხო ექსპლუატაციის ვადის შემცირებას. ლიტ. 13.

ავტ.

14.2.1.4. აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონის მთიანი რეგიონების უნებრივი კომპლექსების შესწავლა ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგების მიზნით. /თ. თევზაძე, გ. ომსახაშვილი, დ. ფოცხვერია/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 75-78. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონის მთიანი რეგიონის უნებრივი ჰიდროგეოლოგიური კომპლექსების გამოკვლევების შედეგების ანალიზი ურბანული ტერიტორიების წყალმომარაგების მიზნით. შემუშავებულია ახალი ინოვაციური მეთოდი – კალაპოტქვეშა დიაგრამის საშუალებით მიწისქვეშა წყლების აკუმულირება ალუვიურ გრუნტებში და მათი მიწოდების რეგულირება წყალსიმცირის პერიოდში სასმელი წყლის მომარაგებისათვის. კომპლექსური ჰიდროგეოლოგიური სისტემების გამოვლინება იძლევა რეალურ პირობებს ასეთი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის გამოყენებით სასმელი წყლით მომარაგების ახალი ობიექტების შექმნისათვის. ასეთ ობიექტებად შეიძლება ჩაითვალოს თელავის ხევი, შრომის ხევი, კისის ხევი, თურდოს ხევი, კარდენახის

ხევი და სხვა. მაღალ ჰიფსომეტრიულ ნიშნულებზე განლაგებული უბნები, სადაც შეიქმნება წარმოდგენილი ტექნოლოგიური მეთოდით წყლის მნიშვნელოვანი მასების აკუმულირების, წყალაღებისა და თვითდინებით ტრანსპორტირების პრეცენდენტები. სურ. 1, ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.1.5. სივრცითი დაგეგმარება და მშენებლობა. /დ. ეგიაშვილი, ა. მესხიშვილი/. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #3 (24). – გვ. 19-38. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოწყობო ინსტიტუტი და ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება. მიუხედავად სირთულეებისა, საქართველოში სივრცითი დაგეგმარების პროცესი ნელი ტემპით მაინც ვითარდება, მაგრამ შორს არის სასურველ განვითარებასთან და საჭიროებს გააქტიურებას. საქართველოში სივრცითი დაგეგმარების პროცესისაგან განსხვავებით უკეთესი მდგომარეობაა მშენებლობის განვითარების მხრივ, განსაკუთრებით მშენებლობის ნებართვის გაცემის სიმარტივის თვალსაზრისით, რასაც ასევე ადასტურებს მსოფლიო ანკის იზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგი ქვეყნებში, სადაც საქართველო ერთ-ერთი ინდიკატორით, მშენებლობის ნებართვის გაცემის სიმარტივის მიხედვით მე-7 ადგილზეა. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ვარგისად აღიარებისათვის შენობა-ნაგებობების სირთულე იყოფა 5 კლასად. სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები სამწუხაროდ ცოტანი არიან და ხშირ შემთხვევაში არქიტექტორები ასრულებენ ასეთ სამუშაოებს. ცხრ. 1.

ავტ.

14.2.1.6.მსოფლიო სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში საქართველოს ჩართულობის პერსპექტივები. /გ. ლაგვილავა/. იზნეს-ინჟინერინგი. – 2014. – #4. – გვ. 60-63. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განხილულია გლობალურ მსოფლიოში საქართველოს ჩართულობის გაფართოების საკითხი. მასში ნათქვამია, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა და ტრანსპორტის სათანადო დონეზე განვითარებით ეფექტურად მოემსახუროს აზიიდან ევროპისკენ, და პირიქით, წამოსულ ტვირთ და მგზავრთ ნაკადებს. განხილულია რკინიგზის და საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს მეტი ჩართულობის კუთხით. ლიტ. 7.

ავტ.

14.2.1.7. მთაგორიანი რელიეფის პირობებში რკინიგზის გამტარუნარიანობის ზოგიერთი პრობლემა. /თ. კუპატაძე, ნ. კუპატაძე, . დიდებაშვილი, ზ. კუპატაძე, გ. გურამიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 75-78. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
სტატია ეხება მთაგორიანი რელიეფის პირობებში რკინიგზის გამტარუნარიანობის პრობლემას, რაც გულისხმობს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებას. მთიანი რეგიონის რკინიგზების გამყოფ პუნქტებში და გრძელი ციცაბოდაღმართიანი გადასარბენების ოლოებში მოწყობილ დამჭერ ჩიხებში აუცილებელი ხდება მატარებლების გაჩერება, რაც აფერხებს რკინიგზის გამტარუნარიანობას. სტატიაში დასმულია საკითხი გადასარბენზე სიჩქარის მაკონტროლებელი მექანიზმის შემუშავებისა და დაყენების შესახებ, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული მოძრაობის სამსახურის წარმომადგენლებთან და დადგენილი სიჩქარით მოძრაობისას საჭირო აღარ იქნება მატარებლის გაჩერება. სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.2.1.8. ქანების შედგენილობისა და რელიეფის ზეგავლენის გამოკვლევა ფერდობის მდგრადობაზე ასაშენებელი ნაგებობების და სეისმური დატვირთვების გათვალისწინებით. /პ. მენაბდიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 91- 97. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგ., რუს.
არახელსაყრელ საინჟინრო-გეოლოგიურ და სეისმურ პირობებში მეწყრული ფერდობის მდგრადობის შეფასების შემოთავაზებული მეთოდიკა საშუალებას იძლევა ფერდობის ნებისმიერი რელიეფის, დახრილობისა და ქანების შედგენილობის დროს განისაზღვროს ფერდობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა და მდგრადობის კოეფიციენტი, დადგინდეს მდგრადობის ველი, გამოვლინდეს სრიალის ზედაპირი, შერჩეულ იქნეს საძირკვლის მოწყობის ოპტიმალური ვარიანტი და შეფასდეს მეწყერსაწინაღო ნაგებობების ეფექტიანობა. სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

2.2. ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები

14.2.2.1. ვირტუალური მანქანების გამოყენება ქსელური ტექნოლოგიების სწავლებისას. /მ. გეგეჭკორი, ნ. ნარიმანიძე, მ. ოდილაძე, ვ. ახტაძე, მ. არჩუაძე, თ. ურჭულაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 216-219. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
სასწავლო-სამეცნიერო პროცესის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების ერთ-ერთ შესაძლო გზას, როგორც შინაარსობრივად, ისე ხარისხობრივად წარმოადგენს მასში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა. ნაშრომში დასაბუთებულია სასწავლო დაწესებულებებში ქსელში ჩართულ კომპიუტერზე ვირტუალური მანქანების გამოყენების უპირატესობები. კერძოდ, განხილულია პოპულარული ვირტუალიზაციის პროგრამული პროდუქტის VMWare WorkStation-ის გამოყენებით ქსელური ტექნოლოგიების დარგში სწავლების პრობლემების უფრო ეფექტურად და ხარისხიანად გადაწყვეტის გზები. ლიტ. 7.

ავტ.

14.2.2.2. ოპტოტირისტორებით მართვადი სამფაზა გამმართველიანი დიდი მუდმივი დენის წყარო. /ლ. გვარამაძე, ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, თ. საანიშვილი, გ. კიკნაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 161-166. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
შეფასებულია ფართო დინამიურ დიაპაზონებში დიდი მუდმივი დენების ფორმირების ამოცანა. გამოყოფილია ამ ამოცანის ქვეკლასი დამახასიათებელი ზოგიერთი პრაქტიკული შემთხვევისათვის: გალვანური და მაგნიტოოპტიკური დენის, სიმძლავრის და ენერგიის გამზომი პირველადი გარდამქმნელების გამოკვლევა და გრადუირება, დიდი დენის რელეების, ავტომატური ამომრთველებისა და დიფერენციალური დაცვის მოწყობილობების გაწყობა და რეგულირება. მოცემულია ასეთი ამოცანების გადაწყვეტის ხერხი მაღალი მეტროლოგიური მახასიათებლების მქონე მარტივი და მცირე გაბარიტის მქონე დიდი მუდმივი დენის ლაბორატორიული წყაროთი – კალიბრატორით. განხილულია მარტივი და მცირე გაბარიტის მქონე დიდი მუდმივი დენის კალიბრატორის მოქმედების ერთ-ერთი პრინციპი და მოცემულია მისი აგებისათვის აუცილებელი კვანძების სხვადასხვა ვარიანტები. მოყვანილია კალიბრატორის ერთ-ერთი ძირითადი კვანძის ოპტოტირისტორის მართვის ლოკის რეალიზაციის მარტივი ელექტრონული სქემა. სურ. 4, ლიტ. 2.

ავტ.

14.2.2.3. მრავალსაფეხურიან ჰიდროსატრანსპორტო სისტემის მილსადენ მაგისტრალში მიმდევრობით ჩართული ტუმბოების რაოდენობისა და მაგისტრალის გასწვრივ მათი განთავსების ადგილის განსაზღვრის ანალიზი. /ლ. მახარაძე, ა. ტაველიშვილი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 51-58. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
მოცემულია მრავალსაფეხურიან ჰიდროსატრანსპორტო სისტემის მილსადენ მაგისტრალში მიმდევრობით ჩართული გრუნტის ტუმბოების რაოდენობისა და მაგისტრალის გასწვრივ მათი განთავსების ადგილის განსაზღვრის ანალიზი, რომელიც განსხვავდება დღემდე არსებული მეთოდებისაგან იმით, რომ ითვალისწინებს წნევების ცვალებადობას მაგისტრალში ტუმბოების ამუშავებისა და გაჩერებისას. ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც იძლევიან გარანტიას იმისა, რომ წნევების ცვალებადობა გარდამავალი რეჟიმების დროს მოხდეს მდოვრედ, მკვეთრად გამოხატული რხევების გარეშე, არ მოხდეს მიმდევრობით ჩართული ტუმბოების განთავსების ადგილებში ჰიდრონარევის ნაკადის მთლიანობის დარღვევა (გაწყვეტა) და არასტაციონარული პროცესების განვითარება, როდესაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წნევების მნიშვნელოვან ფარგლებში ცვალებადობას მთელ მაგისტრალში შესაბამისი არასასურველი შედეგებით. სურ. 1, ცხრ. 4, ლიტ. 8.

ავტ.

14.2.2.4. სასმელი წყლის კოაგულიანტით გაწმენდის პროცესის კონტროლის ანალიტიკური ხელსაწყოს შექმნის საკითხები. /რ. სემიონოვი, თ. ძაგანია, ვ. ფადიურაშვილი, ნ. იაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 100-104. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
ცნობილია სასმელ წყლებში კოაგულანტის დოზის განსაზღვრის (გაზომვის) მეთოდები და შესაბამისი მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ კოაგულანტის (ან ფლოკულიანტის) დიდი დოზების გასაზომად, ე.ი. სასმელ წყლებში ელექტრონული გამტარებლობის დიდი ცვლილებების განსაზღვრისათვის. შემოთავაზებულია სასმელ წყლებში კოაგულანტის მიკროკონცენტრაციის დოზის

განსაზღვრის ახალი მეთოდი და მოწყობილობების სტრუქტურა. აღწერილია მოწყობილობების მუშაობის პრინციპი. სურ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.2.2.5. უნებრივი აირის გაჟონვის სიგნალიზატორებით საცხოვრებელ ინების და მონიტორინგის სისტემებით მრავალსართულიანი კორპუსების აღჭურვის აუცილებლობის შესახებ. /ვ. ფადიურაშვილი, თ. ძაგანია, ზ. აზმაიფარაშვილი, ზ. ჯოხარიძე, ნ. იაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 105-110. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განხილულია საცხოვრებელ ინებში საყოფაცხოვრებო აირის გაჟონვის აღმოსაჩენი ხელსაწყოებით აღჭურვის აუცილებლობა. აღწერილია ასეთი ხელსაწყოების მუშაობის მეთოდები და გამოყენებული გადამწოდების სახეები. ნაჩვენებია აგრეთვე მრავალსართულიან კორპუსების მონიტორინგის სისტემით აღჭურვის შესაძლებლობა. სურ. 4, ლიტ. 7.

ავტ.

14.2.2.6. თვითაგზნებადი სამფაზა ასინქრონული გენერატორების კვლევის შედეგები. /ა. რიკრიკაძე, ა. შერმაზანაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 63-69. – ქართ.; რეზ.: ქართ., ენგ., რუს.
სტატიაში განხილულია სამფაზა ერთ- და ორგრაგნილიანი თვითაგზნებადი ასინქრონული გენერატორების კვლევის შედეგები. ჩატარებულია მათი შედარებითი და თეორიული ანალიზი. მრავალჯერადი ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ იქნა ორი ემპირიული ფორმულა, რომლებიც საშუალებას იძლევა აგზნების გრაგნილში გამავალი დენის სიდიდით განვსაზღვროთ სამუშაო გრაგნილში დენის სიდიდე. განხილულია ორი შემთხვევა: როცა სამუშაო გრაგნილის წრედში ჩართულია კონდენსატორული ატარეა და, როცა იგი გამორთულია ამ უკანასკნელიდან. სურ. 1, ლიტ. 2.

ავტ.

14.2.2.7. მძლავრი ჰიდროგენერატორების როტორის ფორმისა და ელექტრომაგნიტური მდგომარეობის გამოვლენა და შესწავლა ახალი ტიპის ინტეგრირებადი სენსორებით. /ლ. გუგულაშვილი, ზ. აზმაიფარაშვილი, ი. მეცხვარიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 19-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განხილულია მძლავრი გენერატორების საიმედოობის ამაღლებისა და მათი საექსლუატაციო რესურსების ზრდის საკითხები და ნაჩვენებია, რომ ყოველივე ეს დამოკიდებულია ჰიდროაგრეგატის ვიბრაციულ მდგომარეობაზე. ჰიდროგენერატორის ვიბრაციული მდგომარეობის შესწავლისათვის დღეს გამოყენებული მოწყობილობები ვერ უზრუნველყოფს როტორის ფორმის ფიქსირებას და მოკლედ შერთული ხვიების აღმოჩენას. როტორის ფორმის ელექტრომაგნიტური გადამწოდის ახალი პრინციპული სქემა შეიძლება ადვილად ჩაერთოს გენერატორების კომპიუტერული მონიტორინგის ქსელში. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.2.8. მანაწილებელ ქსელებში რეაქტიული დატვირთვის ოპტიმალური კომპენსაცია თანადაფინანსების პრინციპით. /ფ. ახალაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. – #2(4). – გვ. 66-76. – ქართ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
გაანალიზებულია მანაწილებელ ქსელებში რეაქტიული დატვირთვის ოპტიმალური კომპენსაცია თანადაფინანსების პრინციპით. ჩატარებული გამოთვლები და ამ გამოთვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანადაფინანსების პრინციპი დაბალი ძაბვის ქსელების კომპანიებს აძლევს ეკონომიკურ სტიმულს თავიანთ ქსელში უფრო მაღალი აქტიურობით განიხილონ რეაქტიული დატვირთვის მაკომპენსირებელი დანადგარის სიმძლავრისა და განთავსების ადგილის შერჩევის ამოცანა. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 2.

ავტ.

2.3. მანქანათმშენებლობა და გამოყენებითი მექანიკა

14.2.3.1. საფრენი აპარატების ფრენით გამოწვეული ღრუბლების ელექტრიზაცია. /ა. აფხაიძე, მ. მამსირაშვილი/. საჰაერო ტრანსპორტი. – 2014. – #1(9). – გვ. 8-13. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

ნაშრომში თვითმფრინავი განიხილება როგორც ღრუბლის ელექტრული მუხტის გენერატორი. მიღებული მუხტი ხასიათდება რელაქსაციის დროით, რომელიც თვით ღრუბლის არსებობის ხანგრძლივობის თანაზომადია. აქედან გამომდინარე, ღრუბლებში ელექტრული განმუხტვების თავისებურებათა გათვალისწინებით, შემოთავაზებულია ფენა-ღრუბლებში საჰაერო ხომალდების მოძრაობისას გარკვეული ინტერვალები. სურ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.2.3.2. ერგატიული სისტემების ეფექტურობის ამაღლება. /ს. ხოშტარია, კ. არელაძე, ც. ხოშტარია/. საჰაერო ტრანსპორტი. – 2014. – #1(9). – გვ. 14-18. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.
სტატიაში მოცემულია ტიპიური ერგატიული ოპერაციებისათვის ანალიტიკური დამოკიდებულებები, მოყვანილია ფორმულები, რომლებიც განსაზღვრავენ ოპერაციის და მთელი ალგორითმის უშეცდომო შესრულების ალბათობას, და მზადყოფნის კოეფიციენტის მნიშვნელობას. ლიტ. 2.

ავტ.

14.2.3.3. ორსაფეხურიანი სამაცივრო ციკლი ერთი როტაციული კომპრესორით, რეგენერაციული ეკონომაიზერით და მაცივარაგენტის ორთქლის შეშხეფებით. /თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 28-33. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.
ინოვაციური მაცივარი მანქანა საშუალებას იძლევა ერთი კომპესორით – 30^{0}C-ის ქვემოთ მაცივარაგენტის დუღილის ტემპერატურის მიღებას. როგორც ცნობილია კლასიკური სამაცივრო ციკლებისათვის ასეთი სამაცივრო რეჟიმების მიღება შესაძლებელია ორსაფეხურიანი ციკლით. ამ შემთხვევაში კი კლასიკურ სამაცივრო ციკლს ცვლის ეკონომაიზერიანი სამაცივრო ციკლი. ინოვაციური მაცივარი მანქანა ორსაფეხურიან მაცივარ მანქანასთან შედარებით გამოირჩევა კონსტრუქციის სიმარტივით, სიიაფით, ეკონომიურობით და საიმედოობით. სურ. 5, ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.2.3.4.კასკადური ტიპის თერმოელექტრული მაცივარი. /თ. მეგრელიძე, თ. ისაკაძე, გ. გუგულაშვილი, გ. მეგრელიძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 33-37. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია თერმოელექტრული ტიპის მაცივარი მანქანები. ნაჩვენებია, რომ თერმოელემენტების კასკადური განლაგების გზით შესაძლებელია თერმოელექტრული ტიპის მაცივარი მანქანის ეფექტურობის ამაღლება, რაც გამოიხატება კონსტრუქციის ცივსა და ცხელ ზედაპირებზე ტემპერატურათა მაქსიმალური სხვაობის მიღწევის შესაძლებლობაში, სიცივის მწარმოებლობის ამაღლებასა და სამაცივრო კოეფიციენტის გადიდებაში. სურ. 2, ცხრ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.3.5. ტურბულენტური ნაკადის ჰიდროდინამიკა და თბოგაცემა ხაოიანი ზედაპირების გარსდენის დროს. /თ. მაგრაქველიძე, ნ. ანცაძე, ა. მიქაშავიძე, ხ. ლომიძე, ნ. ლეკვეიშვილი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 67-73. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
სტატიაში გაანალიზებულია ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია ხაოიანი ზედაპირების ტურბულენტური ნაკადით გარსდენის ჰიდროდინამიკისა და თბოგაცემის საკითხებისადმი როგორც არხებში, ისე სარევიან აპარატებში. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ქართველ მეცნიერთა მიერ მიღებულ მნიშვნელოვან შედეგებზე. კერძოდ, ი.ნიკურაძის კლასიკურ ექსპერიმენტებზე და ვ.გომელაურისა და მისი მოწაფეების მიერ მიღებულ მნიშვნელოვან შედეგებზე. წარმოდგენილია, აგრეთვე, ავტორთა მიერ დღემდე გამოუქვეყნებელი შედეგები. სურ. 7, ლიტ. 19.

ავტ.

14.2.3.6. თხევადი და მყარი სათბობის თბოუნარიანობის საზომი ხელსაწყოს გამოკვლევა. /ქ. ჩხიკვაძე, ო. კიღურაძე, თ. ჩხიკვაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 111-115. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია მყარი და თხევადი სათბობის თბოუნარიანობის საზომი ხელსაწყოს – XRY-1C–ს მუშაობის პრინციპი. სათბობის თბოუნარიანობის ფარდობითი მეთოდით გაზომვისათვის შემოთავაზებულია 99,24% სისუფთავის ხარისხის მქონე სანიმუშო ნივთიერება – „სტუ-1“, შექმნილი „STANCHEM“ ენზოინის მჟავას საფუძველზე. მისი თბოუნარიანობის მნიშვნელობა ტოლია. ჩატარებულია საცდელი ექსპერიმენტი ტყიბულ-შაორის საბადოს ქვანახშირის ნიმუშზე, რომლის დროსაც კალორიმეტრის

კალიბრება ჩატარდა სანიმუშო ნივთიერებით „სტუ-1“. საკვლევი ნივთიერების თბოუნარიანობის მნიშვნელობა ტოლია 20590 ჯ/გ, საშუალო კვადრატული ცდომილებით 0,62%. სურ. 3, ლიტ. 1.

ავტ.

14.2.3.7. ღია წესით გაყვანილი ორმალიანი გვირაბის სტატიკური გაანგარიშება. /ლ. ჯაფარიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 47-50. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში საცხოვრებელი სივრცის დეფიციტის ინტენსიური და საყოველთაო ზრდა სულ უფრო აუცილებელს ხდის ზედაპირთან ახლოს განლაგებული მიწისქვეშა სივრცეების მაქსიმალურ ათვისებას მათში საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამრეწველო და მრავალი სხვა დანიშნულების ობიექტების განთავსებისათვის. მათი საიმედო დაპროექტება, უსაფრთხო და ეფექტური მშენებლობა საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგეს. სამუშაო სტიმულირებულია აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტის შოსე-გზების ნაციონალური ინსტიტუტის ტექნიკური სახელმძღვანელოთი, რომელშიც (FHWA-NHI-10-034) „ღია წესით” გაყვანილი გვირაბის გაანგარიშება რეკომენდებულია ჩატარებულ იქნეს ძალთა და გადაადგილების მეთოდების გამოყენებით. შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე არსებული კომპიუტერული პროგრამები, მაგრამ ისინი ხანდახან იძლევიან მკაცრი ანალიზური გაანგარიშებებისაგან განსხვავებულ შედეგებს. სტატიაში განხილულია მიწის ზედაპირთან ახლოს ღია წესით გაყვანილი გვირაბის მუშაობა შემცველი ქანების და კონსტრუქციის საკუთარი წონით გამოწვეულ დატვირთვებზე. მოცემულია სწორხაზოვან ელემენტებიანი ორმალიანი ჩარჩოს სტატიკური გაანგარიშების ანალიზური აპარატი, მიღებული ძალთა და გადაადგილებების კლასიკური მეთოდებით. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.3.8. ვაკუუმ-ამძრავების ხახუნის კვანძების თეორიული, ექსპერიმენტული და კომპიუტერული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი /ნ. მოლოდინი, რ. მოლოდინი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 47-50. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

ნაშრომში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიღებულია: ლენტური კონვეიერების დღემდე ცნობილი ამძრავი ვაკუუმ-დოლების და მათი ხახუნის კვანძების საკონტაქტო ზედაპირების კონსტრუქციების შესწავლით; ლენტთან საკონტაქტო რგოლურ ჭვრიტეში მაკროელასტოჰიდროდინამიკური რეჟიმისას ვაკუუმის შექმნის პროცესების ანალიზით; ახალი კონსტრუქციის საკონტაქტო ზედაპირზე სითხის შრის სისქისა და მისი სადრენაჟო ეფექტის თეორიული, ექსპერიმენტული გამოკვლევით და კომპიუტერული მოდელირებით. ლიტ. 4.

ავტ.

14.2.3.9. მოსაპირკეთებელი ქვის ლოკების აფეთქებით მოპოვების ტექნოლოგია და აკადემიკოს ა. ძიძიგურის როლი მის გავრცელებაში. /რ. მიხელსონი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 58-63. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

ნაშრომში განხილულია გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში 1965–1985 წწ. შემუშავებული მოსაპირკეთებელი ქვის ლოკების აფეთქებით მოპოვების ტექნოლოგიის არსი, პარამეტრები და თავისებურებები. სამუშაოს ძირითადი ეტაპები სრულდებოდა წარმოებაში აფეთქების ენერგიის გამოყენების მკაცრი აკრძალვის პირობებში, რაც აბრკოლებდა ახალი ტექნოლოგიის გავრცელებას საკავშირო მასშტაბით. მისი გამოყენების არეალის გაფართოებაში დიდი წვლილი მიუძღვნის აკადემიკოს ა. ძიძიგურს, რომლის მცდელობით მოხერხდა სათანადო სახელმწიფო ორგანიზაციების და სამეცნიერო ცენტრების კონსოლიდაცია მოქმედი სახელმწიფო სტანდარტის მოძველებული დებულებების გადასასინჯად. სურ. 2, ცხრ. 2, ლიტ. 8.

ავტ.

14.2.3.10. აბრეშუმის ძაფის თითისტარზე დახვევისას წარმოქმნილი დაჭიმულობის შესაძლებლობა და მაგალითი. /ზ. ჯოხარიძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 27-31. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია თითისტარზე აბრეშუმის ძაფის დახვევისას წარმოქმნილი დაჭიმულობის გაანგარიშება და მისი სასურველ ნომინალზე დაყენება. ამავე დროს, სასურველი ფორმის მიცემა, რომელიც უზრუნველყოფს არათანაბარი დაჭიმულობის გადანაწილებას. ეს ყოველივე სასურველ შედეგს იძლევა საქსოვ დაზგაზე აბრეშუმის ძაფის თანაბარი და უწყვეტი მიწოდების მიზნით. აგებულია შესაბამისი მათემატიკური მოდელი და ამოხსნის ალგორითმი. სურ. 3, ლიტ. 3.

ავტ.

14.2.3.11. ძრავიანი ვაგონის ოპტიმალური სამუხრუჭო ერკეტული გადაცემის დამატებითი მოძრაობებისათვის დიფერენციალური განტოლებების ფორმირება. /გ. შარაშენიძე, ვ. მარგველაშვილი, გ. უსანეთაშვილი, ს. შარაშენიძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 70-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში მოცემულია სახსრულ შეერთებებში არატექნოლოგიური ღრეჩოს გათვალისწინებით მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების ფორმირების მიმდევრობა სამუხრუჭო გადაცემის გამომავალი პარამეტრების განსაზღვრისათვის. განტოლებათა შედგენის მიზნით გამოყენებულია გადაცემის დინამიკური მოდელი. გამოკვლეულია დამატებითი მოძრაობანი და ფორმირებულია ზოგადი სახის დიფერენციალური განტოლებანი. სურ. 1, ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.3.12. დიდეფექტური ძრავულ-მუხრუჭიანი საავტომობილო შიგაწვის ძრავების სამეცნიერო-ტექნიკური კვლევა. /ზ. კორძაძე, რ. დემეტრაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 77-88. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს

სტატიაში მოცემულია დიდეფექტური ძრავულ-მუხრუჭიანი შიგაწვის ძრავას სამუშაო პროცესის სამეცნიერო-ტექნიკური კვლევის შედეგები. ეს მუხრუჭი შექმნილია რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში და ხასიათდება მარტივი კონსტრუქციით, მცირე მასით, დამზადების მცირე ხარჯებით და სერიულ ავტომობილებზე დაყენების შესაძლებლობით, რაც მას აძლევს საგრძნობ უპირატესობას საავტომობილო მუხრუჭ-შემნელებლებს შორის. სურ. 9. ლიტ. 2.

ავტ.

14.2.3.13. ელმავლის ოპტიმალური სამუხრუჭო ერკეტული გადაცემის დამუშავება. /გ. შარაშენიძე, ა. შარვაშიძე, ლ. თედიაშვილი, ს. შარაშენიძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 89-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ნაშრომში დამუშავებულია ოპტიმალური სამუხრუჭო ერკეტული გადაცემა ВЛ 10 ტიპის ელმავლებისათვის. ოპტიმალური გადაცემა უზრუნველყოფს არსებულთან შედარებით საიმედო სამუხრუჭო ეფექტს ერკეტების, წევებისა და სახსრული შეერთებების უფრო ნაკლები რაოდენობით გამოყენებისას. მიღებულია სამუხრუჭო ხუნდის დაწოლის ძალის მნიშვნელობის ანალიზური გამოსახულება სამუხრუჭო ცილინდრის მიერ განვითარებული დაწოლის ძალისა და სისტემის გადაცემის რიცხვის გათვალისწინებით. სურ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.3.14. ვაგონის მოძრაობის კინეტიკური ენერგიის განსაზღვრა ურიკების არასიმეტრიული განლაგების გათვალისწინებით. /გ. შარაშენიძე, ი. ზაკუტაშვილი, ლ. თედიაშვილი, ს. შარაშენიძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 94-99. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ნაშრომში განხილულია ვაგონის თვლისა და რელსის უთანაბრობანი, რომლებსაც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ვაგონის მოძრაობის კინეტიკურ ენერგიაზე. კინეტიკური ენერგიის განსაზღვრის მიზნით შედგენილია ვაგონის მოძრაობის სქემა. მიღებულია ვაგონის მოძრაობის კინეტიკური ენერგიის ანალიზური გამოსახულება ძარასა და ურიკების კინეტიკური ენერგიების გათვალისწინებით. სურ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.3.15. ელექტროჰიდრავლიკური ეფექტი მაღალდისპერსული მაგნიტური ნანოსითხის სინთეზისათვის. /ვ. მიქელაშვილი, ჯ. მარხულია, შ. კეკუტია, რ. თათარაშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 87-92. – ინგლ.

ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა ელექტროჰიდრავლიკური დამუშავების ეფექტურობა მაღალდისპერსული მაგნიტური ნანოსითხის სინთეზისათვის. მაგნიტური ნანონაწილაკების კონცენტრაციის მატება გამოწვეული იყო წნევისა და სხვა ფიზიკური მოვლენების ზემოქმედების მყისიერი ზრდით, რასაც ადგილი ჰქონდა ელექტროჰიდრავლიკური ეფექტის პირობებში. მისი ეფექტური გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ზოგიერთი ფიზიკური პარამეტრის რეგულირებას. დადასტურებული ჰისტერეზისული მარყუჟები აჩვენებს, რომ ოთახის ტემპერატურაზე ნაწილაკები სუპერპარამაგნიტურია, რაც საზოგადოდაა დამახასიათებელი იმგვარი რბილი ფერომაგნიტური მასალისათვის, როგორიცაა მაგნეტიტი. სურ. 4, ლიტ. 12.

ავტ.

14.2.3.16. ღეროების დეფორმირების არასტაციონალური ამოცანა თერმომექანიკური დატვირთვისას. /ო. კიკვიძე, გ. აისაროვა/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. – #2(4). – გვ. 77-82. – ქართ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

მოცემულია თერმომექანიკის არასტაციონალური ამოცანის არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. ტემპერატურული ველი ჩათვლილია როგორც ორგანზომილებიანი არასტაციონალური. ღეროს დეფორმირება აღწერილია არაწრფივი ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით, რომელშიც გათვალისწინებულია თერმოდრეკადი ხაზის დეფორმაცია. ლიტ. 3.

ავტ.

2.4. ქიმიური მრეწველობა და ტექნოლოგიები

14.2.4.1. ლითონის ოქსიდების გავლენა მანგანუმისა და სილიციუმის ერთდროულად აღდგენის პროცესებზე. /ზ. სიმონგულაშვილი, ს. ნებიერიძე/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 3-6. – რუს.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავებული, ათვისებული და დანერგილია ტუფების გამოყენება სილიკომანგანუმის წარმოებაში. კვარციტების შეცვლამ სხვადასხვა გენეზისის ტუფებით, რომლებიც კაჟმიწასთან ერთად შეიცავს ტუტე ლითონების ოქსიდებს, შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარდა მანგანუმისა და სილიციუმის სასარგებლო გამოყენება და შეგვემცირებინა ლითონის თვითღირებულება. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.4.2. ტყვიისა და თუთიის შემცველი ოქროს მადნის ფიზიკური მეთოდებით გამდიდრების პროცესის გამოკვლევა. /ზ. შერაზადიშვილი, მ. მჭედლიშვილი, ნ. შეყრილაძე/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 7-11. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

გამოკვლეულია საქართველოში არსებული ტყვიისა და თუთიის შემცველი ოქროს მადნის ფიზიკური მეთოდებით გამდიდრების პროცესი. დადგენილია, რომ გრანულომეტრიული ანალიზის შედეგად ოქროს და ვერცხლის განაწილება ფრაქციებში, პრაქტიკულად მასური წილების პროპორციულია და ამ გზით მადნის გამდიდრება ძვირფასი ან თუნდაც ფერადი ლითონების ამოღების მიზნით შეუძლებელია. შესწავლილია მძიმე სითხეებით მადნის გამდიდრების პროცესი. დადგენილია, რომ მძიმე სითხეებით გამდიდრებას ემორჩილება როგორც ოქრო და ვერცხლი, ისე ფერადი ლითონები: სპილენძი, თუთია, ტყვია. საკონცენტრაციო მაგიდაზე მადნის გამოცდამ გვიჩვენა, რომ მადანი პრაქტიკულად ემორჩილება გრავიტაციული მეთოდით გამდიდრებას. ცხრ. 4, სურ. 3, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.4.3. ოქროს შემცველი მადნის ელემენტური და ფაზური შედგენილობის გამოკვლევა. /ზ. შერაზადიშვილი, მ. მჭედლიშვილი, ნ. შეყრილაძე/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 12-15. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

გამოკვლეულია საქართველოში არსებული ერთ-ერთი ოქროს შემცველი საბადოს მადნის ელემენტური და ფაზური შემადგენლობა. დადგენილია, რომ ფერადი ლითონები: სპილენძი, ტყვია და თუთია მადანში სულფიდური ფორმით არის წარმოდგენილი. ოქროს შემცველობის მიხედვით მადანი კონდიციურია და მისგან ოქროს, ვერცხლის და ფერადი ლითონების მიღება ეკონომიკურად გამართლებულად მიგვაჩნია. გამოკვლეულია აგრეთვე ოქროს და ვერცხლის არსებობის ფორმები მადანში. დადგენილია, რომ ძვირფასი ლითონები წარმოდგენილია როგორც თავისუფალი, ისე შენაზარდების და ასოცირებული ფორმით. ძვირფასი ლითონების სხვადასხვა ფორმით არსებობა გათვალისწინებული უნდა იყოს მადნის გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის შერჩევისას. სურ. 1, ცხრ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.4.4. საქართველოს აზარზე არსებული ტომატ-პასტების გამოკვლევა ტოქსიკური ელემენტების შემცველობაზე. /ნ. დუჩიძე, მ. მჭედლიშვილი/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 28-31. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

გამოკვლეულია სხვადასხვა ქვეყნის მიერ წარმოებულ და საქართველოს აზარზე გამოტანილ ტომატ-პასტაში ტოქსიკური ელემენტების შემცველობები. მარნეულის სასურსათო ქარხნის მაგალითზე

დადგენილია, რომ ტომატ-პასტაში მათი შემცველობები დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის პომიდვრის და ტექნოლოგიური წყლის შედგენილობაზე. გარდა ამისა, ტომატპასტაში მათი მოხვედრა შესაძლებელია აგრეთვე მწარმოებელ ქარხანაში გამოყენებული აპარატურიდან. დადგენილია, რომ აზარზე გამოტანილი ყველა ფირმის პროდუქცია აკმაყოფილებს, ტოქსიკური ელემენტების შემცველობის თვალსაზრისით, მათზე წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთში მათი შემცველობები ზღვრულ დასაშვებ ნორმებს უახლოვდება. ცხრ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.4.5. გეოპოლიმერის აზაზე აზოტის გარემოში მიმდინარე კარბო და ალუმინთერმული პროცესები. /ზ. კოვზირიძე, ნ. ნიჟარაძე, ნ. დარახველიძე, გ. ტაბატაძე, ზ. მესტვირიშვილი/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 32-36. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

შესწავლილია გეოპოლიმერის (კაოლინის) აზაზე კარბო- და ალუმინთერმული მეთოდით სიალონების მიღების შესაძლებლობა და ნარევების აზოტის გარემოში 1400^{0}C-ზე გახურებისას მიმდინარე პროცესები. კვლევა ჩატარდა ოპტიკური და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდებით. სურ. 2, ცხრ. 3, ლიტ. 16.

ავტ.

14.2.4.6. შემკვრელების გავლენის შესწავლა მაღალცეცხლგამძლე დოლომიტსერპენტინიტური კლინკერის ფიზიკურ-ტექნიკურ თვისებებზე. /ზ. კოვზირიძე, ნ. ნიჟარაძე, მ. ალახაშვილი, მ. მშვილდაძე/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 42-45. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

ჩატარებულია კვლევა, შემკვრელების გავლენის შესწავლის მიზნით, მაღალცეცხლგამძლე დოლომიტ-სერპენტინიტური კლინკერის ფიზიკურ-ტექნიკურ თვისებებზე. გამოყენებულია წყალში ხსნადი შემკვრელები: მაგნიუმის სულფატის ხსნარი, ტექნიკური ლიგნოსულფონატები, მეთილცელულოზას წყალხსნარი, პოლივინილის სპირტი და წყალი. დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით გამოირჩევა დოლომიტსერპენტინიტის ნიმუშები, კლინკერის შემკვრელის სახით, მეთილცელულოზას წყალხსნარის გამოყენებით. ცხრ. 3, სურ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.2.4.7. მანგანუმის დიოქსიდის მიღება მანგანუმის კარბონატული მადნიდან. /ბ. ფურცელაძე, თ. ჭყონია, ე. შოშიაშვილი, მ. ავალიანი, ი. ჩხაიძე, მ. სვანიძე, ლ. სვანიძე, თ. ლეჟავა/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 12-15. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შემოთავაზებულია მანგანუმის დიოქსიდის მიღების ხერხი ჭიათურის მანგანუმის კარბონატული მადნიდან. მადნის გამოტუტვის პროცესი ხორციელდება აზოტმჟავას მეშვეობით, ამიაკით გასუფთავების შემდეგ, 4-დან 5-დე PH-ის პირობებში. ტექნოლოგიური სქემა მანგანუმის კონცენტრატების Mn_2O_3-ის მიღების საშუალებას იძლევა, რომლის გადამუშავებით შესაძლებელია მანგანუმის დიოქსიდის მიღება. ცხრ. 3, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.4.8. დამჟანგველების – წყალბადის პეროქსიდის, ნატრიუმის პერბორატისა და ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ერთდროული ელექტროსინთეზი მემბრანულ ელექტროქიმიურ რეაქტორში. /პ. ნიკოლეიშვილი, გ. წურწუმია, ვ. კვესელავა, გ. გორელიშვილი, მ. ავალიანი, რ. კურტანიძე, დ. შარაბიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 24-31. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დამუშავებულია ორიგინალური მემბრანული ელექტროქიმიური რეაქტორი, რომლის ანოდზე მიიღება ნატრიუმის ჰიპოქლორიტი, ხოლო გაზ-დიფუზიურ კათოდზე – წყალბადის პეროქსიდი ან ნატრიუმის პერბორატი ($NaBO_2 \cdot H_2O_2 \cdot 3H_2O$), რომელიც წარმოიქმნება მიღებული წყალბადის პეროქსიდის ურთიერთქმედებით კათოლიტში არსებულ ნატრიუმის მატაბორატთან. სამსაათიანი ელექტროლიზის შედეგად H_2O_2 (აგრეთვე $NaBO_2 \cdot H_2O_2 \cdot 3H_2O$-ის) და NaCIO-ის დენით გამოსავლებმა შესაბამისად შეადგინეს 68% და 72%. ნატრიუმის პერბორატის სინთეზისათვის ელექტროენერგიის ხვედრითმა ხარჯმა შეადგინა 1.8 კვტ.სთ. კგ$^{-1}$, ნატრიუმის ჰიპოქლორიტის – 3.6 კვტ.სთ კგ$^{-1}$. სურ. 10, ლიტ. 14.

ავტ.

14.2.4.9. A_2Bi_6 და $AlBi_7$ ნაერთების კომპონენტებით ლეგირებული ორსილიკატური მინების ელექტროგამტარობაზე მობილური იონების შერევის ზემოქმედება. /რ. ჯანელიძე, ი. ლაგიძე, გ.

მშველიძე, ო. გოგოლონი, ე. ციციშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 35-40. – ინგ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ნაშრომში მოცემულია დინამიკური ელექტრული გამტარებლობის გაზომვის შედეგები A_2B_6 (CdSe, CdSe და SdTe) და A_1B_7 (AgI, CuBr და CuI) ნახევრად გამტარული ნაერთებით ლეგირებულ ორსილიკატურ მინებში, ტემპერატურის ფართო დიაპაზონში გამინების წერტილის (Tg) ქვემოთ. მობილური მალეგირებელი იონების კონცენტრაცია იმართება ნიმუშების სპეციალური თერმული დამუშავების პირობებით, რომლის შედეგად წარმოიქმნება ნახევრად გამტარული ნანოკრისტალები. 150–200^{0}C ტემპერატურის ზემოთ ელექტრული გამტარობა ექვემდებარება არენიუსის კანონს და ჩნდება მობილური იონების შერევის ეფექტი ყველა შესწავლილი ნიმუშისათვის. სურ. 7, ცხრ. 1, ლიტ. 16.

ავტ.

14.2.4.10. სპონტანური კრისტალიზაციისას წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე ხელოვნური ალმასების მიღების შესაძლებლობის შესახებ. /მ. ლოლაძე, ე. ქუთელია, მ. წეროძე, ნ. მაისურაძე, ი. ძიძიშვილი, ს. ზასლავსკი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 50-54. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკურ-მექანიკური მოთხოვნები, რომელიც წაეყენებათ ალმასის კრისტალებს ალმასურ ინსტრუმენტებში მათი ეფექტური გამოყენებისათვის. ექსპერიმენტულად ნაჩვენებია, რომ უცვლელ P – T პირობებში, შემუშავებული შემადგენლობის სარეაქციო ნარევების გამოყენება საშუალებას იძლევა ვარეგულიროთ კრისტალიზაციის ცენტრების სიმკვრივე და ამით გავზარდოთ წინასწარ განსაზღვრული ფორმისა და მორფოლოგიის კრისტალების გამოსავლიანობა. სურ. 3, ლიტ. 14.

ავტ.

14.2.4.11. თერმული დამუშავების გავლენა დიატომიტის ქრომატოგრაფიულ თვისებებზე. /კ. ხაჩატურიანი, ლ. მახარაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 55-61. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ჩატარებულია ქისათიბის საბადოს დიატომიტის საწყისი, თერმულად დამუშავებული (500 და 1000^{0}C ტემპერატურაზე) და ზოგიერთი უძრავი თხევადი ფაზით (უთფ) დაფენილი ფორმების ქრომატოგრაფიული კვლევა. დადგენილია დაყოფის ოპტიმალური პირობები. ნაჩვენებია, რომ თერმულად დამუშავებული დიატომიტი, დაფენილი ოპტიმალური რაოდენობის უთფ-ით (კარბოვაქსი 400, პმს-200, აპიეზონი L), შესაძლებელია გამოყენებულ იქნას C6-C10 n-პარაფინული და C6-C9 არომატული ნახშირწყალბადების შემცველი ნარევების საანალიზოდ. სურ. 2, ცხრ. 5, ლიტ. 7.

ავტ.

14.2.4.12. მინარევების მოშორება მეტალურგიული სილიციუმიდან ნადნობიდან ამოწევის მეთოდით. /ლ. გაბრიჭიძე, ე. ხუციშვილი, ნ. ქობულაშვილი, ნ. ხუციშვილი, თ. გიგიტაშვილი, რ. ხარატი, გ. ურუშაძე, ი. კუპრეიშვილი, ნ. კეკელიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 94-100. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ჩატარდა მეტალურგიული MG–ში-ის (Metallurgical–grade) (98 ში-ის წონ%-ით) არასასურველი მინარევებისაგან გაწმენდა. სილიციუმში ძირითადი მინარევების საკმარისად მცირე განაწილების კოეფიციენტის (10-4-10-6 რიგის) გამო მინარევებისაგან გაწმენდისათვის გამოყენებული იყო მეთოდი, რომელსაც საფუძვლად ედო ლითონური მინარევის სეგრეგაცია გამყარებისას და ნადნობიდან სილიციუმის ამოწევის ჩოხრალსკის მეთოდი. რენტგენოსპექტრული მიკროანალიზატორით და ემისიურ-სპექტრული ანალიზით შესწავლილია სილიციუმში ძირითადი დამაბინძურებელი მინარევების შემცველობა გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ და დადგენილია გაწმენდის ეფექტურობა. ამოწევის სიჩქარის სიდიდე ძლიერ გავლენას ახდენს გაწმენდის ხარისხზე. სილიციუმის ამოწევის სიჩქარის ზრდით გაწმენდის ეფექტურობა იზრდება. სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარევისაგან ეფექტურად 99.99 წონით პროცენტამდე. სურ. 3, ცხრ. 2, ლიტ. 19.

ავტ.

14.2.4.13. სპეციალური დანიშნულების გოგირდშემცველი ცეოლითური დანამატები ანტიკოროზიული და იოციდური ეტონების მისაღებად. /გ. წინწკალაძე, ო. ლომთაძე, მ. ურჯანაძე, თ. შარაშენიძე, ვ. გაბუნია, ნ. შალვაშვილი, ვ. ციციშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ. 40. – #1. – გვ. 104-108. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შელღობის მეთოდით მიღებულია გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის ახალი ტიპის მასალა. მიღებული მასალის სტრუქტურა და ადსობციული თვისებები შესწავლილია რენტგენოდიფრაქტომეტრული ანალიზისა და წყლის ორთქლის ადსორბციის მეთოდით. გოგირდშემცველი კლინოპტილოლიტის გამოყენებით მომზადდა ეტონის ნიმუშები და განისაზღვრა მათი მდგრადობა ობის სოკოს სხვადასხვა კულტურების მიმართ. გამოცდის შედეგების მიხედვით გოგირდცეოლითური მასალა შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც ცემენტების დანამატი ანტიკოროზიული და იოციდური თვისების სპეცდანიშნულების ეტონების მისაღებად. სურ. 2, ცხრ. 2, ლიტ. 11.

ავტ.

14.2.4.14. Ti–Cr–C-Me სისტემაში ფაზათწარმოქმნის ზოგიერთი თავისებურებანი თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) დროს. /ზ. ასლამაზაშვილი, გ. ონიაშვილი, გ. ზახაროვი, გ. თავაძე, გ. ურუშაძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 45-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში განხილულია. Ti–Cr–C-Me სისტემაში თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით სალი შენადნობების მიღების დროს ფაზათა წარმოქმნის თავისებურებები. დადგენილია, რომ Ti–Cr–C-Me სისტემაში მასალების სინთეზის დროს წარმოიქმნება სამი ფაზა: ტიტან-ქრომის კარბიდი, ქრომის კარბიდი და ლითონური შენადნობი. ამ სისტემაში მოლიბდენის შეყვანით მიიღება რგოლური სტრუქტურის მქონე სალი კომპოზიციური მასალა, რომელიც სამტკიცის მაჩვენებლის ზრდას იწვევს. სურ. 5, ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

2.5. მასალათმცოდნეობა

14.2.5.1. საქართველოში თუთიის ისტორიის საკითხისათვის. /გ. ცირეკიძე, რ. ჩაგუნავა/. საჰაერო ტრანსპორტი. – 2014. – #1(9). – გვ. 73-84. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

განხილულია წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები, რომელთა მიხედვით თუთიის ნაერთები გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მოყვანილია არისტოტელეს ცნობები, რომ „მოსინიკების სპილენძი ყველაზე მეტად რწყინვალე და თეთრია... რომ მასში შერეული და გამდნარია რაღაც მიწა“. გავრცელებულია აზრი, რომ თითბრის დასახელება მრავალ ენაზე Messing წარმოდგება მოსინიკების – ამ შენადნობის მიღების წესის პირველ აღმომჩენების – სატომო სახელიდან. ქართული წერილობითი წყაროების თანახმად თუთიის ნაერთები და მეტალური თუთია საქართველოში ცნობილი იყო XI–XII საუკუნეებიდან. დადგენილია, რომ მეფე ვახტანგ VI შემოიტანა არაბულ-სპარსული ტერმინი „თუთია“, რომელიც უკვე სამი საუკუნის განმავლობაში გამოიყენება ნასესხები ქართული ტერმინის სახით მეტალური თუთიის აღსანიშნავად. ლიტ. 22.

ავტ.

14.2.5.2. დარტყმითი ტალღების ზემოქმედებით TaAl-B_4C კერამიკული მასალების მიღება. /ზ. გოდიბაძე, ა. ფეიქრიშვილი, ე. ჩაგელიშვილი, მ. წიკლაური, ა. დგებუაძე/ სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 63-68. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

ნაშრომში განხილულია ტანტალ-ალუმინის ინტერმეტალური ნაერთების დაწნეხის შესაძლებლობა ცხლად აფეთქებით დაწნეხის ტექნოლოგიით. გამოკვლეულია თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზისა (თმს) და ცხლად აფეთქებით დაწნეხის (ცად) ტექნოლოგიების კომბინირებით ტანტალის ალუმინადების ინტერმეტალური ნაერთების მიღების შესაძლებლობა თეორიული სიმკვრივის სიახლოვეში სრულყოფილი სტრუქტურითა და მექანიკური მახასიათებლებით. დადგენილია, რომ უდეფექტო ინტერმეტალური კომპოზიციების მისაღებად ცად-ით დაწნეხის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს თმს-ის ინიცირების ტემპერატურას, ანუ 940^{0}C-ს. შესწავლილია დაწნეხილი ტანტალ-ალუმინ-ბორის კარბიდის ინტერმეტალური ნაერთების სტრუქტურა და მექანიკური თვისებები. სურ. 8, ცხრ. 8.

ავტ.

14.2.5.3. ქართული მინანქარი – აწმყო და მომავალი. /გ. გაფრინდაშვილი, ს. სანაძე, მ. კეკელიძე/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 37-41. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.

განხილულია საქართველოში მხატვრული მინანქრების და ფერწერული პიგმენტების დღევანდელი მდგომარეობა. განზრახულია ალავერდის ეპარქიაში აღნიშნული მასალების წარმოება, ასევე ღვინის ქვევრების, ძვლის ფაიფურის, ვიტრაჟული მინების გამოშვება. სურ. 1, ლიტ. 9.

ავტ.

14.2.5.4. დურალუმინის ზედაპირის დაფარვა შავი, ცვეთამედეგი ფენით. /ვ. ღარიბაშვილი, ვ. მეტრეველი, ზ. მირიჯანაშვილი, ზ. ჯაბუა, ი. კუპრეიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 79-83. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგ., რუს.

ალუმინის შენადნობის $AlZn_6MgCu$ ზედაპირის გაშავება განხორციელდა მისი ანოდირებით და შემდგომი შეღებვით. საუკეთესო დამცავი თვისებები ცვეთისა და გახუნების (გაფერმკრთალების) მიმართ აღმოაჩნდა გოგირდმჟავას ხსნარში სალად ანოდირებულ (<50C) და ანილინის შავი საღებავით შეღებილ ნიმუშებს. სურ. 3, ცხრ. 2, ლიტ. 8.

ავტ.

14.2.5.5. ერბიუმის მონოტელურიდის ფირების მიღება, მათი ოპტიკური და ელექტრული თვისებები. /ზ. ჯაბუა, ი. ტაბატაძე, ა. გიგინეიშვილი /. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 84-90. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტში პირველად დამუშავდა ერბიუმის ტელურიდის თხელი ფირის მიღების ტექნოლოგია კომპონენტების ორი დამოუკიდებელი წყაროდან ვაკუუმურ-თერმული აორთქლების მეთოდით. ფირებს აქვს NaCl-ის ტიპის კუბური გისოსი. გისოსის მუდმივა A=6,03Å-ს. ოთახის ტემპერატურაზე შესწავლილია მიღებული ფირების შთანთქმის სპექტრი და ჩატარებულია მისი ანალიზი. 100-500K ტემპერატურულ ინტერვალში გამოკვლეულია ჰოლის მუდმივას, კუთრი ელექტროწინაღობის და თერმული ემძ-ის ტემპერატურაზე დამოკიდებულება. ნაჩვენებია, რომ ელექტროფიზიკური თვისებებით Erte-ის ფირები უახლოვდება ლითონს. სურ. 8, ლიტ. 9.

ავტ.

14.2.5.6. საქართველოს უნებრივი ცეოლითების გამოყენების პერსპექტივები საშენ მასალათა დანამატებად. /რ. სხვიტარიძე, ვ. ციციშვილი, . კეშელავა, გ. წინწკალაძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 98- 102. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგ., რუს.

შესწავლილია საქართველოს უნებრივი ცეოლითების – ანალციმი, მორდენიტი, ფილოპსიტი, ლომონტიტი, კლინოპტილოლიტი – ქიმიური შედგენილობა. დადგენილია მათი იდენტობა და ცეოლითური ფაზის შემცველობა. ნაჩვენებია, რომ ცემენტებში მათი დანამატების სახით შეტანა აუმჯობესებს ცემენტის ხარისხს. ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ცეოლითი კლინოპტილოლიტი. სურ. 1, ცხრ. 3, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.5.7. აბრეშუმის წარმოების განვითარების ისტორია საქართველოში. /ნ. ჩხაიძე, ნ. მახვილაძე, ლ. ლურსმანაშვილი, თ. ჩუბინიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 120-126. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში გადმოცემულია საქართველოში აბრეშუმის წარმოების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. ცნობილია, რომ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად საჭირო თუთის ხის ფოთოლი კავკასიაში უნებრივად იყო გავრცელებული. ამიტომ, სავარაუდოა, რომ აბრეშუმის ოჭკოს მიღების საიდუმლოს საქართველოში ძველთაგანვე ფლობდნენ. ეს დასტურდება ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ქართულ ლიტერატურულ წყაროში ი. ცურტაველის „შუშანიკის წამებაში" (V ს.), სადაც ნახსენებია „ჭიჭნაუხტის საქმე" („აბრეშუმის საქმე"), როგორც საქალებო საქმიანობა. შემდგომ საუკუნეებში ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და უცხოელი მოგზაურები ადასტურებენ აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის, როგორც წამყვანი სამეურნეო დარგის, არსებობას საქართველოში. განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა აბრეშუმის წარმოებამ XX საუკუნეში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აბრეშუმის წარმოება საქართველოში შეჩერდა. აბრეშუმის წარმოების აღდგენა უნდა იყოს დღეს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ამოცანა. ცხრ. 1, ლიტ. 11.

ავტ.

14.2.5.8. თულიუმის მონოსულფიდის თხელი ფირების ელექტროფიზიკური თვისებები. / მ. ტეტელოშვილი, ზ. ჯაბუა, ა. გიგინეიშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 61-64. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატია ეხება თულიუმის მონოსულფიდის თხელი ფირების ელექტროფიზიკური პარამეტრების დამოკიდებულებას ფირების შემადგენელი მარცვლების ზომებთან. ნაჩვენებია, რომ მარცვლების ზომების შემცირება 55 ნმ-ზე ქვემოთ იწვევს ფირში ელექტრონების კონცენტრაციის მკვეთრ ზრდას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს წინაღობის ტემპერატურულ კოეფიციენტს. სურ. 5, ლიტ. 1.

ავტ.

14.2.5.9. სტაბილიზატორები შევსებული პოლივინილ-ქლორიდისათვის. /ნ. ხელაძე, გ. ჩირაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. – #2(4). – გვ. 115-124. – ქართ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
ნაშრომში შესწავლილია ადგილობრივი მინერალური შემავსებლების (ტეშენიტი, აზალტი, თეთრი და ვარდისფერი ეკლარი) გამოყენებით მიღებული პოლივინილ-ქლორიდული კომპოზიციების თერმოჟანგვითი დესტრუქცია და მისი ამაღლების გზები. დადგენილია, რომ თერმო სტაბილურობის მაქსიმალური ზრდა ხდება სტაბილიზატორების სტCa და P შიO3 ნარევის (3,0:3,0) თანაფარდობით გამოყენების დროს. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

2.6. სამედიცინო ტექნოლოგიები

14.2.6.1. ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება სამედიცინო დიაგნოსტირების ამოცანის გადაწყვეტაში. /ნ. ჯალიაბოვა/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 247-251. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
შემოთავაზებულია დიაგნოსტირების ინტელექტუალური სისტემის სტრუქტურის აგების კონცეფცია ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებით. ობიექტზე ორიენტირებული სტრუქტურირების მეთოდოლოგიის გამოყენება აერთიანებს ობიექტური დეკომპოზიციის პროცესს და სისტემის მოდელებს - როგორც ლოგიკურ და ფიზიკურს, ასევე სტატიკურ და დინამიკურს. სამედიცინო დიაგნოსტირების ამოცანის გადაჭრისას უფრო ხშირად ჩნდება კითხვა არა იმასთან დაკავშირებით, ეკუთვნის თუ არა ობიექტი ამა თუ იმ კლასს, არამედ რა ალბათობით მიეკუთვნება იგი მოცემულ კლასს. ამისათვის გამოიყენება არამკაფიო კლასიფიცირების მეთოდები, რომლებიც ეფუძნებიან კლასის როგორც ობიექტების არამკაფიო სიმრავლის სახით წარმოდგენას, სადაც გადასვლა „ეკუთვნის“ „არ ეკუთვნის“ მოცემულ კლასს ხდება არა ნახტომით, არამედ თანდათანობით. ლიტ. 2.

ავტ.

14.2.6.2. მართვადი ლოკალური ჰიპერთერმია სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ. /ზ. კოვზირიძე, გ. მენთეშაშვილი, პ. ხორავა, ხ. ლუაშვილი/. კერამიკა. – 2014. – #1(31). – გვ. 16-27. – ქართ.; რეზ.: რუს., ქართ., ინგლ.
ჰიპერთერმიის მონოთერაპიული ეფექტის განვითარებისათვის კიბოს დაავადებების წინააღმდეგ, ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ხელსაწყო „ლეზი”, რომელიც ჩვენთან, სტუ-ის იონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში შეიქმნა (საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, საქპატენტი. დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა 5054. „მართვადი ლოკალური ჰიპერთერმია და მაგნიტური ჰიპერთერმია კიბოს დაავადებების სამკურნალოდ”). შედეგად, ნაჩვენები იქნა, რომ ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვები) დაფიქსირდა კიბოს დაავადების შეჩერება და განვითარდა ინტრატუმორული ნეკროზი. 7-10 სეანსის შემდეგ სიმსივნე დაწყლულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიური ლაბორატორია „პათჯეოს” დასკვნა. გამოკვლევის #3119-12, თბილისი, საქართველო). სურ. 12, ცხრ. 2, ლიტ. 33.

ავტ.

2.7 ნებათსარგებლობა

14.2.7.1. საქართველოს ელექტროსისტემის სტრუქტურის მოდელირება. /მ. გუდიაშვილი, ს. ლომიძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 9-13. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს ელექტროსისტემის სტრუქტურის განვითარება წარმოადგენს მრავალ კრიტერიუმიან ამოცანას, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მათემატიკური მოდელის აგებით. გაანგარიშების თანახმად, პერსპექტიულ 2015-2020 წლიან პერიოდში მიზანშეწონილია აშენდეს 85 მვტ სიმძლავრის მცირე ჰესები, 1610 მვტ მარეგულირებელი წყალსაცავის მქონე საშუალო და დიდი სიმძლავრის ჰესები, 1250 მვტ ქარის ენერგიაზე და 230 მვტ უნებრივ აირზე მომუშავე ელექტროსადგურები, რომელთაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, გარემოს დაცვის და საწარმოო სიმძლავრეების ტერიტორიული განაწილების გათვალისწინებით. ცხრ. 2, ლიტ. 2.

ავტ.

14.2.7.2. სათბობის თბოუნარიანობის საკვლევი ხელსაწყოს თბური ეკვივალენტის განსაზღვრა. /ქ. ჩხიკვაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 19-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მყარი და თხევადისათბობის თბოუნარიანობის საზომი ხელსაწყოს – XrY-1C–ს მუშაობის პრინციპი. განსაზღვრულია კალორიმეტრის თბური ეკვივალენტი, რომლის მნიშვნელობაა 13947 ჯ/კ საშუალო კვადრატული ცდომილებით 0,08%. დაგრადუირებისთვის გამოყენებულია სანიმუშო ნივთიერება - „სტუ-1“, შექმნილი “STANCHEM”-ის მარკის ენზოინის მჟავას საფუძველზე, რომლის სისუფთავე ძირითადი ნივთიერების მიხედვით არის 99,24%, ხოლო თბოუნარიანობის მნიშვნელობატოლია 26437ჯ/გ±0,78%. სურ. 2, ლიტ. 2.

ავტ.

14.2.7.3. დახრილი ჭაბურღილების პროფილის ანალიზი ინკლინომეტრული მონაცემებისსაფუძველზე. /გ. გაჯიევი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 23-27. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია დახრილი ჭაბურღილის ინკლინომეტრული მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ფასდება ჭაბურღილის ლულის პროფილი, ჭაბურღილის ექსპლუატაციის ტექნიკურმაჩვენებელზე ამ პროფილის გავლენის შესასწავლად.გაანალიზებულია შემდეგი მონაცემები: ვერტიკალიდან გადახრა α კუთხე, φ აზიმუტური კუთხე, ჭაბურღილის სანგრევის ვერტიკალური ℓ გადახრა. დადგინდა დამოკიდებულება ა მახ და ℓ შორის, რის საფუძველზე მიღებულ იქნა მოდელი, რომელსაც აქვს კორელაციის მაღალი კოეფიციენტი 0,80 და უმცირესი დისპერსია. განაწილების ნორმალური კანონის საფუძველზე გაანალიზებულია დახრის მაქსიმალური კუთხედა კუთხის დახრა ტუმბოს დანადგარის ჩაშვების ზონაში. აგრეთვე, შეფასებულია აზიმუტური კუთხე და დახრის ინტენსიურობა ჭაბურღილის ლულის ნორმალური მუშაობის მიზნით. სურ. 7, ლიტ. 9.

ავტ.

14.2.7.4. თბური ტუმბოს დანადგარების პროექტირების და პრაქტიკული გამოყენების 60-წლიანი გამოცდილება საქართველოში. /ნ. მირიანაშვილი, ო. ვეზირიშვილი, ქ. ვეზირიშვილი-ნოზაძე, თ. მეგრელიძე, ნ. გძელიშვილი, ვ. ხათაშვილი, ვ. ახტაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 116-120. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია საქართველოში თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენების თანამედროვე დონე და ნაჩვენებია ენერგეტიკის ამ დარგში მიღწეული მნიშვნელოვანი შედეგები. მრავალწლიანი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია მაცივებელი აგენტები, რომელთა გამოყენება თერმოდინამიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით ეფექტურია თბური ტუმბოს სისტემებში. თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენებით თბოსიცივით მომარაგების სისტემების ფართოდ გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალურ განვითარებას და მოხმარებული ორგანული სათბობის ეკონომიას 27-36%-ით. ყოველივე ეს ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და ადამიანთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის შემდგომ ამაღლებას. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.2.7.5. საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლების თბომომარაგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. /ხ. სიჭინავა, გ. არაბიძე, თ. ჯიშკარიანი/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 97-104. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების თბომომარაგება საშეშე მერქნისა და მის შესაძენად გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვან რაოდენობას მოითხოვს და სრულიად არაეფექტურია. სტატიაში

ხაზგასმულია, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა საშეშე მერქნის ენერგეტიკული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, წვის პროცესის სრულყოფა და სკოლის შენობების შემომზღუდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოსწორება. ცხრ. 1, სურ. 4, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.7.6. ჰიდროენერგეტიკა საქართველოს ელექტროენერგეტიკული დამოუკიდებლობის დასაყრდენი /რ. არველაძე, თ. კერესელიძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 83-89. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია საკმარისი რესურსები სათბობ-ენერგეტიკული ალანსის დასაფარავად; სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოთხოვნილების ზრდის კვალობაზე ეს თავისებურება არ შეიცვლება არც ახლო და არც შორეულ მომავალში; ჰიდროელექტროსადგურების როლი ქვეყნის ელექტროენერგიის მოთხოვნილების დაფარვაში უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა მათი სრული ათვისების პირობებშიც კი ვერ მოხერხდება ეროვნული მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ელექტროენერგიით ზამთარში, თუნდაც ეკონომიკის ზრდის შედარებით დაბალი ტემპების დროს. მდინარეების ეკონომიკურად ეფექტიანი და ეკოლოგიურად მისაღები ენერგეტიკული პოტენციალის ათვისება განსაკუთრებულად მაღალი ტემპებით უნდა განხორციელდეს; ელექტროენერგიით პერსპექტიული მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად საჭიროა იქნება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა, სადაც შესაძლებელია ჰესების კომპლექსების მოწყობა, პიკური ენერგიის ექსპორტის სანაცვლოდ აზისური ენერგიის იმპორტის განხორციელება, ზამთარ-ზაფხულის ენერგიების გაცვლა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, ელექტრო ენერგეტიკულ ალანსში ქარის, მზისა და საკუთარი ნახშირების პოტენციალის ჩართვა, ელექტრო ენერგიის იმპორტი ან იმპორტირებულ გაზზე მომუშვე თბოელექტროსადგურების მშენებლობ; გარდა იმპორტირებულ უნებრივი გაზის აზაზე აშენებული თბოელექტროსადგურებისა, ელექტროენერგიის საწარმოებლად მიზანშეწონილად შეიძლება იქნას მიჩნეული წყალბადის მიღება და გამოყენება. ასეთი რესურსი კი საქართველოში პრაქტიკულად ულევია. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

14.2.7.7. უსაფრთხო მანძილები საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისა და ფეთქებადი მასალების შენახვისას. /ა. ეჟანიშვილი, ნ. კუკულაძე, ნ. ოჭორიშვილი, მ. გოგრიჭიანი/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 78-83. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.

ნაშრომში განხილულია საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისა და ფეთქებადი მასალების შენახვისას უსაფრთხო მანძილების გაანგარიშების მეთოდიკა ადამიანებისათვის, შენობა-ნაგებობებისა და მექანიზმებისათვის, კერძოდ: ღია ადგილზე და წყალქვეშ საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, გვირაბების გაყვანისას, მიწის ზედაპირზე განლაგებულ ობიექტებზე სპეციალური საამფეთქებლო სამუშაოების წარმოებისას, აგრეთვე სამთო დარტყმების მხრივ საშიშ ნახშირის ფენებში, გაზისა და მტვრის აფეთქების და გამოტყორცნის მხრივ საშიშ შახტებში ამფეთქებლის თავშესაფრისათვის ადგილის შერჩევისას. მოცემულია სეისმურად უსაფრთხო მანძილის საანგარიშო ფორმულა. ცხრ. 2, ლიტ. 1.

ავტ.

14.2.7.8. საავტომობილო საწვავებზე ზოგიერთი დანამატის ეფექტიანობის შესახებ. /თ. ნატრიაშვილი, ვ. მარგველაშვილი, რ. დემეტრაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 52-57. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგ. რუს

სტატიაში განხილულია ორი სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული საავტომობილო საწვავებისათვის განკუთვნილი ზოგიერთი დანამატის ზეგავლენა შიგაწვის ძრავას მუშაობაზე. სპეციალურ საგამოცდო სტენდზე დიზელითა და ენზინით მომუშავე ავტომობილების გამოცდებმა ცხადყო, რომ ასეთი დანამატიანი საწვავებით მომუშავე ძრავასა და ავტომობილის ტექნიკურ-ეკონომიური, ასევე ეკოლოგიური მაჩვენებლები ფაქტობრივად არ განსხვავდება უდანამატო საწვავით მომუშავე მანქანის მაჩვენებლებისაგან. სურ. 5.

ავტ.

14.2.7.9. შეთავსებადობის კრიტერიუმის შერჩევა საზეთი მასალებისათვის. /ს. იაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 58-62. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში განხილულია მანქანა-დანადგარებში ხახუნის კვანძებისათვის საზეთი მასალების შერჩევისა და გაანგარიშების საკითხები. ნაჩვენებია, რომ მძიმედ დატვირთული ხახუნის დეტალების გამართული

მუშაობა და საიმედო ექსპლუატაცია ძირითადად განპირობებულია საზეთი მასალის თვისებით – განაცალკეოს მოხახუნე ზედაპირები ზეთის გამყოფი ფენით და განახორციელოს სითბოს ეფექტური ართმევა. მიღებულია ზეთის ფენის ურღვეობის კრიტერიუმი – ხახუნის ზედაპირების მაქსიმალური, კრიზისული ტემპერატურა. მოცემულია ასეთი ტემპერატურის განმსაზღვრელი საანგარიშო ფორმულები როგორც ჩვეულებრივი, ასევე მოდიფიცირებული საზეთი მასალების გამოყენების შემთხვევაში. სურ. 1, ლიტ. 8.

ავტ.

14.2.7.10. ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდის გამოყენება სამთო მრეწველობაში. /ე. ჩაგელიშვილი, ა. ფეიქრიშვილი, თ. ფირცხალავა, მ. წიკლაური, . გოდიბაძე, ა. დგებუაძე/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 71-76. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში მოცემულია გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც მიღებულია საქართველოს ნახშირის მრეწველობის რესტრუქტურიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე. ტყიბული-შაორის რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში ადაპტირებული კომბაინებისათვის რეკომენდებულია სადგმელის ლითონის განმტკიცების პერსპექტიული ტექნოლოგია (დამუშავებული გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ), რომელიც ემყარება ვოლფრამის კარბიდისა და კობალტის ალმასშემცველი შენადნობის აფეთქებით ცხლად დაწნეხას. WC-Co-ალმასის მჭრელი შრის და ფოლადის ფუძეთშორისი გარდამავალი ზონის ფორმირება უზრუნველყოფს სამთო ქანების ჭრისას წარმოქმნილი ძაბვების შემცირებას, ხოლო შენადნობის ალმასის ჩანართები ზრდის ინსტრუმენტის სისალეს და აუმჯობესებს ჭრის მახასიათებლებს. კომპოზიტის შექმნის მიზნით, განხილულია Al-B4C ფხვნილის აფეთქებით დაწნეხის სქემა, რომელიც განკუთვნილია აგრესიულ გარემოში მომუშავე მრავალშრიანი ცილინდრული კონტეინერების დასამზადებლად. სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

2.8. გარემოს იოტექნოლოგიები

14.2.8.1. ნიადაგიდან ფულვომჟავების გამოყოფის შესაძლებლობები და მათი შემდგომი გამოყენება. /ლ. ტატიაშვილი, ნ. წეროძე, მ. სტეფანიშვილი, რ. ურიდია, ი. მიქაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია. – 2014. – ტ.40. – #1. – გვ. 90-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ნიადაგიდან და ტორფიდან ფულვომჟავების გამოყოფის მიზნით. შერჩეულია ოპტიმალური პირობები აღნიშნული ნაერთის მისაღებად მაქსიმალური გამოსავლით. გამოკვლეულია ექსტრაქტის შემადგენლობა და შემუშავებულია მისი გასუფთავების მეთოდიკა, რაც ფულვომჟავების საფუძველზე თხევადი სასუქების რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა. სურ. 2, ლიტ. 19.

ავტ.

2.9 სამრეწველო იოტექნოლოგიები

14.2.9.1. ზემაღალი სიხშირის გამოსხივება სამთამადნო, მეტალურგიული და პოლიმერული ნარჩენების ეკოლოგიურად სუფთა გადამუშავების ტექნოლოგიებში. /ა. ჭირაქაძე, ზ. უაჩიძე, მ. ვაირმანი, უ. ტოსკანო, ნ. ყავლაშვილი გ. კერვალიშვილი, ლ. ღურჭუმელია, ა. გიგინეიშვილი, ზ. გასიტაშვილი, თ. ჩიჩუა, დ. იბილური, ლ. შარიქაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 157-160. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში აღწერილია ქართველ მეცნიერთა ახალი მიღწევები სამთამადნო, მეტალურგიული, სასოფლო–სამეურნეო, ყოფითი, სამედიცინო, რეზინა–პლასტიკური და რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავების დარგში ზემაღალი სიხშირის (ზმს) გამოსხივების გამოყენებით. ამ მიღწევათა საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს სამეცნიერო-ტექნიკური აზა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს წინსვლას გაზრდილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, გარემოს დაცვისა და „მწვანე ეკონომიკის" შექმნის, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების და მდგრადი განვითარების მიმართულებებით. ლიტ. 9.

ავტ.

14.2.9.2. ნანოსტრუქტურული ვერცხლის გამოყენების გავლენა მშრალი წითელი ღვინის იოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე და მიკრობიოლოგიურ პროცესებზე. /ნ. ებელაშვილი, ლ. შუბლაძე, ე. სალია, ნ. გაგელიძე, ნ. იბილური/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 94-101. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

სტატიაში გამოკვლეულია მშრალი წითელი ღვინოების დამზადების იოტექნოლოგიურ პროცესებში უნებრივი ანტისეპტიკის, ნანოსტრუქტურული ვერცხლის, სხვადასხვა დოზის გამოყენების გავლენა პოლიფენოლებზე, ორგანულმჟავებზე, ძირითად კონდიციურ მახასიათებლებზე, რძემჟავა და ძმარმჟავა აქტერიებზე. კვლევის ობიექტების დასამზადებლად გამოყენებული იყო ყურძნის წითელი ჯიში „საფერავი". გოგირდის დიოქსიდი (კადიფიტი 50 მგ/ლ) და ნანოსტრუქტურული ვერცხლის სხვადასხვა დოზა (0,2; 0,3; 0,4; 0,5; 0,6; 0,7; 0,8 მგ/ლ) გამოვიყენეთ მშრალი წითელი ღვინომასალის დამზადების პირველ წელს ჩატარებული იოტექნოლოგიური პროცესების შემდეგ ეტაპებზე: 1) დურდოს დამუშავება ალკოჰოლური დუღილის წინ; 2) ვაშლრძემჟავა დუღილის ჩატარების შემდეგ; 3) ლექიდან მეორე; 4) მესამე გადაღება. ალკოჰოლური დუღილის დასრულებისა და ღვინო მასალის საფუვრის ლექიდან გადაღების შემდეგ ჩატარდა ვაშლ–რძემჟავა დუღილი. გამოყენებული იყო რძემჟავა აქტერიების Oenococcus oeni "Extraflore". კატექინების, ფენოლ კარბონმჟავების, ფლავონოლების და ორგანული მჟავების გამოკვლევა ჩატარდა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით; ძირითადი კონდიციური მახასიათებლებისა – საერთაშორისო სტანდარტული მეთოდებით. გამოკვლეულია ნანოსტრუქტურული ვერცხლის გამოყენების ეფეტურობა რძემჟავა და ძმარმჟავა აქტერიებით და ინფიცირებულ ღვინის ნიმუშებში. დადგენილია, რომ წითელი ღვინის დამზადების იოტექნოლოგიურ პროცესებში ნანოსტრუქტურული ვერცხლის გამოყენებას გოგირდის დიოქსიდის იდენტური ეფექტი აქვს. ნანოვერცხლის გამოყენების ოპტიმალური დოზებია: ალკოჰოლური დუღილის წინ დურდოს დამუშავებისათვის 0,4 მგ/ლ; ლექიდან მეორე და მესამე გადაღებისას იოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაჟანგვის შეფერხებისა და რძემჟავა და ძმარმჟავა აქტერიების ინჰიბირებისათვის 0,6 მგ/ლ. სურ. 3, ცხრ. 4, ლიტ. 12.

ავტ.

14.2.9.3. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან გამოყოფილი ლიგნოცელულაზური ფერმენტების პროდუცენტი -უმაღლესი აზიდიალური სოკოები. /ნ. წიკლაური, რ. ხვედელიძე, ნ. ზაქარიაშვილი, თ. ალექსიძე მ. აქრაძე-გურული, ე. კვესიტაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 102-109. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

აგროინდუსტრიული მცენარეული სუბსტრატების მიზნობრივ ტექნოლოგიურ დამუშავებაში აზიდიომიცეტებისადმი დიდ ინტერესს განაპირობებს მათი ლიგნოცელულაზური ფერმენტების პროდუცირების უნარი. ხის დამშლელი აზიდიომიცეტების იოქიმიისა და ფიზიოლოგიის შესწავლის მიზნით საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიური რეგიონიდან გამოყოფილია ხის დამშლელი აზიდიომიცეტების კულტურები. სუფთა კულტურის სახით მიღებულია 36, ხოლო იდენტიფიცირებულია 29 შტამი. ტესტირებულ სოკოებში გამოვლენილ იქნა ლიგნოცელულაზური ფერმენტების პროდუცენტები მყარფაზოვანი და სიღრმული კულტივირების პირობებში. ფორთოხლის, ნამჯის, ქატოს სუბსტრატებზე ცელულაზური ფერმენტების საუკეთესო პროდუცენტებია Pleurous ostreatus GV12, Pleurous ostreatus GK10 და Fomes.sp. KA20, კულტურა – Ganoderma sp. GM 04 მაღალ ლაკაზურ აქტივობას იძლევა ფორთოხლის ნარჩენზე კულტივირებისას. შესწავლილია სხვადასხვა ლიგნოცელულოზური სუბსტრატის გავლენა ფერმენტების ლაკაზას, ქსილანაზასა და ცელულაზას დაგროვებაზე. სურ. 3, ცხრ. 3, ლიტ. 25.

ავტ.

14.2.9.4. საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთის ქიმიური შედგენილობა და მისი ფუნქციური როლი. /თ. მჭედლური, დ. მარგალიტაშვილი, ნ. ალექსიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 110-113. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

შესწავლილია საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთის ქიმიური შედგენილობა, კერძოდ, ცხიმოვანი მჟავების, იოგენური ამინების და ამინომჟავების რაოდენობრივი შემცველობა და მათი გავლენა ვისტარის ხაზის თეთრი ვირთაგვების ფიზიოლოგიურ აქტივობაზე. წიპწის ზეთში შემავალი ნივთიერებების დაყოფას ვახდენდით მაღალწნევიანი თხევადი ქრომატოგრაფიით (WATTERS, USA) Nova-Pak C18-ის სვეტზე (100 მმ, 83, 2 მმ) ფლუორესცენტულ დეტექტორზე (270 ნმ). სპეციალურად შევისწავლეთ ექსტრაგირებული სხნარების ეფექტები ვისტარის ხაზის ზრდასრული ვირთაგვების ემოციურ მდგომარეობაზე ირვინის შკალის მიხედვით. დადგენილი იქნა, რომ საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწიდან გამოყოფილი უჯერი და ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები (ლაურინის, მირისტინის, პალმიტინის, სტეარინის,

ოლეინის, ლინოლენის და არაქიდონის მჟავები), იოგენური ამინები (სეროტონინი, დოფამინი, ნორადრენალინი და ადრენალინი) და ამინომჟავები (ასპარაგინის მჟავა, გლუტამინის მჟავა, ასპარაგინი, ფენილალანინი, თიროზინი, ტრეონინი, ტრიპტოფანი, ლეიცინი, მეთიონინი, პროლინი, ალანინი და გლიცინი) აუმჯობესებენ თეთრი ვირთაგვებს ფუნქციურ მდგომარეობას და შედეგად, მნიშვნელოვნად მცირდება აგრესიული ქცევები. ისახება საფერავის ყურძნის წიპწის ზეთის სამკურნალოდ გამოყენების დიდი პერსპექტივა. ცხრ. 3, ლიტ. 12.

ავტ.

2.10. ნანოტექნოლოგიები

14.2.10.1. ციფრული სატელევიზიო სიგნალის დეკოდერი К1879ХБ1Я. /მ. სურგულაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 220-223. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ციფრული სატელევიზიო სიგნალის დეკოდერის К1879ХБ1Я (90 ნანომეტრული ტექნოლოგია) ინტეგრალური ნანოსქემის მაგალითზე ნაჩვენებია მისი გამოყენების საშუალება მაღალი გარჩევადობის სატელევიზიო მრავალფუნქციური მიმღებ-მისადგმელის და სხვა მრავალი სახის ელექტრონული მოწყობილობების აგებისათვის მართვის და გაშიფრვის დარგში. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 1.

ავტ.

14.2.10.2. ხელოვნური ინტელექტის მეთოდები სისხლის იოქიმიური ანალიზის ნანოსენსორული სისტემების შემუშავებისათვის. /მ. ხაჩიძე, დ. ხაჩიძე, ნ. ხაჩიძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 230-233. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ანალიტიკური ევრისტიკების მეთოდის გამოყენება სისხლის იოქიმიური ანალიზის ნანოსენსორული სისტემების შემუშავებისათვის. აღწერილია ნანოსენსორების შერჩევის პროცედურა სისხლის იოქიმიური ანალიზის სენსორული სისტემისათვის (კონკრეტული დაავადებებისათვის). ასევე განხილულია ცოდნის აზის შემავსებელი „დაავადების კონცეპტების" წარმოდგენა ექიმის გადაწყვეტილების მხარდამჭერი სისტემისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს ექიმს ნანოსენსორული სისტემიდან მიღებული მონაცემების ავტომატური ანალიზის საფუძველზე დასვას სწორი დიაგნოზი. ლიტ. 6.

ავტ.

14.2.10.3. ნანოარმირების გამოყენება ეტონის ტექნოლოგიაში. /რ. სხვიტარიძე, . კეშელავა, ი. გიორგაძე, შ. ვერულავა/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 65-70. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

სტატიაში ინოვაციას წარმოადგენს სამგანზომილებიანი დისპერსიული არმირების განხორციელება ნანოდონეზე. იგულისხმება ცეოლითური ძაფისა და ნემსისმაგვარი ოჭკოსებრი ნანოზომების კრისტალების გამოყენება, რომლის დროსაც ცეოლითისა და ეტრინგიტის მსგავსი ჰაბიტუსის კრისტალოჰიდრატები „ჩაიხლართება" ერთმანეთში, რაც ხელს შეუწყობს თვითნანოარმირების პროცესს. დამუშავებულია ტექნოლოგიები სხვადასხვა ზემოქმედების მიმართ მედეგი მონოლითური ეტონისათვის; კერძოდ, აზალტის ფიბრით მოდიფიცირებული, მიკროდონეზე სამგანზომილებიანი (3D) არმირებული სტრუქტურის ახალი თაობის C50-60 კლასის ეტონებისა და ცეოლითური ტუფისაგან დამზადებული აქტივატორით მოდიფიცირებული, ნანოდონეზე სამგანზომილებიანი (3D) არმირებული სტრუქტურის ახალი თაობის C 50-90 კლასის ეტონებისათვის. სურ. 7, ლიტ. 3.

ავტ.

14.2.10.4. საქართველოში ეტონის წარმოების ინოვაციური ნანოტექნოლოგია. /რ. სხვიტარიძე, . კეშელავა, ი. გიორგაძე, გ. წინწკალაძე, შ. ვერულავა/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 5-8. – ინგლ.

ცემენტი მიღებულ იქნა ნარევში ცეოლიტური ტუფის შეყვანით. ცემენტის ნარევში შეყვანამდე ეს დანამატი განიცდიდა თერმულ დამუშავებას 100–700°C ტემპერატურაზე. მოპოვებული მონაცემები ადასტურებენ აქტიური მინერალური დანამტების თერმული დამუშავების დადებით ზეგავლენას ცემენტისა და ეტონის სიმტკიცეზე. თერმულად დამუშავებული და გოგირდის დიოქსიდებით 700°C-ზე გადაჯერებული აქტიური მინერალური დანამატები შესწავლილ იქნა რენტგენული დიფრაქტომეტრიით. საინტერესო შედეგები იქნა მიღებული პოტრლანდცემენტის აზაზე თერმულად დამუშავებული მინერალური დანამატებით შექმნილი ცემენტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლით.

ცემენტის ხსნარში თერმულად დამუშავებული მინერალური დანამატის – ცეოლიტური ტუფის $Al_2O_3*2SiO_2$ – შეყვანისას დანამატები და კლინკერული მინერალები ნანო დონეზე შედიან ერთმანეთთან რეაქციაში, რომლის პროდუქტიცაა ეტრინგიტი $3CaO*Al_2O_3*3CaSO_4*32H_2O$, რაც ქმნის ფორმირების წინაპირობებს ნატროლიტისა და ე.წ. ცეოეტრინგიტის, სავარაუდო ქიმიური ფორმულით $Na_2O*_2Al_2O_3*3SiO_2*6CaO*3SO_3*34H_2O$, კლასტერებისათვის, რომლებიც ამაღლებენ ეტონის აქტიურობას, მის სიმტკიცეს კუმშვაზე და ღუნვაზე. სურ. 4, ლიტ. 3.

ავტ.

14.2.10.5. ნანომასშტაბური კომპოზიტური მასალისაგან დამზადებული გაზის სენსორების მგრძნობიარობა და დაბალსიხშირული ხმაური. /რ. ჰოვჰანნისიანი, ჰ. ხონდქარიანი, მ. ალექსანიანი, ფ. გასპარიანი, ვ. არაქელიანი, ვ. არუთიუნიანი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 21-28. – ინგლ.
თხელფიროვანი გაზის ნანოსენსორები ნანოკომპოზიტის $In_2O_3*Ga_2O_3*SnO_2$(70:20:10) ფუძეზე დამზადდა მაღალსიხშირული მაგნეტრონული გაფრქვევის მეთოდით. აღწერილია სენსორების დამზადების ტექნოლოგიური ციკლი. შესწავლილ იქნა მიღებული სენსორების მგრძნობიარობა, როდესაც მუშა სხეულის ტემპერატურაა 250°C,ხოლო დაბალსიხშირული ხმაურები 1–300 ჰც არეშია. სენსორების გამოძახილი ეთანოლის ორთქლისა და აცეტონის ორთქლის მიმართ გამოკვლეულ იქნა წინაღობისა და ხმაურის მეთოდებით. ნაჩვენებია, რომ ხმაურის მეთოდით გაზომილი მგრძნობიარობის მნიშვნელობა აღემატება წინაღობის მეთოდითგაზომილს. სენსორები ავლენენ მისაღებ მგრძნობიარობას ეთანოლის ორთქლის მიმართ მუშა სხეულის უკვე 150°C-ის ტოლი ტემპერატურისათვის. ამ სენსორების მგრძნობიარობის მონოტონური ზრდაეთანოლის ორთქლისა და აცეტონის ორთქლის შემცველობის მიხედვით საშუალებას იძლევა, რომ ნანოსენსორები ჰაერში გაზების კონცენტრაციის სწრაფი განსაზღვრისათვისაც გამოვიყენოთ. სურ. 7, ცხრ. 2, იბლ. 12.

ავტ.

14.2.10.6. ნანო ხის მასალა – 21-ე საუკუნის სამშენებლო მასალა. /თ. ხმელიძე, დ. ნიქაბაძე, მ. ნიკოლაძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 29-32. – ინგლ.
გამოკვლევები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას დაბალი ხარისხის ხის მასალა მაღალ ხარისხიანად, აჩვენებენ ნანოტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებას. მიმოხილულია ის ნანოტექნოლოგიები, რომლებიც ხის მასალის ღრმა გადამუშავების შემთხვევაში იძლევიან იმგვარი ახალი სამშენებლო მასალების მიღების შანსს, რომლებიც მათ შეუნარჩუნებს ხის უნიკალურ თვისებებს. ნანო ხის მასალის დანერგვა ჭრის მრავალ იმ პრობლემას, რომლებიც ხვდებათ ინჟინრებს ხის მასალის გამოყენებისას. ეს ტექნოლოგიები მოგვცემენ ფართო შესაძლებლობებს საქართველოს მსგავსი სეისმურად აქტიური ქვეყნებისათვის და დაგვეხმარებიან ხის კონსტრუქციების სრულყოფაში. სურ. 12, იბლ 4.

ავტ.

14.2.10.7. იშვიათი, ძალზე პატარა ზომის და რადიოაქტიური ნანონაწილაკები. /ბ. ხარისოვი, ო. ხარისსოვა/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 33-48. – ინგლ.
ნანოტექნოლოგიური საზოგადოების საყურადღებოდ შეთავაზებულია არაფორმალური კლასიფიკაცია, რომელიც უშუალოდ ნანოსტრუქტურის წარმომქმნელი ნაერთის ან კომპოზიტის განზომილებასა და ქიმიურ შემადგენლობას კი არ უკავშირდება, არამედ უპირატესად ეფუძნება იშვიათ ნანოსტრუქტურებს. დისკუსია ფოკუსირებულია იშვიათი ნანოსტრუქტურების შესწავლაზე, რომლებიცშეესაბამებიან ჩამოთვლილ ფორმებს. ასეთ სტრუქტურებს უჩვეულო ფორმები და დიდი კუთრი ზედაპირი აქვთ, რაც მათ ძალზე სასარგებლოდ აქცევს კატალიზატორად, სამედიცინო, ელექტრონული და ევრი სხვა გამოყენებისათვის. ამის გარდა გარკვეული ყურადღება ძალზე პატარა ზომის ნაწილაკებსა (ზომა < 10 ნმ)და რადიოაქტიური ელემენტების შემცველ ნაწილაკებსაც ეთმობა. სურ. 14, ცხრ. 1, იბლფ 7.

ავტ.

14.2.10.8. ახალი, ნანოტექნოლოგიაში გამოყენებადი, მიღწევები ელექტროფორეტულ დაფენაში. /გ. გუნკაია, ჰ. კურამა/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 49-64. – ინგლ.
მიმოხილულია ელექტროფორეტული დაფენის ძირითადი ასპექტები, მექანიზმი, ზემოქმედი ფაქტორები და მათი გამოყენებები სხვადასხვა სფეროებში, დანაფარების, ნანომასშტაბური ანსამბლირების, მიკროშაბლონური თხელი ფირების, მოწინავე და ოჭკოებით არმირებული კერამიკების, მინების, ლამინარული, გრადიენტული ანდა ჰიბრიდული მასალების და ა.შ. ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევებს, რომლებიც შესრულებულია ორისა და ორის ნაერთების ეფდ პროცესში გამოყენების მიზნით, საბოლოო პროდუქტის თვისებების გასაუმჯობესებლად. ორი წარმოადგენს

მასალას, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს მაღალი მდგრადობა კოროზიისადმი, მაღალი სიმტკიცე, ძნელდნობადი თვისებები და სხვადასხვა ფუძე შრეებთან ძლიერი შეჭიდულოიბა. უფრო მეტიც, იონიზების ენერგიის მაღალი მნიშვნელობები ნიშნავს, რომ მდგრადობა დაბალ ვოლტაჟზე მას გადააქცევს პოტენციურ მასალად ელექტროფორეტული დაფენისათვის. სურ. 9, იბლ. 71.

ავტ.

14.2.10.9. მიღების პირობების ზეგავლენა ორის კრისტალების სტრუქტურულ მდგომარეობაზე. /დ. გაბუნია, ო. ცაგარეიშვილი, ლ. ჩხარტიშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 65-70. – რუს.

მიმოხილულია ელექტროფორეტული დაფენის ძირითადი ასპექტები, მექანიზმი, ზემოქმედი ფაქტორები და მათი გამოყენებები სხვადასხვა სფეროებში, დანაფარების, ნანომასშტაბური ანსამბლირების, მიკროშაბლონური თხელი ფირების, მოწინავე და ოჭკოებით არმირებული კერამიკების, მინების, ლამინარული, გრადიენტული ანდა ჰიბრიდული მასალების და ა>შ. ჩათვლით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევებს, რომლებიც შესრულებულია ორისა და ორის ნაერთების ეფდ პროცესში გამოყენების მიზნით, საბოლოო პროდუქტის თვისებების გასაუმჯობესებლად.ბორი წარმოადგენს მასალას, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს მაღალი მდგრადობა კოროზიისადმი, მაღალი სიმტკიცე, ძნელდნობადი თვისებები და სხვადასხვა ფუძეშრეებთან ძლიერი შეჭიდულოიბა. უფრო მეტიც, იონიზების ენერგიის მაღალი მნიშვნელობები ნიშნავს, რომ მდგრადობა დაბალ ვოლტაჟზე მას გადააქცევს პოტენციურ მასალად ელექტროფორეტული დაფენისათვის. სურ. 9, ლიტ. 71.

ავტ.

14.2.10.10. სტრუქტურული ნანომასალების გამოყენება ნავთობის მრეწველობაში. /ნ. ნაბჰანი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 71-82. – ინგლ.

მოცემულია ნავთობისა და გაზის სფეროსათვის გამიზნულ მშენებლობაში ნანოტექნოლოგიის სხვადასხვა მიღწევების პოტენციური გამოყენებების ფართო მიმოხილვა. ასევე გაანალიზებულია ის პოტენციური შესაძლებლობები და გამოწვევები, რაც ელის ამ სფეროში ნანოტექნოლოგიის გამოყენების სამომავლო ტენდენციებს. სურ. 1, ცხრ. 2, ლიტ. 60.

ავტ.

14.2.10.11. ნახშირბადის ნანოგანზომილების მილაკების, ოჭკოების და მაგნიტური კლასტერების მიღების ალტერნატიული მეთოდი. /ლ. რუხაძე, ლ. ჩხარტიშვილი, ო. ცაგარეიშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 83-86. – ინგლ.

ორგანული ნახშირწყალბადების თერმული დისოციაციით ჟანგბადის დაბალი პარციალური წნევის პირობებში მიღებულია ნახშირბადის ნანომილაკები, ნანობოჭკოები და ფერომაგნიტური ლითონებით დოპირებული მაგნიტური კლასტერები. ტემპერატურის, ჟანგბადის პარციალურ წნევის, ნახშირწყალბადების რაოდენობის ანუ სიმკვრივის, რეაქტორში პიროლიზებული მასის გადაადგილების სიჩქარისა და საფენების ზედაპირის მდგომარეობის ცვლილების მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა გეომეტრიული ფორმისა და ზომის ნახშირბადის ნანოსტრუქტურების მიღება (მაგალითად, შესაძლებელია ნანომილაკების ამოზრდა დიამეტრით 20–30 ნმ-დან 20 მკმ-მდე და სიგრძით რამდენიმე სმ-მდე). აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს როგორც ფერომაგნიტური ელემენტების მინერალებიდან ნანოკრისტალურ მდგომარეობაში მყოფი სუფთა ლითონების, ასევე ნახშირწყალბადებიდან სუფთა წყალბადის მიღებას და, აგრეთვე, აირული წყალბადის გასუფთავებას. იაფი საწისი პროდუქტები, ტექნოლოგიური პროცესის მართვის მოხერხებულობა და მარტივი აპარატურული გადაწყვეტა საშუალებას იძლევა აღნიშნული მეთოდით ნახშირბადის ფუძეზე მივიღოთ დაბალი თვითღირებულების მქონე ნანომასალების მრავალსახეობა. სურ. 4, ლიტ. 2.

ავტ.

14.2.10.12. ელექტროჰიდრავლიკური ეფექტი მაღალდისპერსული მაგნიტური ნანოსითხის სინთეზისათვის. /ვ. მიქელაშვილი, ჯ. მარხულია, შ. კეკუტია, რ. თათარაშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 87-92. – ინგლ.

ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა ელექტროჰიდრავლიკური დამუშავების ეფექტურობა მაღალდისპერსული მაგნიტური ნანოსითხის სინთეზისათვის. მაგნიტური ნანონაწილაკების კონცენტრაციის მატება გამოწვეული იყო წნევისა და სხვა ფიზიკური მოვლენების ზემოქმედების მყისიერი ზრდით, რასაც ადგილი ჰქონდა ელექტროჰრავლიკური ეფექტის პირობებში. მისი ეფექტური გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება ზოგიერთი ფიზიკური პარამეტრის რეგულირებას. დადასტურებული ჰისტერეზისული მარყუჟები აჩვენებს, რომ ოთახის ტემპერატურაზე ნაწილაკები

სუპერპარამაგნიტურია, რაც საზოგადოდაა დამახასიათებელი იმგვარი რბილი ფერომაგნიტური მასალისათვის, როგორიცაა მაგნეტიტი. სურ. 4, ლიტ. 12.

ავტ.

14.2.10.13. ნანოსენსორი ერთფოტონიანი თერმოელექტრული დეტექტორისათვის. /ა. კუზანიანი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 93-102. – ინგლ.
წარმოდგენილია თერმოელექტრული დეტექტორის სენსორში ფოტონის შთანთქმის შემდგომ მიმდინარე კინეტიკური პროცესების კომპიუტერული მოდელირების შედეგები. განხილულია განსხვავებული გეომეტრიული ფორმის ერთფოტონიანი თერმოელექტრული დეტექტორები სენსორის ზომოთ, რომელიც მცირდება მიკრონებიდან ნანომეტრებამდე. გამოთვლილია სენსორზე ელექტრული პოტენციალის გაჩენის დამოკიდებულება დროზე. განსაზღვრულია, აგრეთვე, ერთფოტონიანი თერმოელექტრული დეტექტორის ნანოსენსორისა და მშთანთქმელის ოპტიმალური ზომები იმ მიზნით, რომ 100 ევ ენერგიის ფოტონების რეგისტრირებისას მიღწეულ იქნას თვლის გიგაჰერცული სისწრაფე. სურ. 5, ცხრ. 2, ლიტ. 31.

ავტ.

14.2.10.14. ინგლისურ–გერმანულ–რუსულ–ქართული ელექტრონული ლექსიკონი (გლოსარიუმი) ნანოქიმიაში, ნანოფიზიკასა და ნანოტექნოლოგიაში. /ც. რამიშვილი, ვ. ციციშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ.103-106. – ინგლ.
ნანომეცნიერება და ნანოტექნოლოგია იმგვარ დისციპლინათაშორისი დარგებია, რომლებისათვისაც სავალდებულოა ერთიანი ტერმინოლოგიური აზის შექმნა. იგი წარმოადგენს საკომუნიკაციო ენას იმ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის (ფიზიკოსების, ქიმიკოსების, იოლოგების, ტექნიკოსების, მასალათმცოდნეებისა და ა.შ.), რომლებიც ქმნიან ნანომეცნიერებასა და ნანოტექნოლოგიას. გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განმარტებები და ტერმინები განაპირობებენ მათ ერთგვაროვან გაგებას და საშუალებას მოგვცემენ თავიდან ავიცილოთ მცდარი და არაცალსახა ინტერპრეტაციები. ეს ენა მოწინვე ქვეყნებში უკვე შექმნილია, ჩვენ კი ის გასაგები უნდა გავხადოთ ქართველებისათვის მშობლიურ ენაზე ადეკვატური ტერმინების გამოყენებით. ნანოქიმიაში, ნანოფიზიკაში და ნანოტექნოლოგიაში ქართული ელექტრონული ლექსიკონის შექმნა დროულია. ნანომეცნიერებამ განვითარების მაღალ სიჩქარეს მიაღწია და ლექსიკონის ელექტრონული ფორმატი უზრუნველყოფს მისი სწრაფად განახლების შესაძლებლობას. ელექტრონულ ლექსიკონი იქმნება ერთი საგნობრივი და რამდენიმე ლიგვისტიკური მიმართულებით (კერძოდ, სპეციალური ნანოსამეცნიერო – ნანოქიმია, ნანოფიზიკა – და ნანოტექნოლოგიური მიმართულებებით); მრავალენოვანი, მთარგმნელობითი – ინგლისურ–გერმანულ–რუსულ–ქართული, ილუსტრირებული და ახსნით ქართულ ენაზე. იგი მასობრივი მოხმარების საგანი გახდება. მას ექნება ლექსიკოგრაფიული, საცნობარო და, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო ღირებულებები. ლიტ. 7.

ავტ.

14.2.10.15. ჰომეოპათიური ნანოფარმაკოლოგიის თანამედროვე თეორიები. /მ. ჩიქავა, თ. ცინცაძე, ხ. მიშელაშვილი, ნ. სულაშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 107-110. – ინგლ.
სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული ყველა მაღალეფექტური სამკურნალო საშუალება მოქმედებს ქსოვილოვან რეცეპტორებზე. შესაძლოა, ორგანიზმში არის ე.წ. ჰომეორეცეპტორები, რომელთა საშუალებითა ცმოქმედებს ჰომეოპათიური პრეპარატები. ამჟამად აღიარებულია მოსაზრება, რომ ჰომეოპათია ასტიმულირებს ორგანიზმის იმუნობიოლოგიურ ძალებს. პ.ვ. სიმონოვმა დაადგინა, რომ ნივთიერებათა სუბმინიმალური დოზები იწვევს შეკავებას, რაც გამოხატული დამცველობითი თვისებებით ვლინდება. ასეთ მოქმედებას ავტორმა პრევენციული უწოდა. ჰანემანმა პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება თანმიმდევრულ განზავებებს და წამოაყენა იდეა წამალთა პოტენცირების შესახებ. ზოგიერთი ავტორი აყენებს ჰიპოთეზას, რომ წყლის დიპოლსა და გახსნილი მოლეკულის მიერ გამოსხივებულ ველს შორის ურთიერთქმედებით წყალი ხდება კოჰერენტული და იძენს უნარს,ლაზერის მსგავსად, გადასცეს სპეციფიკური ინფორმაცია უჯრედის რეცეპტორებს. რეცეპტორული მოლეკულები იძულებულია იმოძრაოს ილიპიდურ შრეებს შორის და რეზონანსში მოვიდეს სპეციფიკურ სიხშირეებთან, რაც გამოიწვევს სიგნალის გადაცემას. უკანასკნელ წლებში ჰომეოპათიური საშუალებების ეფექტების ასახსნელად არნდტ–შულცის ცნობილი კანონის გამოყენებას ცდილობენ, მაგრამ ის უნივერსალური არ არის.ლიტერატურაში არსებული მონაცემებით, გაურკვეველი რჩება საკითხი იმის შესახებ, მოქმედებს თუ არა ეს კანონი მაღალი განზავებების დროს, რადგან ისინი არ შეიცავენ საწყისი ნივთიერების მოლეკულასაც კი.

არსებობს თეორია, რომელიც ჰომეოპათიური წამლების მოქმედების მექანიზმს უკავშირებს კონტამინაციის ეფექტს. კონტამინირებულ ხსნარში წამოიქმნება თავისუფალი რადიკალები, რომლებიც იწვევს ფარმაკოლოგიურ ეფექტს. ჰომეოპათიური წამლის მოქმედების მექანიზმების ახსნა ნეიროფიზიოლოგიის მეშვეობით ერთ-ერთმა პირველმა დიდიე გრანჟორჟმა სცადა. მისი აზრით, ცენტრალური ნერვულისისტემის ფუნქციონირება ჰომეოპათიის მასშტაბებით ხორციელდება. ნერვული იმპულსი იწვევს უჯრედული მემბრანის მდგომარეობის ცვლილებებს და სინაფსურ ნაპრალში ნეიროტრანსმიტერების გამოთავისუფლებას ჰომეოპათიური დოზებით. ლიტ. 3.

ავტ.

14.2.10.16. მუდმივ დენზე მაგნეტრონული გაფრქვევის მეთოდით მიღებული ტიტანის დიოქსიდის ელექტრული, ოპტიკური და სტრუქტურული თვისებები. /ა. იბილაშვილი, ზ. ყუშიტაშვილი, გ. სხილაძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 111-114. – ინგლ.

გამოკვლეულია მაგნეტრონული გაფრქვევის მეთოდით ტიტანისდიოქსიდის მიღება p-ტიპის სილიციუმზე. დაფენის პროცესში ნიმუში იმყოფებოდა 250C ტემპერატურის პირობებში. სპექტროსკოპული ელიფსომეტრის საშუალებით გამოთვლილ იქნა ტიტანის დიოქსიდის ფენის სისქე და სინათლის გარდატეხის მაჩვენებელი, რომლებიც შესაბამისად მიღებულ იქნა 85ნმ-ის და 2.25-ის ტოლი. გამოყენებულ იქნა ნახევარგამტარების პარამეტრების ანალიზატორი (Keithly Instruments), რომლის საშუალებითაც მიღებული იქნა კარგი ვოლტ-ფარადული მახასიათებელი 35-ის ტოლი დიელექტრიკული მუდმივათი. რენტგენის სხივების დიფრაქციით გამოკვლეულ იქნა სტრუქტურული თვისებები და ნაჩვენები იქნა დიელექტრიკის ნანოკრისტალური სტრუქტურა. სურ. 3, ლიტ. 9.

ავტ.

14.2.10.17. მაგნიტური სითხეების მაგნიტური ნაწილაკების მიერ გამოწვეული დამაგნიტება. /ქ. კოტეტიშვილი, გ. ჩიხლაძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 115-118. – ინგლ.

მაგნიტური სითხეების შემადგენლი მაგნიტური ნაწილაკების მიერ გამოწვეული დამაგნიტება გამოკვლეულია თეორიულად. ლიტ. 3.

ავტ.

14.2.10.18. როტაციულ-კოროზიული დისპერგირების მეთოდით მიღებული რკინა–ჟანგბადის ნანონაწილაკების სტრუქტურული თავსებურებანი. /ო. ლავრინენკო, ი. ოლბუხი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 127-148. – ინგლ.

როტაციულ-კოროზიული დისპერგირების მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ სხვადასხვა ნანოზომისოქსიჰიდროქსიდები და რკინის ოქსიდები, და ასევე – მეტასტაბილური ფორმები. ნანონაწილაკების სტრუქტურული თავისებურებანი გამოკვლეულია რენტგენოფაზური ანალიზით, გამჭოლი და მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიებითა და ფურიე-გარდაქმნაზე დაფუძნებული ინფრაწითელი სპექტროსკოპიით. მაშინ როდესაც ელექტრონულ-მიკროსკოპიული გამოსახულებები ასახავენ ნაწილაკების მორფოლოგიას, ფურიეს ინფრაწითელი სპექტროსკოპია, ძირითადი ფაზის სტრქტურული ელემენტებისა და მინარევების ანალიზის მეშვეობით, საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ნაწილაკთა ფორმირების მთელ გზას. ნაჩვენებია, რომ რკდ-მეთოდით მიღებული რკინა–ჟანგბადის ნაწილაკების სტრუქტურა განსხვავდება სხვა ფიზიკურ-ქიმიურ პირობებში, მაგალითად, დალექვისას, მიღებული ამგვარი ნაწილაკების სტრუქტურისაგან. სურ. 15, ლიტ. 37.

ავტ.

14.2.10.19. რადიოაქტიური ნარჩენების მენეჯმენტი საქართველოში. /გ. ნაბახტიანი, ლ. ჩხარტიშვილი, ა. გიგინეიშვილი, კ. გორგაძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ.149-154. – ინგლ.

საქართველო აქტიურ ძალისხმებას ახმარს ქვეყანაში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემის (რნმს-ის) შექმნას. საზოგადოდ, რნმს ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან უნდა შედგებოდეს. ესენია: სამართლებრივი აზა, ადმინისტრაციული სტრუქტურა, რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის ინფრასტრუქტურა და, აგრეთვე, ფინანსური სისტემა. დღევანდელ საქართველოში აღნიშნული კომპონენტები მხოლოდ ნაწილობრივაა წარმოდგენილი. ქვეყნის რნმს იმ ათ ძირითად პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს, რომლებიც ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (მაგატე-ის) მიერ არის განსაზღვრული. მათ საფუძველზე უფრო დეტალიზებული პრინციპების დადგენაა შესაძლებელი. შეიძლება განვიხილოთსაქართველოში რადიაციული ნარჩენების წარმოქმნისშემდეგი ძირითადი გზები: მსხვილი ობიექტების (მაგალითად, ირთვული რეაქტორის) დემონტაჟი, ნაგავსაყრელების განახლება, ახალი ნარჩენების წარმოქმნა რადიოაქტიური წყაროების სამრეწველო და სამედიცინო გამოყენებების

ზრდის გამო, აგრეთვე, მეორადი რადიოაქტიური ნარჩენები, როგორიცაა მოხმარებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროები (არწ), და ე.წ. ისტორიული ნარჩენები. რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის ერთიანი პროცესი შეიძლება სამ ძირითად ეტაპად დაიყოს: რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება, მათი დამარხვა, წინასწარი გადამუშავება და უტილიზება. მთავარ ამოცანად წარმოგვიდგება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სააგენტოს (რნმა-ის) შექმნა, რომელიც სახელმწიფოს სახელით განახორციელებს რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის ყველა ობიექტის მართვას. აგრეთვე რნმა-ის ფუნქციებში იქნება არწ-თან მოპყრობა მათი გაუვნებელყოფის ყველა ეტაპზე. რნმა მაგატე-ის ყველა მოთხოვნას უნდა ემორჩილებოდეს. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.2.10.20. სტანდარტული გადახრის მეთოდი ჰოდროგეოდინამიკური პარამეტრის ანალიზისათვის. /ა. გევორგიანი, ა. ხანგალდიანი, ს. მავროდიევი, მ. ადიბეკიანი, გ. მელიქაძე, ა. სბორშჩიკოვი, გ. კობზევი, თ. ჯიმშელაძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 155-162. – ინგლ.

შესწავლილია ჰიდროდინამიკური პარამეტრისათვის სტანდარტული გადახრის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები. ამ მიზნით სომხეთისა და საქართველოს რამდენიმე მიწისძვრის ჰიდროგეოდინამიკური პარამეტრები გამოკვლეულია სამხრეთ კავკასიონზე მომხდარ მიწისძვრებზე დაკვირვებით, ხოლო შედარებითი ანალიზისათვის გამოყენებულია სომხეთისა და საქართველოს ქსელების მიერ მოწოდებული ჰიდროდინამიკური პარამეტრი. წყლის დონის ცვლილების პარამეტრის მონიტორინგის შედეგი მიუთითებდა პირდაპირ კავშირზე დეფორმაციულ პროცესებსა და ძლიერ მიწისძვრებს შორის. სურ. 9, ლიტ. 9.

ავტ.

14.2.10.21. Cr(VI)-ის მობილობა Arthrobacter-ისა და Spirulina platensis-ის მიერ. /ე. ღელაღუტაშვილი, ე. გინტური, ა. რჩეულიშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 163-166. – ინგლ.

Cr(VI)-ის უნარი დაუკავშირდეს ართრობაქტერიებს (Arthrobacter globiformis151B, Arthrobacter oxidas 61B) და ციანობაქტერიას (Spirulina platensis) შესწავლილი იქნა დიალიზისა და ატომურ-აბსორბციული ანალიზის გამოყენებით. ნაჩვენები იქნა განსხვავება Cr(VI)–Arthrobacter oxidas-ისა და Cr(VI)–Arthrobacter globiformis-ის მის კონსტანტებს შორის. ფრეიდლიხის იზოთერმების იოსორბციული მახასიათებლების შედარება Cr(VI)–Arthrobacter oxidas-ისა და Cr(VI)–Arthrobacter globiformis-ისათვის, როგორც ცოცხალი, ასევე მშრალი უჯრედებისათვის აჩვენებს, რომ ტევადობა ყველა შემთხვევისათვის თითქმის ერთი და იგივეა. მის კონსტანტა ორივე სახის ართრობაქტერიისათვის მშრალი უჯრედების შემთხვევაში აღემატება მის კონსტანტების მაჩვენებელს ცოცხალი უჯრედებისათვის. სურ. 2, ცხრ. 1, ლიტ. 16.

ავტ.

14.2.10.22. ანტროპოგენული და უნებრივი კატასტროფების შედეგებისაგან სასმელი წყლის გაუსნებოვნება ნანოტექნოლოგიის მეთოდით. /დ. ერისთავი, ნ. იბილური, შ. ანდღულაძე, ა. გოგიშვილი, მ. გუგეშიძე, ე. მაცაბერიძე, ზ. მაცაბერიძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 167-168. – რუს.

განიხილება ნანოტექნოლოგიის გამოყენებით კოლოიდური ვერცხლის ხელსაწყოების პროექტირება. შეიქმნა ელექტროლიზერი, რომლის საშუალებითაც მიიღება კოლოიდური ვერცხლის სხვადასხვა კონცენტრაციის წყალხსნარები და გამოიყენება საჭირო დანიშნულებით. ლიტ. 5.

ავტ.

14.2.10.23. ვაკუუმური ВУ–1А ტიპის დანადგარის მოდერნიზაცია მრავალშრიანი პერიოდული სტრუქტურის მქონე ოპტიკური დანაფარების მისაღებად. /ზ. ერიშვილი, ი. კორძახია, დ. ზარდიაშვილი, გ. აბრამიშვილი, ი. ავალიანი, დ. შალამბერიძე, ი. ივანიძე/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 169-176. – ქართ.

ნაშრომი ეძღვნება ვაკუუმური ВУ–1А ტიპის დანადგარის კონსტრუირება-მოდერნიზებას და თანამედროვე ექსპერიმენტალურ-ტექნოლოგიური დანიშნულების დაფენის დანადგარის შექმნას. სამუშაოს ფარგლებში განხორციელდა ვაკუუმურ დანადგარის ხუფ ქვეშ ორი კომპლექტი პლანარული მაგნეტრონული გაფრქვევის მოწყობილობების მონტაჟი; ვაკუუმური დანადგარის ხუფის ზედა ნაწილს მიუერთდა RGA200 ტიპის კვადრუპოლური მასსპექტრომეტრი; დაიგეგმა, დამზადდა და დამონტაჟდა აირის სისტემა; დამზადდა მუდმივი და იმპულსური ძაბვების კვების ლოკები და მაღალი ძაბვის გადამრთველის (RFDC "PlasmaSwitch") გამოყენებით მიუერთდა მაგნეტრონული გაფრქვევის მოწყობილობებს; ხუფქვეშა მოწყობილობების დეტალების 3D კონსტრუირებით მიღებული გეომეტრიული განლაგება გამოირჩევა კომპაქტურობით და იძლევა საშუალებას, რომ დიდი წარმადობით, ერთიან ტექნოლოგიურ ციკლში, ოპტიკურ ლინზებზე განხორციელდეს მაღალი ხარისხის

გაშუქოვნების შრეებისფორმირება. მოდერნიზირებული ვაკუუმური ВУ–1А ტიპის დანადგარზე დამუშავებულია ოპტიკურ დეტალებზე გაშუქოვნების ფენების მიღების ოპტიმალური ტექნოლოგია მათი კვლევებში, საწარმო ნიმუშების დამზადებასა და, პერსპექტივაში, მცირე წარმოებაში გამოყენების მიზნით. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.2.10.24. ტიტანის 3D ნანოსტრუქტურების მიღება. /კ. გორგაძე, თ. ერიკაშვილი, გ. ნაბახტიანი, თ. ერბერაშვილი, შ. ხიზანიშვილი/. Nano Studies. – 2014. – #9. – გვ. 177-180. – ინგლ.
ტიტანის შენადნობებს გააჩნიათ ფორმის მახსოვრობის ეფექტი (ფმე) და ზედრაკადობის (ზდ) კარგი მაჩვენებლები. ამავე დროს ისინი ხასიათდებიან თერმოდრეკადობის მაღალი მნიშვნელობებით. ამ თვისებების გამო Ti–Ni შენადნობები მიჩნეულია სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებელ კარგ მასალად. ამავე დროს შენადნობს გააჩნია რიგი უარყოფითი მახასიათებლებისა. მაგალითად, თერმული პროცესების დროს ადგილი აქვს „თავისუფალი" ნიკელის გამოყოფას, რომელიც შეიძლება პაციენტის ალერგიული რეაქციის მიზეზი გახდეს. ამიტომაც დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ ახალ შენადნობებს, რომლებიც მისაღები იქნება ადამიანის ორგანიზმისთვის და შენარჩუნებული ექნება ფმე, ზდ და მაღალი თერმოდრეკადობა. ასეთი შენადნობის მიღება შესაძლებელია ნანოსტრუქტურის ჩამოყალიბებით, რომელიც ძირითადში განაპირობებს მის თვისებებს. სტატიაში შეჯამებულია ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაო, რომლის მიზანი იყო ნიკელის ჩანაცვლება შენადნობებში. ამგვარად შეირჩა ორიშენადნობი Ti–33Nb–7Zr და Ti–26Nb–4Ta–7Zr, რომელთაც აქვთ შეადარებით კარგი მახასაითებლები სამედიცინო მიზნით მათ გამოსაყენებლად. სურ. 4, ლიტ. 2.

ავტ.

2.11. სხვა საინჟინრო მეცნიერებები და ტექნოლოგიები

14.2.11.1. „აპიპური" - ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული „პურია" /კ. ჩახუნაშვილი, შ. იუსუპოვი, ი. კალანდია, ნ. ჯობავა, ნ. ადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, გ. ჩახუნაშვილი, ზ. შაქარაშვილი/. სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – 2013. – #16-11-10. – გვ. 82-84. – ქართ.;რეზ.: ქართ., ინგლ.
ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ზოგადად დადგინდა, რომ პურის ნიმუშების მხოლოდ 24.9% იყო შესაბამისად ფორტიფიცირებული, რაც არ არის საკმარისი მოსახლეობაში მიკრონუტრიენტების დეფიციტის შემცირებისთვის. ჩვენი ტექნოლოგიით დამზადებული პური, გამდიდრებული ჯანმთელობისათვის აუცილებელი ამინომჟავებით, ვიტამინებით და მინერალებით უნიკალური და მაღალ მოთხოვნადია. ყოველდღიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტი „აპიპური", რომელც დამზადებულია ახალი ტექნოლოგიით, საქართველოში შეამცირებს მასიურად გავრცელებულ ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. ცხრ. 1.

ავტ.

14.2.11.2. საქართველოში კვების ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები. /თ. დარსანია, დ. ზარნაძე, ი. ზარნაძე, გ. ჩახუნაშვილი/. სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია. – 2013. – #16-11-10. – გვ. 94-96. – ქართ.; რეზ.:ქართ., ინგლ.
მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე მსოფლიოში მე-20 საუკუნის ოლოსა და 21-ს დასაწყისში სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე ინტენსიურად საქმიანობამ ევრ ქვეყანაში გააუმჯობესა ჯანმრთელობის მაჩვენებლები. როგორიცაა, აშშ-ში გულ-სისხლძარღვთა მართვით ფატალური შედეგების 20%-ით შემცირება და, ასევე, ფინეთში 50%-ით სიკვდილიანობის შემცირება ამავე ავადმყოფობით. სწორედ ამიტომ, შრომის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში კვების ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტების კომპლექსური შესწავლა. აქედან გამომდნარე ახლებური ხედვა თანამედროვე კვების ეროვნულ პოლიტიკაში არსებული რთული და აქტუალური პრობლემებისადმი აუცილებელია და შრომის დებულებანი, ნუტრიციული დარღვევების მართვას ემსახურება. მასალის ანალიზით ირკვევა. რომ საქართველოში კვების რაციონის და სოციალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კვების რაციონში არასაკმარისია ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ხორცი, თევზი და ოსტნეული; პენსიონერთა და ხანდაზმულთა რაციონი ერთფეროვანია და დაბალი კვებითი ღირებულება აქვს; მოსახლეობის უმრავლესობა ვერ იღებს ხორცს ხილსა და ოსტნეულს ყოველდღიულ რაციონში. ამრიგად, შეიძლება

დავასკვნათ, რომ ნაშრომი საკითხის აქტუალობით და მიღებული შედეგებით, დღევანდელი საზოგადოებრივ ჯანდაცვის სრულყოფილი მართვისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. ლიტ. 16.

ავტ.

3. მედიცინა

3.1. ფუნდამენტური მედიცინა

14.3.1.1. გალექტინები - გალაქტოზაშემცველი პოლისაქარიდების ახალი თერაპევტული სამიზნე. /ა. კლიოსოვი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2014. – ტ. 8. – #1. – გვ. 5-17. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

ცილების ოჯახი გალექტინი მოიცავს 15 წარმომადგენელს. მათთვის დამახასიათებელია გალაქტოზასთან დამაკავშირებელი უბანი; გალექტინები გვხვდება სხვადასხვა უჯრედში და უბანში, ასევე გამოიყოფიან უჯრედგარეთ. დღეისათვის დიდი ინფორმაციაა დაგროვილი ამ ცილების არსებობის შესახებ პათოლოგიურ ქსოვილებში, კერძოდ, ანთებით, ფიბრომების და სიმსივნურ ქსოვილებში. ნაშრომში განხილულია გალაქტინზე დამოკიდებული დაავადება და გალაქტინების ლოკირებით მკურნალობა. სურ. 3, ცხრ. 1, ლიტ. 67.

ავტ.

14.3.1.2. მამაკაცის უშვილობის გენეტიკური ასპექტები. /ვ. გრაბარი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4(229). – გვ. 21-25. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია 118 უშვილო მამაკაცი და 52 მამაკაცი ნორმალური რეპროდუქციული ფუნქციით. 4 მამაკაცს აღმოაჩნდა ფენოტიპური სინდრომი, ასოცირებული უშვილობასთან, 16 - ქრომოსომული დარღვევები. 98 უშვილო მამაკაცის მოლეკურ-გენეტიკურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მათ შორის 3 მამაკაცს AZFc-ლოკუსში აღენიშნებოდა მიკროდელეცია, 2-ს - AR გენის პათოლოგიური ალელი, 4 - GFTR გენის მუტაციები. 37 უშვილო მამაკაცს აღმოაჩნდა დნმ-ის ფრაგმენტაციის მომატებული ინდექსი (20%-ზე მეტი). სურ. 4, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.1.3. PPAR-γ2 სარეგულაციო ცილების გენების პოლიმორფიზმის გავლენა მეტაბოლური სინდრომის განვითარებაზე ავშვებსა და მოზარდებში ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადებით. /ტ. კრიუჩკო, ი. კაიდაშევი, ო. პილიპენკო, ვ. ოსტაპენკო, ი. კოლენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 66-73. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა PPAR-γ2 გენის ერთნუკლეიტიდური Pro12Ala პოლიმორფიზმის გავლენის შესწავლა ფენოტიპურ გამოვლენებზე, ნახშირწყლების და ლიპიდების ცვლაზე არტერიული წნევის (აწ) დონეზე და α-სიმსივნეების ნეკროზის ფაქტორზე (α-სნფ) ავშვებში და მოზარდებში ეგზოგენურ-კონსტიტუციური ჭარბი წონით (ეგჭწ) და ღვიძლის არაალკოჰოლური ცხიმოვანი დაავადებით (ღაცდ). დაკვირვება მიდინარეობდა 7-დან 17 წლის ასაკის ავშვებსა და მოზარდებზე (67), მათ შორის 34 აღმოაჩნდა ღაცდ, 33 - ეგჭწ. შეფასების ალგორითმი შეიცავდა ანთროპომეტრიული მონაცემების, სისხლის ლიპიდური სპექტრის, გლუკოზის დონის და იმუნორეაქტიული ინსულინის (ირი) შეფასებას უზმოდ, HOMA-IR-ის ინდექსის დაანგარიშებას და გამოკვლევის გენეტიკურ მეთოდებს. PPAR-γ2 გენის Pro12Ala პოლიმორფიზმის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ღაცდ პაციენტებში აღინიშნებოდა Pro/Pro (88,2%) „ველური გენის" სიხშირის ყველაზე მაღალი პროცენტი და ალელი Ala (11,8%) მტარებელი გენის ნაკლები სიხშირე. პოლიმორფული Ala ალელის არსებობა ასოცირდება ირი-ის და HOMA-IR-ის უფრო დაბალ დონესთან, ლიპიდური ცვლის პრაქტიკულად ყველა კომპონენტის, სისტოლური აწ-ის და ანთებითი ციტოკინის α-სნფ დაქვეითებასთან. ავშვებსა და მოზარდებს X/Ala გენოტიპით აქვთ გაცილებით უფრო დიდი წონა და, აქედან გამომდინარე, წონის უფრო მაღალი ინდექსი Pro ალელის მტარებელ ჰომოზიგოტებთან შედარებით. კვლევის შედეგად გამოვლენილი ცვლილებები უფლებას აძლევს ავტორებს, რეკომენდაცია გაუწიონ სკრინინგის ჩატარებას PPARγ2 გენის ერთნუკლეოიდური პოლიმორფიზმის Pro12Ala-ს განსაზღვრისათვის ჭარბწონიან ავშვებსა და მოზარდებში მეტაბოლური დარღვევების განვითარების რისკის დასადგენად და დროული პროფილაქტიკური ღონისძიების ჩასატარებლად. ცხრ. 2, ლიტ. 17.

ავტ.

14.3.1.4. კანცეროგენეზი – ახლებური ხედვა. /ლ. გევორქიანი, ქ. ღამბაშიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 73-80. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში წარმოდგენილია კანცეროგენეზის ახალი ჰიპოთეზა. ავტორები გვთავაზობენ ძირითად დებულებებს, რომელიც საერთოა ყველა ტიპის (ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური) კანცეროგენეზისთვის. ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მოცემულია დეტალური თეორიული ანალიზი მექანიზმებისა, რომელიც, სავარაუდოდ, საფუძვლად უდევს ნებისმიერი კანცეროგენის მოქმედებით გამოწვეულ უჯრედის ავთვისებიან ტრანსფორმაციას. წარმოდგენილია ჰიპოთეზის ძირითადი დებულებები: 1) Fe^{3+}და S^{+}-მეთიონინს შორის კოვალენტური კავშირების დარღვევა ციტოქრომებში; 2) ელექტრონების ტრანსპორტის ჯაჭვის ლოკადა ციტოქრომის ჯიბეში შეღწეული გარკვეული ლიგანდით და მე-6 კოორდინირებული კავშირის წარმოქმნა ლიგანდასა და რკინის ატომს შორის. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში ამას წინ უსწრებს მიტოქონდრიაში pH-ის მომატება, ხოლო სხვა შემთხვევაში მიტოქონდრიაში pH-ის მომატება თან ახლავს ელექტრონების ტრანსპორტის ჯაჭვის ლოკადას ციტოქრომებში; 3) Fe^{3+}-ის აღდგენა Fe^{2+}-მდე და შედეგად აერობული გლიკოლიზის შეწყვეტა; 4) მიტოქონდრიაში pH-ის ცვლილების გამო ფერმენტების აქტივობის დაქვეითება (E_1-თდფ, ოქსიდაზები და სხვა); 5) S-ადენოზილმეთიონინის წარმოქმნა ლიპოის მჟავის ამიდის მონაწილეობით, რაც იწვევს ჰომოცისტეინის დაგროვებას ციტოპლაზმაში, მის შემდგომ შეღწევას უჯრედის ირთვში და დნმ-ის მუტაციას; 6) ციტოქრომებიდან Fe^{2+}-ის გამორეცხვა და მისი დეპონირება ფერიტინებში. სურ. 4, ლიტ. 3.

ავტ.

14.3.1.5. რადიოტალღური ენერგიის, არგონოპლაზმური კოაგულაციის, მუცლის ღრუში შეხორცებითი პროცესის წარმოქმნის საწინააღმდეგო პრეპარატ "Intercoat"- ის კლინიკური გამოყენების და პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომითა და მილისმიერი უნაყოფობით დაავადებული პაციენტების ლაპარასკოპიული მკურნალობის შემდგომი სარეაბილიტაციო კომპლექსის ექსპერიმენტული დასაბუთება და შედარებითი შეფასება. /ნ. კოზუბი, მ. სოკოლი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 80-88. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლევა მიზნად ისახავდა რადიოტალღური და არგონოპლაზმური ქირურგიული ენერგიის, „Intercoat"-ის, როგორც შეხორცებითი პროცესის განვითარების საწინააღმდეგო პრეპარატის და სარეაბილიტაციო კომპლექსის (L-არგინინი, საშვილოსნოს მილების ელექტროსტიმულაცია) გამოყენება პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომით დაავადებულ პაციენტებში. ექსპერიმენტული კვლევა ჩატარებულია Wistar-ის ხაზის 56 მდედრი ვირთაგვაზე, ხოლო კლინიკური კვლევა – 90 პაციენტზე, დაავადებული პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომითა და მილისმიერი უნაყოფობით. საკვერცხეების ჰემოსტაზისათვის არგონოპლაზმური კოაგულაციის გამოყენება ხასიათდება ნაკლებდამაზიანებელი მოქმედებით. შეხორცებების საწინააღმდეგო პრეპარატ „Intercoat"-ის გამოყენება აფერხებს II, III, IV ხარისხის შეხორცებითი პროცესის განვითარებას. არგონოპლაზმური კოაგულაციისა და საშვილოსნოს მილების ლიგატურული პლასტიკის გამოყენება 2.1-ჯერ ზრდის რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენას პაციენტებში პოლიკისტოზური საკვერცხის სინდრომით, ხოლო პაციენტის ინტრაოპერაციული და ოპერაციის შემდგომი მართვის შემუშავებული მეთოდის გამოყენება 2-ჯერ ამცირებს პაციენტების რაოდენობას მომავალში საშვილოსნოს მილის ორსულობით. ცხრ. 4, სურ. 2, ლიტ. 29.

ავტ.

14.3.1.6. Daphne glomerata ექსტრაქტების წინასწარი ფიტოქიმიური და იოლოგიური შეფასება. /ბ. ტაბიძე, გ. მოშიაშვილი, ნ. ტაბატაძე, ჯ. ანელი, ვ. მშვილდაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 88-91. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სუბალპური და ალპური სამოვრების მდელოებზე გავრცელებული მცენარე მაჯაღვერას - Daphne glomerata Lam. (ოჯ. Thymelaeaceae) ღეროებიდან და ფოთლებიდან ცალ-ცალკე მიღებული მეთანოლიანი ექსტრაქტების წინასწარ იოლოგიურ და ფიტოქიმიურ შესწავლას. ექსტრაქტების ფიტოქიმიური დახასიათებისათვის გამოყენებულ იქნა თხელფენოვანი და მაღალეფექტური სითხოვანი (HPLC-DAD-MS) ქრომატოგრაფიული მეთოდები. ორივე ექსტრაქტის ციტოტოქსიკური აქტივობის შესწავლით (Rezazurin-ის და Hoechst-ის ცდებში) დადგინდა მათი მნიშვნელოვანი ციტოტქსიკური აქტივობა (<1,53) ფილტვის კარცინომის უჯრედებზე. ფიტოქიმიურ კვლევებზე დაყრდნობით პირველად იქნა ნაჩვენები Daphne glomerata-ს ფოთლებიდან და ღეროებიდან მიღებულ იოლოგიურად აქტიურ ექსტრაქტებში ტერპენული და ფენოლური შენაერთების არსებობა. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.1.7. პერილას Perilla nankinensis Decne ეთერზეთის ანალიზი ქრომატომას სპექტრომეტრული მეთოდით. /ნ. შაშიაშვილი, მ. ჯოხაძე, პ. თუშურაშვილი, ა. აკურიძე, დ. ერაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 92-96. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

პერილა (Perilla nankinensis Decne) ტუჩოსანთა ოჯახის ალახოვანი მცენარეა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთებს. პერილას სახეობების იოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს გააჩნია ანთებისსაწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ჰიპერლიპიდემიის საწინააღმდეგო მოქმედება. გარდა აღნიშნულისა, პერილა ფართოდ გამოიყენება კვების მრეწველობაში, პარფიუმერიასა და კოსმეტოლოგიაში. საქართველოში გავრცელებული პერილა ნაკლებად შესწავლილია. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული პერილას P. nankinensis ეთერზეთის ანალიზი. შესწავლილი იქნა მცენარის ნედლეული (herba), რომელიც შეგროვდა საქართველოში, ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში. პერილას ეთეროვან ზეთში ინდივიდუალური კომპონენტების დადგენის მიზნით ანალიზი ჩატარდა ქრომატომას სპექტრომეტრული (GC-TOF/MS) მეთოდით. შედეგად იდენტიფიცირებულია 28 ნივთიერება. განისაზღვრა ნაერთების ჯამური შემცველობა, რომელიც პერილას ეთერზეთში შეადგენს 77.7%-ს. ნივთიერებათა კომპლექსში დომინანტს წარმოადგენს α-ფარნეზინი (34.3%), ლინალოოლი (10.2%) და კარიოფილენის ოქსიდი (10.2%). ეთერზეთში გამოვლენილია, ასევე, ჰუმულენის, კარიოფილენის, მეთილსალიცილატის, ჰექსანოილფურანისა და გერმაკრენის შემცველობა. ჩატარებული კვლევებისა და არსებული ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე, პერილას ეთეროვანი ზეთი შეიძლება ჩაითვალოს, ახალი, მცენარეული წარმოშობის სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებების შემუშავებისათვის პერსპექტიულ ნედლეულად. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.1.8. ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება საქართველოში. /ყ. ფაღავა, . რაუშერი, ი. კორინთელი, დ. შონვაძე, გ. კრიგსჰაუერი, კ. ობერკანინსი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 79-82. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელება მემკვიდრეობითი აუტოანთებითი დაავადებაა, გამოწვეული MEFV გენის მუტაციებით. ცნობილია, რომ მათი მტარებლობის სიხშირე განსაკუთრებით მაღალია სეფარდ ებრაელებში, თურქებში, სომხებსა და არაბებში. შესრულებულმა ლიტერატურის მიმოხილვამ გამოავლინა კვლევების სიმცირე ოჯახური ხმელთაშუა ზღვის ცხელებისა და MEFV გენის მუტაციების შესახებ საქართველოში. 202 ახალშობილი თბილისის სხვადასხვა კლინიკიდან შემოწმებული იქნა MEFV-ის 12 უხშირეს მუტაციაზე. დნმ-ის სინჯები მიღებული იქნა სპეციალურ ფილტრის ქაღალდებზე დაკონსერვირებული გამშრალი სისხლიდან. დნმ-ის სინჯები შემოწმდა რთული Pჩღ და შებრუნებითი ჰიბრიდიზაციის ტესტსტრიპებით (FMF StripAssay). 15.3%-ში დადგინდა მუტაციის მტარებლობა. უხშირესი ვარიანტები იყო E148Q (15x), M680I G/C (5x), M694V (4x). დანარჩენი 5 მუტაციის სიხშირე იყო შედარებით დაბალი (V726A, A744S, R761H: თვითოეული 2x; P369S, F479L: თვითოეული 1x). მიღებული მონაცემები მიუთითებს ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელების აქტუალობაზე საქართველოში და შესაბამისი გენეტიკური გამოკვლევების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე. ცხრ. 1, სურ. 3, ლიტ. 22.

ავტ.

14.3.1.9. აქტერიული ვაქცინის SolcoUrovac® მნიშვნელობა საშარდე გზების მორეციდივე აქტერიული ინფექციების მკურნალობის და პროფილაქტიკისათვის. /დ. ქოჩიაშვილი, ა. ხუსკივაძე, გ. ქოჩიაშვილი, გ. კობერიძე, ვ. კვახაჯელიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 11-16. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საშარდე გზების მორეციდივე ინფექციების მკურნალობის და პროფილაქტიკისათვის აქტერიული ვაქცინა SolcoUrovac®-ის ეფექტურობის შეფასება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სტანდარტული ანტიბაქტერიული პრეპარატებით მკურნალობის კომბინაციაში. ღია კვლევაში ჩართული იყო 115 პაციენტი (საკონტროლო ჯგუფის 65 პაციენტი; საკვლევი ჯგუფის 50 პაციენტი - 32 მამაკაცი, 18 არაორსული ქალი; საშუალო ასაკი - ±32,5 წელი). კვლევაში ჩართული ყველა ქალი იყო საკვლევი ჯგუფის წევრი პაციენტი-მამაკაცის სქესობრივი პარტნიორი. ყველა პაციენტს აღენიშნებოდა სგი-ს ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის ანამნეზი და ჩატარებული ჰქონდა სტანდარტული მკურნალობის შესაბამისი კურსი. საკვლევი ჯგუფის პაციენტებს, სტანდარტულ ანტიბაქტერიულ მკურნალობასთან ერთად, ჩაუტარდა ვაქცინაცია SolcoUrovac®-ით. ქალებს ჩაუტარდა მხოლოდ ვაქცინაცია SolcoUrovac®-ით. აქტერიოლოგიური ანალიზის მიხედვით, შემთხვევათა 62%-ში ინფექციის გამომწვევს წარმოადგენდა *Escherichia coli*, ხოლო 38%-ში - *Morganella morganii*, *Proteus*

mirabilis, *Klebsiella pneumoniae*, *Enterococcus faecalis*. საკონტროლო ჯგუფის პაციენტები იღებდნენ შესაბამის ანტიბაქტერიულ პრეპარატებს SolcoUrovac®-ით ვაქცინაციის გარეშე. კვლევის შედეგები სარწმუნოდ ადასტურებს მკურნალობის კომპლექსში SolcoUrovac®-ის ჩართვის ეფექტურობას სგი-ის კლინიკური ნიშნების გაუმჯობესების და რეციდივებისგან თავისუფალი პერიოდის გახანგრძლივების თვალსაზრისით, რაც ავტორებს შესაძლებლობას აძლევს რეკომენდაცია გაუწიონ SolcoUrovac®-ის ჩართვას ურولოგიური ინფექციების მკურნალობის ეროვნულ გაიდლაინში. ცხრ. 4, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.1.10. IL-8 (A-251T) გენის პოლიმორფიზმი მწვავე პანკრეატიტით პაციენტებში. /ვ. ჩანცევი, ვ. ლეონოვი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 35-38. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლეულია პოლიმორფული IL-8 (A-251T) გენი მწვავე პანკრეტიტით 100 პაციენტში, რომლებიც იმყოფებოდნენ სტაციონარულ მკურნალობაზე სუმის კლინიკურ #5 საავადმყოფოში. ციტოკინური გენის ალელური ვარიანტის სიხშირის ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ დომინირებულ ვარიანტს წარმოადგენს ჰეტეროზიგოტები ძირითადი ალელებით (გენოტიპი A/T), რომლებიც აღმოჩნდა 47 (47,0%) შემთხვევაში მწვავე პანკრეატიტის შემთხვევაში. ალელი T/T განისაზღვრა 37%-ში, ალელი A/A - 16%-ში, რაც შეესაბამება ალელის გავრცელებას უკრაინულ პოპულაციაში (საკონტროლო ჯგუფი). დადგენილია ($p<0,05$) მომატებული 73,3% ჰეტეროზიგოტური ალელის მატარებლების რაოდენობის სწრაფი მატება (73,3%) (გენოტიპი A/T) მწვავე დესტრუქციული პანკრეატიტით არანაოპერაციებ პაციენტებში ამ გენოტიპის შეშუპებითი ფორმით მწვავე პანკრეატიტის შემთხვევაში (42,2%) და საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან (46%) შედარებით, რაც სავარაუდოდ, მიუთითებს A/T გენოტიპის კავშირზე კუჭქვეშა ჯირკვლის დესტრუქციასთან. ცხრ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.1.11. ზოგიერთი გენეტიკური ფაქტორის ასოციაცია ფილტვის ტუბერკულოზთან ქართულ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ ჯგუფებში. /რ. ხუხუნაიშვილი, ს. ცქვიტინიძე, მ. ნაგერვაძე, ლ. ახვლედიანი, მ. ქორიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 45-49. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფილტვის ტუბერკულოზის შესაძლო ასოციაციის გამოვლენა ერთ-ერთი გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშნის - სისხლის ერით-როციტური ჯგუფური ანტიგენების, განმსაზღვრელ ალელებთან (ABO (r, p, q), Rh (D+), Rh (D-) და MN (p, q)) ქართულ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ ჯგუფებში. კვლევის მასალა დამუშავებული იქნა იმუნო-სეროლოგიური მეთოდებით უნივერსალური მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით; მიღებული შედეგები დამუშავდა იოსტატისტიკური ანალიზის მეთოდებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა ფილტვის ტუბერკულოზის განსხვავებული კორელაცია ერითროციტული ჯგუფური სისტემების განმსაზღვრელ ალელებთან ქართულ და აზერბაიჯანულ ეთნიკურ ჯგუფებში. კერძოდ, ქართულ ეთნიკურ ჯგუფში დაფიქსირდა დაავადების ABO (r, p), Rh- (D+) და MN (p) ალელებთან კორელაცია, ხოლო აზერბაიჯანულ ეთნო ჯგუფში ტუბერკულოზი კორელირებს ABO (q), Rh- (D-) და MN (p) ალელებთან. ცხრ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.1.12. V. parahaemolyticus-ის მიმართ სპეციფიკური აქტერიოფაგების გამოყენება V. parahaemolyticus-ით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის. /ა. ცხვედიანი, თ. ხუხუნაშვილი, თ. ელიაშვილი, გ. ცერცვაძე, ნ. გაჩეჩილაძე, მ. თედიაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 82-88. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

Vibrio parahaemolyticus ჰალოფილური ვიბრიონია, რომელიც ხშირად იწვევს გასტროენტერიტებს. ინფექციის წყაროს წარმოადგენს უმი ან ცუდად დამუშავებული ზღვის პროდუქტები ან დაბინძურებული წყალი. 2006-2008 წლებში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ შავი ზღვის სანაპირო ზონის თბილი და სუბტროპიკული კლიმატი და ზღვის წყლის საშუალო მარილიანობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის Vibrio parahaemolyticus-ის ზრდისა და გავრცელებისთვის. V. parahaemolyticus-ით გამოწვეული ინფექციების სამკურნალოდ, ჩვეულებრივ, ანტიბიოტიკები გამოიყენება. თუმცა, ანტიბიოტიკორეზისტენტობის ზრდასთან ერთად, დღითიდღე აქტუალური ხდება კვლევები ალტერნატიული, ინფექციის საწინააღმდეგო იოლოგიური საშუალებების, მათ შორის - აქტერიოფაგების ძიების მიმართულებით. წარმოდგენილი კვლევის მიზანი იყო V. parahaemolyticus-ის მიმართ სპეციფიკური აქტერიოფაგების შესწავლა მათი გამოყენებისთვის V. parahaemolyticus-ით გამოწვეული საკვების და წყლისმიერი გასტროენტერიტების სამკურნალოდ. წყლიანი გარემოდან გამოყოფილ იქნა V.

parahaemolyticus-ის მიმართ სპეციფიკური 69 აქტერიოფაგი. შერჩეული 5 ფაგი დახასიათდა ვირიონის მორფოლოგიის, ლიზისური მოქმედების სპექტრის, ტემპერატურასა და pH-ზე დამოკიდებულების გათვალისწინებით. შესწავლილ იქნა, აგრეთვე, მათი სტაბილობა სხვადასხვა არეში და მგრძნობელობა ზოგიერთი პროტეოლიზური ფერმენტის მიმართ. მიღებული შედეგები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აქტერიოფაგები შეიძლება გამოყენებულ იქნას V. parahaemolyticus–თან ასოცირებული ინფექციების საწინააღმდეგო თერაპიული მნიშვნელობის მქონე ფაგური კოქტეილის მოსამზადებლად. ცხრ. 3, სურ. 3, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.1.13. ფშნის ეკალის - *Ononis arvensis* L ქიმიური შედგენილობა და მიწისზედა და მიწისქვეშა ვეგეტატიური ორგანოების მიკროსტრუქტურული თავისებურებანი. /მ. სიჭინავა, ქ. მჭედლიძე, მ. ჭურაძე, მ. ალანია, ჯ. ანელი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 88-94. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია საქართველოში გავრცელებული მცენარე ფშნის ეკალის (Ononis arvensis L) ანატომიური შესწავლის შედეგები. ქიმიური ანალიზით დადგენილია მცენარის მიწისზედა ნაწილებში ტრიტერპენული სპირტის α-ონოცერინის და იზოფლავონების არსებობა. გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ოქსიკუმარინები – სკოპოლეტინი და სკოპოლინი. წარმოდგენილ ნაშრომში მორფოლოგიურად დახასიათებულია მთლიანი მცენარე. შესწავლილია მცენარის ფესვის, ყლორტის და ფოთლის ანატომიური აგებულება. ძირითადი მიკროსტრუქტურული ნიშნებიდან შეიძლება გამოიყოს: ფესვში – მრავალშრიანი მფარავი ქსოვილი, აქტიური პერიდერმა, სკლერენქიმური უჯრედები და ცენტრალურ ცილინდრში რადიალურად განლაგებული მერქნის სტრუქტურული ერთეულები და რთული რადიალური სხივები. ყლორტის მიკროსტრუქტურისთვის დამახასიათებელია ინტენსიური შებუსვა. გამოკვეთილია ქერქის პარენქიმასა და ცენტრალურ ცილინდრში სხვადასხვა სახის მექანიკური ქსოვილების განთავსება, მერქნის ლიბრიფორმში სპირალურად და რგოლურ-სპირალურად გარსგასქელებული ჭურჭლები. ყლორტის ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები მიეკუთვნება მწყობრად დაგვირისტებული სახის სწორკედლიანთა კლანს, სადაც ქაოსურადაა განლაგებული ტრისექტურ-იზოციტური აგებულების აგის აპარატი. ფშნის ეკალის ფოთოლი იფაციალურია, მეზოფილი დორზივენტრალური სტრუქტურის, ცენტრალური გამტარი კონა რთული-კოლატერალური აგებულების. ფოთლის ზედა და ქვედა ეპიდერმისის ფუძემდებარე უჯრედები სწორხაზოვანთა კლანის მოხრილკედლიანთა ტიპს მიეკუთვნება, სადაც ქაოსურადაა გაბნეული პარაციტული და ანიზოციტური აგის აპარატი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა Ononis arvensis L-ის სადიაგნოსტიკო ნიშნები, რომლის დაზუსტება მნიშვნელოვანია კრიტიკული ტაქსონის იდენტიფიცირებისათვის. სურ. 4, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.1.14. სერონეგატიური MUSK-დადებითი მიასთენიის კლინიკურ-ელექტრონეირომიოგრაფიული და იმუნოლოგიური ასპექტები. /ნ. კვირკველია, რ. შაქარიშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 42-47. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მიასთენია ავტოიმუნური არაერთგვაროვანი დაავადებაა, რომლის ეტიოლოგიას საფუძვლად უდევს პერიფერიული ნეირომოტორული აპარატის სხვადასხვა ანტიგენური სამიზნისკენ მიმართული ანტიგენების წარმოქმნით განპირობებული ავტოაგრესია. მიასთენიით დაავადებულთა 80%-ის სისხლის შრატში ვლინდება ანტისხეულები პოსტსინაფსური აცეტილქოლინორეცეპტორების მიმართ. ასევე გამოვლენილია ანტისხეულები ტიტინის, სარკოპლაზმური რეტიკულუმის რიანოდინის რეცეპტორებისა და კალიუმის არხების მიმართ. მიასთენიის შემთხვევათა 10-15%-ში არ არის ნანახი ანტისხეულები აცეტილქოლინორეცეპტორების მიმართ - სერონეგატიური მიასთენია. სერონეგატიური მიასთენიით ავადმყოფების 35%-ში აღმოჩენილია ანტისხეულები კუნთის სპეციფიკური კინაზის (MUSK) მიმართ. თანამედროვე სამედიცინო მონაცემების მიხედვით, სერონეგატიური მიასთენიით დაავადებული პაციენტები არ ემორჩილებიან მიასთენიის ტრადიციულ პათოგენეზურ ეტაპობრივ მკურნალობას და ძირითადად პასუხობენ იმუნოსუპრესორულ თერაპიას. სერონეგატიური MUSK-დადებითი მიასთენიის დროული და ადეკვატური მკურნალობის სტრატეგიის შემუშავების მიზნით, მიასთენიის ამ ფორმის დიფერენციულ-დიაგნოზური კრიტერიუმების დასადგენად, გაანალიზებულია სერონეგატიური MUSK-დადებითი მიასთენიით დაავადებული 9 პაციენტის კლინიკურ-ელექტრონეირომიოგრაფიული, იმუნოლოგიური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევების შედეგები. გამოკვლევების შედეგების მიხედვით გამოყოფილია MUSK-დადებითი მიასთენიის კლინიკური თავისებურებანი, მაგრამ გამოვლენილი კლინიკური პატერნი არ არის სპეციფიკური სერონეგატიური MUSK-დადებითი მიასთენიისათვის. ანალოგიური ელექტრონეირომიოგრაფიული და ფარმაკოლოგიური მონაცემები აღენიშნებათ

სეროპოზიტიური მიასთენიით დაავადებულებს, რომელთაც MUSK-დადებითი მიასთენიის იდენტური კლინიკური სურათი აღენიშნებათ. შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტისხეულები არ განსაზღვრავს მიასთენიის კლინიკური სურათის თავისებურებას. ამდენად იმუნოლოგიური ტესტებით სერონეგატიური MUSK-დადებითი მიასთენიის გამოვლენას ენიჭება არა მარტო სადიაგნოზო მნიშვნელობა, არამედ ანტისხეულების იდენტიფიცირება განაპირობებს დაავადების პათოგენეზური მკურნალობის ტაქტიკას. ლიტ. 21.

ავტ.

14.3.1.15. აივ/შიდსით ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობა და სიკვდილობასთან ასოცირებული პრედიქტორები მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის ფონზე: პროსპექტული კოჰორტული კვლევის მონაცემები უკრაინაში. /დ. ჟივიცა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 69-74. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სადღეისოდ შედარებით მცირეა ინფორმაცია მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის გავლენის შესახებ აივ-ინფიცირებული პაციენტების გადარჩენაზე უკრაინაში. კვლევის მიზანი იყო აივ-ინფიცირებული პაციენტების სიკვდილობის პრედიქტორების შესწავლა აივ-ინფიცირებულ პაციენტებს შორის, რომლებიც გადიოდნენ მაღალაქტიურ ანტირეტროვირუსულ თერაპიას 2005-5008 წლებში ზაპოროჟიეს შიდსის ცენტრში (უკრაინა). პროსპექტული კოჰორტული კვლევა მოიცავდა აივ-ინფიცირებულ პაციენტებს, რომლებმაც ღებულობდნენ მაღალაქტიურ ანტირეტროვირუსულ თერაპიას 2005 წლის იანვარიდან 2008 წლის დეკემბერამდე. დაკვირვების ხანგრძლივობამ შეადგინა 60 თვე მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის დაწყებიდან. სიკვდილობის პრედიქტორის გამოსავლენად გამოყენებულ იქნა უნივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზის მეთოდი კაპლან-მეიერის მრუდის გამოყენებით. რისკის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა კოქსის პროპორციული მოდელი. კვლევაში ჩართული იყო 272 აივ/შიდსით ავადმყოფი (საშუალო ასაკი 34 წელი, 42% ქალი, მედიანა CD4 120 ცელლ/μL). მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპიის დაწყებიდან 60 თვის შემდეგ ლეტალური გამოსავალი დაფიქსირდა 36 შემთხვევაში. გადარჩენის მაჩვენებელმა შეადგინა 87%. უნივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სიკვდილობის მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო მამრობითი სქესი (HR 6,28; 95% CI 2,22-17,78), აივ ინფიცირების პარენტერალური გზა (HR 2,90; 95% CI 1,32-6,36), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კლასიფიკაციით აივ/შიდსის IV კლინიკური სტადია (HR 3,45 95% CI 1,7-7,0). სიკვდილობა ასევე ასოცირდებოდა ანემიასთან (HR 2,24 95% CI 1,02-4,92) და HBsAg სეროპოზიტიურობასთან (HR 6,26 95% CI 3,01-13,02). მულტივარიაციული ანალიზის შედეგებმა გამოავლინა, რომ სიკვდილობასთან ასოცირებულ დამოუკიდებელ ფაქტორს წარმოადგენდა (ჯანმო-ს კლასიფიკაციით) აივ/შიდსის IV კლინიკური სტადია (HR 2,66 95% CI 1,26-5,58) და HBsAg სეროპოზიტიურობა (HR 4,35 95% CI 2,05-9,23). მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია მნიშვნელოვნად ზრდის აივ-ინფიცირებული პაციენტების გადარჩენის ალბათობას და ამცირებს სიკვდილის რისკს. ცხრ. 2, ლიტ. 21.

ავტ.

14.3.1.16. აზოტის ოქსიდის როლი ფსორიაზის პათოგენეზში. /მ. მათოშვილი, ა. კაციტაძე, თ. სანიკიძე, დ. თოფურია, ა. რიკეტა, ს. დ'ეპირო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 61-64. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აზოტის რეაქტიული ნაერთების როლის შეფასება ფსორიაზის პათოგენეზში. კვლევაში მონაწილეობდა 187 პირი: 84 ფსორიაზით დაავადებული პაციენტი და 103 ჯანმრთელი სუბიექტი. ფსორიაზის მქონე პაციენტების ჯგუფებად დაყოფა ხდებოდა ფსორიაზის ფართობისა და სიმძიმის განსაზღვრელი საერთაშრისო ინდექსის PASI-ს მიხედვით. პაციენტების სისხლში განისაზღვრა თავისუფალი აზოტის ჟანგის (NO) შემცველობა ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მეთოდით NO-ს ხაფანგის ნატრიუმის დიეთილდითიოკარბომატის (DETC) (შიგმა) გამოყენებით. ფსორიაზით დაავადებული პაციენტების სისხლში გამოვლინდა ნიტროზილებული ჰემოგლობინის (HbNO) კომპლექსები, სპინ-მონიშნული თავისუფალი NO-ს ეპრ-სიგნალის ინტენსივობის დაქვეითება. თავისუფალი NO-ს შემცველობა სისხლში მცირდებოდა ფსორიაზის დამძიმებასთან ერთად, განპირობებულია ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციით NO-ს აზოტის რეაქციულ ნაერთებად ოქსიდაციური ტრანსფორმაციის შედეგად. შესაძლოა, პაციენტების სისხლში თავისუფალი აზოტის ოქსიდის შემცველობის დაქვეითება იწვევს კაპილარების ვაზომოტორული აქტივობის დარღვევას, კანის ქსოვილებთან სისხლის მიწოდების მოშლას, რაც, თავის მხრივ, ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციას, იმუნური ალანსის დარღვევას, კანის ინფექციის გავრცელებას და ფსორიაზის

გამწვავებას შეუწყობს ხელს. ავტორებს მიაჩნიათ, რომ NO-შემცველი კრემების გამოყენება სისხლის მიმოქცევის აღდგენას და დაავადების რემისიას შეუწყობს ხელს. ცხრ. 1, ლიტ. 16.

ავტ.

14.3.1.17. წამლებისადმი მდგრადი ტუბერკულოზით ავადმყოფების სხვადასხვა მწარმოებლების ქიმიოპრეპარატებით მკურნალობის შედეგები. /ნ. ტაბრიზი, . ოსპანოვა, ჟ. ნურტაზინა, ჟ. მუტაიხან, კ. თაბრიზი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 64-70. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატია ეძღვნება წამლებისადმი მდგრადი ტუბერკულოზით ავადმყოფების სხვადასხვა მწარმოებლების ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მეორე რიგის პრეპარატებით მკურნალობის ეფექტიანობის შესწავლას. მეორე რიგის პრეპარატებით მკურნალობის ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოკვლეულია პაციენტების 2 ჯგუფი: I ჯგუფი - 164 ავადმყოფი, რომლებიც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატებს ღებულობდნენ გლობალური ფონდიდან და II ჯგუფი - 174 ავადმყოფი, რომლებიც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო პრეპარატებს ღებულობდნენ რესპუბლიკური პროგრამით. შედარებითმა შეფასებამ აჩვენა გლობალური ფონდიდან ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მეორე რიგის პრეპარატების მაღალი ეფექტურობა, რაზეც მოწმობს მოკლე ვადებში ამ ჯგუფის პაციენტებში აბაცილირების მაღალი დონე - 95,8%. ცხრ. 6, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.1.18. იმუნომოდულატორების როლი თანამედროვე კარდიოლოგიაში და მათი გამოყენების შესაძლებლობანი ავშვთა და მოზარდთა ასაკში. /გ. ჩახუნაშვილი, ნ. ჯობავა/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 11-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

იმუნური რეაქტიულობის მუდმივი ადაპტაციური ცვლილება წარმოადგენს ცვლად გარესამყაროში ორგანიზმის სიცოცხლის უნარიანობის ძირითად საფუძველს. დასაბუთებულია იმუნომოდულატორების როლი თანამედროვე კარდიოლოგიაში და მათი გამოყენების შესაძლებლობანი ავშვთა და მოზარდთა ასაკში, რომელიც პრევენციული ავშვთა კარდიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ცხრ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.1.19. არასრული ოსტეოგენეზი. /მ. ჭალისური, მ. ჭიპაშვილი/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 77. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ოსტეოგენეზი შემაერთებელი ქსოვილის მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომლის კლინიკურ სურათში წამყვანია ხშირი მოტეხილობა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დეფორმაციები და ფუნქციური შეზღუდვები. მოცემულია კლინიცისტებისათვის და არა მარტო მათთვის საჭირო და გასათვალისწინებელი მონაცემები. ლიტ. 1.

ავტ.

14.3.1.20. იოლოგიური სითხეებიდან დეზომორფინის იზოლირების მეთოდების შემუშავება. /ლ. ადეიშვილი-ანდღულაძე, მ. ჯოხაძე, რ. მახარაძე, თ. კირვალიძე, ქ. უხნიკაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 7-9. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

იოლოგიური სითხეებიდან (შარდი, სისხლი) დეზომორფინის სითხის - სითხური ექსტრაქციის პირობების შერჩევის მიზნით შესწავლილ იქნა იზოლირების ხარისხზე მოქმედი ფაქტორები: გამხსნელთა სისტემები, ორგანული გამსხნელების თანაფარდობები, pH, ექსტრაქციის ჯერადობა. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ იოლოგიური სითხეებიდან დეზომორფინის ოპტიმალური იზოლირებისათვის საჭიროა გამხსნელთა სისტემა ქლოროფორმი – იზოპროპონოლის (9 : 1) ნარევი pH = 9, ექსტრაქციის ჯერადობა – 3. მყარფაზური ექსტრაქციის დროს გამოყენებული იყო ვაკუუმ-ექსტრაქტორი, რომელიც შევსებული იყო სილიკაგელ C-18-ით (მყარი ფაზა), ხოლო გამხსნელი ფაზა – დიქლორმეთანის-იზოპროპანოლისამონიუმის ჰიდროქსიდის 25% ხსნარის (72 : 20 : 2) ნარევი. ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.1.21. აპენდიქსის გარეთა ტრანსჰეპატური ფისტულის იშვიათი შემთხვევა. /ლ. ახმეტელი, ლ. საგინაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 18-19. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმოდგენილია აპენდიქსის გარეთა ტრანსჰეპატური ფისტულის იშვიათი შემთხვევა, რომლის საბოლოო დიაგნოზის დასმა მხოლოდ ინტრაოპერაციულად მოხერხდა. 34 წლის მამაკაცმა მომართა კლინიკას ღვიძლის აბსცესის დრენირებიდან 4 თვის შემდეგ, როდესაც აბსცესის ღრუს ლიკვიდაციის

მიუხედავად დრენაჟიდან მუდმივად აღინიშნებოდა მყაყე გამონადენი. ფისტულოგრაფიით დრენაჟიდან შეყვანილი საკონტრასტო ნივთიერება გავრცელდა მსხვილ ნაწლავში, თუმცა, კოლონოსკოპიით ფისტულის შიგნითა ხვრელი ვერ ინახა. ოპერაციის დროს აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პათოლოგიის მიზეზს წარმოადგენდა დაშლილი აპენდიქსი, რომელიც მიხორცებული იყო ღვიძლის ქვედა ზედაპირზე. აღნიშნული შემთხვევის გაანალიზების შემდეგ ცხადი გახდა, რომ თავდაპირველად საქმე ეხებოდა ატიპიური მდებარეობის მქონე აპენდიციტს, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა აპენდიკულური ინფილტრატი, რომელიც აბსცედირების შემდეგად გაიხსნა ღვიძლში. ღვიძლის აბსცესის დრენირების შემდეგ კი ჩამოყალიბდა აპენდიქსის ტრანსჰეპატური ფისტულა. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.1.22. ნიტრატების მიმართ ტოლერანტობის ახალი ასპექტები. /ნ. გონგაძე, ნ. გორგასლიძე, თ. მახარაძე, მ. მირზიაშვილი, დ. აბულაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 43-44. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ოლო წლებში ნიტრატების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ აღსანიშნავია მათ ხანგრძლივ ხმარებასთან ასოცირებული ტოლერანტობისა და ენდოთელიუმის დისფუნქციის განვითარება, რაც გულისხმობს ამ ჯგუფის საშუალებების ანტიიშემიური და ვაზოდილატაციური ეფექტის დაქვეითებას. ავტორთა ნაწილი მიუთითებს ტოლერანტობის პერიოდში ნიტრატების ანტიაგრეგაციული ეფექტისა და ვაზოდილატაციური პროსტაგლანდინების - პროსტაციკლინის ლიბერაციის უნარის დაქვეითებაზე, მაშინ, როდესაც სხვა მკვლევართა მონაცემებით ნიტრატები ჰემოდინამიკური მაჩვენებლების ცვლილების გარეშეც ავლენენ კარდიოპროტექტულ მოქმედებას. ნიტრატების მიმართ ტოლერანტობის ფორმირება მოიცავს: პლაზმური რენინის აქტივობისა და ანგიოტენზინი-II-ის დონის მომატებას, ვაზოპრესინის, ალდოსტერონისა და კატექოლამინების პროდუქციის სტიმულირებას. დადგენილ იქნა, რომ ნიტრატებით განპირობებული ტოლერანტობის პირობებში სისხლძარღვოვან სისტემაში ადგილი აქვს სუპეროქსიდისადა პეროქსინიტრიტის წარმოქმნას ისევე, როგორც PGF_2 და TXA_2 ჭარბ პროდუქციას, რაც ჟანგბადის რეაქტიული ნაერთების დაგროვებასთან ერთად, ხელს უწყობს ნიტრატებით ინიცირებული ვასკულური ტოლერანტობის განვითარებას. ნიტრატების ვაზოდილატაციურ ეფექტში ციკლური გუანოზინმონოფოსფატისა და აზოტის ოქსიდის პროდუქციის გარდა, მონაწილეობას იღებს კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის გამოყოფა, რომელიც მკვეთრად ქვეითდება ნიტრატებთან ასოცირებული ტოლერანტობის პერიოდში. ამასთან ერთად, უკანასკნელ ხანს, ნიტრატების მიმართ განვითარებული დესენსიტიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ატფ მგრძნობიარე კალიუმის არხების ინჰიბირებას და ამ პროცესთან დაკავშირებული ნიტრატების ანტიიშემიური ეფექტის ნიველირებას. ლიტ. 14.

ავტ.

14.3.1.23. პროგესტერონი - Jurkat უჯრედების იმუნური პასუხის რეგულატორი. /ა. გოხელაშვილი, ლ. ჯაში, ნ. გოგებაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ნ. ინწკირველი, თ. სანიკიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 44-46. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

პროგესტერონი ორსულობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ჰორმონია. ფიზიოლოგიური ორსულობის დროს სისხლში პროგესტერონის დონე 4-6-ჯერ მაღალია, ვიდრე არაორსული ქალების სისხლში. კვლევის მიზანს შეადგენდა T ლიმფოციტების იმუნური პასუხის რეგულაციაში პროგესტერონის როლის შესწავლა. დადგენილია, რომ PHA – აქტივირებულ Jurkat უჯრედებში ძლიერდება IL-2-ის და მცირდება IL-10-ის სეკრეციის ინტენსივობა. პროგესტერონის ზემოქმედებით ინტაქტურ Jurkat უჯრედებში IL-2-ის და IL-10-ის ექსპრესიის ინტენსივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლებოდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით. PHA – აქტივირებული Jurkat უჯრედების პროგესტერონთან ერთობლივი ინკუბაციის დროს IL-2-ის ექსპრესიის ინტენსივობა მცირდებოდა, ხოლო IL-10-ის ექსპრესიის ინტენსივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლებოდა საწყის მაჩვენებლებთან შედარებით. დადგინდა, რომ პროგესტერონის ზემოქმედებით ინტაქტურ Jurkat უჯრედებში ციტოკინების Th1/Th2 ალანსი არ იცვლება, ხოლო PHA – აქტივირებულ Jurkat უჯრედებში იხრება ციტოპროტექტორულისკენ (IL- 2/IL-10 შეფარდება მცირდება 2,56-დან 1,53-მდე). ჩვენი კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ პროგესტერონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დედის ორგანიზმში ნაყოფის მიმართ იმუნოტოლერანტობის განვითარებისა და ორსულობის შენარჩუნების პროცესში. ცხრ. 1, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.1.24. ეშუმის თიხის შესწავლა რბილ წამალთფორმებში დამხმარე ნივთიერებად გამოყენების მიზნით. /ნ. გუმბერიძე, ა. გაფრინდაშვილი, თ. მასიუკოვიჩი, ნ. ალავიძე, ა. აკურიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 46-48. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს შეადგენდა ეშუმის თიხის შესწავლა რბილ წამალთფორმებში დამხმარე ნივთიერებად გამოყენების მიზნით. ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ეშუმის თიხა დიდი რაოდენობით შეიცავს გოგირდს და თუთიას, რომლებიც წარმოადგენენ იოლოგიურად ღირებულ კომპონენტებს კანის სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის დროს; ეშუმის თიხას გააჩნია ოპტიმალური ფიზიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები და შესაძლებელია მისი რბილ წამალთფორმებში დამხმარე ნივთიერებად – ფუძედ გამოყენება; ეშუმის თიხაზე დამზადებული თეიმუროვის პასტა აკმაყოფილებს ფარმაკოპეის სტატიით მასზე წაყენებულ მოთხოვნებს; შედარებით ასპექტში იოფარმაცევტული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ეშუმის თიხაზე დამზადებული თეიმუროვის პასტა ხანმოკლე დროში უფრო დიდი რაოდენობით ათავისუფლებს იოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ვიდრე ასკანის თიხაზე დამზადებული. ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.1.25. ცერებრული ინსულტით დაავადებულთა მართვის თავისებურება და გამოსავალი მულტიპროფილურ სტაციონარებში. /ი. ვერულაშვილი, დ. კაკაბაძე, მ. აქუბარდია/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 59-61. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საუნივერსიტეტო კლინიკის ინსულტის ცენტრში (158 პაციენტი; საშუალო ასაკი – 56.3±7.5) და შპს გადაუდებელი ნევროლოგიის კლინიკაში (169 პაციენტი; საშუალო ასაკი – 53.83±6.1) შესწავლილ იქნა 2010-2011 წლების პერიოდში ინსულტით გამოწვეულ დარღვეულ ფუნქციათა და დაავადების გამოსავალის დინამიკა. მოპოვებული მასალების ანალიზმა ცხადყო, რომ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარებას ინსულტის ცენტრის პირობებში აშკარა უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ, სტანდარტულ ნევროლოგიურ განყოფილებაში ჩატარებულ თერაპიასთან შედარებით. ნევროლოგიური დეფიციტის, მეტყველების მოშლისა და თვითმომსახურების უნარის დაქვეითების მაჩვენებლები ჭარბობდა პირველი ჯგუფის პაციენტებში, მეორე ჯგუფთან შედარებით (შესაბამისად 76% და 28%). ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შემდგომი წარმატებები ცერებრული ინსულტის მკურნალობის საქმეში დამოკიდებულია მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვაზე მულტიდისციპლინარული კლინიკების სპეციალიზებული ინსულტის ცენტრებში. ლიტ. 4.

ავტ.

14.3.1.26. კაროლის დაავადება – იშვიათი ქირურგიული პათოლოგია. /გ. თომაძე, მ. მიზანდარი, ა. მეგრელაძე, გ. აზმაიფარაშვილი, გ. დანელია/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 72-75. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კაროლის დაავადება არის იშვიათი, თანდაყოლილი პათოლოგია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ინტრაჰეპატური სანაღვლე გზების გაგანიერებას და რომელიც საშუალოდ მილიონიდან ერთ ადამიანში ვლინდება. დაავადების კლინიკური გამოვლინებებია: ნაღვლის შეგუბება, აქტერიული ქოლანგიტის რეციდივები, ქოლელითიაზი, პორტული ჰიპერტენზია, ჰეპატოსპლენომეგალია, სისხლდენა საყლაპავის ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან. ხშირი ქოლანგიტის შემთხვევები იწვევს სეპტიცემიას და ღვიძლში აბსცესების ჩამოყალიბებას. ლაბორატორიულიკვლევებიდან დამახასიათებელია: ALT-ს, AST-ს ილირუბინის მომატება. ქოლანგიტის დროს სახეზეა ლეიკოციტოზი. მკურნალობა ძირითადად სიმპტომურია: ურსოდიოლი - ამცირებს ქოლელითიაზთან დაკავშირებულ ჩივილებს. ანტიბიოტიკებს ვრთავთ ქოლანგიტის შემთხვევაში. ღვიძლის ლოკალური დაზიანებისას კეთდება სეგმენტური რეზექცია, ხოლო დიფუზური დაზიანებისას - ღვიძლის ტრანსპლანტაცია. ენდოსკოპიური მკურნალობა უხშირესად გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს პაციენტის მომზადება ღვიძლის ტრანსპლანტაციისთვის ან ჩატარდეს დიაგნოსტიკური და სხვა მინიინვაზიური უნების სამკურნალო ჩარევა. სტატიის მიზანია წარმოვადგინოთ კაროლის დაავადების საკუთარი კლინიკური შემთხვევა, როცა გამოყენებული იქნა დიაგნოსტიკის თანამედროვე არაინვაზიური და მკურნალობის მინიინვაზიური მეთოდები. პაციენტი მამაკაცი, ა.ე., 67 წლის, შემოვიდა კლინიკაში როგორც სასწრაფო შემთხვევა ჩივილებით ტკივილზე მარჯვენა ფერდქვეშა და ეპიგასტრიუმის არეში, რომელიც დაეწყო კლინიკაში შემოსვლამდე 10 დღით ადრე; თავდაპირველად ტკივილი იყო ყრუ ხასიათის, შემდგომ მისმა ინტენსივობამ იმატა, თან დაერთო სიყვითლე, გამუქდა შარდი, გამოჩნდა აქოლიური განავალი. ლაბორატორიული გამოკვლევებიდან საყურადღებო იყო: ALT>500, AST>500, საერთო ილირუბინი 140. ექოლოგიურად ღვიძლში ისახებოდა მრავლობითი სხვადასხვა ზომის კისტოვანი ჩანართები. ეჭვი იქნა

მიტანილი ექინოკოკურ კისტებზე, რაც გამოირიცხა სეროლოგიით. კომპიუტერული ტომოგრაფიით ეჭვი იქნა მიტანილი კაროლის დაავადებაზე, რაც დადასტურდა მაგნიტურ-რეზონანსული ქოლანგიო პანკრეატოგრაფიით. პაციენტს ჩაუტარდა ღვიძლის ცისტური წარმონაქმნების პერკუტანული ტრანსჰეპატური დრენირება, რითაც მისი ზოგადი მდგომარეობა სტაბილური გახდა, თუმცა განავალი რჩებოდა აქოლიური, რაც განპირობებული იყო სადინრებში არსებული „საგოზავისმაგვარი" მასის კონგლომერატებით და ნაღვლის საერთო სადინრის შუა მესამედში არსებული სტრიქტურით. ჩატარდა სტრიქტურის დილატაცია ალონ დილატატორის საშუალებით, რის შემდეგაც მოხერხდა ქოლედოქუსის გამავლობის აღდგენა. წარმოდგენილი შემთხვევა საინტერესოა მისი იშვიათობიდან გამომდინარე. ნაჩვენებია თანამედროვე არაინვაზიური დიაგნოსტიკისა და მცირეინვაზიური სამკურნალო ჩარევების გამოყენების საფუძველზე, მისი დიაგნოსტიკისა და პალიატური მკურნალობის შესაძლებლობა. სურ. 3, ლიტ. 29.

ავტ.

14.3.1.27. საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმის რეაქცია რეპროდუქციული ასაკის ქალებში ჰიპოთირეოზის ფონზე. /ზ. თოფურია, მ. ერუჩაშვილი, ლ. გოგიაშვილი, ზ. ცაგარელი, მ. დგებუაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 75-77. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა რეპროდუქციული ასაკის ქალების საშვილოსნოს ყელის ლორწოვანის მორფოლოგური შესწავლა ჰიპოთირეოზის დროს. კლინიკურად ვერიფიცირებული 1524 შემთხვევიდან 538 პაციენტში გამოვლინდა ენდოცერვიქსის პათოლოგიის სხვადასხვა ვარიანტი, რამაც შეადგინა 2 ძირითადი გამოსაკვლევი ჯგუფი: I – (n=259) კოლოიდური ჩიყვის დიაგნოზით ოპერირებული პაციენტები, რომლებიც ღებულობდნენ L-თიროქსინს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, II (n =279) – იგივე დიაგნოზის მქონე პაციენტები, რომლებიც არ მკურნალობდნენ ჩანაცვლებითი თერაპიით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში. მორფოლოგიურად შესწავლილია სამკურნალო-დიაგნოსტიკური მიზნით მიღებული საშვილოსნოს ყელის გამონაფხეკი, ასევე, ამოკვეთილი ფარისებრი ჯირკვლის პარალელური ნიმუშები, შეღებილი ჰემატოქსილინით და ეოზინით და პიკროფუქსინით ვან გიზონის მეთოდით. L-თიროქსინით ნამკურნალებ პაციენტებში გამოვლენილია საშვილოსნოს ყელის რეაქციის სხვადასხვა მორფოლოგიური ვარიანტები მარტივი ჰიპერპლაზიიდან ადენომიოზამდე ეპითელიუმის სტრატიფიკაციით, ასევე სკლეროზის და ატროფიის ტენდენციით პაციენტთა ჯგუფში ჰორმონოთერაპიის გარეშე. ყველა შესადარებელ შემთხვევაში გამოვლინდა სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა (0,00003). საშვილოსნოს ყელის ცვლილებები, ჩვენი აზრით, აიხსნება ესტროგენებისადმი მგრძნობელობის შემცირებით T3 და T4 დაბალი და TSH მაღალი კონცენტრაციის ფონზე სისხლის პლაზმაში. ენდოცერვიქსის უჯრედთა მოლეკულური ატიპია, სავარაუდოდ, წარმოადგენს ორი ძირითადი ჰორმონული სისტემის ურთიერთმოქმედების შედეგს. ლიტ. 8.

ავტ.

14.3.1.28. ფარმაკოლოგიური დატვირთვის ცდები. /ა. ისაკაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 78-80. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გულის იშემიური დაავადების დიაგნოსტიკისათვის ფიზიკური დატვირთვის ცდის ჩატარებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. მაშინ, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ფიზიკური დატვირთვის ჩატარება ვერ ხერხდება, ატარებენ ცდებს ფარმაკოლოგიური დატვირთვით. დატვირთვა დიპირიდამოლით იწვევს შეუცვლელი კორონარული არტერიების გაფართოებას და ვითარდება კორონართა შორის მოპარვის ფენომენი. დატვირთვა ადენოზინით აფართოებს კორონარებს და ზრდის მის მიერ მომარაგებული სეგმენტების პერფუზიას. სისხლით არათანაბარი მომარაგება პროვოცირებს იშემიას. სინთეტიკური კატექოლამინით დობუტამინით დატვირთვა ასევე პროვოცირებს მიოკარდის იშემიას. პაციენტთა 10-36%-ს, ცდის ჩატარებისას, არითმიები უვითარდებათ. -ადრენორეცეპტორების აგონისტით არბუტამინით დატვირთვისას საჭიროა სპეციალური სისტემის გამოყენება (Gen ESA). ცხრ. 1, ლიტ. 21.

ავტ.

14.3.1.29. ეპიგენეტიკური ფაქტორების როლი და სიმსივნე. /ქ. კანკავა, თ. ტყემალაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 82-87. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

იქიდან გამომდინარე, რომ სიმსივნე მედიცინის აქტუალური და დიდწილად დაუმარცხებელი პრობლემაა, მიმდინარეობს სიმსივნურ პროცესებში ეპიგენეტიკური ფაქტორების როლის აქტიური ანალიზი და ეპიგენეტიკის დახმარებით, სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკისა და მართვის ახალი გზების ძიება. ყველაზე კარგად შესწავლილი ეპიგენეტიკური ფაქტორებია დნმ-მეთილირება და

ჰისტონების მოდიფიკაცია. ამ ფაქტორების ზემოქმედება უკვე იდენტიფიცირებულია ზოგიერთი სიმსივნის ტრიგერად ან აგრესიული ქცევის განმაპირობებელ ფაქტორად. ეპიგენეტიკური ეფექტი, განსხვავებით უშუალოდ დნმ-თანმიმდევრობის ცვლილებისაგან, შექცევადია და, შესაბამისად, ამ ფაქტორებით განპირობებული სიმსივნეებიც უფრო მეტად მართვადი უნდა იყოს. სტატიაში შეჯამებულია სიმსივნურ უჯრედებში აღმოჩენილი ძირითადი ეპიგენეტიკური ფაქტორების უკვე შესწავლილი მექანიზმები, ინტერვენციის საშუალებები და დარგის განვითარების პერსპექტივები. ლიტ. 57.

ავტ.

14.3.1.30. გნოტობიონტების თიმუსის უჯრედული სპეციფიკა ასაკის გათვალისწინებით. /ბ. კოჭლამაზაშვილი, ლ. გოგიაშვილი, ზ. ცაგარელი, ქ. ჯანდიერი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 94-96. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ასაკის გნოტობიონტი და კონვენციური ვირთაგვების თიმუსის ციტოარქიტექტონიკის იმუნომორფოლოგიური შესწავლის კორელაციური ანალიზი. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ანტიგენური დატვირთვის სიმცირის პროპორციულად გნოტობიონტების თიმუსის ლიმფოიდური ქსოვილი, კონტროლთან შედარებით, ნაკლებად მომწიფებულია და განვითარებული. გნოტობიონტი და კონვენციური ვირთაგვების თიმუსის ციტოარქიტექტონიკის ასაკობრივი ცვლილებები კი ძირითადად ერთმიმართული ხასიათისაა (ჯგუფთაშორისი შედარებისას), ანუ ამ ორგანოს ასაკობრივი ცვლილებები დამოკიდებულია არა იმდენად ანტიგენური დატვირთვის (გარემოცვის) დონეზე, რამდენადაც შინაგანი სარეგულაციო მექანიზმების დაპროგრამებულ, გენეტიკურად დეტერმინირებულ ფაქტორებზე. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.1.31. ვერხვის (Populustremula) საფოთლე კვირტების პოლიფენოლური შენაერთების შესწავლა. /ჯ. კუჭუხიძე, მ. ჯოხაძე, თ. მურთაზაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 102-103. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჩატარებულია საქართველოში გავრცელებული ვერხვის (Populustremula) საფოთლე კვირტების პოლიფენოლური შენაერთების შესწავლა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდით (მსქმ). ექსპერიმენტულად დადგენილია ნედლეულის ექსტრაგირებისა და მიღებული ექსტრაქტის მსქმ-ის პირობები, როგორიცაა: გამხსნელთა სისტემა, უძრავი ფაზა, დეტექტირების პირობები ულტრაიისფერ უბანში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევი ობიექტი მდიდარია როგორც ფლავონოიდებით, ასევე ფენოლკარბონმჟავებით. მათი რაოდენობა კვირტებში შეადგენს (მგ/გ): ხრიზინი (8.73), პინოცემბრინი (7.52), პინოსტრობინი (7.38), გალანგინი (4.26), აპიგენინი (3.15), კოფეინის მჟავა (3.72), სალიცილის მჟავა (3.39), ენზოეს მჟავა (3.1), დარიჩინის მჟავა (2.89), ფერულის მჟავა (1.54). ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.1.32. ყანის ნივრის (Allium rotundum L.) მორფოლოგიური და მიკროსტრუქტურული თავისებურებები. /მ. მაისაშვილი, ჯ. კუჭუხიძე, დ. ჭინჭარაძე, ლ. ზარდიაშვილი, ა. ოჟაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 111-113. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილ იქნა მოზარდი ყანის ნივრის (Allium rotundum L.) ფოთლის, ღეროს და ყვავილსაფრის მორფოლოგიური და ანატომიური თავისებურებები. საანალიზო მასალად გამოვიყენეთ როგორც ნედლი, ისე მშრალი ობიექტები. მორფოლოგიური ნიშნები დადგენილია ინოკულარული მიკროსკოპით - MBC, ანატომიური სტრუქტურა - ფოტომასალის დამაფიქსირებელი მიკროსკოპით Bresser Biolux NG. კვლევის შედეგად დადგინდა მცენარის ნედლეულისათვის დამახასიათებელი მორფოლოგიური და ანატომიური ნიშნები, რაც მნიშვნელოვანია სახეობისა და მისი ნედლეულის იდენტიფიკაციისათვის. სურ. 2, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.1.33. ნაწლავთა ჰიპერადჰეზიური მექანიკური გაუვალობის იშვიათი შემთხვევა. /ა. მეგრელაძე, გ. თომაძე, გ. აზმაიფარაშვილი, ა. გვაზავა, მ. გოლეთიანი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 115-117. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაწლავთა მწვავე მექანიკური შეხორცებითი დაავადება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თანამედროვე ქირურგიაში. პრობლემის არსი უფრო გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ, ერთი მხრივ, შეხორცებების გაჩენა მუცლის ღრუში მოსდევს მუცელშიდა, თითქმის ყველა პათოლოგიურ მდგომარეობასა და ოპერაციულ ტრავმას, ხოლო, მეორე მხრივ, შეხორცებების გაჩენას მუცლის ღრუში

ხშირად მივყავართ ისეთი რთული დაავადების ჩამოყალიბებამდე, როგორიცაა ნაწლავთა მწვავე მექანიკური-შეხორცებითი გაუვალობა. აღწერილია შემთხვევა პრაქტიკიდან, რომლის დროს 24 წლის პაციენტს, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის პერფორაციისა და პერიტონიტის გამო ჩაუტარდა ოპერაცია – ულცერორაფია, მუცლის ღრუს სანაცია და დრენირება. სამი თვის შემდეგ ჩამოყალიბდა ნაწლავთა მწვავე მექანიკური-შეხორცებითი გაუვალობა, რის გამოც მას კვლავ დასჭირდა ოპერაცია - ომენტექტომია, სინექიოლიზი – დიდი სირთულეებით. მკურნალობის ჩატარება მოხერხდა დამაკმაყოფილებელი შედეგით, რომლის შედეგად გაკეთებულია დასკვნები: 1. შეხორცებებით გამოწვეულ ნაწლავთა მწვავე გაუვალობების მკურნალობისას არსებობს ჰიპერადჰეზიური პროცესის განვითარების შესაძლებლობა. 2. ოპერაციის მსვლელობისას სინექიოლიზის შესრულება შეუძლებელია, ამიტომ შესაძლო ერთადერთი გზაა გადაბერილი დისტალური მონაკვეთის სტომის სახით გამოტანა. 3. სათანადო, ხანგრძლივი, კონსერვატიული, შეხორცებების საწინააღმდეგო მკურნალობის შემდეგ შესაძლებელი ხდება სინექიოლიზისა და ენტეროსტომის ლიკვიდაცია. ლიტ. 10.

ავტ.

14.3.1.34. მეორე თაობის ზოგიერთი ანტიფსიქოზური საშუალების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეთოდების მიმოხილვა. /კ. სივსივაძე, თ. მურთაზაშვილი, მ. ჯოხაძე, რ. მახარაძე, ნ. იმნაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 128-131. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ფარმაცევტულ აზარს დაემატა მრავალი ახალი ანტიფსიქოზური საშუალება. მათ რიცხვს მიეკუთვნება რისპერიდონი, ოლანზაპინი და კლოზაპინი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ საშუალებების როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო მომხმარებლების რიცხვი, შესაბამისად იმატა ანტიფსიქოზური საშუალებებით გამოწვეულ მოწამვლების რაოდენობამ. რისპერიდონის, ოლანზეპინის და კლოზაპინის ანალიზის მეთოდებზე, პრეპარატებში და იოლოგიურ მასალაში, მრავალი ქვეყნის მეცნიერი მუშაობს, რომელთა კვლევის საგანს წარმოადგენს მოცემული პრეპარატების როგორც ინდივიდუალური, ასევე, ერთდროული განსაზღვრისათვის ანალიზის მეთოდების შემუშავება და ვალიდაცია. მეთოდები მრავალფეროვანია - სპექტრული, ელექტროქიმიური ქრომატოგრაფიული. ანტიფსიქოზურმა პოლიფარმაციამ მყარად დაიმკვიდრა თავი შიზოფრენიის თერაპიაში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროა არსებული მონაცემების სიღრმისეული შესწავლა. სტატია ემსახურება შესაბამისი ინტერესის შექმნას, რათა საქართველოს ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის პრაქტიკაში დაინერგოს თანამედროვე, მგრძნობიარე და აღწარმოებადი ანალიზის მეთოდები. სურ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

14.3.1.35. კარდიოტონური სტეროიდები მარილმგრძნობიარე არტერიული ჰიპერტენზიის დროს საქართველოში. /გ. სიმონია, ი. ანდრონიკაშვილი, ი. ფანცულაია, ნ. ქანთარია, ნ. ასიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 131-133. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ენდოგენური უაბაინის და მარინობუფაგენინის როლის შესწავლა მარილმგძნობიარობის და მარილმგძნობიარე არტერტიული ჰიპერტენზიის განვითარებაში ქართულ პოპულაციაში. კვლევის ამოცანები იყო ნორმოტენზიული და ჰიპერტენზიული პირების ტიპირება მარილმგრძნობიარობის ტესტის საშუალებით, მარილრეზისტენტულ და მარილმგრძნობიარე ნორმოტენზიული პირების სისხლის პლაზმაში ენდოგენური უაბაინის და მარინობუფაგენინის შემცველობის განსაზღვრა მარილის დაბალი და მაღალი შემცველობის დიეტის დროს. მარილმგრძნობიარობა გამოვლენილი იქნა 12 (54,5%) ნორმოტენზიულ პირსა და 32 (64%) არტერიული ჰიპერტენზიით დაავადებულებში. მარილმგრძნობიარე ჰიპერტენზიული პაციენტების ენდოგენური უაბაინის და მარინობუფაგენინის პლაზმური დონე სარწმუნოდ აღემატებოდა მარილრეზისტენტულ პაციენტებში მიღებულ მონაცემებს. ქართველებში მარილმგრძნობიარობის სიხშირე და მარილმგრძნობიარე არტერიული ჰიპერტენზიის გავრცელება დაკავშირებულია ნატრიუმის მაღალ მოხმარებასთან. მარილმგრძნობიარობის და მარილმგრძნობიარე ჰიპერტენზიის განვითარება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მარინობუფაგენინისა და ენდოგენური დიგოქსინის გაძლიერებულ პროდუქციასთან. ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.1.36. თუთია-დეფიციტური მდგომარეობის ასპექტები თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში. /შ. ტუკვაძე, რ. კვერენჩხილაძე, რ. კვანჭახაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 133-134. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან WHO, FAO, მეცნიერებისა და ექსპერტების დახმარებით აქვეყნებენ მონაცემებს სხვადასხვა ქვეყანაში მოხმარებული საკვები პროდუქტების კვებით ღირებულებაზე. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ეკოლოგიური ინდიკატორები, რომლებიც მოსახლეობის კვებითი სტატუსის შესწავლისა და მიკროელემენტების დეფიციტური მდგომარეობის მქონე რისკის ჯგუფების გამოვლენის საშუალებას გვაძლევს. მიკროელემენტ თუთიის მაღალი შემცველობით ხასიათდება, ძირითადად, ხორცპროდუქტები და თევზეული. განვითარებადი ქვეყნები, სადაც კვების რაციონს ძირითადად შეადგენს მცენარეული და, ნაკლებად - ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ მხრივ საუკეთესო მდგომარეობაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კანადასა და აშშ-ში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა მათ სიაში საქართველო ოლოდან მეორე ადგილს იკავებს. საქართველოს მოსახლეობის თითქმის 47,3% თუთიადეფიციტური მდგომარეობის განვითარების რისკის ჯგუფში შედის. სადღეისოდ ჩვენი მოსახლეობისათვის, თუთიის დეფიციტის კორეგირებისათვის უფრო მიზანშეწონილია ისეთი ტრადიციული და ხელმისაწვდომი პროდუქტი, როგორიცაა ქართული ჩაი. მას ის უპირატესობა აქვს, რომ სხვა პროდუქტებთან შედარებით წარმოადგენს ამ კონტიგენტისათვის ყოველდღიური მოხმარების პროდუქტს. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

3.2. კლინიკური მედიცინა

14.3.2.1. ლაზერისა და ზოგიერთი პრეპარატის ზემოქმედების გავლენა აორტის ინტიმაზე და ერითროციტებზე ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის პირობებში. /თ. თავხელიძე/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 13-23. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი იყო აორტაში განვითარებული მორფოლოგიური მოვლენების და ერითროციტების მორფო-ფუნქციური ცვლილებების დინამიკის შესწავლა ექსპერიმენტული ათეროსკლეროზის და მათზე სხვადასხვა საშუალებებით ზემოქმედების პირობებში. ამისათვის გამოყენებულ იქნა პრეპერატები ასპირინი და ტრენტალი, აგრეთვე დაბალინტენსიური ჰელიუმ-ნეონის წითელი ლაზერით სისხლის დასხივება, რომლებსაც ხშირად იყენებენ ერითროციტებზე დადებითი გავლენის მოსახდენად. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც ასპირინმა და ტრენტალმა, უფრო მეტად ჰელიუმ-ნეონის ლაზერით დასხივებამ, განსაკუთრებით კი მათმა კომპლექსურმა გამოყენებამ გამოიწვიეს მდგომარეობის გაუმჯობესება აორტის ინტიმაში. ცხრ. 4, სურ. 5, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.2.2. პანკრეასოდუოდენექტომია კლასიკური ვარიანტით და პილორუსის შენარჩუნებით: ერთი ცენტრის გამოცდილება. /მ.კილაძე, ა. ანთაძე, გ. ჩიქობავა, გ. ხეროდინაშვილი, მ. ჩუბინიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 7-10. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია კუჭუკანა ჯირკვლის და თორმეტგოჯა ნაწლავის ამპულის სიმსივნეების დროს წარმოებული პანკრეასოდუოდენექტომიების გამოცდილება. განხილული 7 შემთხვევიდან 3-ში ჩატარდა უიპპლის ოპერაციის კლასიკური ვარიანტი, 4-ში – მოდიფიცირებული ვარიანტი პილორუსის შენარჩუნებით. 2 შემთხვევაში აღინიშნებოდა ზომიერი პანკრეასული და ილიარული ფისტულა, 1 პაციენტს განუვითარდა ევენტერაცია ოპერაციული ჭრილობის დაჩირქების გამო. ოპერაციული ლეტალობა არ აღინიშნა, ოპერაციისშემდგომი გართულებათა მაჩვენებელმა შეადგინა 42,8%. ავტორები რეკომენდაციას უწევენ პანკრეასიუენოსტომიას „პირი პირში“ სტენტის გამოყენებით და პანკრეასოდუოდენექტომიას პილორუსის შენარჩუნებით როგორც ოპტიმალურ და უპირატეს ოპერაციულ პროცედურას პანკრეასოდუოდენექტომიის დროს. ლიტ. 26.

ავტ.

14.3.2.3. იმუნომოდულატორ პოლიოქსიდონიუმის გამოყენებით მიმდინარე ორთოპედიული მკურნალობის ეფექტურობა II ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში. /ე. მამფორია/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 31-37. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ორთოპედიულ სტომატოლოგიაში გამოსაყენებლად შემოთავაზებულია იმუნომოდულატორი პოლიოქსიდონიუმი, რომლის მეშვეობით ხდება კორექცია და სტაბილიზაცია ადგილობრივი და ზოგადი იმუნიტეტის, რაც კარგად მოქმედებს პირის ღრუს კლინიკო-მორფოლოგიურ სურათზე. პოლიოქსიდონიუმის გამოყენების დროს ორთოპედიული მკურნალობის ეფექტურობა მატულობს.

ავტ.

14.3.2.4. კალციუმის ჰიდროქსიაპატიტი, მის ფუძეზე დამზადებული იოლოგიურად აქტიური რეგენერატები და მათი როლი თერაპიულ სტომატოლოგიაში. /ხ. ტვილდიანი/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 38-43. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დღემდე თერაპიულ სტომატოლოგიაში აქტუალურ პრობლემად და განხილვის საგნად რჩება პერიოდონტიტებისა და პაროდონტიტების ისეთი თანმხლები პრობლემა, როგორიცაა ძვლოვან ქსოვილში პათოლოგიური კერის რეზორბცია და რეზორბირებული უბნების ოსტეოგენეზის სტიმულაცია დროის უმოკლეს ვადებში. ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა, ასევე, შორეული შედეგების ანალიზმა დაგვანახა კალციუმის ჰიდროქსიაპატიტისა და მის ფუძეზე დამზადებული ოსტეოპლასტიური მასალების გამოყენების უპირატესობა ტრადიციულ თერაპიულ მეთოდებთან შედარებით. კვლევებით დგინდება, ასევე, იორეგენერატების გამოყენების ეფექტურობა კბილების პრეპარირებისა და ენდოდონტიური დამუშავების დროს. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.5. პირის ღრუს მიკრობული მახასიათებლები მთლიანი მოსახსნელი პროთეზის შემთხვევაში აკრილისა და პოლიპროპილენის აზისების გამოყენებისას. /მ.ჯერვალიძე, ი. თაბორიძე, ლ. ალადაშვილი/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014 – #1. – გვ. 44-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 45-დან 75 წლამდე ასაკის 55 პაციენტი სტომატოლოგიური კლინიკის - შპს „ლიდერ-დენტის" კონტინგენტიდან, რომელთაც ჩაუტარდათ მთლიანი პროთეზირება პოლიპროპილენის აზისზე დამზადებული პროთეზით. საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა 50 იგივე ასაკის პაციენტი აკრილის აზისზე დამზადებული პროთეზით. მიკრობული კოლონიზაციის დასადგენად შესწავლილ იქნა პაციენტის პროთეზის მიკროფლორა როგორც აკრილის, ისე პოლიპროპილენის ჯგუფებში პროთეზირებიდან ოცდამეათე დღეს. მასალად მიკრობული კვლევისათვის გამოიყენებოდა პროთეზის ანაფხეკი. აკრილის აზისზე პოლიპროპილენის აზისთან შედარებით აღინიშნება მიკრობთა უპირატესი კოლონიზაცია და მაღალია შემდეგი მიკროორგანიზმებით კოლონიზაციის რისკი F. periodonticum (RR=2,25, 95%CI: 1,81-2,80); A.Israelii (RR=2,22, 95%CI: 1,79-2,76); P.gingivalis (RR=2,12, 95%CI: 1,73-2,60); S.salivarius (RR=1,76, 95%CI: 1,19-2,62); S.epidermidis (RR=1,74, 95%CI: 1,20-2,51); lactobacilus SPP (RR=1,57, 95%CI: 1,06-2,30); S.piogenus (RR=1,56, 95%CI: 1,05-2,30). ცხრ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.6. ქვედა ყბის როკისებური მორჩების ტრავმული დაზიანებების ტოპიკური დიაგნოსტიკა და სასახსრე თავების ალოპლასტიკა. /ზ. გვენეტაძე, თ. დანელია, გ. ნემსაძე, გ. გვენეტაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 10-15. – ინგლ.; რეზ: ქართ., ინგლ., რუს.

ქვედა ყბის როკისებური მორჩების მოტეხილობების დიაგნოსტიკაში კლინიკურ სიმპტომატიკასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რენტგენოლოგიურ გამოკვლევას. ტრადიციული რენტგენოგრამა რთულია გაშიფრისათვის, რადგან მას თან ერთვის თავის ქალას მეზობელი ძვლების ჩრდილები. ამ მიზნით ავტორები ფართოდ იყენებენ კომპიუტერულ ტომოგრაფიას. კომპიუტერული ტომოგრაფიის სამგანზობილებიანი გამოსახულება იძლევა ზუსტ წარმოდგენას როკისებური მორჩების მოტეხილობის ლოკალიზაციის, მონატეხი ფრაგმენტების შეცილების, სასახსრე თავის ფოსოდან ამოვარდნისა და გადანაცვლების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს მეთოდი როკისებური მორჩების ძნელად სადიაგნოსტიკო მოტეხილობების შემთხვევებში (თვით სასახსრე თავის და სახსარშიდა მოტეხილობები). ამ ჯგუფის ავადმყოფთა უხშირეს შემთხვევებში ნაჩვენებია ქირურგიული მკურნალობა ართროპლასტიკის მეთოდით. ავტორთა მიერ 5 შემთხვევაში ართროპლასტიკისათვის გამოყენებული იყო ძვლის ცემენტი ტიტანის მინი-ფირფიტებით (ყველა შემთხვევაში - ორმხრივად). ყველა შემთხვევაში კოსმეტიკური და ფუნქციური ეფექტი იყო კარგი (დაკვირვების ხანგრძლივობა 6 თვიდან 2 წლამდე). სურ. 13, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.2.7. პაციენტთა ადრიანი გააქტიურება გულზე ოპერაციის შემდგომ პერიოდში, როგორც კარდიოქირურგიული მკურნალობის ოპტიმალური საშუალება (მიმოხილვა). /მ. ნაჭყეპია, ვ. ახალაძე, ა. კოპალიანი, კ. ესელია, ვ. სიმონიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 15-20. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სადღეისოდ საზღვარგარეთ ფართო აღიარება მოიპოვა კარდიოქირურგიული პაციენტების ადრიანი გააქტიურების ტაქტიკამ, რომლის აუცილებელ კომპონეტს წარმოადგენს პოსტოპერაციული ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის სწრაფი შეწყვეტა და ტრაქეის ექსტუბაცია, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ყოფნის ვადის შემცირება ერთ დღემდე და სტაციონარიდან გაწერა 5 დღემდე ვადაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ჰოსპიტალიზაციის ვადას და მკურნალობის ხარჯებს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ანესთეზიის მეთოდების ანალიზი, რომლებიც უზრუნველყოფენ კარდიოქირურგიული ჩარევის შემდეგ ადრიან ექსტუბაციას და გააქტიურებას. გაანალიზებულია ანესთეზიოლოგიური საშუალებების პროტოკოლები და ოპერაციის შემდგომი პერიოდის მიმდინარეობა 270 პაციენტის შემთხვევაში. დადგენილია, რომ გამოყენებული ანესთეზიის მეთოდები უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას ოპერაციული სტრესიდან, ოპერაციის შემდგომ პერიოდის ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ვადის შემცირების, პაციენტების ადრიან გააქტიურებას უსაფრთხოების სრული დაცვით. დადგენილია, რომ გამოყენებული პრეპარატები არ ახდენს პრინციპულ გავლენას ოპერაციისშემდგომ გააქტიურების ტემპზე. შესრულებული სამუშაო ადასტურებს გულზე პოსტოპერაციულ პერიოდში პაციენტების ადრიანი გააქტიურების ტაქტიკის ფართოდ შემოღების მიზანშეწონილობას. ავტორები რეკომენდაციას უწევენ აღნიშნულ მეთოდს, როგორც კარდიოქირურგიული მკურნალობის ოპტიმალურ საშუალებას. ცხრ. 2, ლიტ. 28.

ავტ.

14.3.2.8. აუტოიმუნური მექანიზმები I ტიპის კოლაგენის მიმართ პაროდონტიტის დროს. /ლ. ჯაში, ნ. გოგებაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 26-28. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ორიგინალური მონაცემები ქრონიკული გენერალიზებული პაროდონტიტის დროს აუტოიმუნური მექანიზმების შესახებ პროცესის სიმძიმის გათვალისწინებით. პაროდონტის სხვადასხვა ფორმით დაავაებული 179 ავადმყოფის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ პაროდონტიტის დროს ირღვევა I ტიპის კოლაგენის სინთეზი და რესინთეზი, რასაც თან ახლავს სისხლის შრატში მისი კონცენტრაციის მომატება; ძლიერდება I ტიპის კოლაგენის მიმართ ანტიგენრეაქტიული ლიმფოციტების სელექცია, რაც იწვევს სისხლში მათი რაოდენობის მატებას და I ტიპის კოლაგენის მიმართ აუტოანტისხეულების წარმოქმნის სტიმულაციას. ამაზე მიუთითებს აღნიშნული აუტოანტისხეულების ტიტრების მომატება სისხლის შრატში. ამ პროცესების ინტენსივობა ძლიერდება პაროდონტში ანთებითი პროცესის სიმძიმის პარალელურად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორებს გამოტანილი აქვთ დასკვნა, რომ პაროდონტიტის დროს ვითარდება აუტოიმუნური პროცესი I ტიპის კოლაგენის მიმართ, რომლის ინტენსივობა ასახავს პაროდონტის ქსოვილებში პათოლოგიური პროცესების სიმძიმეს. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.9. მოუხსნადი კონსტრუქციებით პროთეზირების შედეგად განვითარებული გართულებების პროფილაქტიკა ჰიპერტენზიით დაავადებულ პირებში. /ს. გორდიენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4(229). – გვ. 29-32. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კლინიკო-ლაბორატორული მეთოდებით გამოკვლევის საფუძველზე დადგენილია ადგილობრივად გამოყენებადი კრემის სოლკოსერილ დენტას ეფექტურობა ჰიპერტენზიით ავადმყოფებში მოუხსნადი კონსტრუქციებით პროთეზირების შემთხვევაში. აღნიშნული კრემი აჩქარებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის უჯრედის ეპითელური შრის აღდგენას, აქედან გამომდინარე, აფერხებს პროთეზირების გართულებების განვითარებას. ცხრ. 3, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.10. ენდოთელური დისფუნქციის კორექცია ჰიპერტონული დაავადებით და თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ავადმყოფებში. /ა. შალიმოვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 33-40. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ენდოთელური დისფუნქციის შეფასება არტერიული წნევით და თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ავადმყოფებში და ამ დისფუნქციის კორექცია კომბინაციურ მკურნალობაში αლიპოილის მჟავის (ლმ) გამოყენებით. შესწავლილია 84 ავადმყოფი II სტადიის ჰიპერტონიული დაავადებით და თანმხლები საშუალო სიმძიმის შაქრიანი დიაბეტით. პაციენტები განაწილებული იყო ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდა მხოლოდ აზისური თერაპია, ხოლო მეორე ჯგუფის ავადმყოფებს, აზისურ თერაპიასთან კომპლექსში, ენიშნებოდა α-ლმ დოზით 600 მგ დღე-ღამეში. დაკვირვება წარმოებდა მკურნალობის პერიოდში და 6 თვის განმავლობაში მკურნალობის შემდეგ. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ არტერიული წნევით და

თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ავადმყოფებში აღინიშნა ინტიმა-მედიის კომპლექსის სისქის ზრდა საძილე არტერიებში, მუცლის ღრუს აორტაში პულსური ტალღის სიჩქარის მატება, აგრეთვე, ენდოთელიუმდამოკიდებული ვაზოდილატაციის ხარისხის დაქვეითება და ანთებითი ციტოკინების მაჩვენებლის მატება. ჩატარებული კომპლექსური თერაპიის შედეგად პაციენტებში გაუმჯობესდა მეტაბოლური ჰომეოსტაზის მაჩვენებელი და განხორციელდა ენდოთელური დისფუნქციის კორექცია. აღნიშნული პაციენტებისთვის კომპლექსურ მკურნალობაში დამატებით α-ლიპოილის მჟავის შეყვანა უზრუნველყოფს მკურნალობის უფრო მკაფიო დადებით ეფექტს მაგისტრალური სისხლძარღვების და ანთებითი ციტოკინების მდგომარეობაზე გამოხატული ზემოქმედების მეშვეობით. ცხრ. 7, ლიტ. 38.

ავტ.

14.3.2.11. პეროკსის γ2-ით პროლიფერაციის გამააქტივებელი 12Ala გენი განსაზღვრავს გულის იშემიურ დაავადებასთან თანხვედრილი რონქული ასთმის განვითარების სიმძიმეს. /ო. ელანი, ო. შლიკოვა, ტ. მამონტოვა, ლ. ვესნინა, ი. კაიდაშევი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 40-47. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გამოკვლევის მიზანი იყო AR-γ2 გენის Pro12Ala პოლიმორფიზმის როლის შეფასება გულის იშემიური დაავადებასთან (გიდ) თანხვედრილი რონქული ასთმის განვითარებაში. რონქული ასთმით და თანხვედრილი გულის იშემიური დაავადებით ავადმყოფებში გამოკვლეულია ანთროპომეტრიული მონაცემები, გარეგანი სუნთქვის ფუნქციები, ველოერგომეტრია, ეკგ, არტერიული წნევა, ენდოთელიუმდამოკიდებული და ენდოთელიუმდამოუკიდებელი ვაზოდილატაცია. განისაზღვრა PPAR-γ2 გენის პოლიმორფული უბნის ალელები, მაღალმგრძნობიარე C-რეაქტიული ცილა (mm-Crc), სისხლში sVCAM-1 და sICAM-1 ადჰეზიის მოლეკულები, ჩატარდა სისხლის საერთო კლინიკური და იოქიმიური ანალიზი. დადგენილია, რომ ჰომო-და ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში Ala ალელის მტარებელ პაციენტებს, ჰომოზიგოტური ვარიანტის Pro ალელის მტარებელი პაციენტებისაგან განსხვავებით, აღენიშნება I ხარისხის არტერიული ჰიპერტენზიის, მსუბუქი ხარისხის პერსისტირებული რონქული ასთმის უტყუარად უფრო ხშირი განვითარება და რეგისტრირდება გულის შეკუმშვათა სიხშირის უფრო დაბალი მონაცემები, ვლინდება უფრო მაღალი დონე მაჩვენებლებისა, რომლებიც ახასიათებს სისტემურ ანთებას (ლეიკოციტების და mm-Crc რაოდენობა), ადჰეზიური მოლეკულების sICAM-1 დონის, საერთო ქოლესტერინის, საერთო და არაპირდაპირი ილირუბინის დაბალი მაჩვენებლები. ჰომო-და ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში Ala ალელის მტარებლობა რონქული ასთმით და თანდართული გულის იშემიური დაავადებით პაციენტებში ასოცირდება სხეულის ჭარბი წონის, მსუბუქი ხარისხის პერსისტირებული რონქული ასთმის და I ფუნქციური კლასის სტენოკარდიის განვითარების რისკთან. ამდენად, PPAR-γ2 გენის Pro12Ala პოლიმორფიზმის 12Ala ალელის მტარებლობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გიდ-ის ფონზე რონქული ასთმის განვითარების მაღალ რისკთან. ცხრ. 3, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.12. ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულთა ცხოვრების ხარისხი შერეული კრიოგლობულინემიის სხვადასხვა გამოხატვის პირობებში. /ი. რიაბოკონი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 48-52. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებული 305 ავადმყოფის გამოკვლევის შედეგები. ასახულია, რომ ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულთათვის შერეული კრიოგლობულინემიის და მისი იოქიმიური ნიშნების არსებობის შემთხვევაში როლურ ფუნქციონირებაზე ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის ზეგავლენის ამსახველი პარამეტრები ჯანმრთელი ადამიანების მაჩვენებლებისაგან არ განსხვავდება, ხოლო სოციალური ფუნქციონირების მაჩვენებლები, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ზოგადი მდგომარეობის თვითშეფასება დაქვეითებულია. ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებულთა სისხლის შრატში შერეული კრიოგლობულინების რაოდენობის ზრდა იწვევს HCV-სთან ასოცირებული კრიოგლობულინემიური სინდრომის კლინიკური ნიშნების მანიფესტაციას, რასაც თან ახლავს პაციენტების მიერ საკუთარი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დაბალი შეფასება ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის ნეგატიური ზეგავლენის გამო როლურ ფუნქციონირებაზე. ცხრ. 2, ლიტ. 18.

ავტ.

14.3.2.13. ხანგრძლივი ჰიპოლიპიდემიური თერაპიის ოპტიმიზაცია მიოკარდიუმის ინფარქტით და არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტით ავადმყოფებში. /ი. სკრიპნიკი, ტ. დუბროვინსკაია, ე. ოგანისიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 53-58. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია 79 ავადმყოფი მიოკარდიუმის ინფარქტით და თანმხლები არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტით. ავადმყოფებს 9 თვის მანძილზე უტარდებოდათ მკურნალობა როზუვასტატინით (20 მგ/დღ) ან ატორვასტატინით (80 მგ/დღ), ასევე კომბინაციაში როზუვასტატინი 10 მგ/დღ+15 მგ/დღ ურსოდეზოქსიხოლის მჟავა (უდქმ) და ატორვასტატინი 40 მგ/დღ+15 მგ/კგ/დღ უდქმ. გამოკვლულია სისხლის ლიპიდური სპექტრი, ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობა და C-რეაქტიული პროტეინის დონე. გამოკვლევის შედეგად დადგენილია ყველა ზემოხსენებული რეჟიმის ეკვივალენტური ჰიპოლიპიდემიური ეფექტურობა, ასევე, როზუვასტატინის და ატორვასტატინის საშუალო თერაპიული დოზების და უდქმ-ს კომბინაციის ზემოქმედების სარწმუნო უპირატესობა ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობაზე და C-რეაქტიული პროტეინის დონე სისხლში, რაც მაქსიმალურად გამოხატულია როზუვასტატინი 10 მგ + უდქმ 15 მგ/კგ/დღ დოზის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ კომბინაციას აქვს უპირატესობა მიოკარდიუმის ინფარქტით და თანმხლები არაალკოჰოლური სტეატოჰეპატიტით ავადმყოფების მკურნალობაში ოპტიმალური ეფექტურობის და მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ცხრ. 1, ლიტ. 17.

ავტ.

14.3.2.14. ნაადრევი რეპოლარიზაცია - წინაგულთა ფიბრილაციის განვითარების რისკ-ფაქტორი. /ზ. მათოშვილი, შ. პეტრიაშვილი, ა. არჩვაძე, ი. აზალაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 59-61. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი იყო ნაადრევი რეპოლარიზაციის როლის შეფასება წინაგულთა ფიბრილაციის განვითარების სიხშირეზე. კვლევისთვის შერჩეულ იქნა 19-დან 68 წლის ასაკის 41 პაციენტი ნაადრევი რეპოლარიზაციით. გამოკვლევა ტარდებოდა ჰოლტერის 24-საათიანი მონიტორინგით. რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასება ხდებოდა საშუალო კვადრატული გადახრის გამოთვლის მეშვეობით, ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნობა დადგენილია სტიუდენტის T-კრიტერიუმის გამოყენებით. განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც $p<0.05$. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ნაადრევი რეპოლარიზაციის მქონე პაციენტების 14,7%-ს აღენიშნა წინაგულთა ფიბრილაციის ეპიზოდი, რაც ზოგად პოპულაციასთან შედარებით (2%) 7,3-ჯერ მაღალი მონაცემია. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ნაადრევი რეპოლარიზაცია შეიძლება განხილული იქნას, როგორც წინაგულთა ფიბრილაციის დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორი. ცხრ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

14.3.2.15. ადრეული ასაკის ავშვებში რისკ-ფაქტორების ზეგავლენა შემეცნებით განვითარებაზე. /მ. ეზრუკიხი, ე. პარცალისი, ე. ლოგინოვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 7-17. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ადრეული განვითარების რისკ-ფაქტორების ზეგავლენა კოგნიტიური დარღვევების გამოვლენაზე უმცროს და უფროს სასკოლო ასაკის ავშვებში. ნაჩვენებია კოგნიტიური დარღვევების ძირითადი მიზეზების კომპლექსური დიაგნოსტიკის ეფექტურობა და სისტემური სამედიცინო, პედაგოგიური, ფსიქოფიზიოლოგიური, ნეირო-ფსიქოლოგიური კორექციის მნიშვნელობა. სურ. 3, ლიტ. 32.

ავტ.

14.3.2.16. ავშვებში რონქული ასთმის განვითარებისა და მიმდინარეობის თავისებურებანი აზერბაიჯანში. /ვ. გაბულოვი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 17-24. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საერთაშორისო ISAAC პროგრამის ფარგლებში შესწავლილ იქნა აზერბაიჯანის სხვადასხვა კლიმატურ რეგიონში მცხოვრები 13-14 წლის ავშვთა რონქული ასთმის (ბა) მახასიათებლები. კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხულ იქნა 4 სხვადასხვა რეგიონის საშუალო სკოლის 14693 მერვეკლასელი: I რეგიონი (n=4765) – ინდუსტრიული ქალაქი, ნახევრადუდაბნოს ტიპის დასახლება, II რეგიონი (n=3010) – სოფლის ტიპის დასახლება ნახევრადუდაბნოს ტიპის კლიმატურ ზონაში განთავსებული, III რეგიონი (n=3133) – სუბტროპიკულ კლიმატურ ზონაში მდებარე ტერიტორია, IV რეგიონი (n=3571) ეკოლოგიურად სუფთა მთიანი რეგიონი, მდებარე დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე. კვლევის მეორე ეტაპზე ალერგიული დაავადების სიმპტომების მქონე ავშვებს ჩაუტარდა ალერგოლოგიური და კლინიკურ-ფუნქციური გამოკვლევები. დადგინდა, რომ ა-ის პრევალენსი გაცილებით მაღალი იყო ინდუსტრიულ ქალაქში (4,6%), სუბტროპიკული კლიმატის არეში პრევალენსი იყო 2,8%, სოფლის ნახევრადუდაბნოს რეგიონში – 2,5%, მთიან რეგიონში კი ა გამოკვლეულთა მხოლოდ 1,8%-ს დაუდგინდა. ალერგიული დაავადების მქონე ავშვების დაავადების კლინიკური სურათის შესწავლამ, ალერგიულმა სტატუსმა და

სენსიტიურობის ექსპრესიამ სხვადასხვა ალერგენის მიმართ, როგორიცაა ოთახის მტვერი, მცენარეული, სოკოს თუ საკვებისმიერი ალერგენი, ცხადყო, რომ საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დაავადების განვითარებაში. ცხრ. 4, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.17. ებშტეინ-ბარის ვირუსის ინფექციის 102 შემთხვევის ანალიზი ჩინელ ავშვებში. /ფ. ჯიაო, ქ. ვანი, კ. ვანი, ი. ჩენი, კ. ლიუ/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 35-38. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი - ებშტეინ-ბარის ვირუსის ინფექციასთან ასოცირებული ინფექციური მონო-ნუკლეოზის კლინიკური გამოვლინებებისა და სიმძიმის მაჩვენებლების თანამედროვე ტრენდების დადგენა სხვადასხვა ასაკის ავშვებში. რეტროსპექტულად გაანალიზებულია ინფექციური მონონუკლეოზით დაავადებული 102 ავშვის (67 ვაჟი, 35 გოგონა) კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემები; 78% პაციენტების ასაკი იყო 7 წელზე ნაკლები. სეროლოგიური კვლევა ჩატარდა ყველა შემთხვევაში. ავშვები ჰოსპიტალიზირებული იყვნენ შაანქსის პროვინციის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში 2012 წლის აპრილიდან 2013 წლის ოქტომბრამდე. შედეგები შედარებული იქნა წინა კვლევების მონაცემებთან. 60 შემთხვევაში დაისვა ინფექციური მონონუკლეოზის დიაგნოზი, 26-ში ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია, 16-ში - ატიპიური ეპშტეინ-ბარის ვირუსული ინფექცია. ასაკის მატებასთან ერთად აღინიშნებოდა კლინიკური გამოვლინებების დამძიმება. 15 წლის წინ ჩატარებული კვლევის შედეგებთან შედარებისას დადგინდა, რომ ასაკობრივი განაწილება იგივეა, ჰეპატოსპლენომეგალიის სიხშირემ იკლო. ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.18. არამკაფიო მიდგომები პედიატრიაში. /ტ. კისელიოვა, ყ. ფაღავა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5(230). – გვ. 38-46. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ნაშრომების მიმოხილვა ავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვაში არამკაფიო ლოგიკის მეთოდების გამოყენების შესახებ. რჩეულ სტატიებზე, კონფერენციის მასალებზე და სხვა წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ის პრობლემები, რომელიც გადაწყვეტილია ან შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს არამკაფიო მეთოდიკების გამოყენებით. განხილულია ზოგადი მოსაზრებები არამკაფიო ლოგიკასა და პედიატრიაზე; არამკაფიო ლოგიკისა და არამკაფიო სიმრავლეების თეორიის საფუძვლები, ძირითადი მეთოდური მიდგომები მათი მედიცინაში პრაქტიკული გამოყენებისთვის; პედიტრიული პრობლემების ნუსხა და მათი გადაწყვეტის გზები არამკაფიო მიდგომების მეშვეობით. სურ. 4, ლიტ. 39.

ავტ.

14.3.2.19. ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა ყვრიმალ-თვალბუდის კომპლექსის და თვალბუდის ქვედა კედლის ტრავმული დაზიანებების დროს. /ზ. გვენეტაძე, გ. ლაგვილავა, გ. ტორაძე, ი. დევიძე, გ. გვენეტაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6(231). – გვ. 7-11. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ყბა-სახის მიდამოს ტრავმული დაზიანებების დროს ყვრიმალ-თვალბუდის კომპლექსის და თვალბუდის კედლების მოტეხილობებისათვის დამახასიათებელია ძვლის ფრაგმენტების შეცილება, რის შედეგად ვითარდება არამხოლოდ ანატომიურ-ფუნქციური მოშლილობა, არამედ მნიშვნელოვნად გამოხატული სიმახინჯეც. ავტორების მიერ გამოკვლევები და ქირურგიული მკურნალობა ჩატარებულია ყვრიმალ-თვალბუდის კომპლექსის და თვალბუდის ქვედა კედლის მოტეხილობით 28 ავადმყოფზე. სტაციონარში შემოსვლისას ყველა ავადმყოფს ჩაუტარდა კლასიკური კომპლექსური გამოკვლევა სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფიის (3D რეკონსტრუქციის სამ პროექციაში) ჩათვლით. ოპერაციული მკურნალობა ჩატარდა ენდოტრაქეული ნარკოზის ქვეშ, მოიცავდა ყვრიმალის ძვლის სხეულის და რკალის ოსტეოსინთეზს, თვალბუდის ქვედა კედლის პლასტიკას. ყვრიმალის ძვლის სხეულის და რკალის მოტეხილობების ოსტეოსინთეზი განხორციელდა ტიტანის ფირფიტებით და ჭანჭიკებით (ყვრიმალის რკალის ჩამოკიდება ხდებოდა ფოლადის მავთულით), ორბიტის ძვლოვანი კედელი აღდგენილ იქნა ინდივიდუალურად დამზადებული ტიტანის ადის პროთეზის მეშვეობით (თვალბუდის ქვედა კედლის დეფექტის აღსადგენად 2 შემთხვევაში გამოყენებული იყო ქალას საფარველის ძვლიდან აღებული აუტოტრანსპლანტატი). პოსტოპერაციული გართულებები დაჩირქების ან იმპლანტის მდებარეობის შეცვლით არ აღინიშნა. მიღებული მონაცემები ადასტურებს სამედიცინო ტიტანისგან დამზადებული ენდოპროთეზების მაღალ ეფექტურობას სახის შუა ზონის ტრავმული დაზიანებების მქონე ავადმყოფების ქირურგიული მკურნალობაში. სურ. 9, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.20. ლაპაროსკოპული ქირურგია დიაფრაგმის საყლაპავის ხვრელის თიაქრის და გასტრო-ეზოფაგური რეფლუქს დაავადების დროს. /დ. ელგანდაშვილი, მ. კილაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 17-20. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანია საყლაპავის ხვრელის თიაქრის და გასტრო-ეზოფაგური რეფლუქს დაავადების ლაპაროსკოპული ქირურგიული მკურნალობის შედეგების და მისი ეფექტურობის შეფასება. 2005-2013 წწ. კლინიკებში „თორაკოაბდომინური კლინიკა“ და „კარაპს მედლაინი“ შესრულდა 145 ლაპაროსკოპული ფუნდოპლიკაცია. გამოყენებულ იქნა როგორც ნისენის მეთოდი მოდიფიკაციებით (თავისუფალი ნისენი, კლასიკური ნისენი და ნისენ-როზეტი), ასევე ფუნდოპლიკაციის ტუპესადადორის მეთოდები. 145 შემთხვევიდან ქალი იყო – 84, მამაკაცი – 61, ასაკი - 24-76 წ. ჩატარებული 145 ოპერაციიდან 97 შემთხვევაში გაკეთდა თავისუფალი ნისენის ფუნდოპლიკაცია, 23-ში - ნისენ-როზეტის მოდიფიკაცია, 5-ში - კლასიკური ნისენი; ნაწილობრივი ფუნდოპლიკაცია „ტუპეს" წესით შესრულდა 17 შემთხვევაში, ხოლო წინა ფუნდოპექსია „დორის" წესით – 3 შემთხვევაში. ლაპაროსკოპული ფუნდოპლიკაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შედეგების ანალიზმა გამოავლინა სრულყოფილი დადებითი შედეგი 93.2%-ში. სტატიის ავტორებს ყველაზე ეფექტურ მეთოდათ მიაჩნიათ ნისენის თავისუფალი ფუნდოპლიკაცია. ცხრ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.21. მენოპაუზის მძიმე მიმდინარეობის გავლენა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებაზე. /ა. ისაევა, მ. ვოვჩენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 21-26. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მენოპაუზის პერიოდში ქალის გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შეფასება კლიმაქტერიის სიმძიმესთან კორელაციაში. შესწავლილია პერიმენოპაუზის პერიოდში მყოფი 155 პაციენტის (გულის იშემიური დაავადების გარეშე) მონაცემები. ქალთა ჰორმონული სტატუსის დადგენის მიზნით განისაზღვრებოდა ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის (ფმჰ) დონე. კლიმაქტერიის სიმპტომების სიმძიმის შეფასება ხდებოდა კუპერმანის კითხვარით, უვაროვას მოდიფიკაციით. ფმჰ დონის გათვალისწინებით ქალები განაწილდა ორ ჯგუფად: I ჯგუფი – ქალები 30 მე/ლ-ზე ნაკლები ფმჰ-ით (პრემენოპაუზა), II ჯგუფი – 30 მე/ლ-ზე მეტი (პოსტმენოპაუზა). ჯგუფები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ასაკით, ფმჰ-ის, პროგესტერონის და SCORE-ს მაჩვენებლებით. მენოპაუზის სიმპტომების სიმძიმე ჯგუფებში ერთგვაროვანი იყო. რეგრესული ანალიზის მეშვეობით დადგენილია, რომ კლიმაქტერიის სიმპტომების სიმძიმეს განსაზღვრავს სისტოლური არტერიული წნევის, ფმჰ-ის და პროგესტერონის დონის მაჩვენებლები. გამოვლინდა, რომ პერიმენოპაუზის პერიოდის კლიმაქტერიის სიმპტომები პირდაპირ კორელაციაშია გულ-სისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკთან და დამოკიდებულია არტერიული წნევის, ფმჰ-ის და პროგესტერონის დონეზე. გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი დაკავშირებულია ფმჰ-ის, NO2 და კლიმაქტერიის სიმპტომების სიმძიმესთან. ცხრ. 3, სურ. 1, ლიტ. 20.

ავტ.

14.3.2.22. სამიზნე ორგანოების რემოდელირების ინტეგრალური პარამეტრების მდგომარეობა ჰიპერტონული დაავადებით და ჭარბი წონით ავადმყოფებში. /მ. კოჩუევა, ვ. სუხონოს, ა. შალიმოვა, ვ. პსარიოვა, ნ. კირიჩენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 26-30. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

არტერიული ჰიპერტენზია ჭარბი წონის თანხლებით სადღეისოდ კომორბიდული პათოლოგიის მეტად გავრცელებული სახეობაა. ამ ორი დაავადების შერწყმა ხასიათდება მნიშვნელოვანი სამიზნე ორგანოების რემოდელირების პროცესების ერთდროული დამძიმებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გულ-სისხლძარღვთა და-ავადების გართულების რისკს. ჰიპერტონიული დაავადების (ჰდ) და ჭარბი წონის დროს სასიცოცხლო ორგანოების დაზიანების განვითარების მექანიზმები გარკვეულ მსგავსებას ავლენს. სამიზნე ორგანოების დაზიანების რისკ-ფაქტორებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰემოდინამიკური და ნეიროჰუმორული (ანთებითი, რენინ-ანგიოტენზინ-ალდოსტერონის სისტემის ეფექტორები და ინსულინრეზისტენტობა). რემოდელირების პოლიეტიოლოგია, სამიზნე ორგანოების სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობის თავისებურებების და მათი დარღვევის, ასევე აღნიშნული შერწყმული პათოლოგიის დროს მექანიზმების ურთიერთკავშირის შესახებ არასაკმარისი ცოდნა დღის წესრიგში აყენებს ზემოჩამოთვლილი საკითხების შესწავლის აუცილებლობას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა გულის, სისხლ-ძარღვების და ღვიძლის სტრუქტურულ-ფუნქციური მდგომარეობის შედარებითი შესწავლა II სტადიის ჰიპერტონიული დაავადებით ავადმყოფებში ნორმალური წონით და ავადმყოფებში

I და II ხარისხის ჭარბი წონით. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ I და II ხარისხის ჭარბი წონის არსებობა II სტადიის ჰდ-ით ავადმყოფებში ასოცირდება მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის კონცენტრულ ტიპთან, განდევნის ფრაქციის შენარჩუნებასთან და დიასტოლური ავსების პროცესის დარღვევასთან. ჰდ-ით ავადმყოფები ჭარბი წონის ადრეულ სტადიაზე ხასიათდება საძილე არტერიების ინტიმა-მედიის კომპლექსის გამოკვეთილი მატებით, მაგისტრალური არტერიების და ღვიძლის პარენქიმის გაუხეშებით, ენდოთელიუმის ფუნქციური მდგომარეობის დარღვევით. ცხრ. 2, ლიტ. 20.

ავტ.

14.3.2.23. აპელინის აქტივობა ესენციური ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში, თანმხლები პრედიაბეტითა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით. /ა. დემიდენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 30-34. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია აპელინის აქტივობა ნახშირწყლოვანი დარღვევების გამოხატულებასთან კორელაციაში. გამოკვლეულია 136 პაციენტი ესენციური ჰიპერტენზით. ზოგადი კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით 40(34,46%) პაციენტში ესენციური ჰიპერტენზიით გამოვლენილი იქნა თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, 37(31,92%) პაციენტში – პრედიაბეტი. დადგენილია აპელინის დონის სარწმუნო მატება ესენციური ჰიპერტენზიის მქონე პაციენტების ჯგუფში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით და აპელინის მაქსიმალური აქტივობა თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით პაციენტების ჯგუფში. კორელაცია აპელინსა და ნახშირწყლოვანი ცვლის კომპონენტებს შორის მოწმობს აღნიშნული პეპტიდის მონაწილეობაზე გლუკომეტაბოლური დარღვევების განვითარებაში ესენციური ჰიპერტენზიის დროს. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.24. ჰუმორული იმუნური პასუხის თავისებურებანი პაციენტებში ქრონიკული C ჰეპატიტით, C ჰეპატიტის ვირუსის სპონტანური კლირენსით და ანტი-HCV ცრუ-დადებითი რეაქციით. /ნ. ჟანდაროვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 38-41. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრებ პაციენტთა შორის, რომლებსაც აღენიშნებოდა ანტი-HCV დადებითი რეაქცია ანტისხეულების გამოვლინების დაბალი სიხშირით და შრატების დაბალი რეაქტიულობით (SIA და RIBA-ს მეთოდით) core-პროტეინთან ან არასტრუქტურულ ვირუსულ ცილებთან ცრუ-დადებითი ანტი-HCV რეაქცია გამოვლინდა 5,4%-ში. C ჰეპატიტის ვირუსის სპონტანური კლირენსის შემთხვევები აღინიშნა 16.1%-ში ანტი-HCV-დადებით პაციენტებში ცორე-პროტეინის და ერთ/ან რამდენიმე არასტრუქტურული ვირუსული ცილის მიმართ ანტისხეულების გამოვლინების საფუძველზე RNA-HCV აქტივაციის პირობებში ორჯერადად 6-12 თვის ინტერვალით. ქრონიკული C ჰეპატიტი სპეციფიკური RNA-HCV არსებობით სისხლის შრატში დაფიქსირდა პაციენტთა 83.9%-ში. ქრონიკული კლირენსის ჯგუფის პაციენტებისთვის, ქრონიკული C ჰეპატიტის ჯგუფთან შედარებით, დამახასიათებელი იყო დაბალი ჰუმორული იმუნური პასუხი არასტრუქტურული ვირუსული ცილების მიმართ. ცხრ. 2, სურ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.25. მონოციტური ქემოატრაციული პროტეინ-1 ავადმყოფებში სხვადასხვა ფუნქციური კლასის გულის ქრონიკული უკმარისობით და თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით. /პ. კრავჩუნი, ა. ნარიჟნაია, ნ. რინდინა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 42-45. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მონოციტური ქემოატრაქციული პროტეინ-1-ის დინამიკის შეფასება ავადმყოფებში სხვადასხვა ფუნქციური კლასის გულის ქრონიკული უკმარისობით, თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და მის გარეშე. დაკვირვება ჩატარდა 95 ავადმყოფზე (საშუალი ასაკი - 65,13±8,66 წ.) გულის იშემიური დაავადებით გამოწვეული II-III ფუნქციური კლასის (ფკ) გულის ქრონიკული უკმარისობით (გქუ), რომლებიც მკურნალობდნენ ხარკოვის #27 კლინიკურ საავადმყოფოში. I ჯგუფი შეადგინა გქუ-ით და თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით 52 ავადმყოფმა, II ჯგუფი - 43 ავადმყოფმა დიაბეტის გარეშე. კვლევაში არ იყო ჩართული ავადმყოფები მწვავე კორონარული სინდრომით და მიოკარდიუმის ინფარქტით. შესწავლილ ავადმყოფებს შორის 71 იყო II ფკ გქუ-ით, 24 - III ფკ გქუ-ით. I ჯგუფის პაციენტებს შორის 40 იყო II ფკ გქუ-ით, 12 - III ფკ გქუ-ით; II ჯგუფში აღმოჩნდა 31 ავადმყოფი II ფკ გქუ-ით, 12 - III ფკ გქუ-ით. ანთებითი ციტოკინის ინტერლეიკინ - 1β და ფიბროზის მარკერის მონოციტური ქემოატრაქციული პროტეინ-1-ის კონცენტრაცია განისაზღვრა იმუნოფერმენტული მეთოდით. ავადმყოფებში გქუ-ით, თანმხლები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით და დიაბეტის გარეშე გამოავლინდა ზემოდასახელებული პარამეტრების მატება გულის ქრონიკული უკმარისობის ფუნქციური

კლასის ზრდის პარალელურად. დადგენილია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის თანხლება უარყოფითად მოქმედებს ციტოკინებზე და ფიბროზის მარკერებზე. ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.26. ზედა კიდურების კუნთების იოელექტრული აქტივობის ცვლილებების ანალიზი პაციენტებში ხერხემლის კისრის არეში ტრავმული დეფორმაციით. /ა. არიში, ი. დოლუდა, ნ. ოსაევა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 49-54. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

37 ავადმყოფს ტრავმული დეფორმაციით ხერხემლის კისრის არეში ჩაუტარდა ზედა კიდურების კუნთების იოელექტრული აქტივობის ცვლილებების ელექტრომიოგრაფიული გამოკვლევა ამ ცვლილებების დეფორმაციის პირველად დაზიანებასთან, სიდიდესთან და ხასიათთან ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის მიზნით. ხერხემლის კისრის არეში გართულებების გარეშე ტრავმული დეფორმაციით პაციენტების ინსტრუმენტულმა გამოკვლევამ 33,3%-ში გამოავლინა ნევროლოგიური დარღვევების სუბკლინიკური ნიშნები ზედა კიდურების კუნთების იოელექტრული აქტივობის ცვლილების სახით. პერიფერიული ნევროლოგიური სიმპტომატიკა ერთგვაროვნადაა შესაძლებელი ტრავმული დეფორმაციის ყველა ფორმის შემთხვევაში. ზედა კიდურების კუნთების იოელექტრული აქტივობის დარღვევა შეიძლება დარეგისტრირდეს საგიტალურ სიბრტყეში კუთხური დეფორმაციის ნებისმიერი სიდიდის შემთხვევაში და მისი არსებობის ნებისმიერ ვადაზე. ცხრ. 3, სურ. 3, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.2.27. რეკურენტული რონქიტით დაავადებული ავშვების D-ვიტამინით უზრუნველყოფის შესწავლა. /ა. ვერტეგელი, ლ. ოვჩარენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 55-59. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა D-ვიტამინით ორგანიზმის უზრუნველყოფის შესწავლა ზაპოროჟიეში მცხოვრები რეკურენტული რონქიტით (რბ) დაავადებულ ავშვებში სისხლის შრატში 25(OH)D და პარათჰორმონის დონის განსაზღვრის მეშვეობით. გამოკვლეულია 4-10 წლის 120 ავშვი. დაავადების გათვალისწინებით ავშვები დაიყო 2 ჯგუფად (60 ავშვი თითოეულ ჯგუფში). I ჯგუფი შეადგინა მწვავე რესპირაციული დაავადებით ეპიზოდურად მოავადე ავშვებმა, II ჯგუფი – რბ-ით ავადმყოფმა ავშვებმა. 25(OH)D-ის დონის გამოკვლევა ხდებოდა ნოემბერ-თებერვლის მონაკვეთში. D_3-ის 30 ნგ/მლ დონეზე ნაკლები მაჩვენებელი აღმოაჩნდა რბ-ით დაავადებული ავშვების 85%-ს ($p<0,05$), ხოლო 20 ნგ/მლ-ზე დაბალი დონე - 15% შემთხვევაში, რაც პირველ შემთხვევაში კვალიფიცირებულია როგორც D_3-ის უკმარისობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - D_3-ის დეფიციტი. კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე, ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ ზაპოროჟიეში მცხოვრები ავშვები, რომლებიც დაავადებულია რბ-ით, განიცდიან D_3 ვიტამინის ნაკლებობას, რისთვისაც დღის წესრიგში დგება ამ მიმართულებით შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობა. ცხრ. 3, ლიტ. 29.

ავტ.

14.3.2.28. კრუნჩხვითი ეპილეფსიური სტატუსის ეტიოლოგიური ფაქტორის პრედიქტორული როლი უნარშეზღუდულობის განვითარებაში. /თ. შათირიშვილი, ნ. ტატიშვილი, გ. ლომიძე, თ. ყიფიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 60-63. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კრუნჩხვითი ეპილეფსიური სტატუსის ეტიოლოგიის პროგნოზული როლის შესწავლა შემდგომი უნარშეზღუდულობის განვითარებაში. კვლევისთვის, გამორიცხვის და ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეირჩა 48 პაციენტი კეს-ით, რომელთაც მომართეს მ. იაშვილის ავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს 2007-2012 წწ. სტატუსის გამოსავალი (ნორმალური ნეირომოტორული განვითარება, ახალი ნევროლოგიური დეფიციტი, ლეტალური გამოსავალი) შეფასდა კეს-ის განვითარებიდან 30-ე დღეზე. კვლევის მონაცემზე დაყრდნობით, 8(17%) შემთხვევაში გამოვლინდა ახალი ნევროლოგიური დეფიციტი (ჰემიპარეზი, კრანიული ნერვების დაზიანება, გენერალიზებული ჰიპოტონია, განვითარების უნარ-ჩვევების კარგვა). ეტიოლოგიურ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალ პროცენტში დაფიქსირდა კეს იდიოპათიური/კრიპტოგენული ჯგუფი, სადაც მხოლოდ ერთ პაციენტში გამოვლინდა ახალი ნევროლოგიური დეფიციტი. საუკეთესო გამოსავალი უკავშირდება ფებრილურ კეს-ს. სიმპტომური ეტიოლოგიური ჯგუფი 25%-ში, ხოლო პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიური ჯგუფი 38%-ში ასოცირდებოდა ახალი ნევროლოგიური დეფიციტის არსებობასთან. სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია მიღებულია პროგრესული ენცეფალოპათიების ეტიოლოგიურ ჯგუფის არსებობას, ახალი ნევროლოგიური დეფიციტის განვითარებას და ასევე კეს-ის გახანგრძლივებას შორის. სურ. 1, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.2.29. ავშვთა ასაკის კრუნჩხვითი ეპილეფსიური სტატუსის მკურნალობის გავლენა დაავადების გამოსავალზე. /თ. შათირიშვილი, ნ. ტატიშვილი, გ. ლომიძე, თ. ყიფიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 63-67. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა კრუნჩხვითი ეპილეფსიური სტატუსის (კეს) მკურნალობის გავლენის შესწავლა გულყრის ხანგრძლივობასა და მექანიკური ვენტილაციის საჭიროებაზე. კვლევისათვის, გამორიცხვის და ჩართვის კრიტერიუმების მიხედვით, შეირჩა 48 პაციენტი კეს-ით, რომელთაც მომართეს მ. იაშვილის ავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოს 2007-2012 წლებში. გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში კეს-ის მკურნალობა გაგრძელდა „North Central London Epilepsy Network for Children & Young People" მიერ შექმნილი გაიდლაინის მიხედვით (ბოლო გადასინჯვა, 2010 წ.). აღნიშნულის გათვალისწინებით მკურნალობა დიფერენცირდა შემდეგნაირად: ადეკვატური და არაადეკვატური, დროული და დაგვიანებული. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიღებულია სარწმუნო კორელაცია კეს-ის ადეკვატურ მკურნალობასა და მექანიკურ ვენტილაციას შორის; პაციენტებს ადეკვატური პრეჰოსპიტალური მკურნალობით ნაკლები სიხშირით დასჭირდა მექანიკური ვენტილაცია, განსხვავებით არაადეკვატური მკურნალობით პირობებთან (Fisher's Exact Test – $p<0.039$). მსგავსი მონაცემი იქნა მიღებული ჰოსპიტალური მკურნალობის შემთხვევაშიც (Fisher's Exact Test – $p<0.039$). ასევე, პირსონის კრიტერიუმის მიხედვით, სტატისტიკურად მაღალია კორელაცია კეს-ის პრეჰოსპიტალურ მკურნალობას, ენზოდიაზეპინის მრავალჯერად გამოყენებას და რესპირაციულ დეპრესიას შორის, ისევე როგორც დროულ პრეჰოსპიტალურ მკურნალობასა და კეს-ის ნაკლებ ხანგრძლივობას შორის ($p=0.029$). სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.30. დენტინის ქსოვილის იზოლაცია ახალი პრეპარატით იოდენტინი ექსპერიმენტში მოდელირებული კარიესის მართვის პირობებში. /მ. უსტიაშვილი, მ. მამალაძე, ლ. სანოძე, გ. ლაბუჩიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 67-72. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა ექსპერიმენტში მოდელირებული კარიესის მკურნალობის პროცესში სხვადასხვა სახის დენტინის საიზოლაციო სისტემების გამოყენება, პულპის საპასუხო მორფოლოგიური რეაქციების დახასიათებისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა 3 სისტემა: UltraBlend (Ultradent), Biodentine (Septodont) და ადჰეზიური სისტემა Prime&Bond NTB (Dentsply). კვლევა ჩატარდა ა. ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში. ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იყო 12 მამალი ოცვერი, რომლებიც განაწილდა სამ საექსპერიმენტო ჯგუფში, თითოეულში - 4 ოცვერი. საექსპერიმენტო ოცვრების კბილების დაბჟენამ იოდენტინით გამოავლინა მისი დამაკმაყოფილებელი ფიზიკური თვისებები, რაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად კომფორტულად წარიმართოს კლინიკური ჩარევა: მოზილვა, კარიესულ ღრუში შეტანა, კონდენსირება და კბილის დეფექტის დაბჟენა. იოდენტინით კბილის დენტინის იზოლაცია არ ეწინააღმდეგება და არ აქვეითებს ადჰეზიური სისტემის გამოყენებას, რაც მნიშვნელოვანია კბილთა რესტავრაციაში. იოდენტინს ოპტიმალური სამუშაო დრო აქვს (საბოლოო გამყარება - 10-12 წუთი), რაც იძლევა კარიესული ღრუს ფსკერზე მასალის მაქსიმალურად ფორმირების საშუალებას. სურ. 5, ლიტ. 34.

ავტ.

14.3.2.31. საშვილოსნოს ტანის კიბოს მორფოლოგიური თვისებები. /ნ. ჯაფარიძე, ლ. ჩაკვეტაძე, ი. ჯიქია/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 72-77. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
შესწავლილია საშვილოსნოს ტანის ადენოკარცინომის მორფოლოგიური თავისებურებები იმუნოჰისტომორფოლოგიური მეთოდის გამოყენებით. გამოკვლეულია 45-დან 76 წლამდე ასაკის 103 პაციენტის ოპერაციული ჩარევის გზით მიღებული, ენდომეტრიუმის ქსოვილი (საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატებთან ერთად), კლინიკური დიაგნოზით - საშვილოსნოს ტანის კიბო. ცრუ-დადებითი და ცრუ-უარყოფითი შედეგების გამოსარიცხად გამოკვლეულია 12 პაციენტი ანალოგიურ რეაქციებზე, მორფოლოგიური დიაგნოზით - მარტივი-ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია. გამოკვლევის შედეგების ანალიზით დადგენილია, რომ ენდომეტრიული ადენოკარცინომის დროს აღინიშნება ესტროგენების და პროგესტერონის რეცეპტორების მაღალი და საშუალო ექსპრესია, პროლიფერაციის მარკერის Ki-67-ის ექსპრესიის დაბალი მაჩვენებელი. საშვილოსნოს ტანის სეროზულ-პაპილარული ადენოკარცინომისათვის დამახასიათებელია უარყოფითი ER-/PR - რეცეპტორული ფენოტიპი და პროლიფერაციის მარკერის Ki-67-ის მაღალი ექსპრესია. გამოკვლევის შედეგებმა გამოავლინა მარტივი-ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზიის დროს ესტროგენების და პროგესტერონის რეცეპტორების ზომიერად

დადებითი ექსპრესია. პროლიფერაციის მარკერი Ki-67 გამოვლინდა მხოლოდ ერთეულ ფოკალურ კერებში, საშუალო მაჩვენებლით 5-8%. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ იმუნიჰისტომორფოლოგიური კვლევის გამოყენება, კერძოდ, ესტროგენების და პროგესტერონის უარყოფითი რეცეპტორული ფენოტიპის განსაზღვრა და პროლიფერაციის მარკერის Ki-67-ის მაღალი ექსპრესია წარმოადგენს დამატებით დიფერენციულ-სადიაგნოსტიკო კრიტერიუმს საშვილოსნოს ტანის სეროზულ-პაპილარული ადენოკარცინომის დიაგნოსტირებაში, რაც უზრუნველყოფს ადეკვატურ თერაპიულ მიდგომას. ვინაიდან სეროზულ-პაპილარული ადენოკარცინომა წარმოადგენს საშვილოსნოს ტანის კიბოს ერთ-ერთ ყველაზე ხშირ ახალწარმონაქმნთა იშვიათ ფორმას უკიდურესად აგრესიული მიმდინარეობით. ამ პათოლოგიით ავადმყოფისათვის რეკომენდებულია ოპერაციული ჩარევა მოცულობით - მსგავსად საკვერცხის კიბოსა, კერძოდ, ჰისტერექტომია ორმხრივი ოვარექტომიით, ლიმფოადენექტომია, ომენტექტომია, მუცლის ღრუს ციტოლოგიური გამოკვლევა საეჭვო უბნების იოფსიით, ადიუვანტური მკურნალობა, კერძოდ, ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია. ესტროგენების და პროგესტერონის რეცეპტორების არარსებობა საშვილოსნოს ტანის სეროზულ-პაპილარული ადენოკარცინომის დროს მიუთითებს ჰორმონოთერაპიის ჩატარების მიზანშეწონილობაზე. ავადმყოფებს საშვილოსნოს ტანის სეროზულ-პაპილარული ადენოკარცინომის დროს ესაჭიროება უფრო დიდი მოცულობის ოპერაცია, ვიდრე ეს მიღებულია ენდომეტრიული ადენოკარცინომის დროს, ამიტომ, ავტორები თვლიან, რომ მოცემული მორფოლოგიური ტიპის საშვილოსნოს სხეულის კიბოს ყველა შემთხვევაში სავალდებულო წესით მოხდეს დიაგნოზის ვერიფიკაცია ოპერაციის წინა პერიოდში. სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.32. რადიაციის გავლენა ვირთაგვების სიცოცხლის ხანგრძლიბაზე, ქცევასა და მათ ნეიროქიმიურ კორელატებზე. /მ. ნიკოლაიშვილი, გ. იორდანიშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. ჯიქია, ს. ზენაიშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 77-82. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შრომის მიზანი იყო თეთრი და შავი ვირთაგვების ინდივიდუალური რადიომგრძნობელობის გარკვევა. შავი ვირთაგვები გამოყვანილი იყო თეთრი ვისტარის ხაზის ვირთაგვების შეჯვარებით რუხ ვირთაგვებთან, რომელსაც პირობითათ დაერქვათ Ratus-ratus Georgia. ცხოველების ზოგადი დასხივება ხდებოდა ლეტალური და სუბლეტალური 5,7 და 9 გრ დოზით. შეისწავლებოდა თეთრი და შავი ვირთაგვების შედარებითი რადიომგრძნობელობა, რომელიც ისაზღვრებოდა გადარჩენის კუმულატური ფუნქციით, რიგი ეტოლოგიური პარამეტრების სპექტრის ცვლილებით, სეროტონინისა და კატექოლამინების რაოდენობის განსაზღვრით ტვინის განსხვავებულ უბნებში. გაირკვა, რომ ცხოველთა გადარჩენა დაკავშირებულია თავის ტვინის სტრუქტურებში იოგენური ამინების რაოდენობრივ განაწილებაზე, ლოკომოტორულ და საორიენტაციო აქტივობის შემცირებაზე და ემოციურობისა და სტერეოტოიპული აქტივობის მატებაზე. 5,7 და 9 გრეით დასხივების დოზასთან დამოკიდებულებით რეგრესიის კოეფიციენტის დამოკიდებულება გადარჩენის ფუნქციასთან შავი ფერის ვირთაგვებში სტატისტიკურად ყოველთვის მაღალია – თეთრ ვირთაგვებთან შედარებით. მიღებული შედეგები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სიკვდილიანობის ინტენსიობა დოზის ერთეულის ცვლილებასთან დამოკიდებულია სეროტონინის სინთეზთან და სულფჰიდრილური ჯგუფების შემცველი ნაერთების ოდენობასთან, რომელთა დეფიციტიც განსაზღვრავს თეთრი ვირთაგვების დაბალ რადიომედეგობას. ცხრ. 3, სურ. 1, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.33. ატენზიური პლასტიკა: თანამედროვე საკითხები, პრობლემები და პერსპექტივები (მიმოხილვა). /მ. გოგოლაძე, თ. ჩხიკვაძე, მ. კილაძე, დ. ჯიქია/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 7-12. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მუცლის წინა კედლის დეფექტების უსაფრთხო და საიმედო დახურვა დღემდე ქირურგიის აქტუალური და გადაუჭრელი პრობლემაა. თიაქარპლასტიკის ორასამდე მეთოდის არსებობა და სინთეზური მასალების მრავალფეროვნება საოპერაციო ტაქტიკის არასრულფასოვნებაზე მეტყველებს. დღეს თიაქრების მკურნალობაში წამყვანი პოზიცია უჭირავს „ატენზიურ თიაქარპლასტიკას“. სინთეზური იმპლანტების და „დაჭიმვის გარეშე თიაქარპლასტიკის“ კონცეფციის შერწყმამ მკვეთრად შეამცირა თიაქარპლასტიკის უკუჩვენებების ჩამონათვალი; წარმატებული ოპერაციების ჩატარება შესაძლებელი გახდა იმ კონტინგენტში, რომელთა მკურნალობა ქსოვილოვანი პლასტიკის მეთოდით დაკავშირებული იყო ლეტალობის მაღალ რისკთან. ატენზიური პლასტიკის ფართოდ დანერგვას მოჰყვა ასოცირებული პრობლემების (ბადის აშრევება, დამოკლება, მიგრაცია) გახშირება. ნაშრომში განხილულია ატენზიური პლასტიკის თანამედროვე მეთოდები, მათთან ასოცირებული გართულებები და ტექნიკური სიძნელეები,

თანამედროვე შეხედულებები და საკითხის განვითარების პერსპექტივები ინფექციური გართულებების თავიდან აცილების, იმპლანტანტების განთავსების და მათი ფიქსაციის საკითხების ჭრილში. ლიტ. 14.

ავტ.

14.3.2.34. ინტერლეიკინი-33-ის და გალექტინი-3-ის რაოდენობა ინტერსტიციული ცისტიტი/მტკივნეული შარდის უშტის სინდრომით დაავადებულთა შარდში (მიმოხილვა). /გ. ქოჩიაშვილი, დ. ქოჩიაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 12-15. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ინტერსტიციული ცისტიტი/მტკივნეული შარდის უშტის სინდრომი (იც/მშბს) წარმოადგენს ქრონიკულ დაავადებას, რომელიც ხასიათდება ტკივილით შარდის უშტის მიდამოში და დიზურიული მოვლენებით. დაავადების პათოგენეზი და ეტიოლოგია დღეისათვის დადგენილი არ არის. ვარაუდობენ, რომ იც/მშბს-ის გენეზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ურეოპითელიუმის დისფუნქციას, შარდის უშტის სენსორული ნეირონების მგრძნობელობის ზრდას, პოხიერი უჯრედების აქტივაციას. უკანასკნელ წლებში ირკვევა, რომ დაზიანებული ქსოვილებიდან გამოყოფილი უჯრედშიდა მაკრომოლეკულები (ალარმინები) აღიქმება იმუნოკომპეტენტური უჯრედების მიერ, რაც განაპირობებს იმუნური სისტემის დამატებით მოდულაციას. ამ ტიპის მაკრომოლეკულებს მიეკუთვნება ინტერლეიკინი-33 (ილ-33), გალექტინი-3 (გალ-3) და გლიკაციის საბოლოო პროდუქტები (გსპ), რომლებიც იწვევენ იმუნური სისტემის აქტივაციას. განსაზღვრულია ილ-33-ის, გალ-3-ის და გსპ-ის რაოდენობა იც/მშბს-ით დაავადებულთა შარდში, აგრეთვე, ჯანმრთელი ქალების შარდში. კვლევაში ჩართული იყო იც/მშბს-ით დაავადებული 43 პაციენტი; საკონტროლო ჯგუფი შეადგინა 29 ქალმა. მიღებული მონაცემების გადათვლა ხდებოდა გამოყოფილი კრეატინინის რაოდენობაზე. ილ-33 და გალ-3 განისაზღვრებოდა იმუნოფერმენტული ტესტ-სისტემების საშუალებით, გსპ-ს კონცენტრაცია ისაზღვრებოდა უნებრივი გსპ-ს სპეციფიკური ფლუორესცენციის რეგისტრაციით (აგზნ. - 370 ნმ, ემისია - 440 ნმ). დადგენილია, რომ იც/მშბს-ით დაავადებულთა შარდში ილ-33-ის და გალ-3-ის დონემ სტატისტიკურად სარწმუნოდ მოიმატა: საკონტროლო ჯგუფში ილ-33 მაჩვენებელმა შეადგინა 0.32, იც/მშბს-ით დაავადებულთა შარდში - 0.58-მდე ($p<0.05$). გარდა ამისა, იც/მშბს-ით დაავადებულთა შარდში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, მომატებული აღმოჩნდა გალ-3-ის რაოდენობა (0.16 - საკვლევი ჯგუფი; 0.07 - საკონტროლო ჯგუფი; $p>0.01$) და 140%-ით მოიმატა გსპ-ის სპეციფიკური ფლუორესცენციის მაჩვენებელმა. მიღებული მონაცემები ადასტურებენ ილ-33-ის, გალ-3-ის და გსპ-ის მონაწილეობას იც/მშბს-ის პათოგენეზში. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.35. კარიესის გავრცელება საქართველოს რეგიონების ზრდასრულ მოსახლეობაში. /ლ. წიტაიშვილი, მ. მარგველაშვილი, მ. კალანდაძე, ვ. მარგველაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 21-28. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ზრდასრულ მოსახლეობაში კბილის კარიესის დაავადების და მისი გავრცელების შესწავლა. კვლევა განხორციელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული სტრატიფიცირებულ-კლასტერული შერჩევის მეთოდით (Pathfinder Survey). გამოკვლეულია 2370 ქალაქის და სოფლის მაცხოვრებლები საქართველოს 9 რეგიონში და თბილისში (1289 ქალი და 1081 მამაკაცი), რომლებიც განაწილებული იყო 4 ასაკობრივ ჯგუფში: I ჯგუფი - 20-34 წელი, II - 35-44, III - 45-64 და IV - 65 წელზე ზევით. ჯანმო-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა სტომატოლოგიური სტატუსის და პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება; პირის ღრუს დათვალიერება წარმოებდა სტომატოლოგიური სარკის და ზონდის საშუალებით უნებრივი განათების პირობებში. სხვადასხვა რისკ-ფაქტორის შეფასება განხორციელდა ავტორების მიერ შედგენილი კითხვარის საშუალებით, რომელიც შეიცავდა კითხვებს სოციალური სტატუსის, ოჯახის მატერიალური შემოსავლის, ზოგადი დაავადებების, პირის ღრუს ჰიგიენის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების, სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობის, თამბაქოს მოხმარების, ასევე, კვებითი ფაქტორების შესახებ (ნახშირწყლების, რძის პროდუქტების მიღება). ავტორების მიერ დადგენილია, რომ პირის ღრუს არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენა და ადამიანთა დაბალი სამედიცინო განათლების დონე არსებით როლს ასრულებს კბილის კარიესის გავრცელებაში საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში, ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ფაქტორი. მიღებული სტატისტიკურად სარწმუნო მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მცირე განსხვავებით კარიესის გავრცელების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მწვავე პრობლემას წარმოადგენს და საჭიროებს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მათ შორის, სტომატოლოგიური მომსახურების

მისაღებად მოსახლეობის მიმართვიანობის გაზრდას, სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონის ამაღლებას. ცხრ. 2, ლიტ. 17.

ავტ.

14.3.2.36. ზედა ყბის პირველი მოლარის ანატომიური მახასიათებლები საქართველოს მოსახლეობაში. /ნ. ჭიპაშვილი, ე. ეშკენაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 28-33. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევა ეძღვნება ზედა პირველი მოლარის ანატომიური თავისებურებების შესწავლას ქართულ პოპულაციაში. კვლევის დროს შესწავლილ იქნა 440 კბილი. საკვლევი მასალა გაიყო 3 ჯგუფად: 156 ექსტრაგირებული კბილების ჯგუფი და 243 კლინიკურად ნამკურნალევი კბილების ჯგუფი. შეფასების კონტროლი ხორციელდებოდა 3 ჯგუფში - კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის მეთოდის საშუალებით (41 კბილი). ავტორების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული (ex-vivo) და კლინიკური კვლევის შედეგები წინააღმდეგობრივია. კლინიკური კვლევისას რეგისტრირებული მეოთხე არხის რაოდენობა ნაკლები აღმოჩნდა. ამიტომ, კვლევის ვალიდურობისა და სარწმუნოობისათვის გადაწყდა, შედეგები განხილულიყო მხოლოდ ექსტრაგირებულ კბილთა ჯგუფიდან. შესაბამისად, ex-vivo კვლევის შედეგებმა აჩვენა ზედა ყბის პირველი მოლარის მედიალურ-ლოყისკენა ფესვში მეოთხე არხის არსებობის მაღალი ალბათობა (70,5%) საქართველოს მოსახლეობაში. კვლევის ამ ეტაპზე მიღებული მონაცემები სხვა ავტორების მიერ მოწოდებული მონაცემების იდენტურია. ცხრ. 2, ლიტ. 18.

ავტ.

14.3.2.37. ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიის პროგრესირების ახალი სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების კომპლექსური შეფასება. /ი. პლეში, ლ. გაიდიჩი, ს. რიაბოი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 47-51. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს შეადგენდა ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიის დიაგნოსტიკის გაუმჯობესება ჰემოდინამიკის სხვადასხვა რგოლის კომპლექსური ანალიზის გამოყენებით ავადმყოფებში არტერიული წნევის განსხვავებული დღე-ღამური პროფილით. ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიით 92 ავადმყოფში შესწავლილია კომპრესიულ-დეკომპრესიული სინჯის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები ანგიოტენზიორეობაროგრაფიის (ატრბგ) ორიგინალური მეთოდიკის გამოყენებით. მას საფუძვლად უდევს წინამხრის ქსოვილების სისხლსავსეობის მოცულობით-იმპედანსური დამოკიდებულების, ფრჩხილის ალიშის მიკროცირკულაციის და ცენტრალური ვენური წნევის ცვლილებების შეფასება არტერიული წნევის დღე-ღამურ რიტმთან მიმართებით. ატრბგ-ის გამოყენების შედეგები ადასტურებს, რომ ესენციური ჰიპერტენზიის II სტადიით ავადმყოფთა უმეტესობაში იგი შეუღლებულია ვენურ ჰიპერტენზიასთან. დადგენილია უკუკავშირი ცენტრალური ვენური წნევის მომატებასა და მოფუნქციონირე კაპილარების კუთრი სიმჭიდროვის შემცირებას შორის პაციენტებში არტერიული წნევის დაბალი (Non-dipper) და უარყოფითი (Night-picker) დღე-ღამური რიტმით, რაც, შესაძლოა, შეთავაზებულ იქნეს ესენციური ჰიპერტენზიის პროგრესიული მიმდინარეობის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმად. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.38. TLR-2, TLR-3 და TLR-4 გენების პოლიმორფიზმის როლი გრიპის გავრცელებასა და მიმდინარეობის პროგნოზირებაში. /გ. დუბინსკაია, ნ. პრიიმენკო, ი. კაიდაშევი, ვ. პოხილკო, კ. ჩუბი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 51-55. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია Arg753Gln TLR-2, Leu412Phe TLR-3, Asp299Gly TLR-4 გენების პოლიმორფიზმის გავრცელება და პროგნოზული მნიშვნელობა გრიპის დროს. გამოკვლეულია გრიპით დაავადებული 112 ადამიანი, მათგან 63 - გართულების გარეშე, 49 - გრიპთან ასოცირებული პნევმონიით. პოპულაციური კონტროლის ჯგუფი შეადგინა 170 პრაქტიკულად ჯანმრთელმა პირმა. დადგენილია, რომ ჰეტეროზიგოტული გენოტიპ Asp/Gly TLR-4 სიხშირე სარწმუნოდ მაღალია გრიპით დაავადებულ ჯგუფში (12,69%) და გრიპთან ასოცირებული პნევმონიის შემთხვევაში (14,28%), პოპულაციურ კონტროლთან (3,33%) შედარებით. ჰომოზიგოტური გენოტიპ Phe/Phe TLR-3 სიხშირე პნევმონიით დაავადებულ ჯგუფში (18,37%) აღემატება გართულების გარეშე გრიპით დაავადებულთა (4,76%; p=0,02) და ჯანმრთელ პირთა (5,00%; p=0,02) მაჩვენებლებს. მუტანტური გენოტიპები TLR-2, TLR-3 და TLR-4 აღირიცხება მხოლოდ გრიპით დაავადებულთა და გრიპთან ასოცირებული პნევმონიით დაავადებულთა შორის (11,11% და 14,28%, შესაბამისად). დადგენილია, რომ გრიპის განვითარების რისკი აღენიშნება პირებს, გენოტიპით Asp/Gly TLR-4 და მუტანტური გენოტიპების TLR-2, TLR-3 და TLR-4 კომბინაციით,

ხოლო გრიპთან ასოცირებული პნევმონიის რისკი - ავადმყოფებს ჰომოზიგოტური გენოტიპით Phe/Phe. ცხრ. 2, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.2.39. მონტელუკასტის როლი ასთმის საშუალო და მძიმე ფორმების მკურნალობაში. /ე. ეკალაძე, ი. ფხაკაძე, ნ. ალავიძე, ქ. ჯუღელი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 56-60. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი იყო ლეიკოტრიენების ინგიბიტორებით (მონტელუკასტი) ხანგრძლივი თერაპიის ეფექტურობის შეფასება საშუალო და მძიმე ფორმის რონქული ასთმით დაავადებულ ავადმყოფებში. კვლევა მიმდინარეობდა შპს „ქუთაისის ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის რეგიონულ ცენტრში". ჩატარდა 187 ავადმყოფობის ისტორიის რეტროსპექტული ანალიზი. პაციენტების ისტორიები დაჯგუფდა დაავადების სიმძიმისა და მკურნალობის მეთოდის (მონოთერაპია საინჰალაციო გლუკოკორტიკოიდებით, საინჰალაციო გლუკოკორტიკოიდების კომბინაცია ლეიკოტრიენების ინჰიბიტორებთან) და ასაკის გათვალისწინებით. ფილტვის ფუნქციის შეფასება ხდებოდა სპირომეტრიის მონაცემებით (ფორსირებული ამოსუნთქვის მოცულობა 1 წმ, ფორსირებული ამოსუნთქვის პიკური სიჩქარე). თითოეული ჯგუფისათვის გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკური მეთოდები. კვლევის მონაცემები მიუთითებს რონქული ასთმის მკურნალობაში ლეიკოტრიენების ანტაგონისტების დადებით გავლენაზე საინჰალაციო სტეროიდებთან კომბინაციაში. ცხრ. 4, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.40. სისხლის რედოქს-სტატუსის ცვლილებები ფსორიაზის დროს. /მ. მათოშვილი, ა. კაციტაძე, თ. სანიკიძე, დ. თოფურია, ა. რიკეტა, ს. დ'ეპირო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 60-64. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს შეადგენდა რეაქციული ჟანგბადის ნაერთების როლის შეფასება ფსორიაზის პათოგენეზში. კვლევაში მონაწილეობდა 60 პირი: 40 - ფსორიაზის დიაგნოზით და 20 ჯანმრთელი პირი (საკონტროლო ჯგუფი). ფსორიაზით დაავადებული პაციენტები დამატებით დიფერენცირდნენ ფსორიაზის ლაქების ფართობისა და სიმძიმის მიხედვით (საერთაშრისო ინდექსი PASI-ის გათვალისწინებით). პაციენტების სისხლში რედოქს-სტატუსი - სუპეროქსიდ-(O_2–) და ლიპოპეროქ-სიდრადიკალების (LOO), თავისუფალი Mn^{2+}-ის შემცველობა და სისხლის ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობა (ცერულოპლაზმინის/Fe^{3+} - ტრანსფერინი, კატალაზა - CAT და სუპეროქსიდ დისმუტაზა - SOD) განისაზღვრა ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის მეთოდის მეშვეობით, CAT და SOD აქტივობა – სპექტროფოტომეტრიის მეთოდით. ფსორიაზის მქონე პაციენტების სისხლში ცერულოპლაზმინის დაჟანგული ფორმების ეპრსიგნალის ინტენსივობა გაიზარდა და რკინის სატრანსპორტო ცილის, Fe^{3+} -ტრანსფერინის (Fe^{3+}-თრ) ინტერნსივობა შემცირდა ჯანმრთელ პირთა იგივე პარამეტრების მაჩვენებლებთან შედარებით. ფსორიაზის სიმძიმის ხარისხის ზრდის შესაბამისად კატალაზას აქტიურობა გაიზარდა და სუპეროქსიდდისმუტაზას აქტიურობა შემცირდა. აღმოჩენილ იქნა ასევე დაბალმოლეკულური Mn^2+ შემცველი კომპლექსების და ლიპოპეროქსიდის თავსუფალი რადიკალების ეპრ სიგნალები. მიღებული მონაცემები მიუთითებს ფსორიაზის დროს სისხლის რედოქს ალანსის ცვლილებაზე; რედოქს-ბალანსის გაუარესების დონე კორელაციაშია ფსორიაზის სიმძიმესთან. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ სისხლის რედოქს-სისტემის შესწავლა და მისი ცვლილებების კონტროლი ფსორიაზის მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით. ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.41. იპოთერაპიის გავლენა პირველად ყაბზობაზე. /მ. შეროზია, ხ. საგანელიძე, გ. ერაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 78-81. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს შეადგენდა იპოთერაპიის გავლენის შეფასება პირველადი ყაბზობის დინამიკაზე. გამოკვლევა ჩატარდა 11 პაციენტზე (9 - ქალი, 2 - მამაკაცი). 5 შემთხვევაში დიაგნოსტირებული იყო ფუნქციური ყაბზობა, 6 შემთხვევაში – გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი. 7 პაციენტს თავიდანვე დაეწყო იპოთერაპია, ოთხს აღნიშნული მკურნალობა ჩაუტარდა ფარმაკოთერაპიის ერთთვიანი კურსის შემდეგ. იპოთერაპია გრძელდებოდა 5 კვირის განმავლობაში. ჩვეულებრივ - კვირაში 3 სეანსი, ფარმაკოთერაპიის შემდეგ კი – კვირაში 2 სეანსი. მკურნალობის წინ და კურსის დამთავრების შემდეგ პაციენტები ექიმის მონაწილეობით ავსებდნენ თვითშეფასების კითხვარს. სიმპტომების დინამიკის სუბიექტური შეფასება ექვემდებარებოდა დამუშავებას არაპარამეტრული სტატისტიკის მეთოდით – ხდებოდა ნიშნების კრიტერიუმის გამოთვლა. თერთმეტივე გამოკვლეულმა დააფიქსირა იპოთერაპიის

შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მათ შორის 10 – მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. სტატისტიკურად სარწმუნოა იპოთერაპიის გავლენა ყაბზობის ოთხივე გამოვლინებაზე – ნორმამდე შემცირდა ინტერვალები დეფეკაციებს შორის, მოიხსნა ან გაიშვიათდა ჭინთვები დეფეკაციის დროს, განავალი გახდა ნორმალური კონსისტენციის და კონფიგურაციის, მოიხსნა ნაწლავების არასრული დაცლის შეგრძნება. გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომის შემთხვევაში, ასევე, სტატისტიკურად სარწმუნოდ შემცირდა მუცლის ტკივილის და მუცლის შებერვის ეპიზოდები. მნიშვნელოვანია, რომ იპოთერაპიის არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირედა რომელიმე სიმპტომის დამძიმება, ან ახალი სიმპტომის გაჩენა. მკურნალობის პროცესში პაციენტები არავითარ პროცესუალურ დისკომფორტს არ აღნიშნავდნენ. მიღებული მონაცემები ცხადყოფს იპოთერაპიის გამოხატულ პოზიტიურ მოქმედებას ნაწლავების ფუნქციური დარღვევების მიმდინარეობაზე, რაც, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ დაავადებების მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრისას. ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.42. პერიტონეუმის დესიკაცია და პრევენცია ნაწლავთა მწვავე შეხორცებითი გაუვალობის დროს. /ბ. სლონეცკი, ა. დოვჟენკო, ი. ვერბიცკი, მ. მაკსიმენკო, ვ. კოცუბენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 103-107. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევა ჩატარდა 30 თეთრი ვისტარის ჯიშის ვირთაგვაზე, რომლებიც დაიყო სამ ჯგუფად:. პირველ ჯგუფში შესწავლილ იქნა კარბოქსიპერიტონეუმის მოქმედების ეფექტი ვისცერულ პერიტონეუმზე, 2-საათიანი ხანგრძლივობით წნევით 9-10 mm.Hg ფრაქციულად, შენაცვლებით 20 წუთის შემდეგ 10 წამით, მეორე ჯგუფში იგივე კვლევა ჩატარდა 12-საათიანი ექსპერიმენტული მწვავე გაუვალობის დროს. მესამე ჯგუფში ერთჯერადად მუცლის ღრუში შეყვანილი იყო 4-კომპონეტიანი ხსნარი (კარბოქსიპერიტონეუმი, კარბოქსიცელულოზას გელი, ნოვოკაინი, ანტიბიოტიკი). პირველ ჯგუფში ხანგრძლივი დაჭიმული კარბოქსიპერიტონეუმის გამოყენების პირობებში ადგილი ჰქონდა ვისცერული პერიტონეუმის დესიკაციას, 24 საათის შემდეგაც. გამოვლინდა ლიპოპეროქსიდაციის პროდუქტების მატება და ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის კლება; ეს პროცესი მკვეთრად იყო გამოხატული მეორე ჯგუფის ცხოველებში, ნაწლავთა მწვავე შეხორცებითი გაუვალობის ფონზე. მესამე ჯგუფის ცხოველებში ინტრაადომინალურად 4-კომპონენტიანი ხსნარის გამოყენების შემდეგ შემცირდა პერიტონეუმში ფუნქციური და ორგანული დაზიანების ნიშნები, გააქტიურდა ანტიოქსიდაციური სისტემები. ამრიგად, კარბოქსიპერიტონეუმის ხანგრძლივი ზემოქმედება ნაკლებ ინვაზიური ტექნოლოგიების პირობებში საჭიროებს ვისცერალური პერიტონეუმის დაცვის ახალი მეთოდების გამოყენებას მისი რეგიონალური და სისტემური გართულებების ადაპტაციურ-კომპენსატორული პრევენციის მიზნით. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.43. შიდა საძილე არტერიის სტენოზის სიგრძის და ანესთეზიის ტიპის შესაბამისად ენდარტერექტომიის მეთოდის შერჩევა. /ჯ. ფარცახაშვილი, ნ. რთველიაშვილი, ო. ფილიშვილი, რ. ქურდაძე, ი. უკატი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 7-11. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შიდა საძილე არტერიის სტენოზის მკურნალობის რადიკალურ მეთოდს წარმოადგენს კაროტიდული ენდარტერექტომია (ევერსიული – მოკლე სტენოზის დროს, კონვენციური - გრძელი სტენოზის დროს), რომელიც ტარდება როგორც ადგილობრივი ანესთეზიის (ცერვიკალური ლოკადა), ასევე ზოგადი ნარკოზის პირობებში. განხილულია კაროტიდული ენდარტერექტომიის 215 შემთხვევა, რომლებიც ჩატარდა მარტინ ლუთერის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკასა (ჰალე, გერმანია) და შპს „ტრავმატოლოგი“-ს (თბილისი, საქართველო) ვისცერული და სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილებაში. 56 შემთხვევაში (I ჯგუფი) წარმოებულ იქნა ევერსიული ენდარტერექტომია ცერვიკალური ლოკადით, ხოლო 159 შემთხვევაში (II ჯგუფი) - კონვენციური ენდარტერექტომია ზოგადი ნარკოზის ქვეშ. აღნიშნულ ჯგუფში 48 პაციენტს ჰქონდა მოკლე სტენოზი, მაგრამ, დამატებითი კრიტერიუმებიდან გამომდინარე (პაციენტის არაკოოპერატიულობა, კლაუსტროფობია, დიაფრაგმის ან ხორხის შებრუნებული ნერვის პარეზი), ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდათ ზოგადი ნარკოზის ქვეშ. პაციენტთა პირველ ჯგუფში პოსტოპერაციულმა გართულებებმა (ინსულტი, ტრანზიტორული იშემიის შეტევა, ინფარქტი) შეადგინა 1,78%, ხოლო მეორეში - 1,88%. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე მოკლე სტენოზების დროს ევერსიული ენდარტერექტომია + ცერვიკალური ლოკი შეფასდა ოპტიმალურ ქირურგიულ პრიორიტეტად, გრძელი სტენოზების დროს კი - დაბალანსებული ზოგადი ანესთეზია ფილტვების ხელოვნური ვენტილაციით, ინტრაკაროტიდული შუნტის და სისხლძარღვოვანი საკერებლის გამოყენებით. ცხრ. 1, ლიტ. 26.

ავტ.

14.3.2.44. ექინოკოკოზის ქირურგიული მკურნალობის სრულყოფა. /დ. კალიევა, ე. ტურგუნოვი, მ. ტუსუპბეკოვა, ნ. აბატოვი, ზ. სადუოვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 11-19. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ღვიძლის ექინოკოკოზის ქირურგიული მკურნალობის ეფექტურობის და უსაფრთხოების ამაღლება კისტის ნარჩენი ღრუს დამუშავების ახალი ფიზიკური მეთოდის შემუშავების გზით. ჩატარდა ექინოკოკური კისტის ჩანასახურ ელემენტებზე იმპულსური ელექტრომუხტების (იემ) ზემოქმედების კლინიკო-ექპერიმენტული გამოკვლევა. მეთოდის ეფექტურობის დადასტურების მიზნით ჩატარებულია ჰისტოლოგიური მასალის კვლევა იმპულსური ელექტრომუხტებით დამუშავებამდე და მის შემდეგ. ექსპერიმენტის გზით დამტკიცებულია, რომ იმპულსური ელექტრომუხტების (იემ) ექინოკოკური კისტის ჩანასახის ელემენტებზე ზემოქმედების, რომლის დროსაც ხდება მათი სრული დაშლა, ოპტიმალური რეჟიმი არის ექსპოზიცია 120 წამის განმავლობაში 200 მლ სითხეზე ან 0,6 წამი 1 მლ მოცულობაზე. შემუშავებულია იმპულსური ელექტრომუხტებით (იემ) ნარჩენი ღრუს კლინიკაში დამუშავების მეთოდიკა. 2007-2013 წლებში ამ მეთოდით ოპერაცია ჩაუტარდა 25 პაციენტს; 13(52,0%) მამაკაცს და 12(48,0%) ქალს. ავადმყოფთა საშუალო ასაკი შეადგენდა 37,8±0,8. ერთეული კისტები აღინიშნა 16(64,0%) შემთხვევაში, მრავლობითი – 9(36,0%). პირველადი კისტები შეინიშნებოდა 20(80,0%) შემთხვევაში, რეციდივული - 5(20,0%). ზომების გათვალისწინებით 10 სმ-მდე კისტა ვერიფიცირებულია 8(32,0%) შემთხვევაში, 10 სმ-დან 20 სმ-მდე – 15(60,0%) შემთხვევაში, 20 სმ-დან და მეტი - 2(8,0%) შემთხვევაში. ლოკალიზაციის მიხედვით ღვიძლის მარცხენა წილი დაზიანებული იყო 24,0% შემთხვევაში, მარჯვენა - 76,0%. ექინოკოკექტომია ჩაუტარდა 22(53,0%) პაციენტს, რეზექცია - 2(12,0%,), პერიცისტექტომია - 1(6,0%). სისხლის დანაკარგის საშუალო მოცულობამ შეადგინა 320,6 მლ. ჰემოტრანსფუზია ჩაუტარდა მხოლოდ 1(4,0%) პაციენტს. ოპერაციის შემდგომი გართულებები მარცხენამხრივი რეაქტიული პლევრიტის სახით აღინიშნა 3(12,0%) შემთხვევაში. ჰოსპიტალიზაციის საშუალო ვადებმა შეადგინა 12,8±2,2 საწოლ-დღე. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ექინოკოკექტომია, შევსებული ნარჩენი ღრუს იმპულსური ელექტრომუხტით დამუშავებით, წარმოადგენს ღვიძლის ექინიკოკოზის რადიკალური ქირურგიული მეთოდით მკურნალობის ალტერნატივას, ვინაიდან იემ-ი დამანგრევლად მოქმედებს ექინოკოკის ჩანასახის ელემენტებზე, მარტივი და უსაფრთხოა გამოყენებაში. ცხრ. 1, სურ. 13, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.2.45. ადამიანის კბილის პულპის ღეროვანი უჯრედების ფუნქციური აქტივობა მწვავე და ქრონიკული პულპიტების დროს. /მ. უსტიაშვილი, დ. კორძაია, მ. მამალაძე, მ. ჯანგავაძე, ლ. სანოძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 19-24. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის კბილის პულპაში ღეროვანი უჯრედების იდენტიფიკაცია, მათი ლოკალიზაციის დადგენა და ფუნქციური აქტივობის შეფასება ნორმაში და ანთების დროს. მიღებული შედეგები ცხადყოფენ, რომ მწვავე პულპიტების დროს პულპის სტრომა ჰიპოცელულურია ნორმასთან შედარებით, უჯრედების პროლიფერაციული აქტივობა კი დაბალია. პულპის სტრომაში პერივასკულურად და Hohle-ს შრეში ნანახია CD 133 და NCAM (CD 56) დადებითი ღეროვანი უჯრედები. პროცესის გახანგრძლივების შემთხვევაში და ქრონიკულ ფაზაში გადასვლისას პულპის სტრომა ჰიპერცელულურია, ფიბრობლასტებთან ერთად ჩნდება უჯრედები დიდი, მომრგვალო ან ოვალური ფორმის ირთვით, ნათელი ქრომატინით. ისინი გაფანტულია როგორც სტრომის მთელ სისქეში, ასევე, განსაკუთრებით - Hohle-ს შრეში. ასეთ უჯრედებში აღინიშნება პროლიფერაციული აქტივობა (Ki-67 ექსპრესია). აღნიშნული პროლიფერაციის ფაზაში მყოფი უჯრედები ინტენსიურად ინიშნება CD 133-ით, რომელთა სიხშირე მაღალია Hohle-ს შრეში და მის მიმდებარედ. პულპის სტრომაში ჩნდება დიდი რაოდენობით NCAM (CD 56) დადებითი უჯრედები. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ პულპიტების დროს რეპარაციული დენტინოგენეზის პროცესში ღეროვანი უჯრედების ჩართვა ეტაპობრივად მიმდინარეობს. დაავადების მწვავე მიმდინარეობის შემთხვევაში გაღიზიანებაზე საპასუხოდ ადგილი აქვს ღეროვანი უჯრედების მობილიზაციას და პროლიფერაციას პერივასკულურად და მათ მიგრაციას Hohle-ს შრეში. პროცესის ქრონიზება იწვევს არა მარტო ღეროვანი უჯრედების გადაადგილებას პულპის პერიფერიისაკენ, არამედ მათი „მომწიფების“ გაძლიერებას (NCAM ექსპრესიის მატება ღეროვან უჯრედებში), რაც განაპირობებს დენტინის მაპროდუცირებელი აქტიური ოდონტობლასტების რაოდენობის მატებას და რეპარაციული დენტინოგენეზის პროცესის ინიციაციას. სურ. 2, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.46. პაროდონტის დაავადებების გავრცელება საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში. /ლ. წიტაიშვილი, მ. მარგველაშვილი, მ. კალანდაძე, ვ. მარგველაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 25-32. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა პაროდონტის დაავადებათა გავრცელების შეფასებას საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში მათი განაწილების თავისებურების განსაზღვრით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის პოპულაციაში. კვლევა განხორციელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ მოწოდებული კლასტერულ-სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით: 2370 პირი - 1289 ქალი და 1081 მამაკაცი, რომლებიც განაწილდა 4 ასაკობრივ ჯგუფში: I - 20-34 წელი, II - 35-44, III - 45-64, IV - 65+. გამოკვლეულ იქნა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლები ქვეყნის 9 რეგიონში და დედაქალაქში. ჯანმო-ს რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა სტომატოლოგიური სტატუსის და პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება ჩატარდა ანკეტის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა კითხვებს რისკ-ფაქტორების დასადგენად: სოციალური სტატუსი და ოჯახის მატერიალური შემოსავალი, ზოგადი დაავადებები, დამოკიდებულება პირის ღრუს ჰიგიენურ ჩვევებთან (კბილების ხეხვა, დენტალური ფლოსის, პირის ღრუს სავლების გამოყენება), სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა, შაქრის, რძის პროდუქტების, სიგარეტის მოხმარება. პირის ღრუს დათვალიერება წარმოებდა სტომატოლოგიური სარკის საშუალებით უნებრივი განათების პირობებში, ხოლო პაროდონტული ჯიბეების გაზომვა - პაროდონტული ზონდის საშუალებით. სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებული სანდო მონაცემები მიუთითებს პაროდონტის დაავადებათა მაღალ გავრცელებაზე საქართველოს ყველა გამოკვლეულ რეგიონში: აჭარაში - 71.7%, მცხეთა-მთიანეთში - 70.8%, იმერეთში - 64.9%, ქვემო ქართლში - 61.6%, შიდა ქართლში - 60.5%, გურიაში - 55.9%, სამცხე-ჯავახეთში - 56.0%, კახეთში - 59.1%, სამეგრელოში - 55.2%, თბილისში - 61.8%. რისკ-ფაქტორების მრავალფეროვნების მიუხედავად, პაროდონტის ანთებადი დაავადებების ფართო გავრცელება საქართველოს რეგიონებში მეტწილად დაკავშირებულია მოსახლეობის დაბალი ცოდნის დონესთან პირის ღრუს ჰიგიენური ჩვევების და სტომატოლოგიური მომსახურების შესახებ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსური ფაქტორი. კვლევამ ცხადყო, რომ პაროდონტის დაავადებები აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში და საჭიროებს სერიოზულ მიდგომას და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, რათა გაძლიერდეს მოსახლეობის მიმართვიანობა სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად და ამაღლდეს ადამიანთა სამედიცინო და სტომატოლოგიური განათლების დონე. ცხრ. 6, ლიტ. 34.

ავტ.

14.3.2.47. აუტოლოგიური მეზენქიმური ღეროვანი მულტიპოტენტური უჯრედების ტრანსპლანტაციის კლინიკური ეფექტურობის შეფასება ავადმყოფებში ღვიძლის ციროზითა და პორტული ჰიპერტენზიით. /ბ. აგაევი, რ. აგაევი, ა. პოპანდოპულო, რ. ჯაფარლი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 39-45. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ღვიძლის ციროზითა და პორტული ჰიპერტენზიით დაავადებულ 14 პაციენტზე განხორციელდა აუტოლოგიური მულტიპოტენტური მეზენქიმური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია კარის ვენაში (I ჯგუფი, n=7) და ღვიძლის არტერიის საერთო ღეროში (II ჯგუფი, n=6). დავადების ხანგრძლივობა პროცესის დადგენის დღიდან შეადგენდა 1-8 წელს (3,7±2,4 წელი). დაავადების სიმძიმე სხვადასხვა ფუნქციური ტესტის მიხედვით ფასდებოდა Chaild-Pugh კრიტერიუმებით: ფუნქციური კლასი A – 6(42,9%), ფუნქციური კლასი B - 8(57,1%). უჯრედული კულტურები იდენტიფიკაციით და მახასიათებლებით შეესაბამებოდა უჯრედული ტექნოლოგიების საერთაშორისო საზოგადოების 2006 წლის კრიტერიუმებს (ISCT). მკურნალობის შედეგები და პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობა შედარებულია 2 თვიდან 5 წლამდე პერიოდში Kaplan-Meier survival curve კრიტერიუმების მიხედვით. ჩატარებულია ღვიძლის იოპტატების ზოგადმორფოლოგიური კვლევა. დადგენილია, რომ აუტოლოგიური მეზენქიმური მულტიპოტენტური ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაცია დადებით ეფექტს ახდენს ღვიძლის ძირითადი კლინიკური სიმპტომების და სტრუქტურის დინამიკაზე. ღეროვანი უჯრედების გადანერგვა არტერიულ პერივასკულურ ზონაში უფრო ხელსაყრელ პირობას ქმნის უჯრედთა მიგრაციის, დიფერენციაციის და ჩანერგვის ეფექტურობის თვალსაზრისით, ვიდრე პერიპორტულ ვენებში ტრანსპლანტაციის დროს, რასაც ადასტურებს Chaild-Pugh კრიტერიუმები – პაციენტების გადასვლა B ფუნქციური კლასიდან A კლასში. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.2.48. კეროვანი და ღეროვანი სიმპტომატიკის დინამიკის და PAI-1 გენის -675 4G/5G პოლიმორფიზმის ურთიერთკავშირი ქალატვინის ტრავმით ავადმყოფებში. /ა. პოტაპოვი, ა. კმითა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 45-51. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნევროლოგიური სიმპტომატიკის რეგრესიის დინამიკა წარმოადგენს ქალატვინის ტრავმის კლინიკური მიმდინარეობის და ეფექტური მკურნალობის შეფასების მნიშვნელოვან ასპექტს. წარმოდგენილია ქალატვინის კეროვანი და ღეროვანი ტრავმით ავადმყოფების (200) სიმპტომატიკის დინამიკა და მისი ანალიზი PAI-1 გენის -675 4G/5G პოლიმორფიზმთან კავშირში. დადგენილია ქალატვინის მძიმე ტრავმით პაციენტებში კეროვანი და ღეროვანი სიმპტომატიკის ცვლილებათა კავშირი ზემოაღნიშნული გენის პოლიმორფიზმის 4G/5G გენოტიპებთან. დადასტურებულია PAI-1 გენის - 675 4G/5G პოლიმორფიზმის კავშირი ქალატვინის ტრავმის კლინიკურ მიმდინარეობასა და მკურნალობის დინამიკასთან. ცხრ. 4, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.49. ჰიპოთერიოზის სხვადასხვა ფორმით და თანმხლები რკინადეფიციტით ავადმყოფებში სისხლწარმოქმნის სისტემის შეფასება. /ზ. ტაუეშევა, დ. ტაიჟანოვა, ზ. გუსეინოვა, ა. ტოლეუოვა, ჟ. ეისენბეკოვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 51-55. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს რკინადეფიციტით და ჰიპოთირეოზის სხვადასხვა ფორმებით ავადმყოფებში პერიფერიული სისხლის მდგომარეობის შეფასება. გამოკვლეულია 192 პაციენტი რკინადეფიციტური ანემიის ვერიფიცირებული დიაგნოზით და ჰიპოთირეოზის სხვადასხვა ფორმით, მათ შორის 34(22,9%) მამაკაცი და 158(87,5%) ქალი. ავადმყოფების ასაკი მერყეობდა 21-დან 77 წლამდე. გამოყოფილია 3 ჯგუფი: I ჯგუფს შეადგენდნენ პაციენტები სუბკლინიკური ჰიპოთირეოზით: მათ შორის IA ჯგუფი შეადგინა პაციენტებმა იზოლირებული სუბკლინიკური ჰიპოთირეოზით, IB ჯგუფი - ავადმყოფებმა სუბკლინიკური ჰიპოთირეოზით რკინადეფიციტურ მდგომარეობასთან შეთავსებით, IIA ჯგუფი შეადგინეს ავადმყოფებმა იზოლირებული პირველადი ჰიპოთირეოზით და IIB ჯგუფი - პირველადი ჰიპოთირეოზით რკინადეფიციტურ მდგომარეობასთან შეთავსებით. მიღებული შედეგებით გამოვლინდა შესასწავლ ჯგუფებში სისხლწარმოქმნის სისტემის სხვადასხვა ხარისხის დარღვევები, რომლებიც ახასიათებს რკინის ქსოვილოვან დეფიციტს, მსუბუქი, საშუალო და მძიმე ხარისხის ანემიას. ჯგუფებში განისაზღვრა ასევე ანემიური სინდრომის განვითარების ეთიოლოგიური ფაქტორები. კვლევის შედეგების მიხედვით თირეოიდული ჰორმონების უკმარისობა განსაზღვრავს სისხლწარმოქმნის ფორმების ელემენტების ფორმირემის უკმარისობას. ამავე დროს რკინადეფიციტური ანემია რკინაშემცველი ფერმენტების ქსოვილოვანი დეფიციტით იწვევს ფარისებური ჯირკვლის თიროქსინის გამომუშავების შემცირებას და ჰიპოთირეოზის განვითარებას. სურ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.50. შაქრის დიაბეტით დაავადებულებში თირკმელების დაზიანების დროს მაგისტრალური და თირკმელშიდა სისხლის მიმოქცევის მდგომარეობა. /დ. ამირხანოვა, ლ. ტურგუნოვა, ე. ლარიუშინა, ა. ალინა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 56-60. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს შაქრიანი დიაბეტით ტიპი 2-ით ავადმყოფებში თირკმელების დაზიანების დროს მაგისტრალური და თირკმელშიდა სისხლის მიმოქცევის შესწავლა. გამოკვლეულია 20 ავადმყოფი დიაბეტური ნეფროპატიის პრეკლინიკურ სტადიაში და შაქრიანი დიაბეტის ფონზე ქრონიკული პიელონეფრიტით 45 ავადმყოფი. თირკმლის სისხლის მიმოქცევა ფასდებოდა მაგისტრალური და თირკმელშიდა არტერიების დონეზე სისხლის სიჩქარისა და რეზისტული მაჩვენებლების განსაზღვრით ულტრაბგერითი დოპლეროგრაფიის მეთოდით. საკონტროლო ჯგუფში შედიოდა 20 პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანი. დიაბეტური ნეფროპატიის დროს სარწმუნოდ დადგინდა თირკმელშიდა სისხლის მიმოქცევის დარღვევა სიჩქარის მაჩვენებლების მატების სახით, ძირითად ღეროსა და სეგმენტარული თირკმლის არტერიაში მომატებული სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობის ფონზე. ქრონიკული პიელონეფრიტის არსებობისას შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს აღენიშნათ მაგისტრალური და თირკმელშიდა სისხლის მიმოქცევის დაქვეითება წილთაშორისი არტერიების დონემდე თირკმლის სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობის ინდექსების ერთდროული მატებით. დადგენილია თირკმლის ჰემოდინამიკის დარღვევები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ავადმყოფებში თირკმელების სხვადახვა დაზიანებების დროს. ცხრ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.51. ნეიროჰუმორული რეგულაციის კლინიკური და პათოგენეზური მნიშვნელობა ვეგეტატური დისფუნქციის ფორმირებაში ჩირქოვანი მენინგიტით ავადმყოფებში. /დ. ზადირაკა, ე. რიაბოკონი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 79-84. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში ნაჩვენებია მასალები, მიღებული ჩირქოვანი მენინგიტით დაავადებული 60 ავადმყოფის გამოკვლევის პროცესში. ნაჩვენებია, რომ ჩირქოვანი მენინგიტით დაავადებულ ავადმყოფებს დაავადების მწვავე პერიოდში ვეგეტატური დისფუნქციის ობიექტიური კლინიკური ნიშნები გამომჟღავნდა მხოლოდ 23,3%-ში, საერთო ინტოქსიკაციური და თავის ტვინის ზოგადი სინდრომების სიჭარბით, თანდართული გულის რიტმის ცვალებადობის ყველა გამოკვლეული სპექტრის სიმძლავრის შემცირებით, ვეგეტატური დისფუნქციით ვაგოტონიის მიმართულებით, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის მომატებით და სომატოტროპული ჰორმონის შემცირებით სისხლის შრატში. დაავადების დაწყების მეორე კვირიდან ვეგეტატური დისფუნქციის კლინიკური ნიშნები გამოვლინდა ჩირქოვანი მენინგიტით დაავადებულთა 95% შემთხვევაში საერთო ინტოქსიკაციური და თავის ტვინის ზოგადი სინდრომების რეგრესიის ფონზე. რეკონვალესცენციის პერიოდში ავადმყოფთა უმრავლესობაში (72,7%) ვეგეტატური დისფუნქციის სიმპტომების შენარჩუნებას თან ახლავს გულის რიტმის ცვალებადობის ძირითადი სპექტრების დაბალი სიმძლავრე, პარასიმპათიკოტონია და ენდოკრინული დისბალანსი. ცხრ. 2, ლიტ. 25.

ავტ.

14.3.2.52. თანდაყოლილი ხელმრუდობის და მტევნის ანომალიების კომბინირებული მკურნალობის ეფექტურობა ავშვებში. /ი. გარბუზნიაკი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 94-99. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თანდაყოლილი ხელმრუდობით და თანმხლები მტევნის ანომალიით ავშვების კომბინირებული ქირურგიული მკურნალობის ეფექტურობის შეფასება. აღნიშნული პათოლოგიით 35 პაციენტი, მკურნალობის მეთოდის გათვალისწინებით, დაიყო იყო 2 ჯგუფად: I ჯგუფის ავშვების მკურნალობა მიმართული იყო წინამხარის და მტევნის პათოლოგიის კორექციაზე, ხოლო II ჯგუფის პაციენტებს ჩაუტარდათ მხოლოდ წინამხრის ანომალიის კორექცია. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ავტორს გამოტანილი აქვს დასკვნა, რომ I ჯგუფის ავშვების მდგომარეობა 2,2-ჯერ მეტად გაუმჯობესდა II ჯგუფის ავშვებთან შედარებით, რაც დადასტურებულია QUEST ტესტით. ცხრ. 5, სურ. 6, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.2.53. მიოკარდის პოსტჰიპოქსიური იშემიის უახლოესი და შორეული შედეგები ახალშობილებში. /ს. კაბიევა, ა. სანდიბაევი, ნ. აბილდინა, . კოშკარბაევა, ე. კორნეევა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 100-105. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ადრეულ ნეონატალურ პერიოდში ახალშობილებში გულის ადაპტაციის თავისებურებებზე ჰიპოქსიის გავლენის და კატამნეზში მათი განვითარების დინამიკის შესწავლის მიზნით გამოკვლეული იქნა 294 ახალშობილი, რომლებმაც პერინატალურ პერიოდში გადაიტანეს ჰიპოქსია. კარდიოვასკულარული დარღვევების პროგნოსტიკული კრიტერიუმის სახით შეიძლება გამოყენებული იქნეს დაძაბულობის ინდექსი, რომელიც ახასიათებს ავტონომიური კონტურის მაჩვენებელს და მიოგლობინურ კოეფიციენტს. ადრეულ ნეონატალურ პერიოდში ახალშობილებში კარდიოვასკულარული დარღვევების გამოხატულობა დამოკიდებული იყო გადატანილი ჰიპოქსიის ხანგრძლივობასა და სიმძიმეზე. კატამნესტიკური დაკვირვებების მონაცემებმა გამოავლინა მიოკარდის პოსტჰიპოქსიური იშემიის სხვადასხვა შედეგები. უმეტეს შემთხვევებში აღინიშნებოდა კეთილხარისხოვანი მიმდინარეობა გამოჯანმრთელებით; შემთხვევათა 37% განვითარდა პოსტჰიპოქსიური კარდიოპათია. მიოკარდიუმის პოსტჰიპოქსიური დაზიანების შორეული შედეგები უფრო მეტად გამოხატულია კარდიოპათიის მძიმე მიმდინარეობისას; პოსტჰიპოქსიური კარდიოპათია 16,7%-ში ტრანსფორმირებული იყო დილატაციურ კარდიომიოპათიაში, რომელსაც თან ახლავს არითმიები და გულის უკმარისობა. ამგვარად, მიოკარდის პოსტჰიპოქსიური იშემიის უახლოესი და შორეული შედეგები დამოკიდებულია მიოკარდიუმის პოსტჰიპოქსიური დაზიანების ხარისხზე, დროული სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებაზე. ცხრ. 2, ლიტ. 42.

ავტ.

14.3.2.54. რისკის ფაქტორების და GST-გენების პოლიმორფიზმის გავლენა ნაადრევად დაბადებულ ჩვილებში რონქოპულმონური დისპლაზიის ჩამოყალიბებაზე. /ე. კოვალიოვა, ვ. პოხილკო, ზ. როსსოხა, ნ. გოროვენკო, ი. გონჩაროვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 105-112. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია რონქოპულმონური დისპლაზიის ჩამოყალიბების რისკის ფაქტორები. დადგინდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია დაბალი გესტაციური ასაკი და წონა დაბადების მომენტში; ასევე, ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ხანგრძლივი გამოყენება და მოგვიანითი ნეონატალური ინფექციის დართვა. გამოსაკვლევი გენების პოლიმორფიზმი და პოლიმორფული ვარიანტების

სხვადასხვა კომბინაცია გავლენას არ ახდენს რონქოპულმონური დისპლაზიის ჩამოყალიბების რისკზე. გამოვლინდა გენეტიკური პოლიმორფიზმის გავლენა ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ხანგრძლივობასა და მოგვიანებითი ნეონატალური ინფექციის წარმოშობაზე. გენეტიკური პოლიმორფიზმის წვლილის სწორი შეფასებისათვის აუცილებელია ყველა შესაძლო კლინიკური და ლაბორატორიული პარამეტრის წინასწარი ანალიზი ძლიერი დამოუკიდებელი პრედიქტორების გამოსავლინებლად, შემდეგ კი - გენეტიკური ფაქტორების არაპირდაპირი ზემოქმედების ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგები დღის წესრიგში აყენებს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის რეჟიმების ახალი მეთოდების და რონქოპულმონური დისპლაზიის პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას გენეტიკური პოლიმორფიზმის გათვალისწინებით ნაადრევ ჩვილებს შორის. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 16.

ავტ.

14.3.2.55. ჩვილ ავშვთა დამატებითი კვება და მის დაწყებაზე მოქმედი ფაქტორები. /ნ. ყავლაშვილი, მ. ხერხეულიძე, ე. კანდელაკი, ი. ჩხაიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 112-116. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამატებითი კვების დაწყების ვადაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება. ამ მიზნით მ. იაშვილის სახ. ავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ავშვთა განვითარების ცენტრში ჩატარდა 6 თვიდან 1 წლამდე ასაკის ჯანმრთელ ავშვების დედების (n=389) ანკეტირება. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ 117(30,2%) შემთხვევაში დამატებით კვება დაიწყო დროულად (6 თვის ასაკიდან), 70(18,1%) - ძალიან ადრე (4 თვემდე), 106(27,3%) - ადრე (4-6 თვე). 42(11%) შემთხვევაში ავშვებმა დამატებითი კვება მიიღეს დაგვიანებით, ხოლო 52-ს (13,4%) კვლევის პერიოდში ჯერ არ ჰქონდა დაწყებული. დამატებითი კვების დაწყების ვადაზე გავლენას ახდენს დედის ასაკი, მისი საქმიანობა. ახალგაზრდა დედები, სტუდენტები და მომუშავე დედები უფრო ადრე იწყებენ დამატებითი კვების გამოყენებას. დედების უმრავლესობას ინფორმაცია (47,4%) დამატებითი კვების შესახებ მიღებული ჰქონდა ექიმისგან. დადგინდა, რომ დამატებითი კვების გამოყენებას დედების უმეტესობა იწყებდა უფრო ადრე, ვიდრე ის მოწოდებულია ჯანმო-ს რეკომენდაციებში. ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დედის ასაკი, განათლება, საქმიანობა და საცხოვრებელი გარემო დიდ გავლენას ახდენს დამატებითი კვების დაწყების ვადებზე. ცხრ. 2, სურ. 3, ლიტ. 19.

ავტ.

14.3.2.56. ღვიძლის ვენების შენაკადების თანმხლები უცნობი ნაღვლის დუქტულები (ექსპერიმენტული კვლევა). /დ. კორძაია, მ. ჯანგავაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 121-129. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვის პირობებში დუქტულური რეაქციის შესწავლისას გამოვლენილია უჩვეულო მდებარეობის ნაღვლის დუქტულები, რომლებიც მიჰყვება ღვიძლის ვენების სხვადასხვა კალიბრის შენაკადებს, ზოგჯერ, სუბლობულურ და ცენტრალურ ვენებამდე. ნაშრომი ეძღვნება ამ ატიპური მდებარეობის დუქტულების რაობის გამოკვლევას. ვისტარის ჯიშის 28 მამრი ვირთაგვის ღვიძლი შესწავლილია ჰისტოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით ნორმულად და ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვიდან 6, 12 და 24 საათის შემდეგ. ცხოველთა ნაწილის ნაღვლის გზებში ქოლედოქუსიდან რეტროგრადულად წინასწარ იყო შეყვანილი ტუში. ნაღვლის საერთო სადინარის გადაკვანძვის შემდგომ გამოვლინდა ღვიძლის ვენების შენაკადების თანმხლები დუქტულური პროფილების რაოდენობის მატება. ამასთანავე, უშუალოდ ცენტრალურ და/ან სუბლობულურ ვენებთან მიმდებარე დუქტულური პროფილების დიამეტრი მერყეობს 5-დან 15 მიკრონამდე, ხოლო ღვიძლის ვენების მსხვილი შენაკადების ადვენტიციაში მდებარე დუქტულური პროფილების დიამეტრი - 10-დან 30 მიკრონამდე. ამ დუქტულური პროფილების გამომფენი უჯრედები დადებითად ინიშნება CK19, CK7 და OV6 მარკერებით, მაგრამ ნეგატიურია პროფლიფერაციის მარკერ Ki-67-ის მიმართ, რაც ადასტურებს მათ ქოლანგიოციტობას და უარყოფს მათი წარმოშობის პროლიფერაციულ საფუძველს. გამოვლენილია სხვადასხვა ზომის პორტული ტრაქტებისა და ღვიძლის ვენების შენაკადების გადაჯვარედინების უბნები მათი შემაერთებელ-ქსოვილოვანი გარსების ინტეგრაციით. ამ უბნებში გამოვლენილ იქნა ზოგიერთი პორტული ილიური დუქტულის „გადანაცვლება“ (დისლოკაცია) ღვიძლის ვენების შენაკადების ირგვლივ მდებარე შემაერთებელ ქსოვილში. ნაღვლის საერთო სადინარიდან რეტროგრადულად შეყვანილი ტუში აღმოჩენილ იქნა როგორც პორტულ, ასევე ღვიძლის ვენების თანმხლებ დუქტულებში, აგრეთვე, ნაღვლის კაპილარებშიც, რაც ადასტურებს მათ კალაპოტთა ურთიერთკავშირს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ილიური დუქტულები, რომლებიც პორტული და ღვიძლის ვენების ირგვლივ შემაერთებელი ქსოვილების

ინტეგრაციის ადგილებში გადაინაცვლებს პორტული ტრაქტიდან ღვიძლის ვენის მიმართულებით, შესაძლებელია გაჰყვეს ამ უკანასკნელის შენაკადებს ცენტრალურ ვენულებამდეც. ეს წვრილი დუქტულები სარეზერვო ფუნქციისაა და, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ნაღვლის კაპილარების ქსელთან. ცხრ. 2, სურ. 4, ლიტ. 34.

ავტ.

14.3.2.57. ჩირქოვან-ნეკროზული გართულებების ლოკალური მკურნალობის მეთოდი დიაბეტური ტერფის სინდრომის დროს. /ვ. ფეოქტისტოვი, კ. შაკეევი, ს. ახმეტოვა, მ. ჟანასოვა, მ. ერკუტი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 7-11. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დიაბეტური ტერფის სინდრომი შაქრიანი დიაბეტის ყველაზე ხშირი და მძიმე გართულებაა. მის მკურნალობაში გამოიყენება კომპლექსური თერაპია, მაგრამ ეს პრობლემა სადღეისოდ არ არის გადაჭრილი, რაც განსაზღვრავს ჩირქოვანი გართულებების კორექციის უფრო ეფექტური ხერხების ძიების აუცილებლობას. გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენდა 83 ავადმყოფი ტერფის ჩირქოვან-ნეკროზული დაზიანებით, რომელთაც მკურნალობა უტარდებოდა ქირურგიული დაავადებების №1 კლინიკაში. დიაბეტური ტერფის სინდრომის ქირურგიული მკურნალობის ცნობილი მეთოდების და ენზიმოთერაპიის ფონზე, მკურალობის ფიზიოთერაპევტულ მეთოდებთან ერთად, გამოყენებული იყო კლოსტრიდიოპეპტიდაზას პრეპარატი (მირამისტინის ჰიდროგელი). პრეპარატის გამოყენებით მიღწეული იქნა ჭრილობების უფრო ინტენსიური გასუფთავება, ინტოქსიკაციური და ტკივილის სინდრომების გამოვლენის შემცირება. სტაციონარული მკურნალობის ხანგრძლივობა შემცირდა 28-30-დან 18-19 დღემდე. ცხრ. 1, სურ. 4, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.58. ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის ექსპრესია და ეპიდერმული ზრდის ფაქტორისა და მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში ენდომეტრიული ადენოკარცინომის დროს. /ნ. ძნელაშვილი, დ. კასრაძე, ა. თავართქილაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 17-24. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ენდომეტრიულ ადენოკარცინომაში ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორის epidermal growth factor receptor, EGFR) ექსპრესიის შესწავლა, პაციენტების სისხლის შრატში ეპიდერმული ზრდის ფაქტორისა (epidermal growth factor, EGF) და მელატონინის დონეების განსაზღვრა და მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზი. EGFR-ის ექსპრესიის გამოსავლენად ჩატარდა 21 პაციენტის ოპერაციული მასალის (საშვილოსნოს ტანის კიბო, ჰისტოპათოლოგიური დიაგნოზი: ენდომეტრიული ადენოკარცინომა) იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევა. სისხლის შრატში EGF-ის შემცველობა განისაზღვრა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით; სისხლის შრატში მელატონინის შემცველობა - იმუნოფერმენტული ანალიზის მეშვეობით. მიღებული რიცხობრივი მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურად კომპიუტერული პროგრამის – SPSS-12-ANOVA-ს და სტატისტიკის პროგრამული სისტემა SPSS ვერსია 20-ის გამოყენებით. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მაღალი და საშუალო დიფერენციაციის ენდომეტრიულ ადენოკარცინომებში EGFR ვლინდება ძლიერი ექსპრესიით 100%-ში; ენდომეტრიული ადენოკარცინომის დროს EGFR-ის ექსპრესიასა და სისხლის პლაზმაში EGF-ის დონეს შორის არსებობს შედარებით სუსტი დადებითი კორელაცია, ხოლო EGFR-ის ექსპრესიასა და სისხლის შრატში მელატონინის შემცველობას შორის - ძლიერი უარყოფითი კორელაცია; ამასთან, პაციენტების სისხლის პლაზმაში EGF-ისა და მელატონინის დონეებს შორის უარყოფითი კორეალაციაა; ენდომეტრიუმის მარტივი ჰიპერპლაზიით (ატიპიის გარეშე) დაავადებული პაციენტების სისხლის პლაზმაში EGF-ის საშუალო დონე მნიშვნელოვნად დაბალია ენდომეტრიული ადენოკარცინომით დაავადებული პაციენტების იმავე მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო ენდომეტრიუმის კომპლექსური ჰიპერპლაზიით (ატიპიის გარეშე) დაავადებული პაციენტების სისხლის პლაზმაში EGF-ის საშუალო დონე რამდენადმე დაბალია ენდომეტრიული ადენოკარცინომით დაავადებული პაციენტების იმავე მაჩვენებელთან შედარებით; საშუალო დიფერენციაციის ენდომეტრიულ ადენოკარცინომებში EGF-ის საშუალო მაჩვენებელი პლაზმაში უფრო მაღალია, ვიდრე მაღალდიფერენცირებულ ენდომეტრიულ ადენოკარცინომებში; ენდომეტრიუმის მარტივი/კომპლექსური ჰიპერპლაზიით (ატიპიის გარეშე) დაავადებული პაციენტების სისხლის პლაზმაში მელატონინის საშუალო დონე მნიშვნელოვნად მაღალია ენდომეტრიული ადენოკარცინომით დაავადებული პაციენტების იმავე მაჩვენებელთან შედარებით; ენდომეტრიული ადენოკარცინომების (მაღალი/საშუალო დიფერენციაციის ადენოკარცინომების) დროს სისხლის პლაზმაში EGF-ის საშუალო მაჩვენებლების მკვეთრი ზრდის შესაბამისად, მკვეთრად მცირდება მელატონინის საშუალო მაჩვენებელი სისხლის

შრატში. დაახლოებით ერთნაირ პირობებში, ანუ როცა პაციენტებში გამოხატულია EGFR-ის ძლიერი ექსპრესია სიმსივნის ქსოვილში და ანტიპროლიფერაციული/ანტიკანცეროგენეზული მელატონინის უაღრესი/უკიდურესი კლება სისხლის შრატში, სწორედ პროლიფერაციული პლაზმური EGF-ის მაღალი შემცელობა მიუთითებს არაკეთილსაიმედო პროგნოზზე. ცხრ. 1, ლიტ. 29.

ავტ.

14.3.2.59. პაროდონტის დაავადებები შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებულ ავშვებში. /ს. ტულეუტაევა, ჟ. აშირბეკოვა, დ. მანაპოვა, ს. ალმურატი, ვ. ხარჩენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 25-29. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით ავშვებში პარადონტის დაავადებათა გავრცელების და ინტენსივობის შეფასება. ჩატარდა 78 პაციენტის, მათ შორის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებული 40 ავშვის გამოკვლევა. დადგინდა ინდექსები OHI-S, CPITN, PMA. გამოკვლეულ ავშვებში 100%-ში აღინიშნებოდა პაროდონტის ქსოვილების ცვლილებები. გამოვლენილი იქნა: ღრძილის სისხლდენადობა (100%), ღრძილზედა და ღრძილქვედა კბილის ქვების არსებობა (100%), ღრძილის კერტების (87,5%), მარგინალური (80%) და ალვეოლური (55%) ღრძილების ანთება. ამრიგად, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებულ ავშვებში პარადონტის დაავადებათა გავრცელება მაღალია (100%), პარადონტის დაავადებათა საშუალო ინტენსივობით - M=2,28; S=0,47, CPITN ინდექსით. მიზანშეწონილია, რომ სტომატოლოგის მიერ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი სომატური დაავადება. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.2.60. ინტრალამელური რეფრაქციული არხოვანი კერატოპლასტიკის გამოყენების ეფექტურობა. /ი. შუსტეროვი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 29-36. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანია ინტრალამელური რეფრაქციული არხოვანი კერატოპლასტიკის გამოყენების ვარიანტების ეფექტურობის შეფასება. შემუშავებულ იქნა არხოვანი კერატოპლასტიკის 6 მოდიფიკაცია. კლინიკაში ჩატარებულია 310 ოპერაცია, რომელთაგან 158 შემთხვევაში გადასანერგ მასალად გამოყენებული იყო დონორის რქოვანა, 63 შემთხვევაში - რეფორქოვანა, 89 შემთხვევაში - დაბალტემპერატურიან გაზმამუხტველ პლაზმაში მოდიფიცირებული ჰიდროგელიანი სინთეტიკური იმპლანტატი. ოპერაციული ჩარევის აღნიშნული რაოდნობიდან 86 თვალზე არხოვანი კერატოპლასტიკის ოპერაცია გაუკეთდა ავადმყოფებს, რომლებსაც უარი ეთქვათ ექსიმერ-ლაზერული კორექციის ჩატარებაზე „თხელი“, „ბრტყელი“ და „ამოზნექილი“ რქოვანას გამო. მაქსიმალური რეფრაქციული ეფექტი აღინიშნა პირველ ორ კვირაში ოპერაციის შემდეგ. რეფრაქცია საბოლოოდ სტაბილიზდებოდა მე-2-3 თვეს, ამასთან, მიღწეული ეფექტის რეგრესია შეადგენდა 10-12%. მიღწეულია რეფრაქციული ეფექტი 5,5-დან 20,0-მდე დპტრ. რიგ შემთხვევაში არასრული კორექცია შეადგენდა 3,5 დპტრ, რაც აიხსნება საკორექციო ახლომხედველობის მაღალი ხარისხით (20,0 დპტრ). აღინიშნა, რომ ექსპლანტატით ოპერაციების რეფრაქციული ეფექტი იყო უფრო მაღალი (საშუალოდ, 10%-ით), ვიდრე დონორი-რქოვანას გამოყენების შემთხვევაში გამოსაყენებელი გადასანერგი მასალების ერთნაირი განივი კვეთის დროს. ეს აიხსნებოდა იმით, რომ სინთეტიკური მასალა, დონორის რქოვანასგან განსხვავებით, არ რტყელდებოდა და ინარჩუნებდა ფორმას. ყველა ავადმყოფთან მიღწეული იქნა არაკორიგირებული მხედველობის სიმახვილის მნიშვნელოვანი მატება - 75%-ში ტოლი იყო ან აღემატებოდა მაქსიმალურად შესაძლო კორექციით ოპერაციამდე მხედველობის სიმახვილეს. კლინიკურმა აპრობაციამ დაამტკიცა, რომ შემოთავაზებული არხოვანი კერატოპლასტიკის ვარიანტები მაღალი მიოპიის, ანიზომეტროპიის, მარტივი და რთული მიოპიური ასტიგმატიზმის კორექციის ეფექტური საშუალებებია. მოდიფიკაცია აირისებრ პლაზმაში წარმოადგენს სინთეტიკური მასალების იოშეთავსებადობის გაუმჯობესების პერსპექტიულ საშუალებას. სურ. 3, ლიტ. 28.

ავტ.

14.3.2.61. ESR1 ესტროგენის რეცეპტორის გენის პოლიმორფიზმის გავლენა მენსტრუაციისწინა სინდრომის განვითარების რეალიზაციაზე. /ლ. პახარენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 37-41. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ESR1 ესტროგენის რეცეპტორის A-351G გენის პოლიმორფული ვარიანტების სიხშირის შესწავლა მენსტრუაციისწინა სინდრომის (მწს) სხვადასხვა ფორმით დაავადებულ ავადმყოფებში. მწს-ით დაავადებულ 50 ქალს ჩაუტარდა ESR1 გენის მოლეკულარულ-გენეტიკური

ანალიზი, მათ შორის 25 ქალს – მწს-ის შეშუპებული ფორმით, 25 – ნეიროფსიქიკური ფორმით, მათ შორის დაავადების მსუბუქი ფორმით დაავადებული იყო 25 ქალი, მძიმე ფორმით – 25 ქალი; გამოკვლეული იყო აგრეთვე მწს დიაგნოზის არმქონე 25 ქალი. ESR1 ესტროგენის გენის პოლიმორფული ლოკუსის A-351G გამოკვლევის შედეგად სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა გენოტიპების და ალელების სიხშირის განაწილებაში იმ ქალთა შორის, ვინც დაავადებულია მწს-ით და მათ შორის, ვისაც ეს პათოლოგია არა აქვს არ გამოვლინდა. გენოტიპის სიხშირე მწს-ის მძიმე ფორმით დაავადებულ ქალებში იყო სარწმუნოდ 8,0 ჯერ ჯანმრთელ ქალებთან შედარებით ($\chi2=4,87$, $p=0,03$), ხოლო მწს-ის შეშუპებული ფორმით დაავადებულ ქალებში – 7,0 ჯერ ($\chi2=3,72$, $p=0,05$) უფრო მეტი. ამგვარად, ESR1 ესტროგენის გენის პოლიმორფული ვარიანტი A-351G შეიძლება განხილული იყოს როგორც მწს-ის განვითარების მარკერი. გენოტიპის პათოლოგიური ვარიანტი სარწმუნოდ ასოცირდება დაავადების შეშუპებულ და მძიმე ფორმების არსებობასთან. ცხრ. 3, სურ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.2.62. რეტროპერიტონული სიმსივნეების იშვიათი შემთხვევა: პარაგანგლიომა. /ჩ. ილდირიმი, ო. იუქსელი, ა. ურკმეზი, ნ. ოზბაი, ა. ვერიტი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 41-44. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ფეოხრომოციტომები – საკმაოდ იშვიათი კატეხოლის გამომყოფი ნეიროენდოკრინული სიმსივნეებია. განხილულია აღნიშნული სიმსივნეების დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროგნოზირების საკითხები. აღწერილია 29 წლის ასაკის თირკმლების ოპერაციაგადატანილი ავადმყოფის 27 მმ-ის სიდიდის რეტროპერიტონული პარაგანგლიომის შემთხვევა. აღწერილ შემთხვევაში, განმეორებითი გასინჯვის დროს (უკვე დადგენილი დიაგნოზის შემდეგ) რაიმე ანომალური რადიოლოგიური ნიშნები, რომლებიც მიუთითებს სავარაუდო მეტასტაზების განვითარებაზე, არ აღმოჩნდა. ოპერაციისშემდგომ პერიოდში დაკვირვებისათვის პაციენტი მიმაგრებული იყო ენდოკრინოლოგიურ და ონკოლოგიურ განყოფილებებზე. გამოკვლევების შედეგები მიუთითებს რეტროპერიტონული სიმსივნეების და ფეოხრომოციტომა/პარაგანგლიომას დიფერენციაციის აუცილებლობაზე. ავთვისებიანი სიმსივნეების შენთხვევაში ავტორები მიზანშეწონილად თვლიან ხემოთერაპიის, ხოლო კეთილთვისებიანი ფუნქციური სიმსივნეების დროს – მედიკამენტურ მკურნალობას. სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.63. ციტოკინური სტატუსის თავისებურებანი სტრესული ანამნეზის ვიტილიგოს პაციენტებში. /ნ. ვ. ცისკარიშვილი, ა. კაციტაძე, ნ. ი. ცისკარიშვილი, ლ. ჭითანავა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 45-48. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს შეადგენდა პროანთებითი ციტოკინების განსაზღვრა ვიტილიგოს მქონე პაციენტების სისხლის შრატში. იმუნოფერმენტული მეთოდით (შესაბამისი მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით) შესწავლილია სტრესული ანამნეზის მქონე პაციენტებში ზოგიერთი პროანთებითი ციტოკინი (IL-2, IL-6). მიღებული შედეგების თანხმად, ვიტილიგოს სტრესული ანამნეზის მქონე პაციენტებში შეიმჩნევა ტენდენცია აღნიშნული ციტოკინების კონცენტრაციის შემცირებისაკენ. ცხრ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.64. კომორბიდული მდგომარეობების თერაპიის თანამედროვე ტენდენციები. /კ. იშეიკინი, მ. პოტიაჟენკო, ნ. ლიულკა, ნ. სოკოლიუკი, გ. ხაიმენოვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 49-53. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია გულის, სისხლძარღვთა სისტემის და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ) ავადმყოფების მკურნალობა და მისი შედეგები. ნ. სკლიფოსოვსკის სახ. პოლტავის კლინიკური საავადმყოფოს პულმონური განყოფილების აზაზე გამოკვლეულია 97 ავადმყოფი (84 მამაკაცი და 13 ქალი) გულის იშემიური დაავადებით (გიდ, სტაბილური სტენოკარდია II ფუნქციური კლასი) და თანმხლები ფქოდ-ით. ავადმყოფები გაყოფილი იყო 2 ჯგუფად: I ჯგუფის პაციენტები (n=51) ღებულობდნენ მხოლოდ აზისურ თერაპიას (β2-ანტაგონისტები, ანტიჰოლენგური პრეპარატები, მეთილქსანტინები, საინგალაციო გლუკოკორტიკო-სტეროიდები, ფოსფოდიესტერაზა-4-ის ინჰიბიტორები). II ჯგუფის პაციენტებს (n=46) აზისურ თერაპიასთან ერთად დანიშნული ჰქონდათ L-არგინინის 4,2% ხსნარი დოზით 100 მლ, ვენაში შეყვანით ერთჯერადად დღე/ღამეში, 6 დღის განმავლობაში, შემდგომში მკურნალობა გრძელდებოდა L-არგინინის 5-10 მლ ხსნარით პერორალურად 3-ჯერ დღე/ღამეში 4 კვირის განმავლობაში. ჩატარებული თერაპიის 10-12 დღის შემდეგ ორივე საკვლევ ჯგუფში გამოვლინდა დადებითი დინამიკა ფქოდ-ის კლინიკური გამოვლინებების რეგრესის სახით.

გამოტანილია დასკვნა, რომ L-არგინინის ჩართვა ფქოდ-ის გართულებით და თანმხლები გიდ-ით ავადმყოფების კომპლექსურ მკურნალობაში ეფექტურია და აუმჯობესებს კარდიოდინამიკას. ამავე დროს, უზრუნველყოფს კლინიკურ-ინსტრუმენტული მაჩვენებლების სტატისტიკურად სარწმუნო გაუმჯობესებას, რაც განპირობებულია L-არგინინის ანტიჰიპოქსური, ანტიაგრეგანტული მემბრანომასტაბილიზებელი, ციტოპროტექტული, ანტიოქსიდანტური, ანტირადიკალური და ვაზოდილატორული მოქმედებით, ასევე, L-არგინინის დეზინტოქსიკაციური აქტიურობით. სტატიის ავტორები რეკომენდაციას უწევენ L-არგინინს ფქოდ-ით და თანმხლები გიდ-ით ავადმყოფების მკურნალობისათვის. ცხრ. 2, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.2.65. რედოქს-ბალანსისა და ჰორმონული მექანიზმების როლი კანის დაბერების პროცესში. /ქ. ერიანიძე, ა. კაციტაძე, ნ. ჯალაღანია, თ. სანიკიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 54-57. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია მენოპაუზის პერიოდის 15 ქალი 40-55 წლამდე. ჩატარდა კანის მდგომარეობის ხარისხობრივი შეფასება (ტენიანობა, ცხიმიანობა, ელასტიკურობა); ვენურ სისხლში განისაზღვრა ჰორმონული ცვლის მაჩვენებლები (ესტრადიოლი, ტესტოსტერონი, ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი), რედოქს-პარამეტრები (ჟანგბადის და ლიპიდების თავისუფალი რადიკალების შემცველობა) - ეპრ-მეთოდით, ანტიოქსიდანტური ფერმენტები (კატალაზა, სუპეროქსიდდისმუტაზა - სოდ და გლუტათიონრედუქაზა - გრ) - სპექტროსკოპული მეთოდით. კვლევის შედეგების თანახმად, მენოპაუზის პერიოდის ქალებში გამოვლინდა კანის ელასტიკურობის შემცირება და ფორების რაოდენობის ზრდა, რეპროდუქციული ასაკის ქალებთან შედარებით. ეს ცვლილებები ვითარდება სისხლში ტესტოსტერონის და ფოლიკულმასტიმულირებელი ჰორმონის შემცველობის სტატისტიკურად სარწმუნო მომატების ფონზე. არ გამოვლინდა ესტრადიოლის შემცველობისა და სისხლის რედოქს-ბალანსის ამსახველი სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები. რეპროდუქციული და მენოპაუზის პერიოდის ქალებში გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია სისხლში ესტრადოლის შემცველობასა და სოდ-ის აქტივობას (r=- 0.413, p=0.0017) შორის, ხოლო დადებითი კორელაცია სისხლში ესტრადიოლის შემცველობასა და გრ-ას აქტივობას (r=0.565, p=0.002) შორის. ქალების სისხლში ესტრადიოლის შემცველობის დაქვეითება, და ანტიოქსიდანტური სისტემის დისბალანსი კორელირებდა პიგმენტური ლაქების მაჩვენებლის ზრდასთან და ტენიანობის მაჩვენებლის დაქვეითებასთან. ამრიგად, მენოპაუზის პერიოდის ქალების კანის დაბერების მექანიზმებში მნიშვნელოვანია ესტროგენდამოკიდებული რედოქს–დისბალანსის განვითარების და რედოქს-აქტიური მოლეკულების არაკონტროლირებადი წარმოქმნის როლი. ცხრ. 3, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.2.66. ტკივილის პრობლემა მუხლის ტკივილის მწვავე სიმპტომების და სინდრომების თანამედროვე მართვის პრინციპები. /გ. ჩახუნაშვილი, დ. რეხვიაშვილი, ხ. მაჭარაშვილი, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი, დ. ჩახუნაშვილი/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 35-50. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

გაანალიზებული იქნა ირ. ციციშვილის სახ. ავშვთა ახალი კლინიკისა და „ჯანმრთელობის ცენტრის“ 2011-2014 წწ-ის 950 კარდიო-რევმატოლოგთა ამბულატორიული შემთხვევა. მათ შორის მუხლის ტკივილის მწვავე სიმპტომები ქონდა 200 ავშვს, რაც შეადგენდა პაციენტთა 21% (მათ შორის ვაჟი – 8%, გოგონა – 13%). კლინიკებში ტარდებოდა ავადმოფთა ანამნეზური, კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული მონაცემების ანალიზი. ტკივილის პრობლემა მუხლის მწვავე ტკივილის სიმპტომებისა და სიდრომების ერთ-ერთი გამოვლინებაა ავშვთა და მოზარდთა ასაკში, სადაც უნდა გავითვალისწინოთ და გამოვრიცხოთ მძიმედ მიმდინარე შემაერთებელ ქსოვილოვანი და სხვა სისტემური დაავადებები. მათ შორის ძვლის სიმსივნეები, ლეიკოზი, სარკომა და ა.შ. როდესაც საუბარია ტკივილის პრობლემის მართვაზე მუხლის მწვავე ტკივილის სინდრომებისა და სიმპტომების მიმართ, უნდა გავითვალისწინოთ რომ მწვავედ მიმდინარე სინდრომები და სიმპტომები ხასიათდება კეთილთვისებიანი მიმდინარეობით, რომელიც ასაკთან ერთად ნაკლებგამოხატული ხდება. ამასთან ერთად ჩივილებისა და კლინიკური მონაცემების კომბინაცია მეტად მნიშვნელოვანია დიაგნოზის დასმისათვის, მაგრამ აუცილებელია პირველ რიგში გამოირიცხოს სხვა სისტემური დაავადებები. აღწერილი სინდრომების და სიმპტომების ეტიოლოგიური ფაქტორის დადგენა ხშირ შემთხვევაში რთულია, თუმცა პაციენტის ასაკი და ტკივილის ანატომიური მდებარეობა, ის ორი ფაქტორია, რაც ტკივილის გამომწვევი მიზეზის დადგენაში გვეხმარება. ამდენად, აღწერილი სინდრომებისა და სიმპტომების ერთობლიობა, რომელიც უნდა გათვალისწინებულ იქნეს მუხლის მწვავე ტკივილის სინდრომებითა და სიმპტომებით მიმდინარე პროცესების დროს, გამორიცხავს სხვა სისტემურ და შემაერთებელქსოვილოვან დაავადებებს და გზას

გვაძლევს მივიდეთ სწორ კლინიკურ დიაგნოზამდე, რათა დაავადება სწორად იყოს მართული და მკურნალობის შესაბამისი სტრატეგიის შედეგად მივიღოთ დადებითი დინამიკა ან პრაქტიკულად გამოჯანმრთელება და ავშვი ჩართული იყოს ცხოვრების ჩვეულ რეჟიმში. ამდენად, ტკივილი ავშვთა და მოზართა ასაკში მრავალფეროვანია და მათ შორის მუხლის ტკივილის მწვავე სიმპტომების და სინდრომების თანამედროვე მართვის პრინციპების სათანადო ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენს ავშვთა კარდიო-რევმატოლოგიაში დაავადებათა სწორი მართვისათვის. ცხრ. 6, ლიტ. 43.

ავტ.

14.3.2.67. ანტროპოფიზიოლოგიური თავისებურებანი გულის უკმარისობის გენოდინამიკური პრინციპის სინდრომის სადიაგნოსტიკოდ. /გ. ელკანია, ლ. დილენიანი, ი. ღვინჯილია, ე. მათიაშვილი, ს. ჯაიანი, ა. აგრიი, ლ. პუხალსკაია/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 61-67. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განიხილება ჰემოდინამიკური უნიფიცირებული ალგორითმი გულის მარჯვენა და მარცხენა პარკუჭოვანი უკმარისობის სადიაგნოსტიკოდ საბაზო ცირკულარული სინდრომის პერფუზიული (არტერიული) უკმარისობის და ვენური შეგუბების დროს. გამოკვლევის სისტემური პრინციპი მდგომარეობს ადამიანის იოლოგიური თვისების როგორც ვერტიკალურად (სწორად) მოსიარულე არსების გათვალისწინებით და კომპლექსური შეფასება კერძოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დახასიათება ძირითად პერფუზიულ მექანიზმზე სისხლის მოცულობა-სისხლძარღვთა ელასტიურობა - გულის ტუმბოს ფუნქცია-წნევა-სისხლის მიმოქცევა დაყრდნობით. ძირითადი ლოკი არის სისხლის მიმოქცევის განსაზღვრა მწოლიარე და ვერტიკალურ მდგომარეობაში. ასეთი მეთოდი აფართოებს დიაგნოსტიკურ სივრცეს, უზრუნველყოფს მაღალ დიაგნოსტიკურ ინფორმაციას – ანტროპოფიზიო-ლოგიური გამოკვლევის დროს და კლინიკურად გულის უკმარისობის გამოვლენამდე. სურ. 4, ლიტ. 17.

ავტ.

14.3.2.68. ტუბულოპათიები და რაქიტის მსგავსი დაავადებები ავშვთა ასაკში. /გ. ჩიტაია, დ. კვირკველია, მ. ცანავა, თ. აბულაძე, . ზენაიშვილი, თ. გაჩეჩილაძე/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 78-81. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განხილულია ფანკონის სინდრომი, მემკიდრეობითი ჰიპოფოსფატემიური რაქიტი, ვიტამინ რეზისტენტული რაქიტი, ჰიპომაგნემია – ტუბულოპათიების ის მაგალითები, რომლებიც შედარებით უფრო ხშირად გვხვდება პედიატრიულ პრაქტიკაში. ცხრ. 4, ლიტ. 30.

ავტ.

14.3.2.69. ფიმოზი ავშვთა ასაკში. /ი. ურჯანაძე, დ. კვირკველია, გ. ჩიტაია/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 81-83. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
მოცემულია ფიმოზის დეფინიცია, ჩუჩისა და სმეგმის მნიშვნელობა, განხილულია ფიმოზი ასაკობრივ ასპექტში, პათოლოგიური ფიმოზის მიზეზები და მკურნალობის მეთოდები. სურ. 6, ლიტ. 3.

ავტ.

14.3.2.70. ადრეული ასაკის ავშვთა კინეზოთერაპიის თავისებურებანი. /ი. დოლიძე/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 92-94. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად ადრეულ ასაკში (დაბადების დღიდანვე) დაწყებული ავშვის ფიზიკური აქტივობა პასიური კინეზოთერაპიის ჩატარებით (იგულისხმება, როგორც კლასიკური, ასევე ალტერნატიული მასაჟი და ტანვარჯიში) წინააღმდეგ ჩვენებას არ წარმოადგენს. კიდევ მეტი: ავშვებს, რომელთაც დაბადების პირველი დღიდანვე დაეწყოთ გამაჯანსაღებელი მასაჟი და ფიზიკური ვარჯიშები, ადრეულად უმუშავდებოდათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი და მყარად ინარჩუნებდნენ სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (ცოცვა, ჯდომა, დგომა, სიარული). ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ავშვის გონებრივ-ფიზიკურ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედის პიროვნულ თვისებებს (პედაგოგისა და ფსიქოლოგის მსგავსად). ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.71. პლაზმური სხივების გამოყენება ჩირქოვან-სეპტიკური გართულებებისას კრიტიკულ მედიცინაში. /ბ. ცუცქირიძე, ს. ჯაიანი, ნ. კვიციანი, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, გ. ცუცქირიძე/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 46-48. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
კვლევაში, რომელიც ეფუძნება მკურნალობის გამოცდილებას ჩირქოვან-სეპტიური გართულებებით და ნაწოლების მქონე 84 პაციენტში, ავტორები გვთავაზობენ ასეთი კატეგორიის პაციენტების ახალი

ტექნიკით მკურნალობას, რომელიც დაფუძნებულია პლაზმური გამოსხივების გამოყენებაზე. ასეთი კატეგორიის პაციენტებში კომპლექსური მკურნალობა მოიცავს ჭრილობისა და ჩირქოვანი ღრუს დამუშავებას და პლაზმური ნაკადებით დასხივებას. შედეგად ჭეშმარიტად უმჯობესდება მკურნალობის შედეგები, მცირდება სეპტიური გართულებები და მნიშვნელოვნად უმჯობესდება კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ზოგადი მდგომარეობა. მიღებული შედეგები გვაძლევს საშუალებას, ჩირქოვან-სეპტიური გართულებების სამკურნალოდ, რომელიც კრიტიკულად მოავადე პაციენტებში წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკითხს, რეკომენდაცია გავუკეთოთ მოცემულ ტექნიკას. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.72. ჰიპერფიბრინოგენემია და მისი როლი ანთების დროს. /ნ. მურადაშვილი ტ. ჯარიაშვილი, ს. ტიაგი, დ. ლომინაძე/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 49-56. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

შრომის მიზანია შეისწავლოს ფიბრინოგენის ეფექტი პროტეინების მომატებულ სისხლძარღვოვან განვლადობაზე და იმ შესაძლო მექანიზმებზე, რომლითაც გამოწვეულია მიკროცირკულაციური გართულებების გაზრდა ანთებითი დაავადებების დროს. კველევებმა აჩვენა, რომ ჰიპერფიბრინოგენემია გავლენას ახდენს სისხლძარღვებიდან პროტეინების მიგრაციაზე, უპიერატესად კი ტრანსციტოზზე. მიღებული შედეგები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ პროცესების მონიტორინგი სისხლში ხელს შეუწყობს სისხლძარღვოვანი პათოლოგიების ადრეულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. სურ. 1, ლიტ. 25.

ავტ.

14.3.2.73. წყლისა და ელექტროლიტების ჰომეოსტაზის დარღვევების ახალი საკორექციო საშუალება კრიტიკული მდგომარეობის დროს. /ო. გალუშკო/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 57-64 . – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

შესწავლილია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი 60 პაციენტი, რომლებსაც მკურნალობდნენ ზოგადი პროფილის კრიტიკული მედიცინის კლინიკაში. პირველი ჯგუფის მე-2-3 ხარისხის ტრავმულ შოკში მყოფ 30 პაციენტს, სტანდარტულ მკურნალობასთან ერთად ეძლეოდა 8-10 მლ/კგ რეოსორბიტოლი. მეორე ჯგუფის იმავე პათოლოგიის მქონე 30 ავადმყოფს კი მხოლოდ სტანდარტული მკურნალობა ჩაუტარდა. სორბიტოლის აზაზე მომზადებული პრეპარატი ხელს უწყობდა სისხლის მიმოქცევის აღდგენას და მეტაბოლური აციდოზის კორექციას პირველი ჯგუფის პაციენტებში. ამგვარი მკურნალობის გამოყენების მიზანშეწონილობას მიუთითებენ კრიტიკული მედიცინის კლინიკაში. ცხრ. 3, ლიტ. 15.

ავტ.

14.3.2.74. კალციუმის ჰომეოსტაზი კრიტიკული მდგომარეობით გართულებულ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში. /ა. ქისტაური, მ. ჯიბლაძე, ან. ქისტაური, დ. გაბუნია/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 65-68. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა 68%-ს აღენიშნება კალციუმის ჰომეოსტაზის დარღვევა დაავადების ტიპის, ავადმყოფთა ასაკისა და სქესის განურჩევლად. ამასთან უპირატესად ადგილი აქვს ჰიპოკალციემიას, რაც პროგრესირებს დეკომპენსაციის ხარისხის მატებასთან ერთად. შაქრიანი დიაბეტი ხასიათდება ორგანიზმში კალციუმის შეკავების „დეფიციტით“, შედეგად მიმდინარეობს თირკმლის კალციურეზული ფუნქციის გააქტივება. ამიტომ დიაბეტური კეტოაციდოზით განპირობებული კრიტიკული მდგომარეობის სრულყოფილი მართვა მოითხოვს კალციემიის და კალციურიის დონის მონიტორინგს და კორექციას. სურ. 3, ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.75. ლოცვისას აღმოცენებული თავის ტვინის ელექტრული აქტივობის მანიფესტირება მართლმადიდებელ ქრისტიან პაციენტებს შორის. /მ. მეტრეველი, ზ. ხელაძე. ზვ. ხელაძე/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 69-71. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

შესწავლილია ლოცვის ზეგავლენა მართლმადიდებელ ავადმყოფთა თავის ტვინის ელექტრულ აქტივობაზე. ამ მიზნით 64 ქრონიკული ცერებრო-ვასკულური პათოლოგიის მქონე ავადმყოფში გამოკვლეული იყო თავის ტვინის ელექტროენცეფალოგრაფიული სურათი და ვეგეტატიური ნერვული სისტემის პარამეტრები. მათ შორის 20 პიროვნება წარმოდგენილი იყო მღვდლების და ერების, 29

პიროვნება ქრისტიანული რელიგიის წესების რეგულარულად დამცველი რიგითი მლოცველების, ხოლო 15 ავადმყოფი ქრისტიანიული რელიგიის წესების არარეგულარულად შემსრულებელი პიროვნებების სახით. რელიგიურ მოღვაწეებში ლოცვის შემდეგ თავის ტვინის ელექტრული აქტივობის პოზიტიური ცვლილებები ვლინდებოდა ყველა შემთხვევაში. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნეოდა ვეგეტატიური ნერვული სისტემის პარამეტრების მხრივ. რეგულარულად მლოცველ რიგით პიროვნებებში ლოცვის შემდეგ თავის ტვინის ელექტრული აქტივობის პოზიტიური ცვლილებები აღინიშნებოდა 65.7%-ში. არარეგულარულად მლოცველ ავადმყოფებში კი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. ცხრ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.2.76. სიცოცხლის მეცნიერების ნანოტექნოლოგიური კვლევები ადამიანის ორგანიზმის პოსტაგრესიული რეაქციების და კრიტიკული მდგომარეობების დროს. /მ. დანიელოვი/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 72-81. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

წარმოდგენილია იოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა (ნანო-კომპლექსები TM) კომპოზიციების შეკრებისა და წარმოების ნანო-რაოდენობების პრინციპზე დაფუძნებული ტექნოლოგია. ეს ნივთიერებები სტაბილიზებულია და ინკორპორირებულია „NuCell-DirectTM" ნანოტექნოლოგიურ სისტემაში. იოაქტიური ნანო-კომპლექსები მიზანდასახულადაა შედგენილი შესაბამისი პათოლოგიის პათოფიზიოლოგიური მექანიზმების გათვალისწინებით. ისინი საშუალებას იძლევიან გააძლიერონ ორგანიზმის საადაპტაციო მექანიზმები პოსტ-აგრესიული რეაქციების და კრიტიკული მდგომარეობების დროს; ამასთან აღადგენენ ორგანიზმის თვით განკურნების პროცესს და აკონტროლებენ გენეტიკურად დეტერმინირებული იოლოგიური ინფორმაციის გადაცემის თანამიმდევრობას. სურ. 6.

ავტ.

14.3.2.77. დოფამინის ცვლილებების შესწავლა კრიტიკულ პაციენტებში. /ნ. არნაბიშვილი, ე. ივანიძე, ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე/.კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 82-87. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

შრომის მიზანს წარმოადგენდა დოფამინის რაოდენობის განსაზღვრა კრიტიკულ ავადმყოფებში. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ დოფამინის კონცენტრაცია კრიტიკულ ავადმყოფებში მაღალი იყო როგორც სისხლში, ისე ლიქვორში. ამასთან დოფამინის განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაცია აღენიშნებოდა იმ პაციენტებს, რომლებიც იმყოფებოდნენ დოფამინის ინფუზიაზე. ცხრ. 5, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.78. ინტენსიური ზრუნვის ევროპის საზოგადოების ეგიდით წარმოებული კრიტიკული პნევმონიების მულტიცენტრული კვლევის ანალიზი საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში. /ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე, ნ. რამიშვილი, თ. ქურციკიძე/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 88-91. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

ინტენსიური ზრუნვის მედიცინის ევროპის საზოგადოების ეგიდით 2013 წელს ჩატარდა მძიმედ მიმდინარე მწვავე რესპირატორული ინფექციების მულტიცენტრული კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა სხადასხვა ქვეყნის კრიტიკული მედიცინის წამყვანი კლინიკები. კვლევის პერიოდში საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში მკურნალობა ჩაუტარდა 26 ავადმყოფს. მათგან 12 პაციენტში კრიტიკული მდგომარეობა გამოწვეული იყო მწვავე რესპირატორული ინფექციით. ავადმყოფთა მკურნალობა წარმოებდა სტანდარტული წესით. მკურნალობის საწყის ეტაპზე ინიშნებოდა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი, ხოლო მე-3 დღიდან ანტიბიოტიკი შერჩეული იყო ნახველის აქტერიოლოგიური ანალიზის მიხედვით. ძირითადად გამოყენებულ იქნა მესამე-მეოთხე თაობის ცეფალოსპორინები, აგრეთვე ამინოგლიკოზიდების, ფტორქინოლონის და იმიპენემის ჯგუფის ანტიბიოტიკები. მკურნალობა ასევე მოიცავდა წყლისა და ელექტროლიტური ალანის კორეგირებას, სედაციას, ენტერალურ კვებას, თანმხლები პათოლოგიების მართვას და სხვა სიმპტომურ მკურნალობას. ჩატარებული მკურნალობის შედეგად ყველა პაციენტი გადარჩა და დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით გაეწერა კლნიკიდან. სურ. 4, ლიტ. 1.

ავტ.

14.3.2.79. „დიაბეტური ტერფის“ ქირურგიული მკურნალობა მოხუცი ასაკის კრიტიკულ ავადმყოფებში. /ს. დიდია, ა. ქისტაური, ს. ჯაიანი, რ. ელიგერი, ჯ. პეტაშვილი, ლ. აჯამოვა/. კრიტიკულ მდგომარეობათა

და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 92-95. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
შესწავლილი იქნა „დიაბეტური ტერფის“ მქონე 65 მოხუცი კრიტიკული პაციენტი, რომელთაც ჩაუტარდათ ქირურგიული მკურნალობა. პაციენტებს კლინიკაში შემოსვლითანავე უტარდებოდა შოკის საწინააღმდეგო მკურნალობა, ანემიის კორექცია და ინტენსიური თერაპიის სხვა ღონისძიებები. ქირურგიული ტაქტიკის მიხედვით, პაციენტები დაყოფილი იქნა 2 ჯგუფად; პირველ ჯგუფში მოხვდნენ პაციენტები, ვისაც რადიკალური ოპერაცია ჩაუტარდათ ენდოტოქსიური შოკიდან გამოსვლის შემდეგ. ამ ავადმყოფთა წინასაოპერაციო მომზადების დრო საშუალოდ შეადგენდა 24-48 სთ. მეორე ჯგუფში მოხვდნენ პაციენტები, რომლებსაც ოპერაცია გაუკეთდა ეტაპობრივად, ხანმოკლე, 2-3 სთ-ის ხანგრძლივობის წინასაოპერაციო მომზადების შემდეგ. პირველ ეტაპზე ხდებოდა მხოლოდ ინტოკსიკაციის კერის მოცილება და ტაკვი ღიად რჩებოდა. ოპერაციის მომდევნო ეტაპი კი ხორციელდებოდა ავადმყოფის შოკიდან გამოსვლის შემდეგ. ამ ჯგუფის პაციენტებში ლეტალური შედეგი არ დაფიქსირებულა, კლინიკაში დაყოვნებამ 4,5 საწოლდღე შეადგინა, მკურნალობის ხარჯები კი შემცირდა. სურ. 1, ცხრ. 2.

ავტ.

14.3.2.80. მართვის დისტანციური სისტემები კრიტიკულ მედიცინაში: რეალობა და პერსპექტივები. /ზვ. ხელაძე, ზ ხელაძე, ი. სტრელნიკოვი, ზ. ნასრი/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 96-99. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
შექმნილია ინტერნეტზე დაფუძნებული მართვის დისტანციური სისტემა კრიტიკული მედიცინის სამსახურებისათვის, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს კრიტიკულ ავადმყოფთა მკურნალობის პროცესის მართვა ნებისმიერი მანძილიდან ნებისმიერ დროსა და პირობებში. სურ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.81. პიროვნების ხასიათის შესწავლა კრიტიკულ ავადმყოფებში. /ნ. რამიშვილი, ნ. თაბორიძე, ს. მახარაშვილი, თ.ქაჯაია, ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე, ტ. კავაანგერი, შ. შივანანდა/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 100-104. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
კვლევა წარმოადენს მცდელობას გაირკვეს რა პიროვნული ხასიათის პაციენტები ხვდებიან კრიტიკული მედიცინის კლინიკაში უპირატესად. შესწავლილი იქნა კრიტიკულ მედიცინის კლინიკაში მოხვედრილი 280 პაციენტი. პირველ ჯგუფში შესული პაციენტებიდან უმეტესობა პრაგმატული ტიპი აღმოჩნდა. მეორე ჯგუფში ყველაზე იშვიათი ის პაციენტები აღმოჩნდა, რომელთა „ბედისწერის ციფრი“ - 4 იყო. ამ ტიპის ადამიანებს ანალიტიკური გონება და ორიგინალური აზროვნება აქვს. ეს ჩვეულებისამებრ „გენიოსების“ ციფრია. ყველაზე ხშირი კი ედიწერის ციფრი 7-ის მქონე ადამიანები აღმოჩნდა. ამ ტიპის ადამიანებს ახასიათებს სიყვარული, ფილოსოფიური აზროვნება და მისტიციზმი. მათი მთავარი მიზანი - რელიგია, სიყვარული და სიკეთის კეთებაა. სურ. 6. ლიტ. 1.

ავტ.

14.3.2.82. ძვლის ტვინის ელექტროსტიმულაცია კრიტიკულ ავადმყოფთა სტანდარტული მკურნალობა უნდა გახდეს. /ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე, ე. ქარცივაძე, ნ. ქაჯაია/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 105-110. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
გაანალიზებულია საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტში ძვლის ტვინის ელექტროსტიმულაციის გამოყენების შედეგები. გამოკვლეულია 1304 კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტი, აქედან ქალი იყო 568, კაცი კი 735, პაციენტების ასაკი მერყეობდა 22-დან 91 წლამდე. მათ კლინიკაში დაჰყვეს 7281 საწოლ-დღე, ყველა პაციენტი იმყოფებოდა კომის მდგომარეობაში. ავადმყოფებს უტარდებოდათ სტანდარტული მკურნალობა, რომელიც მოიცავდა ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციას, ანტიბაქტერიულ, დეტოქსიკაციურ და დეჰიდრატაციულ ღონისძიებებს, წყლისა და ელექტროლიტების ალანსის კორექციას და ინტენსიური თერაპიის სხვა ღონისძიებებს. ამ ფონზე ძირითადი ჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდა ძვლის ტვინის ელექტროსტიმულაცია კლინიკაში შემოსვლიდან პირველი 6 დღის განმავლობაში მუდმივად. დადგინდა, რომ ძვლის ტვინის ელექტროსტიმულაციის მეშვეობით საგრძნობლად მცირდება კრიტიკული მდგომარეობის ლიკვიდაციის დრო, ავადმყოფთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მკურნალობის ღირებულება. ამასთან შემცირდა კრიტიკულ მდგომარეობათა დროს აღმოცენებული გართულებების სიხშირე. მიღებული შედეგები

მიუთითებენ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მკურნალობაში ძვლის ტვინის ელექტროსტიმულაციის მეთოდის შემოღების მიზანშეწონილობას. სურ. 5, ცხრ. 2, ლიტ. 1.

ავტ.

14.3.2.83. ინტრაცერებრული ჰემატომების ქირურგიული მკურნალობის ანალიზი. /თ. კერძევაძე, გ. გეგია, ქ. კერძევაძე, თ. აბრამოვი, ზვ. ხელაძე/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 111-112. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
ინტრაცერებრული ჰემატომების მქონე ავადმყოფებს ოპერაციული ჩარევა სასურველია ჩაუტარდეს დაავადების დაწყებიდან 24 საათის შემდეგ; ამასთან ოპერაცია უმჯობესია გაკეთდეს ღია, ტრადიციული მეთოდით. ასევე ოპერაციამდე და ოპერაციის შემდგომ პერიოდში მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს მართული ჰიპოტენზია. ლიტ. 2.

ავტ.

14.3.2.84. ელექტრო ენცეფალოგრაფიული ცვლილებები კრიტიკულ ავადმყოფებში. /მ. ხაბურზანია, ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე, დ. ყაზაიშვილი/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 115-118. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
შესწავლილია ეეგ ცვლილებათა თავისებურებანი კრიტიკულ მდგომარეობათა დროს. ყველაზე ღრმა ცვლილებანი ინახა სამბალიანი კომების დროს. თუმცა ეს სურათი ყოველთვის არ შეესაბამებოდა თავის ტვინის სიკვდილის სურათს და ზოგიერთ შემთხვევაში ევოლუციას განიცდიდა. სურ. 3, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.2.85. მეხსიერების და ინტელექტის შეფასება კრიტიკულ ავადმყოფებში. /ზ. ხელაძე, გ. ჩხარტიშვილი, ე. იბილური, ზვ. ხელაძე/.კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 119-123. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
მეხსიერების ცვლილება კრიტიკულ მდგომარეობათა დროს უპირატესად წარმოდგენილია ხანმოკლე მეხსიერების დათრგუნვის სახით. კრიტიკულ მდგომარეობათა დროს ავადმყოფებს ასევე დათრგუნული აქვთ ინტელექტუალური შესაძლებლობები. კრიტიკული მდგომარეობის ლიკვიდაციის შემდეგ აღინიშნება, როგორც ხანმოკლე ისე ხანგრძლივი მეხსიერების, აგრეთვე ინტელექტუალური შესაძლებლობების აღდგენის ტენდენცია, მაგრამ მათი სრულყოფილი მოწესრიგება არ ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაშიც კი. სურ. 5, ცხრ. 4, ლიტ. 2.

ავტ.

14.3.2.86. მუსიკის გავლენა კრიტიკული ავადმყოფების ელექტროენცეფალოგრამაზე. /ნ. ნიქაბაძე, ზ. ხელაძე, ზვ. ხელაძე, დ. კალანდია/. კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინა. საერთ. სიმპ. მას. თბილისი. – 2014. – #13-14. – გვ. 124-127. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ელექტრული აქტივობა უფრო მკვეთრად არის გამოხატული მაშინ, როდესაც ერთი და იგივე მუსიკას ერთდროულად უსმენს უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტი და სამედიცინო პერსონალი. ამასთან ეს ცვლილებები უფრო ინტენსიურად არის წარმოდგენილი მარჯვენა ჰემისფეროში. სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.3.2.87. ლიმფომა ურგენტულ ქირურგიაში. /გ. აზმაიფარაშვილი, გ. თომაძე, ა. მეგრელაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 9-11. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
კუჭის, წვრილი და მსხვილი ნაწლავების ლიმფომა იშვიათ დაავადებას წამოადგენს ურგენტულ ქირურგიაში. წარმოდგენილია ორი ლიმფომის შემთხვევა. კუჭის ლიმფომა და ნაწლავების ლიმფომა ძალიან გავს კუჭის კიბოს, კლინიკურად და ინტრაოპერაციული სურათით. თუ ლიმფომა არის გართულებული, სისხლდენით ან რაიმე სხვა ურგენტული ქირურგიული პათოლოგიით, პირველ ყოვლისა საჭიროებს ქირურგიულ მკურნალობას, ენდოსკოპურ გამოკვლევას იოფსიით, პრეპარატის ჰისტომორფოლოგიურ კვლევას. ლიმფომაზე ეჭვის მიტანის აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმუნოჰისტოქიმიური კვლევა. ლიმფომის დიაგნოზის დადგენის შემდეგ, სასწრაფოდ საჭიროა ონკოჰემატოლოგის კონსულტაცია და შესაბამისი ადექვატური მკურნალობა. ეს იქნება სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია, იმუნოთერაპია, თუ ძვლის ტვინის გადანერგვა. სურ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.88. ავშვთა ასაკის ინსულტების მართვა. /გ. არველაძე, ნ. გელაძე, თ. სანიკიძე, ნ. ხაჭაპურიძე, ნ. კაპანაძე, ს. ახტაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 11-18. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ავშვებსა და მოზარდებში სხვადასხვა ნევროლოგიური სინდრომებისა და დაავადებების დროს ლაქტატ-აციდოზის და მიტოქონდრიების უკმარისობის გამოვლენა, უჯრედში ენერგეტიკული ცვლის დარღვევებისა და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის მოშლის დადგენა სპეციფიკური მკურნალობის ალგორითმების შემუშავებისათვის. გამოკვლეულ იქნა 11 პაციენტი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლით (ახალშობილობიდან - 3 წლამდე). ჩატარებულმა კლინიკურმა დაკვირვებამ და პარაკლინიკურმა კვლევებმა 11 პაციენტზე გამოავლინა ავშვთა ასაკში განვითარებული თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის დროს მნიშვნელოვანი ცვლილებები ჰიპოგლიკემიის, ლაქტატის და პირუვატის მაჩვენებლების მომატების, მიტოქონდრიული ენერგოგენეზის დაქვეითების (MTT ტესტის მაჩვენებლის დაქვეითება), ასევე, სისხლის რედუქს სისტემის დისბალანსის და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (სუპეროქსიდიმუტაზა, კატალაზა) უკმარისობის განვითარებით, რაც ორგანიზმში იშემიის და ოქსიდაციური სტრესის არსებობაზე მიუთითებს. MELAS სინდრომის დროს ეს დარღვევები განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება. გამოვლენილმა ლაქტატ-აციდოზმა და მიტოქონდრიულმა უკმარისობამ სწორი დიაგნოსტიკისა და, საბოლოო ჯამში, ეფექტური თერაპიის შემუშავების საშუალება მოგვცა, ხოლო, ერთ შემთხვევაში, MELAS სინდრომის გამოვლენამ გვიჩვენა ამ ჯგუფის ყველა პაციენტში მიტოქონდრიული აქტივობის შეფასების აუცილებლობა. ლიტ. 32.

ავტ.

14.3.2.89. სისხლის რედოქს-სისტემის მნიშვნელობა კანის დაბერების პათოგენეზში ქალთათვის მენოპაუზის პერიოდში. /ქ. ერიანიძე, ა. კაციტაძე, ი. დათუნაშვილი, მ. მათოშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 27-29. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ორგანიზმის რედოქს-ბალანსის როლის განსაზღვრა კანის დაბერების პათოგენეზში მენოპაუზის პერიოდის მქონე ქალებში. შესწავლილი იყო 40-55 წლამდე ასაკის მენოპაუზის პერიოდის მქონე ქალი. ხდებოდა კანის მდგომარეობის ხარისხობრივი შეფასება (ტენიანობა, ცხიმიანობა, ელასტიურობა, პიგმენტაცია), ვენურ სისხლში ჰორმონული ცვლის მაჩვენებლების (ესტრადიოლი (E), ტესტოსტერონი (T), ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის (FSH), რედოქსპარამეტრების (ჟანგბადის და ლიპიდების თავისუფალი რადიკალების შემცველობის - ეპრ მეთოდით), ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას, სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ) და გლუტათიონრედუქტაზას (გრ) აქტივობის (სპექტროსკოპული მეთოდით) განსაზღვრა. გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია სისხლში ესტრადიოლის შემცველობასა და სოდ-ის აქტივობას (r=-0.413, p=0.0017) შორის, ხოლო დადებითი კორელაცია – სისხლში ესტრადიოლის შემცველობასა და გრ-ას აქტივობას (r=0.565, rp=0.002) შორის. ქალების სისხლში ესტრადიოლის შემცველობის დაქვეითება, ანტიოქსიდანტური სისტემის დისბალანსი კორელირდება პიგმენტური ლაქების მაჩვენებლის ზრდასთან და ტენიანობის ამსახველი მაჩვენებლის დაქვეითებასთან. ამრიგად, მენოპაუზის პერიოდში, ქალების კანის დაბერების პროცესში, დიდი როლი ენიჭება ესტროგენდამოკიდებული რედოქს-დისბალანსის განვითარებასა და რედოქს-აქტიური მოლეკულების არაკონტროლირებად წარმოქმნას. ცხრ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.90. რედოქს-დისბალანსის როლი მენოპაუზის პერიოდის მქონე ქალების ჰიპერტენზიის პათოგენეზში. /მ. ულეიშვილი, ლ. რატიანი, ნ. ლობჟანიძე, თ. სანიკიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 29-31. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს შეადგენდა რედოქს-დისბალანსის როლის დადგენა ჰიპერტენზიის პათოგენეზში მენოპაუზური პერიოდის ქალებში. შესწავლილია მენოპაუზური პერიოდის 30 ქალი ჰიპერტენზიით და ჰიპერტენზიის გარეშე (30 ქალი). კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმს წარმოადგენდა პოლიკისტოზი, ოვარექტომია, ვირუსული ჰეპატიტი, თირკმლის დაავადება, თამბაქოს მოხმარება, ყავის ხშირი მოხმარება, ალკოჰოლიზმი და სხვა მავნე ჩვევები. განსაზღვრული იყო ქალების ჰიპერტენზიისადმი გენეტიკური წინასწარი განწყობა (ანამნეზის მონაცემები), სხეულის მასის ინდექსი, ინტიმა-მედიის შრის სისქე (დოპლეროგრაფიის საშუალებით), ქალების სისხლში ესტროგენების შემცველობა (ELIZA მეთოდით), სისხლის რედოქს-სისტემის მდგომარეობა (პრო-ლიპოპეროქსიდების (LOO) შემცველობა) და ანტიოქსიდანტური (კატალაზას, სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ) და გლუტათიონრედუქტაზას (გრ) აქტივობის სისტემა). კვლევის შედეგად გამოვლენილია სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია ჰიპერტენზიის სიმძიმესა და სისხლში ესტრადიოლის შემცველობას შორის (r = -0.4531, p= 0016). ჰიპერტენზიის მქონე პოსტმენოპაუზური პერიოდის ქალების სისხლში რეგისტრირებულ იქნა

ლიპოპეროქსიდ რადიკალების (LOO) ეპრ სიგნალი, კატალაზას აქტივობა იზრდებოდა 50%-ით, გრ მცირდებოდა 38%-ით, ხოლო სოდ-ის აქტივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ არ იცვლებოდა საკონტროლო მაჩვენებლებთან (მენოპაუზური პერიოდის ქალები ჰიპერტენზიის გარეშე) შედარებით. გაკეთებულია დასკვნა მენოპაუზური ასაკის ქალების ჰიპერტენზიის განვითარებაში რედოქს სისტემის დისბალანსის პათოგენეზური როლის შესახებ. ცხრ. 2, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.91. ჩვილობის და ავშვთა ასაკის ძილის აპნოე და მისი მართვის მეთოდები. /ნ. გელაძე, ნ. ხაჭაპურიძე, ს. ახტაძე, ნ. კაპანაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 32-38. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

აღნიშნულია, რომ მსუბუქად გამოხატული ძილის დარღვევა აღინიშნება სკოლამდელი ასაკის ავშვთა 19.8%-ში, ხოლო საშუალო და მძიმედ გამოხატული დარღვევები - 13.8%-ში. ძილის ყველაზე ხშირ დარღვევას წარმოადგენს გამოღვიძებები ღამის დროს (18.1%), ჩაძინების პრობლემები (12.8%), სუნთქვის პრობლემები (9.7%), დილის ძილიანობა (9.1%). ნაშრომში განხილულია ჩვილობის და ავშვთა ასაკის ძილის აპნოე, რომელიც სუნთქვის რიტმის დარღვევით მიმდინარე ძილის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხშირი ფორმაა. გახანგრძლივებული (თვეებიდან წლების მანძილზე მიმდინარე) ობსტრუქციული ძილის აპნოეს შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ ფიზიოლოგიურ დარღვევებს, როგორიცაა ზრდაში ჩამორჩენა, ნეიროკოგნიტური და ქცევითი პრობლემები (აგრესია, უყურადღებობა, ჰიპერაქტივობა, დაბალი აკადემიური მოსწრება), რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას, ენურეზის, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების (ფილტვისმიერი გული, ფილტვისმიერი ჰიპერტენზია) და ზოგჯერ გულყრების განვითარებასაც კი. ჩვილობის ასაკის პირველადი ძილის აპნოე წარმოადგენს ძილის დარღვევის ერთ-ერთ ხშირ და ზოგჯერ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობას. ის ხშირად თანხლებულია ისეთი ავტონომიური დარღვევებით, როგორიცაა რადიკარდია, ციანოზი ან სიფერმკრთალე. იშვიათად შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ინტენსივობის და სიხშირის მქონე ეპილეფსიური გულყრები ან ფსიქომოტორული განვითარების ამა თუ იმ ხარისხით გამოვლენილი ჩამორჩენა. იშვიათად მისი გამოსავალი შეიძლება ლეტალურიც კი იყოს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ჩვილობის და ავშვთა ასაკის ძილის აპნოეს დროული ამოცნობა, მისი დიაგნოსტირება და მკურნალობა საჭიროებს პაციენტის დეტალურ ანამნეზურ და კლინიკურ შეფასებას. მისი სწორი მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ავშვის არა მარტო ფიზიკური, არამედ ფსიქომოტორული და კოგნიტური ფუნქციების სწორი განვითარების პროცესში. ცხრ. 2, ლიტ. 58.

ავტ.

14.3.2.92. ცერებრული ვენების თრომბოზის კლინიკური გამოსავალი. /ი. ვერულაშვილი, მ. ერაია, ა. ჯვარშეიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 61-63. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ცერებრული ვენების თრომბოზი (ცვთ) 35-50 წლის წინ იშვიათად დიაგნოსტირდებოდა, ხოლო დაავადების პროგრედიენტული გამოსავალი (სიკვდილიანობა) იყო ძალიან მაღალი – 30%-დან 50%-მდე. ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებების CT, MRI, MRA დანერგვამ კლინიკებში, საგრძნობლად შეცვალა არსებული სიტუაცია. თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკის აზაზე და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შესწავლილ იქნა 42 ქალი და 13 მამაკაცი (2005-2011 წწ.) ცერებრული ვენების თრომბოზის ვერიფიცირებული დიაგნოზით. შერჩეული ავადმყოფები (საშუალო ასაკი 43 წელი) გადანაწილდა 4 კლინიკურ ჯგუფში: 1)17 პაციენტი (30.9%) ფსევდოტუმოროზული სინდრომით; 2) 6 ავადმყოფი (10.9%) – იზოლირებული ინტრაკრანიული ჰიპერტენზიით; 3) 19 ავადმყოფი (34.5%) - თავის ტვინის დაზიანების პროგრედიენტულიკერობრივი სიმპტომატიკით და 4) 17 პაციენტი (30.9%) - თავის ტვინის დაზიანების მწვავე კერობრივი სიმპტომატიკით. ცერებრული ვენების თრომბოზის პროგრედიენტული გამოსავალის გამოვლენილი დაბალი მაჩვენებელი (7.3%) არ ეწინააღმდეგება თანამედროვე კვლევებს, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებულია კლინიკური რადიოლოგიის მიღწევებით ცერებრული ვენების თრომბოზის დიაგნოსტიკაში და ამ კატეგორიის ავადმყოფების გადაუდებელი ანტიკოაგულანტური თერაპიით. ლიტ. 8.

ავტ.

14.3.2.93. პროკალციტონინის დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ავშვთა ასაკში სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე საშარდე გზების ინფექციის დროს. /ბ. ზენაიშვილი, გ. ჩიტაია, ნ. მანჯავიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 67-69. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს შეადგენდა პროკალციტონინის დიაგნოსტიკური მნიშნელობის დიფერენცირებული შეფასება სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე საშარდე გზების ინფექციის დროს ავშვთა ასაკში. პროკალციტონინის კონცენტრაციის მატება წარმოადგენს მაღალსპეციფიკურ და მაღალსენსიტიურ ტესტს მძიმედ მიმდინარე საშარდე გზების ინფექციის დროს, რაც მას მნიშვნელოვან პროგნოზულ ღირებულებას ანიჭებს. ცხრ. 3, ლიტ. 21.

ავტ.

14.3.2.94. არტერიული წნევისა და ლიპიდური ცვლის კორექცია ესენციური ჰიპერტენზიისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 მქონე ავადმყოფებში. /რ. თაბუკაშვილი, ვ. კაპეტივაძე, ხ. ჭაავა, ნ. გეგეშიძე, ზ. მაღლაფერიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 70-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანი იყო პრესტარიუმის ეფექტურობის დადგენა ესენციური ჰიპერტენზიისა და შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2 მქონე ავადმყოფებში. კვლევაში მონაწილეობდა 55 ესენციური ჰიპერტენზიის (სისტოლური არტერიული წნევა >140 მმ. ვწყ. სვ. და დიასტოლური არტერიული წნევა >90 მმ. ვწყ. სვ.) და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს მქონე ავადმყოფი საშუალო ასაკით 55±3,5 წელი. ყველა ავადმყოფს დაენიშნა პრესტარიუმი 10 მგ. დაკვირვება გრძელდებოდა 3 თვის მანძილზე. ყველა ავადმყოფს უტარდებოდა სუბიექტური და ობიექტური გამოკვლევა, არტერიული წნევის გასინჯვა დღეში 2-ჯერ კლინიკაში და სახლის პირობებში, დაკვირვების დასაწყისში და ოლოს ჩაუტარდათ ლიპიდური სპექტრის ანალიზი, გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1c) განსაზღვრა სისხლში. მიღწეულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება როგორც სისტოლური არტერიული წნევის 21,0%-ით, ასევე დიასტოლური არტერიული წნევის 17,1%-ით ($p<0,05$). არტერიული წნევის შემცირებასთან ერთად დაფიქსირდა ლიპიდური ცვლის საგრძნობლად გაუმჯობესება. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ პრესტარიუმის 10 მგ-ის დოზით დანიშვნა იწვევს არა მარტო არტერიული წნევის ნორმალიზაციას, არამედ აუმჯობესებს ლიპიდურ ცვლას. ცხრ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.2.95. კუპრალის ძაფების გამოყენება პაროდონტიტის მკურნალობის კომპლექსში. /მ. ივერიელი, ნ. აბაშიძე, ხ. გოგიშვილი, ლ. ჯაში, ნ. გოგებაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 77-78. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კუპრალის ძაფების ეფექტურობის შეფასება პაროდონტიტის მკურნალობის კომპლექსში. გამოკვლევა ჩაუტარდა 35-დან 55-წლამდე მძიმე ფორმის პაროდონტიტიან 42 პაციენტს. მკურნალობის ეფექტურობა ფასდებოდა სუბიექტური და ობიექტური მონაცემებით და კლინიკური ინდექსების ცვლილებებით. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი მიუთითებს, რომ კუპრალის ძაფების გამოყენება მარტივი და ეფექტურია, ძაფები მიზანმიმართულად თავსდება პაროდონტულ ჯიბეში, მასალის დანახარჯი მინიმალურია. ამდენად, კუპრალის ძაფების გამოყენება პაროდონტიტის მკურნალობის კომპლექსში რეკომენდებულად უნდა ჩავთვალოთ. ლიტ. 3.

ავტ.

14.3.2.96. მოტორული განვითარების შეფასება ჭარბი წონის მქონე ადრეული ასაკის ავშვებში. /ე. კანდელაკი, ნ. ყავლაშვილი, მ. ხერეხეულიძე, ი. ჩხაიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 80-82. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანი იყო ნატიფი და უხეში მოტორული სფეროს განვითარების შეფასება ადრეული ასაკის ავშვებში, რომელთაც მაღალი სმი აქვთ. ობსერვაციულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-6 წლის ასაკის ორივე სქესის 340 ავშვმა, რომელთა მშობლებმა, სხვადასხვა მიზეზების გამო, 2011-2012 წლების მანძილზე მიმართეს იაშვილის სახელობის ავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ადრეული განვითარების ცენტრს. კვლევაში მონაწილე ავშვები შეფასებულნი იყვნენ PEDS:DM (მშობლის მიერ განვითარების შეფასების ტესტი: განვითარების ნიშან სვეტები), DENVER II და TGMD-2 (უხეში მოტორიკის შეფასების ტესტი). დადგინდა სარწმუნო კავშირი სიმსუქნესა და უხეშ მოტორულ უნარებს შორის. სიმსუქნის მქონე ავშვები სარწმუნოდ ნაკლებად ასრულებენ ასაკის შესაბამის ნიშან სვეტებს განვითარების ამ ქვესფეროში. ნატიფ მოტორულ უნარებში მნიშვნელოვანი კორელაცია ნანახი არ იყო. კვლევის შედეგად გამოიკვეთა ნატიფი მოტორული სფეროს სხვა ნიშანსვეტებით შემდგომი შესწავლის აუცილებლობა. ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.97. შპიცის ნევუსი - დერმატოსკოპიური დახასიათება და თანხვედრა პათომორფოლოგიურ დიაგნოზთან. /ა. კაციტაძე, ნ. კილაძე, თ. შულაია, ნ. კორსანტია, ც. ენდელიანი, ა. ჩირინაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 87-88. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა შპიცის ნევუსის სპეციფიკური დერმატოსკოპიური მახასიათებლების შესწავლა და პათომორფოლოგიურ მონაცემებთან მათი თანხვედრის დადგენა. ყველა შესწავლილ შემთხვევაში აღწერილ იქნა დამახასიათებელი დერმატოსკოპიური სურათი და დადგინდა მისი სრული თანხვედრა ჰისტომორფოლოგიურ მონაცემებთან, რაც ადასტურებს დერმატოსკოპიური კვლევის სარწმუნობასა და საიმედოობას კანის პიგმენტური ახალწარმონაქმნების დიაგნოსტიკაში. ლიტ. 4.

ავტ.

14.3.2.98. ქვედა უკბილო ყბაზე მოსახსნელი პროთეზების სტაბილიზაციის შედარება სხვადასხვა მეთოდით მიღებული ფუნქციური ანაბეჭდების გამოყენებისას. /ს. კრავეიშვილი, ნ. შონია, ნ. საყვარელიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 96-98. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
კვლევის მიზანს წარმოადგენდა ორი სხვადასხვა მეთოდით დამზადებული ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზების შედარება და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა უკბილო ყბების პროთეზირების საბოლოო შედეგის გაუმჯობესების თვალსაზრისით. კვლევამ ნათელყო, რომ ანატომიური რეტენციის გამოყენება, ინდივიდუალური კოვზის კიდეების ფორმირებით, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროთეზის სტაბილიზაციას და ამცირებს პროთეზის მორგებისას კორექციათა რაოდენობას. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.99. პლასტიკური ქირურგია თავ-კისრის ონკოლოგიაში. /ი. კუზანოვი, კ. მარდალეიშვილი, ა. კუზანოვი, ზ. დაბრუნდაშვილი, გ. კუზანოვი, გ. იოსელიანი, მ. მაჭავარიანი, ვ. ჯავახიშვილი, გ. არათაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 98-101. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
ონკოლოგიურ დაავადებათა მაჩვენებლები იზრდება მთელ მსოფლიოში. მათ შორის, თავ-კისრის ონკოლოგიური დაავადებები შეადგენენ 15-20%, ხოლო დაგვიანებული მიმართვები (III-IV სტადია) შეადგენს 70-80%. თავ-კისრის დეფექტების მკურნალობაში რევოლუციურად ითვლება მიკროქირურგიის განვითარება, რომელმაც მოგვცა დასხივებული ზონიდან მოშორებით მდებარე ქსოვილების გამოყენების საშუალება, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ოპერირებულ მიდამოებში ქსოვილების რეპარაციული პროცესები და შეამცირა ავადმყოფების ანატომიურ-ფუნქციური და სოციალური რეაბილიტაციის ვადები. თავ-კისრის ავთვისებიანი სიმსივნეების თანამედროვე მკურნალობა საქართველოში დაიწყო 1985 წლიდან, როცა პროფ. კ. მარდალეიშვილისა და პროფ. ი. კუზანოვის ხელმძღვანელობით პირველად ჩატარდა ერთეტაპიანი ოპერაცია ვასკულიზებული ნაფლეთების გამოყენებით. რეკონსტრუქციული ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს როგორც ერთ ეტაპად, ასევე - გადავადებულად. მნიშვნელოვანია პირველადი რეკონსტრუქცია, რაც ამცირებს რეაბილიტაციის პერიოდს და აფართოებს ქირურგიული მკურნალობის ჩვენებებს ადგილობრივად ფართოდ გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში. ამ ოპერაციის შესრულებისას საჭიროა მინიმუმ ორი რიგადის - ონკოქირურგების და პლასტიკური ქირურგების - შეთანხმებული მუშაობა. თავ-კისრის ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაში საუკეთესო შედეგების მიღწევა შესაძლებელია ონკო- და პლასტიკური ქირურგების რიგადების შერწყმული მუშაობით. რეკონსტრუქციის ტიპი უნდა გადაწყდეს ორივე რიგადის ქირურგების მონაწილეობით, პაციენტის დეტალური დათვალიერების და საკითხების შეჯერების შემდეგ. ნაფლეთების პრეფაბრიკაციის მეთოდიკა კი გვაძლევს საშუალებას დავფაროთ როგორც საფარი ქსოვილების, ასევე ლორწოვანი ქსოვილის დეფექტები. სურ. 15, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.100. ქოლედოქის კისტების მკურნალობა. /ნ. ლომიძე, ზ. მანიჟაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 107-109. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
ილიარული ტრაქტის ყველა თანდაყოლილი მალფორმაციებიდან ღვიძლგარეთა სანაღვლე გზების კისტოზური გაგანიერება ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი დაავადებაა. 60% შემთხვევებში ღვიძლგარეთა სანაღვლე გზების კისტები დიაგნოსტირდება 3 თვიდან 10 წლამდე ასაკში. გოგონებში სანაღვლე გზების კისტები 4-ჯერ უფრო ხშირია. 2001 წლიდან, ტოდანის კლასიფიკაციით I ტიპის ანუ ქილედოქის კისტით დიაგნოსტირებული იქნა და მკურნალობა ჩაუტარდა 3 ავადმყოფს. აქედან აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური კლინიკის და თსსუ-ის ქირურგიულ სნეულებათა მიმართულების აზაზე - 2 ავადმყოფს (16 და 17 წლის გოგონა) და გ. ჟვანიას სახ. ავშვთა კლინიკის და თსსუ-ის ავშვთა ქირურგიის

მიმართულების აზაზე - 1 ავადმყოფს (8 წლის გოგონა). სამივე ავადმყოფს ახასიათებდა: ტკივილი, სიყვითლე, სიმსივნური წარმონაქმნი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში. მათ ჰქონდათ ერთნაირი ანამნეზური მონაცემები. ლაბორატორიულ ანალიზებში, სამივე შემთხვევაში, მომატებული იყო საერთო ილირუბინის მაჩვენებელი. მუცლის ღრუს ექოსკოპიით, კომპიუტერული ტომოგრაფიით და მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიით დადგინდა ქოლედოქის ზომების მკვეთრი მატება. სამივე პაციენტში დადასტურდა ტოდანის კლასიფიკაციით I ტიპის - ქოლედოქის კისტა. ყველას გაუკეთდა ოპერაცია: ქოლედოქის კისტის ამოკვეთა, ქოლეცისტექტომია, ჰეპატიკოეიუნო ანასტომოზის და ენტერო-ენტერო ანასტომოზის ფორმირება Roux-en Y-ის მეთოდით. ადრეული და შორეული პოსტოპერაციული გართულებები არ აღინიშნა. დადგენილია, ქოლედოქოს კისტის სრული ამოკვეთის მიზანშეწონილობა და არა ცისტოენტეროანასტომოზების ფორმირება. ლიტ. 15.

ავტ.

14.3.2.101. გინეკოლოგიური ტუბერკულოზის დაგვიანებული დიაგნოსტიკის შემთხვევა. /გ. ლორთქიფანიძე, ლ. ვაშაკიძე, მ. ნონიკაშვილი, თ. მამალაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 109-111. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ტუბერკულოზი საქართველოში გავრცელებული დაავადებაა. ფილტვის ფორმებთან ერთად გვხვდება ფილტვგარეთა ლოკალიზაციის ფორმები, მათ შორის გინეკოლოგიური ტუბერკულოზის შემთხვევები. ამ ფორმების დიაგნოსტიკა რთულია, ვინაიდან დაავადებას არ გააჩნია სპეციფიკური კლინიკური სურათი და ინსტრუმენტული გამოკვლევების მონაცემები, იშვიათად ხერხდება გამომწვევის იდენტიფიცირება. განხილულია კლინიკური შემთხვევა (ისტ. #392), სადაც მიუხედავად ჩატარებული გამოკვლევებისა (მრტ, კტ, მინილაპარატომია), შემთხვევა შეფასდა როგორც საკვერცხის ჩღ; ჩატარდა ქიმიოთერაპიის 3 კურსი და ოპერაცია: ტოტალური ჰისტერექტომია დანამატებთან ერთად, ომენტექტომია. ოპერაციული მასალის მორფოლოგიური შესწავლით დადასტურდა ტუბერკულოზური სალპინგოოოფორიტი. გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ტუბერკულოზის არსებობის ალბათობა და ჩატარდეს სპეციალისტის კონსულტაცია შესაბამისი გამოკვლევებით. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.102. ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრისა და ფიქსაციის მეთოდის მოდიფიკაცია. /ს. მღებრიშვილი, ვ. გურბანოვი, ი. არბაქაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 120-121. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ცენტრალური ოკლუზია არის ქვედა ყბის ფუნქციონალური მდებარეობა, საიდანაც იწყება და სადაც მთავრდება ყველა ღეჭვითი მოძრაობა. ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრა და მისი არტიკულატორში ზუსტი გადატანა მოსახსნელი პროთეზების დამზადების საფუძველია. ჩვენ შევიმუშავეთ ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრის მეთოდი სილიკონური საანაბეჭდო მასის პირველი შრის გამოყენებით. ცენტრალური ოკლუზიის განსაზღვრის არსებულ მეთოდთან შედარებით, შემოთავაზებულ მეთოდს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, კერძოდ: 1) უფრო ზუსტად გამოიხატება ანტაგონისტი კბილების გამოსახულება, რაც საშუალებას გვაძლევს ცდომილების გარეშე განვალაგოთ მოდელები ცენტრალური ოკლუზიის მდგომარეობაში; 2) სილიკონი, გამაგრების შემდეგ, არის უფრო მყარი მასალა დარბილებულ საბაზისო ცვილთან შედარებით, რომელიც განიცდის დეფორმაციას. სილიკონის ეს თვისება იძლევა საშუალებას, რომ იგი გამოყენებულ იქნეს გარემოს მაღალი ტემპერატურის დროსაც; 3) იძლევა პროცედურის ხელმეორედ ჩატარების საშუალებას სასურველი შედეგის მიღებამდე, ცვილის შაბლონის შეუცვლელად; 4) შეგვიძლია მოდელები ადვილად დავაშოროთ ერთმანეთს თაბაშირის კბილების მოტეხვის გარეშე; 5) პროცედურა ადვილად ჩასატარებელია, რაც ამსუბუქებს ექიმის შრომას. სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.3.2.103. ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტები საქართველოში. /ი. მჭედლიშვილი, დ. გელოვანი, რ. ჩოჩიშვილი, თ. მჭედლიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 121-123. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ვირუსული ჰეპატიტების ცალკეული ნოზოლოგიური ერთეულების გავრცელების შესწავლამ საქართველოში 2001-2011 წლებში გვიჩვენა, რომ ოლო პერიოდში, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე თბილისში, ადგილი აქვს მწვავე ჰეპატიტებით (A ჰეპატიტი, B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი) ავადობის დონის მნიშვნელოვან შემცირებას და ამ ფონზე ქრონიკული B და ქრონიკული C ჰეპატიტებით ავადობის საგრძნობ ზრდას. 2011 წელს, 2001 წელთან შედარებით, A ჰეპატიტით ავადობა ქვეყანაში შემცირდა 33,4-

ჯერ, მწვავე B ჰეპატიტით – 3,2-ჯერ, ხოლო მწვავე C ჰეპატიტით – 4,7-ჯერ. სამაგიეროდ, ქრონიკული B ჰეპატიტით ავადობა გაიზარდა 13,0-ჯერ, ხოლო ქრონიკული C ჰეპატიტით – 8,6-ჯერ. 2011 წელს საქართველოში ქრონიკული B ჰეპატიტით ავადობის მაჩვენებელი 320/0000-ს შეადგენდა, ხოლო ქრონიკული C ჰეპატიტით – 54,10/0000-ს. ამჟამად, ქრონიკული ჰეპატიტები უფრო ინტენსიურადაა გავრცელებული საქართველოში, ვიდრე ევროპის მრავალ ქვეყანაში. ეს პათოლოგია დღეს სერიოზულ პრობლემას უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. ცხრ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.104. ალერგიული რინიტის გავრცელება აჭარის რეგიონის ავშვთა პოპულაციაში. /ნ. ქათამაძე, ნ. ადამია, ნ. მანჯავიძე, ლ. ჟორჟოლიანი, ი. უბირია/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 135-137. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს შეადგენდა ალერგიული რინიტის გავრცელების შეფასება საქართველოს სუბტროპიკული კლიმატის პირობებში, აჭარის რეგიონში, ქალაქ ათუმის ავშვთა პოპულაციაში. ალერგიული რინიტის სიმპტომების გავრცელება შეისწავლებოდა ერთმომენტიანი ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძველზე. შემუშავდა ანკეტა-კითხვარი; ალერგიული რინიტის გაფართოებული კვლევის სპეციალიზებული რუკა; აპრობირებულ იქნა ალერგიული რინიტის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები ARIA-ს (2008-2010 წწ.) მიხედვით და შეირჩა რეპრეზენტატული საკვლევი კონტინგენტი. ათუმის ავშვთა პოპულაციაში, ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად, ალერგიული რინიტის პრევალენტობამ შეადგინა 15,3%, თანარსებულ კონიუნქტივიტს ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 4,5%-ში. ანკეტირების, კლინიკური და სპეციფიკური ალერგოლოგიური დიაგნოსტიკის თავისებურებების ერთობლიობის საფუძველზე 56,7%-ში კონსტანტირებულ იქნა ინტერმისიული და 43,3% შემთხვევაში აღინიშნა პერსისტიული ალერგიული რინიტი, ძირითადად საშუალო (47,8%) და მსუბუქი (52,2%) მიმდინარეობით. ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძველზე დაფიქსირდა ჰიპოდიაგნოსტიკის მაღალი სიხშირე. ცხრ. 4, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.2.105. ჩვილი ავშვის დამატებითი კვების დაწყებაზე მოქმედი ფაქტორები. /ნ. ყავლაშვილი, მ. ხერხეულიძე, ე. კანდელაკი, ი. ჩხაიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 140-143. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამატებითი კვების დაწყების დროზე მოქმედი ფაქტორების დადგენა. გამოკითხვა ჩაუტარდა 6 თვიდან 1 წლამდე ასაკის 358 ავშვის დედას, რომლებმაც მომართეს მ. იაშვილის სახ. ავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ავშვთა განვითარების ცენტრს იმუნიზაციის ან ჯანმრთელი ავშვის შეფასების ვიზიტისთვის. გამოვლინდა, რომ ავშვთა მხოლოდ 30,2% იწყებდა დამატებით კვებას დროულად (6 თვის ასაკიდან), ავშვთა დიდ ნაწილში დამატებითი კვება იწყებოდა ძალიან ადრე (4 თვემდე) ან ადრე (4-6 თვე) – შესაბამისად, 18,1% და 27,3%. 11%-მა დამატებითი საკვები მიიღო დაგვიანებით (7 თვის შემდეგ), ხოლო 13,4%-ს ჯერ არ ჰქონდა დაწყებული მისი მიღება. კვების დაწყებაზე გავლენას ახდენდა დედის ასაკი, მისი საქმიანობა. ახალგაზრდა დედები, სტუდენტები და მომუშავე დედები უფრო ადრე აძლევდნენ შვილებს დამატებით საკვებს. დედების უმრავლესობა ინფორმაციას (47,4%) დამატებითი კვების შესახებ იღებდა ექიმისგან. დადგინდა, რომ დამატებითი კვება ჯანმო-ს რეკომენდაციასთან შედარებით უფრო ადრე იწყება. დედის ასაკი, განათლება, საქმიანობა, საცხოვრებელი გარემო გავლენას ახდენს დამატებითი კვების დაწყების ვადაზე. საჭიროა საგანმანათლებლო მუშაობის უფრო ინტენსიურად წარმართვა, რათა დედებს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ავშვის ჯანსაღი და ადეკვატური კვების შესახებ. ცხრ. 2, ლიტ. 18.

ავტ.

14.3.2.106. როტავირუსული ინფექცია ავშვებში. /ი. შალამბერიძე, თ. ჯოხთაბერიძე, მ. ხოჭავა/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 143-145. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევა მიმდინარეობდა ავშვთა ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოში. დიაგნოსტიკისათვის გამოიყენებოდა სწრაფი ტესტი - RIDA®Quick Rotavirus/ Adenovirus Combi. სულ გამოკვლეული იყო დიარეის დიაგნოზით შემოსული 54 პაციენტი. გამოკვლეულთა 74.06%-ში ტესტი როტავირუსზე იყო დადებითი. ზოგიერთ პაციენტს დაუდგინდა მიქსტინფექცია (5.56%). პაციენტების უმრავლესობა იყო იჭი – 34(63%), გოგონა – 20(37%). პაციენტების უმრავლესობას აღენიშნებოდა შეუპოვარი ღებინება, რაც ართულებდა ორალურ რეჰიდრატაციას და პაციენტები საჭიროებდნენ ინტრავენურ ინფუზიას მარილოვანი ხსნარით (რინგერის ლაქტატი, რინგერის ხსნარი NaCl – 0.9% ხსნარი). კვლევის შედეგების მიხედვით, დიარეის მქონე ავშვთა სტაციონარში მოთავსების ერთ-ერთი მიზეზია როტავირუსული

ინფექცია. დაავადება უმრავლეს შემთხვევაში მიმდინარეობს საშუალო სიმძიმით და დეჰიდრატაციით გამოწვეული ჰიპოვოლემიური შოკი ვითარდება იშვიათად. მიღებული შედეგები სრულად ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს. ცხრ. 1, სურ. 7, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.2.107. ვიტილიგოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. /ნ. ვ. ცისკარიშვილი, ა. კაციტაძე, ლ. ჭითანავა, ნ. ი. ცისკარიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 151-155. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ვიტილიგოს მკურნალობის თანამედროვე მეთოდები და მათი მოქმედების 41 მექანიზმი. ვიტილიგოს მრავალი ფორმის არსებობა აუცილებელს ხდის ავადმყოფთათვის თერაპიის მეთოდის ინდივიდუალურ შერჩევას. თერაპიის ყოველი მეთოდი უნდა გამოყენებული იყოს დროის საკმარისი პერიოდით, რადგან რეპიგმენტაციის ინიციაცია შესაძლებელია ძალიან ნელა განვითარდეს. ეფექტური თერაპია უნდა გაგრძელდეს სრული რეპიგმენტაციის მიღებამდე. მკურნალობის არაქირურგიული მეთოდები გულისხმობენ ტოპიკური და რამდენიმე ორალური პრეპარატის (ტოპიკური და ორალური კორტიკოსტეროიდები, კალცინევრინის ინჰიბიტორები, D3 ვიტამინის ანალოგები, ტოპიკური L-ფენილალანინი, ანტიოქსიდანტები) გამოყენებას. ზემოთ ჩამოთვლილი კონსერვატული თერაპიის წარუმატებლობისას, რეკომენდებულია ფოტოთერაპია (მონოთერაპიის ან ტოპიკურ სამკურნალო საშუალებებთან კომბინაციის სახით). უშედეგო ფოტოთერაპიის (UVA, UVB) შემთხვევაში რეზერვი მონოქრომატული ექსიმერული ლაზერით მკურნალობაა (მონოთერაპიის და სხვა სამკურნალო საშუალებებთან კომბინაციაში). მკურნალობის ქირურგიული მეთოდები გამოიყენება უშედეგო კონსერვატიული მეთოდების შემდეგ. გენერალიზებულმა (უნივერსალურმა) ვიტილიგომ შეიძლება მოითხოვოს დეპიგმენტაციის ჩატარება. მკურნალობის ყველა ეტაპზე უნდა გვახსოვდეს, რომ ვიტილიგო ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ეხება პაციენტის ცხოვრების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. კომუფლიაჟი უზრუნველყოფს დროებით კოსმეტიკურ ეფექტს, ხოლო ფსიქოთერაპია პაციენტებს დაავადების ფსიქოლოგიური ასპექტების გადალახვაში ეხმარება. ლიტ. 39.

ავტ.

14.3.2.108. „ნაბეღლავის" მინერალური წყლით ნაწლავების გამორეცხვის გავლენა ღვიძლის გარესეკრეტორულ ფუნქციაზე. /ი. ჭაბაშვილი, ნ. სააკაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 155-157. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 80 ქრონიკული არაკენჭოვანი ქოლეცისტიტით დაავადებული, ისინი იღებდნენ სასმელად „ნაბეღლავის" მინერალურ წყალს და ამავე წყლით ახდენდნენ ნაწლავების გამორეცხვას. ამით მიღწეულ იქნა ორმაგი ეფექტი, ვინაიდან მინერალური წყლით ნაწლავების გამორეცხვის დროს ხდება ტოქსიკური ნივთიერებების ინაქტივაცია, ნაწლავების შიგთავსის გამოდევნის გაუმჯობესება, თავის მხრივ, ეს ღვიძლში იწვევს ტოქსიური ნივთიერებების ენტერალური გზით მოხვედრის შემცირებას. „ნაბეღლავის" მინერალური წყლის მაღალი ეფექტურობა განპირობებულია ღვიძლის სისხლის მიმოქცევაზე მასტიმულირებელი მოქმედებით, ნაღვლის უშტში ხდება შეგუბებითი პროცესების ლიკვიდაცია, ანთებითი პროცესის შემცირება და ნაღვლის ქიმიური შემადგენლობის გაუმჯობესება. „ნაბეღლავის" მინერალური წყალი ხელს უწყობს ნაწლავების აპათოგენური მიკროფლორის განვითარებას, რაც მედიკამენტოზური საშუალებებით შეუძლებელია. ლიტ. 4.

ავტ.

14.3.2.109. ქრონიკული არაკენჭოვანი ქოლეცისტიტით დაავადებულთა რეაბილიტაცია დაბალი მინერალიზაციის „სახარბედიოს" მინერალური წყლით. /ი. ჭაბაშვილი, ნ. სააკაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 157-158. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ილიარული სისტემით დაავადებულებში დისბალანასის კორექციისათვის გამოყენებულ იქნა ნაკლებად შესწავლილი სასმელი მინერალური წყალი „სახარბედიო", რომელიც მდებარეობს კურორტ მენჯის ტერიტორიაზე. ეს მინერალური წყალი აძლიერებს ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობას, დიურეზს, დადებით გავლენას ახდენს ნაღვლის უშტის მოტორულ და კონცენტრაციულ ფუნქციაზე. მინერალური წყლის „სახარბედიოს" გამოკვლევების შედეგად მიღებული იქნა დამაჯერებელი მონაცემები ამ უნიკალური წყლის შესახებ, რომელსაც გააჩნია დეზინტოქსიკაციური და სპაზმოლიზური მოქმედება, არის ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტური უნებრივი ფაქტორი, რომელსაც გამოყენებისას არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. ლიტ. 4.

ავტ.

14.3.2.110. ზედა ყბის საჭრელებისა და ეშვების ფესვებისა და არხების მორფოლოგიური პარამეტრების შეფასება ქართულ პოპულაციაში. /ნ. ჭიპაშვილი, ე.ბეშკენაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 158-161. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევა ეძღვნება ზედა ყბის ფრონტალური კბილების მორფოლოგიური თავისებურებების შესწავლას ქართულ პოპულაციაში. კვლევის მიზანი იყო მუდმივი კბილების, ზედა ყბის საჭრელებისა და ეშვების, მორფოლოგიური და ანთროპოლოგიური მონაცემების დადგენა საქართველოს მოსახლეობაში და მიღებული შედეგების შედარება უკვე არსებულ ლიტერატურულ მონაცემებთან. ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.111. ავშვის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები. /მ. ხერხეულიძე, ნ. ყავლაშვილი, ი. ჩხაიძე, ე. კანდელაკი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 165-168. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანი იყო ავშვის განვითარების შეფასება და მასზე მოქმედი იოლოგიური და სოციალური რისკის ფაქტორების გამოვლენა. კვლევა ჩაუტარდა 2013 წელს მ. იაშვილის სახ. ავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ავშვთა განვითარების ცენტრში მომართულ 0-დან 6 წლამდე ასაკის 2449 პაციენტს. შეფასდა პერი- და პოსტნატალური ისტორია, ფიზიკური, ემოციური, სოციალური, მოტორული და კოგნიტური განვითარება სპეციფიკური ტესტების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში ტარდებოდა ფსიქოლოგის, ოფთალმოლოგის, ნევროლოგის კონსულტაცია და სმენის სკრინინგი. მასალა დამუშავდა SPSS კომპიუტერული პროგრამით. გამოკვლეულ ავშვთა 53,3% იყო იჭი, ხოლო 46,7% - გოგო. ასაკობრივ ჭრილში: 12,3% იყო 1 წლამდე ასაკის, 21,2%-1-დან 3 წლამდე, 46,7% - 3-დან 5-წლამდე, ხოლო 33,1% - 5-დან 6 წლამდე ასაკის. შესწავლილი პოპულაციის 5,8% იყო დღენაკლული. ნეონატალური პრობლემებიდან ყველაზე ხშირად გამოვლინდა რდს (8%), ჰიპერბილირუბინემია (2,1%), ინფექცია (2,0%), თანდაყოლილი ანომალია (0,5%). ოჯახური ანამნეზით, ყველაზე ხშირ ჯანმრთელობის პრობლემას წარმოადგენდა ენდოკრინული დაავადებები (19,9%), სოციალური მხრიდან კი - ფინანსური არასტაბილურობა და ეკონომიკური პრობლემები (55,6%). ფიზიკური განვითარების შეფასებით, ჭარბი წონა გამოვლინდა 5,1%-ში, ასაკთან შედარებით მცირე წონა გამოვლინდა 1,2%, ხოლო წონისა და სიმაღლის ჩამორჩენა ასაკთან მიმართებაში - 1,5% შემთხვევაში. განვითარებისა და ქცევის დარღვევებს შორის განსაკუთრებით ხშირი იყო ემოციური დარღვევები (8,2%), ქცევისა და ემოციის შერეული აშლილობები (4,8%), მეტყველების ექსპრესიული ფუნქციის დარღვევა (2,2%), აუტისტური სპექტრის დარღვევები (1,6%). კვლევით დადგინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი დედის განათლების დონესა და ავშვის განვითარების მაჩვენებლებს შორის (P<0.0001). კვლევით არ დადგინდა სარწმუნო განსხვავება გოგონებისა და ვაჟების განვითარების და ქცევის მაჩვენებლებს შორის. გამონაკლისს წარმოადგენდა აუტისტური სპექტრის დარღვევები, რომელიც სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი იყო ვაჟებში, გოგონებთან შედარებით (P<0.0001). კვლევით დადგინდა ეკონომიკური პრობლემების გავლენა განვითარების და ქცევის დარღვევებზე (P<0.0001). კვლევამ აჩვენა, რომ დღენაკლულ და მცირე წონის ავშვებში განსაკუთრებით მაღალია განვითარებისა და ქცევის დარღვევების სიხშირე (P<0.0001). განვითარების და ქცევის დარღვევები შედარებით ხშირად ვლინდებოდა, აგრეთვე, ნეონატალური პრობლემების მქონე პაციენტებში. მრავალი იოლოგიური (დაბადების მცირე წონა, ნეონატალური პრობლემები) და სოციალური (ეკონომიკური პრობლემები, დედის დაბალი განათლების დონე) ფაქტორი გავლენას ახდენს ავშვის განვითარებაზე და ზრდის განვითარებისა და ქცევის დარღვევების სიხშირეს. სურ. 2, ცხრ. 1, ლიტ. 21.

ავტ.

14.3.2.112.T-ლიმფოციტების ადჰეზიური რეცეპტორების სპონტანური და სპეციფიკური მოდულაციის თავისებურებები პაროდონტიტის დროს. /ლ. ჯაში, მ. ივერიელი, ნ. აბაშიძე, ნ. გოგებაშვილი, ხ. გოგიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 170-172. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია ლეიკოციტების ადჰეზიური რეცეპტორების სპონტანური და სპეციფიკური აქტივობის ცვლილებების თავისებურებები პაროდონტიტის დროს. დადგენილია, რომ პაროდონტიტის დროს იზრდება T-ლიმფოციტების ადჰეზიური რეცეპტორების სპონტანური აქტივობა პროცესის გენერალიზაციის მიხედვით. T-ლიმფოციტებისაგან განსხვავებით ნეიტროფილების ადჰეზიური რეცეპტორების სინთეზის აქტივაცია უმნიშვნელოდ არის გამოხატული და არ არის დამოკიდებული პათოლოგიური პროცესის განვითარების ხარისხზე. T-ლიმფოციტების ადჰეზიური რეცეპტორების სპეციფიკური სენსიბილიზაცია უფრო ხშირად გამოვლინდა აქტერიული ლიპოპოლისაქარიდების მიმართ ღვიძლის ლიპოპოლისაქარიდებთან შედარებით. ადჰეზიური აქტივობის რეგულატორებით –

პროსტაგლანდინით (PE_2), რეკომბინანტული α_2 ინტერფერონით ($rINF\alpha_2$) და I ტიპის კოლაგენით T-ლიმფოციტების ადჰეზიური ფუნქციის მოდულაცია იწვევს ურთიერთსაპირისპირო ეფექტებს, რომელთა ინტენსიობას განაპირობებს პაროდონტში მიმდინარე პათოლოგიური პროცესის სიმძიმე. PE_2 უფრო ხშირად იწვევს T-უჯრედების ადჰეზიური რეცეპტორების ინჰიბიციას, $rINF\alpha_2$ და I ტიპის კოლაგენი კი - ადჰეზიური რეცეპტორების სტიმულაციას. ლიტ. 11.

ავტ.

14.3.2.113. მიოკარდიუმის ინფარქტის თრომბოლიზური მკურნალობა ანტიოქსიდანტების, კალიკრეინ-კინინური სისტემის და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინჰიბიტორების გამოყენების ფონზე. /მ. ჯიბლაძე, ა. ქისტაური/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 172-177. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კალიკრეინ-კინინური სისტემის (კკს) და ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის (ლზჟ) ინჰიბიტორების და ანტიოქსიდანტების გამოყენების ფონზე წარმართული მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის (მმი) თრომბოლიზური თერაპიის (თლთ) ეფექტურობის შეფასების მიზნით შესწავლილია 104 პაციენტი და 44 ჯანმრთელი პირი. დადგინდა: 1. ანტიოქსიდანტების და კკს და ლზჟ-ს ინჰიბიტორების გამოყენებით მიიღწევა მმი-ს მიმდინარეობის გაუმჯობესება, იშემიის შემცირება, ჰოსპიტალიზაციის ვადის შემცირება, გართულებათა და ლეტალობის კლება. 2. ანტიოქსიდანტების და კკს და ლზჟ-ს აქტივაციის ინჰიბიტორების მოქმედების პათოგენეზი მმი-ს დროს მოიცავს რეოქსიგენაციური სტრესის მიმდინარეობის, სისხლის რეოლოგიური და ფერმენტატიული სურათის, კორონარული სისხლის მიმოქცევის და მიოკარდიუმის ელექტროფიზიოლოგიური ფუნქციის გაუმჯობესებას. 3. ანტიოქსიდანტების და კკს და ლზჟ-ს ინჰიბიტორების დადებითი ეფექტი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის თლთ-ს ჩატარებისას კავშირშია რეპერფუზიულ გართულებების აცილებასთან. ცხრ. 4, სურ. 4, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.2.114. მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის როლი კისრის მიდამოს სიმსივნეების დიაგნოსტიკაში. /ფ. თოდუა, კ. მარდალეიშვილი, ლ. გზირიშვილი, დ. მიმინოშვილი, გ. წივწივაძე, რ. ხარაძე/. კლინიკური ონკოლოგია. – 2014. – #2. – გვ. 16-23. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

მრავალშრიანი კტ. ანგიოგრაფია არის ეფექტური და მაღალინფორმატიული მეთოდი კისრის ახალწარმონაქმნების დიაგნოსიტაკასა და დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში. კვლევის ამ მეთოდით შესაძლოა შეფასდეს ახალწარმონაქნის როგორც ინტრა-, აგრეთვე პერიტუმორული ვასკულარიზაცია და ახალწარმონაქმნის დამოკიდებულება კისრის მაგისტრალურ სისხლძარღვებთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მკურნალობის ტაქტიკის შერჩევაში. სურ. 8, ლიტ. 17.

ავტ.

14.3.2.115. სწორი ნაწლავის კიბოს მკურნალობის შედეგების გაუმჯობესების მეთოდოლოგიური პრინციპები. /ბ. მოსიძე, დ. ლომიძე, გ. კევლიშვილი/. კლინიკური ონკოლოგია. – 2014. – #2. – გვ. 24-31. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

სწორი ნაწლავის კიბოს მკურნალობა უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავდეს რადიკალურ ოპერაციულ, ქიმიო და სხივურ თერაპიას, რაც იძლევა შორეული შედეგების მკვეთრ გაუმჯობესებას (20%-ით), სადაც 20%=100%! სწორედ ჩატარებული კომბინირებული მკურნალობა ზრდის რიცხვს ორგანოშემანარჩუნებელი ჩარევებისა და შესაძლებლობას რეკონსტრუქციულ-აღდგენითი ოპერაციებისა, აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, ზრდის სოციალურად რეაბილიტირებულ ავადმყოფთა რიცხვს. პრეოპერაციული სხივური თერაპია ტოტალურ მეზორექტუმექტომიასთან კომბინაციაში იძლევა საუკეთესო შედეგს სწორი ნაწლავის ავთვისებიანი წარმონაქმნების შემთხვევაში. ახალი ტექნოლოგიების შექმნა საგრძნობლად აფართოებს სიმსივნეზე რადიკალური ზემოქმედების საზღვრებს დაზიანებული ორგანოს ფუნქციის შენარჩუნებითა და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სიცოცხლის ხარისხის ამაღლებით. ცხრ. 3 ლიტ. 9.

ავტ.

14.3.2.116.ფარისებური ჯირკვლის დიფერენცირებული სიმსივნეების მკურნალობის მართვა (ვენის საუნივერსიტეტო კლინიკის ირთვული მედიცინის დეპარტამენტის გამოცდილება). /ნ. შენგელია-დე ლანგე/. კლინიკური ონკოლოგია. – 2014. – #2. – გვ. 42-47. – ქართ.; რეზ.: ინგლ.

ფარისებრი ჯირკვლის დარღვევები ფართოდ არის გავრცელებული. მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მკურნალობას საჭიროებს. ირთვული მედიცინა გამოიყენება სხვადასხვა სიმსივნეების და

დარღვევების დიაგნოსტიკის და მკურნალობის დროს, კერძოდ, ფარისებრი ჯირკვლის შემთხვევაში. 1950 წლიდან იოდინის 131 რადიაციული თერაპია წარმატებით გამოიყენება პაციენტებში როგორც კეთილი, ისევე ავთვისებიანი წარმონაქმნებისთვის ფარისებრ ჯირკვალში. აბლაციური თერაპია I-131 კაპსულების გამოყენებით არის კარგად დამკვიდრებული მეთოდი დიფერენცირებული ფარისებრი ჯირკვლის მკურნალობისას; ტოტალური ტიროიდექტომიის შემდეგ პაციენტების პროგნოზი აშკარად უმჯობესდება. აღწერილია ვენის საუნივერსიტეტო კლინიკის ირთვული მედიცინის დეპარტამენტის ხანგრძლივი გამოცდილება, სადაც წლიურად 500 პაციენტზე მეტს მკურნალობენ. სურ. 3, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.2.117. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ზოგიერთი პათოლოგიის დროს ოლნისის მინერალური წყლით მკურნალობის ეფექტურობა. /ლ. ურჭულაძე/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. – 9-13 ოქტომბერი – 2014. – გვ. 23-28. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

გამოკვლევები ჩატარებულია ქრონიკული გასტრიტის და ქრონიკული ქოლეცისტიტის მქონე 92 ავადმყოფზე. ავადმყოფებს, სეკრეტორული ფუნქციის გათვალისწინებით, ეძლეოდათ სასმელად ოლნისის მინერალური წყალი. მიღებული მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოლნისის მინერალური წყლით მკურნალობა არეგულირებს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციას, აუმჯობესებს ღვიძლის, ნაღველგამომყოფი გზების და ნაღვლის მდგომარეობას. ცხრ. 3.

ავტ.

14.3.2.118. ფიზიკური ფაქტორების გამოყენებით კომპლექსური სამედიცინო რეაბილიტაციის მოქმედება მოანკილოზე სპონდილოართრიტის მქონე ავადმყოფებზე. /ი. თარხან-მოურავი, მ. ტაბიძე, ი. მალაზონია, ე. ხელაშვილი/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. – 9-13 ოქტომბერი – 2014. – გვ. 36-39. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

დადგინდა, რომ კომპლექსური სამედიცინო რეაბილიტაცია მილიმეტრული დიაპაზონის ტალღების ელექტრომაგნიტური გამოსხივების, თერმული გორგირდწყალბადიანი მინერალური წყლის აბაზანების, ხერხემლის და დაზიანებული სახსრების მასაჟის გამოყენებით, იწვევს მოანკილოზე სპონდილოართრიტის მქონე ავადმყოფთა ხერხემალში, დაზიანებულ სახსრებსა და კუნთებში ანთებითი და დესტრუქციული პროცესების შესუსტებას, გაქრობამდეც კი. ანთებითი და დესტრუქციული პროცესების შესუსტება (გაქრობამდეც კი) ზემოაღნიშნულ სტრუქტურულ წარმონაქმნებში იწვევდა ხერხემალსა და დაზიანებულ სახსრებში მოძრაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ხერხემლის ინდექსის ზრდას, რასაც თან ახლდა რენტგენოლოგიური მონაცემების გაუმჯობესება (მალთაშუა, გავა-მენჯის და გავა-თეძოს სახსრების ნაპრალების გაფართოება და დაზიანებული სახსრების შენაწევრების ზედაპირების გასწორება), შრომითუნარიანობის ზრდა, ხერხემალში და დაზიანებულ სახსრებში ტკივილების შესუსტება, სრულ გაქრობამდეც კი. ლიტ. 3.

ავტ.

14.3.2.119. შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფთა ორჯომის მინერალური წყლით კომპლექსური მკურნალობის ეფექტურობა. /ნ. მალანია/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. – 9-13 ოქტომბერი – 2014. – გვ. 40-44. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.

გამოკვეულ იქნა შაქრიანი დიაბეტის მსუბუქი და საშუალო სიმძიმით დაავადებული 171 ავადმყოფი. ზოგიერთ ავადმყოფს აღენიშნებოდა თანმხლები დაავადებები გულ-სისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემების მხრიდან. მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ავადმყოფებს უტარდებოდათ სუბიექტური და ობიექტური მონაცემების ნახშირწყლოვანი და ლიპიდური ცვლის გამოკვლევები. მკურნალობის მეთოდიკა მოიცავდა სამკურნალო კვებას, ორჯომის მინერალური წყლის მიღებას, საჭიროების შემთხვევაში სისხლში შაქრის დამწევი აბების მიღებას, სამკურნალო ფიზკულტურას, პასიურ კლიმატოთერაპიას. მკურნალობის შედეგად დადგინდა, რომ როგორც კურორტ ორჯომის, ასევე კურორტგარეშე პირობებში კომპლექსური მკურნალობის შედეგად ავადმყოფებს გაუუმჯობესდათ სუბიექტური და ობიექტური მონაცემები, მოხდა ნახშირწყლოვანი და ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების ნორმალიზაცია, შეუმცირდათ ან სულ მოეხსნათ ანტიდიაბეტური მედიკამენტები. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.2.120. ალოეს და ვერცხლის ელექტროფორეზით სამედიცინო რეაბილიტაციის მოქმედება რონქული ასთმის დროს. /ი. თარხან-მოურავი, ხ. საგანელიძე, ნ. გურგენიძე/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. – 9-13 ოქტომბერი – 2014. – გვ. 141-144. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
დადგენილია, რომ ალოეს და ვერცხლის ელექტროფორეზით სამედიცინო რეაბილიტაცია ახდენს რონქული ასთმის მქონე ავადმყოფებში ორგანიზმის სენსიბილიზაციის და რონქებში ანთებითი პროცესის შესუსტებას, აძლიერებს იმუნიტეტის უჯრედოვან რგოლს, აუმჯობესებს იმუნოლოგიურ მაჩვენებლებს, რესპირატორულ ფუნქციას და კლინიკურ მდგომარეობას. აღნიშნული დადებითი ძვრები მცირდებოდა პათოლოგიის დამძიმებასთან ერთად.

ავტ.

14.3.2.121. ელექტროსტიმულაციის და ახტალის სამკურნალო ტალახის კომპლექსური გამოყენებით სამედიცინო რეაბილიტაციის მოქმედება კიდურების პერიფერიული ნერვების ღეროების ტრავმების (კპნღტ) მქონე ავადმყოფებზე. /ნ. სააკაშვილი, ი. თარხან-მოურავი, ნ. კაკულია, ნ. ჯაკობია, ი. კვინიკაძე, ნ. კვინიკაძე/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. – 9-13 ოქტომბერი – 2014. – გვ. 167-169. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
დადგინდა, რომ სამედიცინო რეაბილიტაცია ელექტროსტიმულაციის და ახტალის სამკურნალო ტალახის კომპლექსური გამოყენებით იწვევს კპნღტ-ის მქონე ავადმყოფებში ტრავმული დაზიანების კერაში ანთებითი პროცესის შესუსტებას (გაქრობამდეც კი), რაც მანორმალიზებლად მოქმედებს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების ფუნქციებზე. კიდურების პერიფერიული ნერვების ღეროების დაზიანების უბანში ანთებითი პროცესის შესუსტება (გაქრობამდეც კი), იწვევს იმუნიტეტის უჯრედოვანი რგოლის და იმუნოლოგიური რეაქტიულობის გაძლიერებას, T-უჯრედების რეგულატორული ფუნქციის აღდგენას; მანორმალიზებლად მოქმედებს ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობასა და ჰუმორული იმუნიტეტის მაჩვენებლებზე; აუმჯობესებს ნეირომიოგრაფიულ, რეოვაზოგრაფიულ და კლინიკურ მონაცემებს. აღნიშნული დადებითი ძვრები უფრო გამოხატული იყო კიდურების პერიფერიული ნერვების ღეროების ნეიროაპრაქსიის დროს. აღნიშნულმა რეაბილიტაციამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ყველა გამოკვლეულზე.

ავტ.

3.3. ჯანმრთელობის დაცვა

14.3.3.1. სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში. /ი. დოლიძე/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 24-30. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია მედიცინის პერსპექტიული პროფილაქტიკური მიმართულების სანოლოგიის (ჯანმრთელობის მედიცინის) განვითარების პრობლემები. საქართველოში ამ მიმართულებით ჯერჯერობით კვლევები არ ჩატარებულა. ნაშრომი აქტუალურია და ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის კრიტერიუმების შემუშავებასა და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.2. მავნე სამუშაო პირობებში ადამიანთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე გაწეული ინვესტიციის ეფექტიანობა. /მ. ლომსაძე-კუჭავა/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები.– 2014. – #1. – გვ. 52-60. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
გაანალიზებულია მავნე სამუშაო პირობებში ადამიანთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე გაწეული ინვესტიციის ეფექტურობა. აღნიშნულია ადამიანთა ჯანმრთელობაზე მოქმედი მრავალი არასასურველი ფაქტორი, როგორიცაა: ძლიერი ხმაური, დაბინძურებული კლიმატი, ელექტრო მაგნიტური ველი და სხვა. განხილულია აღნიშნულ პრობლემებზე გაწეული ინვესტიციების ეფექტურობა და განსახორციელებელი ღონისძიებების ეკონომიური ასპექტები. მოცემულია მავნე სამუშაო პირობებში მომუშავეების ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაციები და რეცეპტები. ცხრ. 5, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.3. მმართველობითი ინოვაციები და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გზები საქართველოს პირველად ჯანდაცვაში. /თ. ჩახუნაშვილი, ლ. ჩახუნაშვილი/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 61-70. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

უცხოეთის ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების გაცნობისა და საქართველოში მომზადებული ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ჯანდაცვის პირველადი რგოლის დაწესებულებაში მიღებული სამედიცინო მომსახურებით პაციენტთა კმაყოფილების დონე. დადგენილია, რომ სამედიცინო მომსახურების სერვისების და სამედიცინო პროდუქტიულობის მაჩვენებელი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გაწეული სამედიცინო მომსახურების ეფექტურობაზე, კლინიკურ შედეგებსა და ხარისხზე. აღნიშნულია, რომ სამედიცინო მომსახურების შეფასების მაჩვენებლებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შედეგის შეფასებას, რადგან სწორედ შედეგი ასახავს სამედიცინო მომსახურების ძირითად მიზანს - პაციენტს გაეწიოს სათანადო სამედიცინო მომსახურება. მოცემულია კვლევის შედეგები. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 20.

ავტ.

14.3.3.4. ჯანდაცვის სისტემის მართვისა და სამედიცინო მომსახურების ორგანიზების პრობლემები. /ე. მოწონელიძე, რ. ქუთათელაძე/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები.– 2014. – #1. – გვ. 71-80. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შემოთავაზებულია ჯანდაცვის სისტემის მართვის მოდელი, სამედიცინო მომსახურების ორგანიზების ვარიანტები და ექიმის საქმიანობის მოდელი, რომელიც ინოვაციურია. ცხრ. 1, სურ. 3, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.3.5. მარკეტინგის გამოყენების მნიშვნელობა ჯანდაცვის სისტემაში. /დ. ფირცხალავა, ი. წურწუმია/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 88-92. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მარკეტინგის როლი ჯანდაცვის სისტემაში, აღწერილია უარყოფითი მოთხოვნის საქონლის - სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნების რეგულირება, კერძოდ, სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების რეალიზაციის პირობებში. გამოკვლეულია ამ ურთიერთობაზე მარკეტინგის გავლენა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობები. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.3.6. სახელმწიფო ოპიოიდური ჩანაცვლებითი პროგრამების შედეგების შეფასება საქართველოში. /გ. ფირალიშვილი, მ. ჭავჭანიძე, ი. გამყრელიძე, ნ. ნიკოლაიშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #4 (229). – გვ. 62-66. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი იყო მეთადონითა და უპრენორფინ/ნალოქსონით (Addნოკ-N) ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის შედეგების შეფასება საქართველოში და რუტინული შეფასების ინსტრუმენტის ოპტიმიზაცია. პაციენტების რეკრუტირება მოხდა ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განყოფილებებიდან (4 თბილისის, 5 რეგიონული) 2013 წლის მაის-ოქტომბერში. შემუშავდა 2 სტრუქტურირებული თვითშეფასების ინსტრუმენტი (ერთი ანონიმური- სენსიტიური შეკითხვებისთვის, როგორიცაა აივ და ინფექციური B და C ჰეპატიტების სტატუსი, არალეგალური ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარება, კრიმინალური აქტივობა, აივ-სარისკო ქცევა), რომლითაც მოხდა დემოგრაფიული მონაცემების, მკურნალობაში რეტენციის, ჩანაცვლებითი პრეპარატის საშუალო დოზის, მკურნალობის შესაბამისობის და კმაყოფილების, სოციალური აქტივობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ზემოაღნიშნული მონაცემების შეფასება. გამოკითხვაში მონაწილეობდა 608 პაციენტი (7 ქალი; 512 – მეთადონის პროგრამიდან, 96 – უპრენორფინ/ნალოქსონის). 337-მა რესპოდენტმა (1- ქალი), საშუალო ასაკი - 39.43±8,7 წელი შეავსო ანონიმური კითხვარი. 10 (1.64%) პაციენტი იყო აივ-დადებითი; 448 (73.68%)- დადებითი C ჰეპატიტზე და 24 (3.95%) - B ჰეპატიტზე; მეთადონის საშუალო დღიური დოზა შეადგენდა 39.27±22.2 მგ-ს, უპრენორფინ/ნალოქსონისა – 7.4±3.6მგ-ს. 64 პაციენტმა (დასაქმებულთა 40%) მუშაობა დაიწყო პროგრამაში ყოფნის პერიოდში. 365 (60%) რესპონდენტის მკურნალობაში დაყოვნება შეადგენდა 1 წელზე ნაკლებს, ხოლო 146 (24%) – 1-3 წელს (შედარებისთვის, 2011 წელს 1-3-წელი დაყოვნება იყო 51% - 258 პაციენტი 506 გამოკითხულიდან). 494 (81.2%) რესპონდენტმა აღნიშნა სოციალური სტატუსის, 508 (83.5%) - ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამაში ყოფნის პერიოდში. 305 (90.5%) რესპონდენტმა 337-იდან მიუთითა, რომ პროგრამაში ყოფნის პერიოდში კრიმინალური ქმედება არ ჩაუდენია, ხოლო 30 (8,9%) - შეამცირა. 467 (76.81%) პაციენტმა აღნიშნა, რომ ესწრება ინდივიდუალურ ფსიქოთერაპიულ სეანსებს გარკვეული სიხშირით, ხოლო 200 (32.9%) - ჯგუფურ სეანსებს. ძირითადი გვერდითი მოვლენები: ძილის დარღვევა - 48.64%; სისუსტე - 50.82%; გუნებ-განწყობის ცვლილება - 42.44%; სიმძიმის შეგრძნება - 36.35%. 257(46%) რესპონდენტმა აღნიშნულ პერიოდში მოიხმარა ალკოჰოლი, 16-მა - ოპიოიდები, 29 - სედატიური და საძილე პრეპარატები, 8 პაციენტმა - მარიხუანა და 1-მა - სტიმულატორები ოლო 30 დღის მანძილზე. 55-მა რესპონდენტმა

გაიკეთა ინექცია და 11-მა გაიზიარა საინექციო ინსტრუმენტები ოლო 6 თვის მანძილზე. საქართველოში ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამა შეიძლება შეფასდეს ეფექტურად ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების, ინიექციური სარისკო ქცევების და კრიმინალური აქტივობის შემცირების და, მეორე მხრივ, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მკურნალობაში დაყოვნება ნაკლებია, 2011 წლის კვლევასთან შედარებით (24% შედარებით 51%). ცხრ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.7. ეთანოლის მიმართ ტოლერანტობის განვითარების ასახვა ძილ-ღვიძილის ციკლის სტრუქტურაში. /მ. გოგიჩაძე, მ. ნემსაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ე. ხაჩატუროვი, ნ. ონიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 87-92. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დამოკიდებულების გამომწვევი ნივთიერებების მიმართ ტოლერანტობის განვითარება პირველი ნაბიჯია ნეიროადაპტაციიდან ნეიროდეგენერაციამდე. ეს ეხება ალკოჰოლსაც, რომელიც, თავისი მრავალმხრივი ეფექტებიდან და ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებას. ლიტერატურის მონაცემები ასახავს ტოლერანტობის განვითარებას მრავალ ქცევით ტესტში. თუმცა, ძილ-ღვიძილის ციკლის (ძღც) სტრუქტურის ცვლილებები ნაკლებად არის გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ ძღც განიხილება, როგორც ადეკვატური და ვალიდური მოდელი სხვადასხვა ფარმაკოლიგიური და არაფარმაკოლოგიური ზემოქმედების შესასწავლად. შესაბამისად, ტოლერანტობა ეთანოლის (ეთ) მიმართ უნდა აისახებოდეს ძღც-ის სტრუქტურაში, რაც მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაძლოა ეს გადახრები იყოს პირველადი რისკ-ინდიკატორები ეთ მოხმარების დროს. გამომდინარე აქედან, კვლევის მიზანი იყო ეთ-ის მიმართ ტოლერანტობის განვითარების ეფექტების შეფასება ძღც-ის სტრუქტურაზე. ექსპერიმენტები ჩატარდა ქრონიკულ პირობებში, ზრდასრულ კატებზე (n=5). გამოყენებული იყო სტერეოტაქსური, პოლისომნოგრაფიული მეთოდები; ორკვირიანი ალკოჰოლიზაცია (დოზებით 0.2-2.5 გ/კგ) მიმდინარეობდა ინტრაპერიტონული ინიექციებით. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად, სარწმუნობა განისაზღვრებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმით. ეთ-ის დაბალი ერთჯერადი დოზების (0.2-2.5 გ/კგ) ზემოქმედებით ძღც-ის სტრუქტურა არ იცვლება; 0.6 გ/კგ დოზის გამოყენებისას აღნიშნა ღრმა ნელი ძილის ლატენტური პერიოდის გაზრდა. სტრუქტურის აღდგენა ფონურ მაჩვენებლებამდე ხდებოდა 1-2 სთ-ის განმავლობაში; 1გ/კგ ეთ იწვევდა ძლიერ ინტოქსიკაციას, რაც ქცევითად - შფოთვაში, ტრემორში, ვოკალიზაციაში, ხოლო ვეგეტატურად - პირღებინებაში, ხშირ შარდვაში გამოიხატებოდა. მშფოთვარე ღვიძილის ფონზე რეგისტრირდებოდა ზერელე ნელი ძილისათვის დამახასიათებელი ელექტრული აქტივობა. სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდებოდა ღრმა ნელი ძილის წილი და იზრდებოდა პარადოქსული ძილის ლატენტობა. ალკოჰოლიზაციის მეხუთე - მერვე დღიდან აღინიშნებოდა ძღც-ს სტრუქტურის აღდგენა, რაც ეთ-ის ამ დოზის მიმართ ტოლერანტობის განვითარების მაჩვენებელია. მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ ძღც-ის სტრუქტურა ეთანოლის მიმართ ტოლერანტობის განვითარების მარკერია. ალკოჰოლიზაცია, ტვინის ჰომეოსტაზის დარღვევის შედეგად, არღვევს ძილის ნატიფ მექანიზმებს. სურ. 3, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.3.8. მარიხუანა: ანტიკურობიდან ცნობილი XXI-ე საუკუნის სადისკუსიო ნარკოტიკი. /დ. გრეიდანუსი, მ. ჰოლტი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 24-30. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მარიხუანას (ჰაშიშის) გამოყენების მრავალი ასპექტი: სიხშირე, ისტორია, თანდართული ნარკოტიკული დამოკიდებულება, კანაბინოიდები შეცვლილი ქიმიური ფორმულით, ფსიქიური და სომატური გვერდითი მოქმედება, პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობები. ახალგაზრდობა მთელ მსოფლიოში უნდა იყოს ინფორმირებული, რომ ჰაშიში არც უსაფრთხოა და არც საკეთილდღეო. ახალგაზრდობის სრულყოფილი განათლება პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, მით უფრო, რომ ჰაშიშის ქრონიკული და ინტენსიური ხმარებისას პრობლემის თავის გართმევა - მარიხუანის ხმარების შეწყვეტა, ფრიად ძნელია. Caveat emptor! მყიდველი უნდა ფრთხილობდეს! ცხრ. 2, ლიტ. 42.

ავტ.

14.3.3.9. საბოლოო სიმაღლე, სამიზნე სიმაღლე და საზოგადოება. /მ. ჰერმანუსენი, ც. ასმანი, დ. გროტი, კ. შტაუბი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 30-34. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სიმაღლე იცვლება ასაკთან ერთად და ისტორიულ გარემოში. საბოლოო სიმაღლე დეტერმინირებულია ენდოკრინული და გენეტიკური ფაქტორებით, კვებით, ჯანმრთელობით, გარემოს ფაქტორებით, დაბადების წონით, ადრეული განვითარებით, სხეულის მასის ინდექსით და განვითარების ტემპით. XIX საუკუნეში ევროპის მოსახლეობა იყო ტანდაბალი, მაგრამ ტანდაბლობა არ იყო განპირობებული ზრდის დარღვევით ყველა ასაკობრივ პერიოდებში. იმ პერიოდში ტანდაბლობა განპირობებული იყო მოზარდობაში ზრდის სპურტის ნაკლები გამოხატულობით. მოდელირების ახალი მიდგომების თანახმად, მოზარდთა ზრდისა და საბოლოო სიმაღლის რეგულაცია დამოუკიდებლად მიმდინარეობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ სამიზნე სიმაღლე და საბოლოო სიმაღლე საზოგადოების მიერ დგინდება. ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ავტორების მიერ შედგენილია შვეიცარიის გეოგრაფიული ადე, რომელიც შედგებოდა 169 კვანძისაგან (რაიონების ცენტრები) და 335 მხარისგან (გზები). გაანალიზებულია 2005-2009 წლებში სამხედრო სამსახურში გაწვეული პირების მონაცემები. მათი საშუალო სიმაღლე იყო 178.2 სმ (SD 6.5 სმ). სიმაღლეში სარწმუნო კორელაცია აღინიშნებოდა I რიგის (r=0.58), II რიგის (r=0.64), III რიგის (r=0.45) და თვით IV რიგის სამეზობლოებშიც (r=0.42). ამრიგად, რჩება შთაბეჭდილება, რომ მაღალი სტატურის თემებში ახალგაზრდებს აქვთ მაღალი სტატურა, ხოლო დაბალი სტატურის თემებში – უფრო დაბალი. მიგრანტებში სამიზნე სიმაღლე ორიენტირებულია იმ მაჩვენებლებზე, რომელიც დამახასიათებელია თემისთვის, სადაც ისინი დასახლდნენ (თემის ზეგავლენა სიმაღლეზე). სურ. 6, ლიტ. 18.

ავტ.

14.3.3.10. მოზარდთა ჯანმრთელობა ცვლად მსოფლიოში. /პ. მიშო, ა. ამბრეზინი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 54-59. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირებული ავშვთა ასაკის სიკვდილობის ურყევი კლება არ შეესაბამება იმავე მონაცემებს მოზარდებთან მიმართებაში, რაც ავტორების აზრით, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ ასაკობრივ პერიოდში სიკვდილობა და ავადობა უპირატესად გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა არაგადამდები დაავადებები, შიდსის გარდა, უბედური შემთხვევები, მკვლელობა და თვითმკვლელობა, წამალდამოკიდებულება, დაუგეგმავი ორსულობა, არალეგალური აბორტი. წარმოდგენილია მოზარდთა ჯანმრთელობის ამსახველი მასალების მიმოხილვა. ავტორები გვთავაზობენ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გზებს, თუ როგორ მივმართოთ რესურსები მოზარდთა ავადობის პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის (მოზარდებისადმი მეგობრული სერვისები). ყურადღება გამახვილებულია მოზარდთა განვითარებისა და კეთილდღეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ასევე, დისციპლინათაშორისო და ინტერსექტორულ მიდგომებზე მოზარდთა მედიცინის სირთულეების და გამოწვევების გადასალახავად. ლიტ. 28.

ავტ.

14.3.3.11. უკრაინაში მოწაფეების ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო-სოციალური თავისებურებები. /ს. ნიანკოვსკი, მ. იაცულა, ე. სენკევიჩი, ი. პასიჩნიუკი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 60-65. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ქ. ლვოვსა და ლვოვის ოლქში 2002 და 2012 წლებში მოწაფეების ჯანმრთელობის დასადგენად ჩატარებული ანკეტირების მონაცემების ანალიზის შედეგები. განხილულია ფუნქციური დარღვევების, სკოლისადმი დეზადაპტაციის სინდრომის, ნევროზული რეაქციების ჩამოყალიბების ძირითადი რისკ-ფაქტორები, უმთავრესი ჩივილების ასაკობრივი განაწილება. დადგენილია, რომ იმ ფაქტორებს შორის, რომელიც განაპირობებს ავშვთა ჯანმრთელობის დონის დაქვეითებას, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სასწავლო დატვირთვას და მის სტრესოგენულ მოქმედებას დეზადაპტაციური სინდრომის სწრაფ განვითარებაზე სხვადასხვა გამოხატულების ნევროტიული რეაქციებით. მოწაფეებში ფუნქციური დარღვევებისა და ორგანული პათოლოგიის განვითარების სიხშირის შემცირების მიზნით ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ავშვთა ჯანმრთელობის შეფასებისადმი კომპლექსური მიდგომა და გამაჯანსაღებელი ტექნოლოგიების დანერგვა. ლიტ. 14.

ავტ.

14.3.3.12. ვასკულიტით დაავადებულ ავშვთა ჰოსპიტალიზაცია ესპანეთში, 1997-2011 წწ. /ა. ვილავერდე-ჰუესო, ვ. ლონსო, ა. მორალეს-პიგა, მ. ჰენს-პერეზი, ი. აბაიტუა, მ. პოსადა-დე-ლა-პაზი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 65-72. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანია 1997-2011 წწ. ესპანეთში ვასკულიტით დაავადებულ ავშვთა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების ანალიზი. გაანალიზებულია 15 წლამდე ასაკის ავშვთა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები. მონაცემები მოპოვებულია პაციენტთა ეროვნული მონაცემთა აზიდან (National Discharges Basic Minimum

Data Set). ვასკულიტის ძირითადი დიაგნოზები მოცემულია დაავადებათა კლასიფიკაციის მეცხრე გადახედვის მიხედვით: ტაკაიასუს არტერიტი, კვანძოვანი პოლიარტერიიტი, კავასაკის დაავადება, ვეგენერის გრანულომატოზი, ჩარგ-სტრაუსის სინდრომი და ჰენოხ-შონლაინის პურპურა. მთლიანობაში ესპანეთში 1997-2011 წლებში ვასკულიტით დაავადებული 14518 ავშვი იქნა ჰოსპიტალიზებული. ჰოსპიტალიზაციის საშუალო სიხშირე ყოველ 100.000 ავშვზე შეადგენდა 13.33±1.71. ვასკულიტების ყველაზე გავრცელებულ ფორმას ჰენოხ-შონლაინის პურპურა და კავასაკის დაავადება წარმოადგენდა. მათი ჰოსპიტალიზაციის სიხშირე იყო შესაბამისად 11.00-3.97 ყოველ 100.000 ავშვზე. სხვა ვასკულიტებით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია გაცილებით იშვიათია. საწოლ-დღეების საშუალო რაოდენობა 6.04 დღეს, ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულება - 2847 ევროს, ჰოსპიტალური სიკვდილობის მაჩვენებელი საშუალოდ 0.05%-ს შეადგენდა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ჯანდაცვაში გადაწყვეტილების მიღებისა და კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ავშვთა ასაკში ვასკულიტების ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემები. ცხრ. 2, სურ. 2, ლიტ. 33.

ავტ.

14.3.3.13. პირადი შეხედულებები პედიატრიაზე და არა მხოლოდ. /ყ. ფაღავა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #5 (230). – გვ. 82-86. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ავტორის პირადი შეხედულებები ავშვთა აღზრდაზე, სამედიცინო განათლებაზე, ავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიაზე, ზოგიერთ ზოგადსამედიცინო და ზოგადპედიატრიულ საკითხზე. მითითებულია, რომ პედიატრი უნდა იყოს მშობლებისა და პედაგოგების მთავარი მრჩეველი, ხელს უწყობდეს მოზარდი თაობის ოპტიმალურ თვითრეალიზაციას. ხაზგასმულია მორალური ფასეულობების, პიროვნების გენდერული თავისებურებების, კულტურალური კოდის მნიშვნელობა; მითითებულია, რომ იმპრინტინგი პატრიოტიზმის იოლოგიურ საფუძვლად შეიძლება იყოს მიჩნეული. განიხილება ჯანსაღი ცხოვრების წესის იმპლემენტაციის ეფექტურობა. გამოთქმულია მოსაზრება ავშვებისა და მოზარდების განვითარებასა და ქცევაზე პოტენციურად უარყოფითად მომქმედი ინფორმაციისგან დაცვის მიზანშეწონილობაზე. აღნიშნულია, რომ სასურველი იქნებოდა ავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაცია. მავნე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედება ორგანიზმზე უნდა ფასდებოდეს ჯამურად. სამედიცინო განათლებაში მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ემპათიური და ოპტიმისტური მიდგომის განვითარებას. განიხილება კლინიკური გაიდლაინების დიფერენცირებული გამოყენების აუცილებლობა. განხილულია იშვიათი დაავადებების, ინდივიდუალიზებული თერაპიის, ალტერნატიული მედიცინისა და აქტერიოფაგოთერაპიის საკითხები. ავტორი მოუწოდებს არამკაფიო ლოგიკის მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების მიზანშეწონილობაზე ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში. ლიტ. 12.

ავტ.

14.3.3.14. მცენარეული ოჭკოს მნიშვნელობა ნაღვლკენჭოვანი დაავადების პრევენციისათვის წონის სწრაფი კლების დროს ჭარბი წონის მქონე პაციენტებში. /გ. სულაბერიძე, მ. ოკუჯავა, კ. ლილუაშვილი, მ. ტუღუში, ს. ეზარაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #6 (231). – გვ. 95-99. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ძალიან დაბალი კალორიული ღირებულების მქონე ორი ტიპის დიეტის – ცილებით მდიდარი და მცენარეული ოჭკოთი მდიდარი დიეტების - ეფექტურობის შედარება როგორც წონის კლებაზე, ასევე, ნაღვლის უშტში კენჭების წარმოქმნაზე. კვლევაში ჩართული იყო 68 პაციენტი, რომელთა სხეულის მასის ინდექსი შეადგენდა 35±4,7 კგ/მ^2. პაციენტები 5 კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ 520-800 კკალ კვებითი ღირებულების მქონე დიეტაზე. პირველ ჯგუფში შემავალი 34 პაციენტი იღებდა ორიგინალური ტექნოლოგიით დამზადებულ, მცენარეული ოჭკოთი მდიდარ „მარგის“ საფირმო ნიშნის მქონე პროდუქტებს (პატენტი 93314, „საქპატენტი“, 25/01-2012), ხოლო მეორე ჯგუფის 34 პაციენტი იღებდა ცილების მაღალი შემცველობის მქონე საკვებს. ყველა შემთხვევაში კვლევის დაწყებამდე, დიეტის დაწყებიდან სამი კვირის შემდეგ და დიეტის დასრულებისას ხდებოდა სხეულის წონის განსაზღვრა და ნაღვლის უშტის ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა. ხუთი კვირის შემდეგ პირველი და მეორე ჯგუფის პაციენტების წონა შემცირდა შესაბამისად 10.9±1,5 და 11,2±1,1კგ-ით. ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის შედეგად ნაღვლის უშტის სანათურში ნალექის რაოდენობამ პირველ ჯგუფში მოიმატა 3 შემთხვევაში, ხოლო მეორე ჯგუფში - 9 შემთხვევაში. მიღებული შედეგების სტატისტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ, წონაში კლების თვალსაზრისით, ჯგუფებს შორის განსხვავება არ აღინიშნა, რაც შეიძლება ნაღვლის უშტის სანათურში ნალექის წარმოქმნას სარწმუნოდ უფრო ხშირი იყო პაციენტებში, რომლებიც ცილით მდიდარ დიეტაზე იმყოფებოდნენ. მიღებული

შედეგები მიუთითებენ, რომ წონის შემცირების თვალსაზრისით მცენარეული ოჭკოთი მდიდარი დიეტა არ ჩამოუვარდება ცილოვან დიეტას და გააჩნია მნიშვნელოვანი უპირატესობა ნაღვლის უშტში კენჭების ფორმირების შემცირების მხრივ. ეს შედეგები ეხმიანება ლიტერატურის მონაცემებს ნაღვლკენჭოვანი დაავადების პრევენციისათვის მცენარეული ოჭკოების სარგებლიანობის თაობაზე. ვინაიდან სიმსუქნე და წონის სწრაფი კლება ნაღვლის უშტში კენჭების წარმოქმნის რისკ-ფაქტორებია, ავტორები სწრაფი კლებისათვის რეკომენდაციას უწევენ მცენარეული ოჭკოთი მდიდარ საკვებს, კერძოდ კი - „მარგის" პროდუქტებს. ცხრ. 2, ლიტ. 15.

ავტ.

14.3.3.15. ანტიმიულერის ჰორმონის მნიშვნელობა სხვადასხვა რეპროდუქციული პათოლოგიის დროს. /ლ. არბაქაძე, ჯ. ქრისტესაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 16-21. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ანტიმიულერის ჰორმონის (ამჰ) მნიშვნელობის განსაზღვრა სხვადასხვა რეპროდუქციული პათოლოგიის დროს და კორელაციების გამოვლენა ოვარიული რეზერვის თანამედროვე მარკერებს შორის (ამჰ, ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონი - ფმჰ, ანტრული ფოლიკულების რაოდენობა - აფრ, ასაკი) უნაყოფო ქალების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. გამოკვლეულია 153 ქალი; 41 ქალში სხვადასხვა რეპროდუქციული პათოლოგიით შეფასდა ამჰ-ს მაჩვენებლების მნიშვნელობა. 112 უნაყოფო ქალი განაწილდა 3 ასაკობრივ ჯგუფში: I ჯგუფი <35 წ. (n=39); II ჯგუფი 30-40 წ. (n =31); III ჯგუფი >40 წ. (n =42). ამჰ, ფმჰ და აფრ განისაზღვრა მენსტრუაციული ციკლის მე-2-3 დღეს. 41 ქალში სხვადასხვა რეპროდუქციული პათოლოგიით ამჰ-ს მაჩვენებლების განსაზღვრით დადგინდა, რომ გონადების დისგენეზიების და ოოტესტიკულური დარღვევების შემთხვევაში ამჰ მაჩვენებლები იყო მინიმალური. საკვერცხეების პირველადი უკმარისობის შემთხვევაში დაფიქსირდა ამჰ კრიტიკულად დაბალი მაჩვენებლები. ჰიპოგონადოტროპული ჰიპოგონადიზმის და ჰიპერპროლაქტინემიის სინდრომის დროს ამჰ მაჩვენებლები იყო ნორმის ფარგლებში. საკვერცხეების პოლიკისტოზის შემთხვევებში ამჰ მაჩვენებლები 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა ნორმის მაჩვენებლებს. 112 უნაყოფო ქალში ჩატარდა კორელაციური ანალიზი ოვარიული რეზერვის ტესტებს შორის. მთლიან საკვლევ ჯგუფში ჩატარებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკი უარყოფითად კორელირებს ამჰ-თან (r=-0.67, p=0.000) და აფრ-თან (r=-0.55, p=0.000), ხოლო დადებითად - ფმჰ-თან (r=0.38, p=0.000). ამჰ უარყოფითად კორელირებს ფმჰ-თან (r=-0.48, p=0.000) და დადებითად - აფრ-თან (r=0.71, p=0.000). ფმჰ-სა და აფრ-ს შორის ზომიერი უარყოფითი კავშირია (r=-0.41, p=0.000). კორელაციური ანალიზი ჩატარდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. აღმოჩნდა, რომ ამჰ და აფრ სამივე ასაკობრივ ჯგუფში დადებითად კორელირებს სტატისტიკურად მაღალი სარწმუნოობით (r=0.57, p<0.0001; r=0.69, p<0.0001; r=0.47, p<0.002 შესაბამისად). ფმჰ და ამჰ შორის სტატისტიკურად სარწმუნო უარყოფითი კორელაცია აღმოჩნდა მხოლოდ I და II ასაკობრივ ჯგუფებში (r=-0.41, p<0.02; r=-0.55, p<0.0001, შესაბამისად). ფმჰ და აფრ უარყოფითად და სტატისტიკურად სარწმუნოდ კორელირებს მხოლოდ III ასაკობრივ ჯგუფში (r=-0.42, p<0.006); ასევე, ასაკი და აფრ უარყოფითად და სტატისტიკურად სარწმუნოდ კორელირებს მხოლოდ I ასაკობრივ ჯგუფში (r=-0.35, p<0.03). ამრიგად, დღეს არსებული ოვარიული რეზერვის ტესტებიდან ამჰ შესაძლოა მივიჩნიოთ უფრო სარწმუნოდ, ვიდრე ფმჰ, ვინაიდან ამჰ-ს და აფრ-ს შორის გამოვლინდა მჭიდრო დადებითი კორელაცია, ამჰ-ის და აფრ-ის კომბინირებულმა განსაზღვრამ შესაძლოა გააუმჯობესოს ოვარიული რეზერვის შეფასების ხარისხი; ასევე, ამჰ-ს განსაზღვრას შესაძლოა ჰქონდეს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა რეპროდუქციული პათოლოგიის დროს. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 18.

ავტ.

14.3.3.16. კბილთა მწკრივში არსებული დეფექტებისა და მეორადი დეფორმაციების გავრცელება და ინტენსივობა 15-40 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში. /ს. კრავეიშვილი, ნ. შონია, ზ. საყვარელიძე, ნ. საყვარელიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 38-42. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სპეციალიზებული სტომატოლოგიური დახმარების გეგმის და პროფილაქტიკური ღონისძიებების პროგრამის შესამუშავებლად კბილთა მწკრივში არსებული დეფექტების და მეორადი დეფორმაციების გავრცელების და ინტენსივობის შესწავლა, არსებული დეფექტების სიდიდის, ლოკალიზაციის, წარმოშობის მიზეზებისა და დეფორმაციის გათვალისწინებით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. გამოკვლეულია 15-40 წლამდე ასაკის 147 პაციენტი სპეციალური ანკეტის

მეშვეობით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 147 პაციენტიდან მეორადი ადენტია აღენიშნებოდა 96 (62%) პაციენტს, ანუ გამოკვლეულ პაციენტთა ნახევარზე მეტს. 112 პაციენტი საჭიროებდა ორთოპედიულ მკურნალობას. არსებული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიღებული შედეგები ნათელყოფს დროული ორთოპედიული ჩარევის აუცილებლობას შემდეგი გართულებების პროფილაქტიკის მიზნით, რისთვისაც შემუშავებულია სპეციალიზებული სტომატოლოგიური დახმარების გეგმა და პროფილაქტიკური ღონისძიებების პროგრამა. ცხრ. 1, სურ. 4, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.3.17. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა არტერიული ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფების სამედიცინო დახმარების მართვის სისტემაში. /ვ. სმეანოვი, ო. სმეანოვა, ს. ტარასენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 65-68. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ჯანმრთელობის დაცვის მობილური ტექნოლოგიები აუმჯობესებენ სამედიცინო მომსახურების ხარისხს. შემუშავებული და დანერგილია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები არტერიული ჰიპერტენზიის მქონე ავადმყოფებში ექიმის დანიშნულების შესრულების აუცილებლობის უზრუნველყოფის შესახებ. შექმნილია უკუკავშირის სისტემა ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის ექიმთან (პაციენტებისათვის შეხსენების სისტემა ორმხრივი ურთიერთობის მხარდაჭერით), რომელიც იძლევა პაციენტის ინტერაქტიური მეთვალყურეობის შესაძლებლობას დისპანსერული დაკვირვების პროცესში. დანერგილი ტექნოლოგიების ეფექტურობის ანალიზმა გამოავლინა, რომ: - ავადმყოფების რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად აკონტროლებდნენ საკუთარ არტერიულ წნევას გაიზარდა 31,0%-ით; - პაციენტების რაოდენობა, რომლებიც წლის განმავლობაში პროფილაქტიკური მიზნით ექიმთან მიღებაზე იყვნენ 2-ჯერ და მეტად, გაიზარდა 18,24%-ით; - პაციენტების რაოდენობა, რომელთაც აქვთ სამიზნე წნევა, გაიზარდა 24,5%-ით და შეადგინა 38,55±4,26%. სურ. 1, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.3.18. „ცხოველმოქმედების და ჯანმრთელობის ფუნქციური შეზღუდვების საერთაშორისო კლასიფიკაციის" საფუძველზე შემუშავებული ტრენინგის პროგრამა ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის განსაზღვრისა და კლასიფიკაციისათვის საქართველოში. /ვ. დე ოერი, მ. დანელია, დ. ზურაბაშვილი, ლ. ჭიღლაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 74-77. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ახალი კონცეპციის მიხედვით საჭირო შემუშავდეს და შემდგომში გაიაროს ვალიდიზაცია შესაძლებლობათა შეზღუდვის შეფასების მეთოდოლოგიამ თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, რომელიც ფოკუსირდება ინდივიდის ფუნქციურ შესაძლებლობებზე. შვეიცარიის სადაზღვევო მედიცინის აკადემიამ (ASIM) ქართველ პარტნიორებთან ერთად შეიმუშავა ფუნქციური შეფასების პრინციპები და მათი დანერგვის მეთოდოლოგია. ეს მეთოდოლოგია ეფუძნება ფუნქციონირების საერთაშორისო კლასიფიკაციის მოკლე ვერსიას ფსიქიატრიისათვის (Mini ICF APP). საწყის ეტაპზე გერმანული ტექსტი ითარგმნა ქართულად და შემდეგ ისევ გერმანულად. ერთდღიანი ტრენინგის შემდეგ ფსიქიატრებმა ჩაატარეს ამ მიდგომის ტესტირება 5 შემთხვევაზე და შემოგვთავაზეს ინტერპრეტაციის მცირე მოდიფიკაცია. ამის შემდეგ თითოეულმა მათგანმა ახალი მეთოდით შეაფასა 40 პაციენტი. ახალმა პროცედურამ ყველა მონაწილის მოწონება დაიმსახურა და არ გამოიწვია რაიმე პრობლემა. მინი ICF ფორმის სისტემატურად შევსება პროცესს ობიექტურობასა და გამჭვირვალებას მატებს. ASIM-ის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების შეზღუდვის ფუნქციური შეფასების მეთოდზე გადასვლა მოსახერხებელია პრაქტიკული თვალსაზრისით და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ამ მიდგომის გამოყენება შეიძლება როგორც ფსიქიატრიაში, ასევე მედიცინის სხვა დარგებშიც. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.19. Bartonella henselae ინფექცია - კატის ნაკაწრის დაავადება (კლინიკური შემთხვევა). /მ. კვეზერელი-კოპაძე, ა. კვეზერელი-კოპაძე, ზ. მთვარელიძე, შ. წინწკალაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 82-86. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მოყვანილია საკუთარი დაკვირვების შედეგები 11 წლის გოგონაზე, რომელსაც ანამნეზური, კლინიკური და პარაკლინიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე დაუდგინდა კატის ნაკაწრის დაავადების დიაგნოზი. ის მიმდინარეობს ლიმფოციტური ტიპის ლეიკემოიდური რეაქციის ტიპით და კლინიკურ-ლაბორატორიული მაჩვენებლებით ემსგავსება სისხლის სიმსივნურ დაავადებას. პრაქტიკაში კატის ნაკაწრის დაავადება იშვიათია; ამიტომ დიაგნოზის დასადგენად მიზანშეწონილია დიფერენციული

მიდგომა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და სპეციალური კვლევის ჩატარება; ყველაზე სანდოდ ითვლება IFA - ანტისხეულების გამოვლინება Bartonella henselae-ს წინააღმდეგ. ცხრ. 1, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.20. ჰელიკობაქტერიები და ჰეპატობილიური პათოლოგიები: ლიტერატურის მიმოხილვა და კონცეპციური ხედვა. /ს. კანდელაკი, დ. კორძაია/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 92-98. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გაანალიზებულია კვლევის შედეგები სხვადასხვა ჰეპატობილიური პათოლოგიების განვითარებაში ჰელიკობაქტერიების შესაძლო როლის შესახებ, როგორც კლინიკაში, ასევე ექსპერიმენტში; განხილულია ჰელიკობაქტერიების ჰეპატობილიურ სისტემაში მოხვედრის ორი შესაძლებლობა - „ტრანსლოკაცია“ და „აღმავალი გზა“. ნაჩვენებია, რომ საკონტროლო ჯგუფის შექმნის სირთულე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრობლემას დაავადებათა ინიციაცია/პათოგენეზში ჰელიკობაქტერიების როლის დასადგენად დაგეგმილ კვლევებში. გამოტანილია დასკვნა შემდგომი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ ჰეპატობილიური სისტემის დაავადებათა პათოგენეზში ჰელიკობაქტერიების სხვადასხვა სახეობების მონაწილეობის დასადასტურებლად. კერძოდ, ექსპერიმენტში, მნიშვნელოვანია ისეთი მოდელის შემუშავება, სადაც მხოლოდ ჰელიკობაქტერიები შეიძლება იყოს ღვიძლის და/ან ნაღვლის გზების პათოლოგიის გამომწვევი. კლინიკაში კი, ვინაიდან მუდმივად არსებობს „ადეკვატური საკონტროლო ჯგუფის“ პრობლემა, მნიშვნელოვანია, ჰეპატობილიური სისტემის სხვადასხვა პათოლოგიების დროს ჰელიკობაქტერიების ცალკეული სახეობების ჰისტოლოგიური (მათ შორის, იმუნოჰისტოქიმიური, ფლუორესცენციული და სხვ.) და მოლეკულური იდენტიფიკაცია მიკრობთა შემდგომი ფილოგენეტიკური ანალიზით. ლიტ. 76.

ავტ.

14.3.3.21. Aპოლიპოპროტეინ B/აპოლიპოპროტეინ A-I ურთიერთკავშირი მეტაბოლურ სინდრომთან, მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინთან და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ-ქოლესტერინის დონესთან საქართველოს პოპულაციაში. /ზ. მაკარიძე, ე. გიორგაძე, ქ. ასათიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 32-39. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ოლო წლების კვლევებმა აჩვენეს, რომ აპოლიპოპროტეინ B/აპოლიპოპროტეინ A-I (აპოB/აპოA-I) თანაფარდობა ასოცირებულია მეტაბოლურ სინდრომთან და ინსულინ რეზისტენტობასთან. კვლევის მიზანს წარმოადგენდა აპოB/აპოA-I ურთიერთკავშირის შეფასება მეტაბოლურ სინდრომთან (მეტს), მის კომპონენტებთან, საერთო ქოლესტერინის და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ-ქოლესტერინის (დსლ-ქ) დონესთან საქართველოს პოპულაციაში. კვლევაში მონაწილეობდა საქართველოში მცხოვრები ევროპოიდული წარმოშობის 1522 სუბიექტი (653 ქალი და 869 მამაკაცი), რომელთა ასაკი მერყეობდა 18-დან 80 წლამდე. აპოB/აპოA-I თანაფარდობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი იყო პაციენტებში მეტს-ით, ვიდრე პაციენტებში ამ სინდრომის გარეშე (p<.0001). აპოB/აპოA-I თანაფარდობის საშუალო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად იზრდებოდა მეტს-ის კომპონენტების ზრდასთან ერთად (p<.0001ორივე სქესისთვის). ასაკთან და სქესთან მორგების შემდეგ, აპოB/აპოA-I თანაფარდობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტაბოლურ სინდრომთან როგორც განმარტებასთან (OR=1.86), ინსულინ-რეზისტენტობასთან (OR=9.83), დსლ-ქ-სთან (OR=1.99), სისტოლურ წნევასთან (OR=3.31), დიასტოლურ წნევასთან (OR=1.64), უზმოზე გლუკოზის დონესთან (OR=2.46), ტრიგლიცერიდების დონესთან (OR=2.52), მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინ ქოლესტერინის დონესთან (OR=7.08) (ყველა ჩამოთვლილისთვის p<0.05). ცხრ. 4, სურ. 1, ლიტ. 35.

ავტ.

14.3.3.22. ჰემორაგიული კოლიტის ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომით გართულებული შემთხვევების კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური თავისებურებები საქართველოში. /ე. პაჭკორია, ე. ვაშაკიძე, თ. მეგრელიშვილი, ლ. თევზაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 70-73. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოში მნიშვნელოვნად მოიმატა დიარეულმა დაავადებებმა; ამავე დროს, 2009-11 წწ. აღინიშნა ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომის (HUS) შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ნაწლავთა მწვავე ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურის შეფასება და ჰემორაგიული კოლიტის გამომწვევთა იდენტიფიცირება, ჰემორაგიული კოლიტის HUS-ით გართულებული შემთხვევების კლინიკური თავისებურებების და პრედიქტორების გამოვლენა. დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა 274 პაციენტი (2011-2013 წწ.), რომლებიც ინფექციური პათოლოგიის ცენტრში იყვნენ ჰოსპიტალიზებულნი. ჰემორაგიული კოლიტის ეტიოლოგიური

სტრუქტურა გაიშიფრა 69%-ში, ხოლო სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის ეტიოლოგია - 40%-ში. ჰემორაგიული კოლიტის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში ენტერობაქტერიებს შორის უპირატესობა EHEC შტამებს მიეკუთვნებოდა. შიდა ტოქსინის მოლეკულური მარკერების განსაზღვრამ PCR და ImmunoCard STAT მეთოდებით განაპირობა STEC ინფექციის დროული დიაგნოსტიკა დაავადების ადრეულ ეტაპზე. HUS-ით გართულების პრედიქტორებს კი წარმოადგენდენ: დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია, სოფლის პირობები, პრემორბიდული ფონი, დაავადების დაწყება სუბფებრილური ტემპერატურის ფონზე, მუცლის ძლიერი შეტევითი ხასიათის ტკივილით, სისხლიანი დიარეის გამოვლინებით დაავადების მე-2-3 დღეზე, დეფეკაციის მაღალი (>20) სიხშირით, ოლიგურიის, შეშუპების განვითარებით. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევით: ლეიკოზიტოზი, LDH-ის, კრეატინინის და შარდოვანას მატება, ჰიპოალბუმინემია და ასციტის განვითარება. ცხრ. 1, ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.23. ლამბლიოზის ეთიოტროპული თერაპიის კლინიკური ეფექტურობის შედარებითი შეფასება. /გ. მულდაევა, ხ. ეგაიდაროვა, ე. პოლიაკოვა, ე. იუხნევიჩი, შ. კალიევა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 74-78. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ლამბლიოზის ფართო გავრცელება, კლინიკური გამოვლენის სხვადასხვაგვარობა და გამოკვეთილი კონტაგიოზურობა განსაზღვრავენ ამ პათოლოგიის სოციალურ და ეპიდემიურ მნიშვნელობას. მიუხედავად დიდი წარმატებებისა მაღალეფექტური ანტიპარაზიტული პრეპარატების შექმნაში, ლამბლიოზის მკურნალობა რჩება ერთ-ერთ გადაუჭრელ და რთულ პრობლემად. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საუსალინის შემცველი ეთიოტროპული ფარმაკოთერაპიის სხვადასხვა სქემების კლინიკური ეფექტურობის შესწავლა. ღია კლინიკური შედარებითი გამოკვლევა პარალელურ ჯგუფებში მოიცავდა 93 პაციენტს ლამბლიოზის დიაგნოზით. პაციენტები მკურნალობის მეთოდის გათვალისწინებით გაყოფილი იყო 3 ჯგუფად: I ჯგუფი - საუსალინი დოზით 300 მგ/დღ, II ჯგუფი - მეტრონიდაზოლი დოზით 750 მგ/დღ, III ჯგუფი - საუსალინი დოზით 300 მგ/დღ და მეტრონიდაზოლი დოზით 750 მგ/დღ, მკურნალობის ხანგრძლივობა - 10 დღე. არსებითი სხვაობა ანტიპარაზიტული ეფექტურობის მიხედვით პრეპარატებს შორის გამოვლენილი არ იყო. ლამბლიოზის კლინიკური გამოვლენის დინამიკაში მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება (დეფეკაციის დარღვევები, დისპეფსია, აბდომინალური ტკივილი, ასთენიზაცია) პაციენტთა ჯგუფში, რომლებიც ღებულობდნენ საუსალინს. გამოყენებული პრეპარატების უარყოფითი გავლენა სისხლის ზოგადკლინიკურ და იოქიმიურ მაჩვენებლებზე არ დაფიქსირდა. მოცემული შედეგები აჩვენებენ, რომ პრეპარატი საუსალინი შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ლამბლიოზის სამკურნალოდ. ცხრ. 1, სურ. 3, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.24. სექსუალობის განვითარება და სექსუალური ქცევის მოტივირებული ასპექტების შეფასება მამაკაცებში ობსესიურ-კომპულსური დარღვევებით. /ლ. გერასიმენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 85-88. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სადღეისოდ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სექსუალური ქცევის და სექსუალობის ჩამოყალიბების საკითხი მამაკაცებში ობსესიურ-კომპულსური დარღვევებით (ოკდ). აღნიშნული პათოლოგიით პაციენტთა რიცხვის ზრდა ნევროზული დარღვევებით, პაციენტების ახალგაზრდა ასაკი და სექსუალური ხასიათის კომუნიკაციური და პიროვნული დარღვევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხის შესწავლას. აქედან გამომდინარე, ჩატარებულია კვლევა 23-47 წლის ასაკის მამაკაცებზე (n=35) ოკდ-ის კლინიკური ნიშნებით. იელი-ბრაუნის სკალის მეშვეობით გამოკვლეულია ობსესური და კომპულსური სიმპტომების სიმძიმე. აღნიშნული სკალის მეშვეობით ოკდ-ის სიმძიმის ხარისხის შეფასებამ გამოავლინა მსუბუქი ხარისხის დარღვევები 12(34,3%) შემთხვევაში, 17(48,6%) შემთხვევაში – საშუალო ხარისხის დარღვევები, 6(17,1%) შემთხვევაში – სუბკლინიკური მდგომარეობა. შესწავლილია მამაკაცებში სექსუალური ქცევის მოტივაციური უზრუნველყოფა ოკდ-ის დროს – სექსუალური ქცევის მოტივები. კვლევის შედეგების გათვალისწინებით ავტორი დაასკვნის, რომ ოკდ-ის შემთხვევაში სექსუალური ქცევის მოტივაციის უზრუნველყოფა მრავალასპექტურია. ცხრ. 1, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.3.25. სქესობრივი განვითარებისა და რეპროდუქციული ფუნქციის თავისებურებები ავშვობიდან სიგამხდრისა და სიმსუქნის მქონე ახალგაზრდა ქალებში. /ნ. ჩიკვაიძე, ჯ. ქრისტესაშვილი, მ. გეგეჭკორი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 11-16. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კვლევის მიზანი იყო სქესობრივი განვითარებისა და რეპროდუქციული ფუნქციის თავისებურებების დადგენა სხეულის მასის დეფიციტისა და სიჭარბის/სიმსუქნის მქონე მდედრობითი სქესის პაციენტებში, რომელთაც სიგამხდრე ან სიმსუქნე აღენიშნებათ ავშვობის პერიოდიდან. სხვადასხვა რეპროდუქციული პრობლემის მქონე 103 ქალს (48 – დაბალი სხეულის მასის ინდექსით - სმი, 55 – მაღალი სმი-ით) ჩაუტარდა სრული კლინიკური გამოკვლევა, მათ შორის: სმი, სხეულის ცხიმოვანი მასის გადანაწილების (თეძო-წელის გარშემოწერილობის ფარდობა), მასის ცვლილების ასაკის, ჰირსუტიზმის, აკნეს, სტრიებისა და ჰიპერპიგმენტაციის, მენსტრუალური დარღვევებისა და ფერტილობის პრობლემების შეფასება. მენარხეს ასაკისა და მენსტრუალური დარღვევების ტიპების მიხედვით, დაბალი სმი-ს და მაღალი სმი-ს ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო სხვაობა არ დადგინდა (p>0.05). გამოვლინდა დადებითი კორელაცია მენსტრუალური ციკლის დარღვევას და სმი-ს ცვლილებების პროგრესირებას შორის (R=.448, p=.005). ჰირსუტიზმის, სტრიებისა და შავი აკანტოზის სიხშირე (ჰიპერპიგმენტაცია) მნიშვნელოვნად სჭარბობდა მაღალი სმი-ის მქონე პაციენტებში (p<.05), ხოლო აკნეს სიხშირე თითქმის თანაბრად განაწილდა საკვლევ ჯგუფებში (p>.05). პაციენტთა 74.5%-ს აღენიშნებოდა სხეულის ცხიმოვანი საფარველის აბდომინური ხასიათის გადანაწილება (თეძო-წელის გარშემოწერილობის ფარდობა >0.8), ხოლო სხეულის მასის დეფიციტის მქონე პაციენტებში აღინიშნებოდა თანაბარი (66.7%) ან გინოიდური (31.3%) ტიპის გადანაწილება (p=.000). საკვერცხეების პოლიკისტოზის სინდრომი და მეტაბოლური სინდრომი ყველაზე ხშირი დიაგნოზები იყო სხეულის მასის სიჭარბის ან სიმსუქნის მქონე პაციენტებში, ხოლო ადრენო-გენიტალური სინდრომის არაკლასიკური ფორმა და ოვარიული დისფუნქცია პრევალირებდა მასის დეფიციტის მქონე პაციენტებში (p<.05). ინფერტილობა ძირითადად გამოვლინდა მასის სიჭარბის მქონე პაციენტებში (p<.05). ამრიგად, სქესობრივი განვითარებისა და მენსტრუალური ფუნქციის თავისებურებები ავშვობიდან სიგამხდრის ან სიმსუქნის მქონე ახალგაზრდა ქალებში უკავშირდება მათი რეპროდუქციული დარღვევების სახეობას და ავშვობის სმი-ის ცვლილების პროგრესირებას. ცხრ. 4, სურ. 1, ლიტ. 25.

ავტ.

14.3.3.26. საექსპერტო შეფასების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება ცხოვრების ხარისხის გამოკვლევაში. /ჟ. კალმატაევა, ე. ეკბოტაევი, ა. სკაკოვი, მ. რიმჟანოვა, ა. ომაროვა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 58-62. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია საექსპერტო შეფასების მეთოდის პრაქტიკული გამოყენების გამოცდილება ქრონიკული მაინვალიდიზირებელი დაავადებების მქონე სკოლამდელი ასაკის ავშვთა ცხოვრების ხარისხის გამოკვლევაში. გამოკვლევა ჩატარდა ოთხ ეტაპად ორი ანონიმური გამოკითხვის ჩათვლით. საექსპერტო შეფასების შედეგების საფუძველზე, საწყის ეტაპზე წარმოდგენილი ოცდახუთი პრობლემიდან შერჩეულ იქნა ექსპერტების აზრით რვა მეტად მნიშვნელოვანი, რომლებიც საჭიროებს პრიორიტეტულ გადაწყვეტას. აქედან შვიდი მათგანი მიეკუთვნება ქრონიკული მაინვალიდიზებელი დაავადებების მქონე ავშვთა სოციალური დახმარების საკითხებს, ხოლო ერთი – ხელმისაწვდომ ხარისხიან სარეაბილიტაციო დახმარებას. საექსპერტო შეფასების შედეგების მოხმარება რეკომენდებულია პაციენტების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის სტანდარტების კომპლექსურ დამუშავებისა და დამტკიცებისას. ცხრ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.3.27. სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად სომხეთის სამხედრო-სამედიცინო სისტემაში მაღალი ხარისხის სტანდარტების შერჩევა და დანერგვა. /რ. ხაჩატრიანი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 82-87. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მიმოხილვის მიზანია დაადგინოს რამდენად შეესაბამება სომხეთის სამხედრო-სამედიცინო მომსამსახურება აღიარებულ თანამედროვე სტანდარტებს; ინფორმაცია მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ამ სფეროში არსებული მდგომარეობისა და ყველა იმ ახალი წამოწყებების შესახებ, რომელიც მიმართულია მომქმედ სამხედრო პირთა, გადამდგარ სამხედრო პირთა და მათი ოჯახის წევრთათვის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისაკენ; სომხეთის სამხედრო-სამედიცინო მომსახურების მართვის სისტემაში უსაფრთხოების კულტურისა და ეფექტური ინტერვენციის საფუძველზე ინფორმირებული სტრატეგიული გადაწყვეტილების მისაღებად პირობების შექმნა და დანერგვა. განხილულია დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სომხეთში სამედიცინო მომსახურების დონეს და ხარისხს. ლიტ. 20.

ავტ.

14.3.3.28. კალათბურთელთა მდგომარეობა „აპიპურის“ კვების რაციონში ჩართვის შემდეგ. /გ. ჩახუნაშვილი, ნ. ადრიაშვილი, მ. თოფურიძე, ნ. ჯობავა, კ. ჩახუნაშვილი, ი. კალანდია, ზ. ფხალაძე, დ. ჩახუნაშვილი/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 11-17. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე ეტაპზე უმნიშვნელოვანესია სპორტსმენთა კვების საკითხი. ორგანიზმის ფიზიკური განვითარება განისაზღვრება როგორც ადამიანის ორგანიზმის მორფოფუნქციური თავისებურებების ცვლილებათა რთული პროცესი. ის ემორჩილება იოლოგიურ კანონებს და ასახავს ზრდისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებებს. მიზანი: კალათბურთელთა ფუნქციური მდგომარეობის შეფასება მაღალი ფიზიკური დატვირთვის პირობებში და მოზარდ სპორტსმენთა რეაბილიტაციაში ამინომჟავებით გამდიდრებული „აპიპურის“ კვების რაციონში ჩართვის I-II ეტაპების ანალიზი. მასალა და მეთოდები: სამუშაოს საფუძვლად დაედო 12-დან 18 წლამდე ასაკის 100 კალათბურთელის ფიზიკური განვითარების მაჩვენებლების გამოკვლევის შედეგები „აპიპურის“ მოქმედებამდე და მისი რაციონში ჩართვის შემდეგ. მიღებული შედეგების ანალიზით დადგინდა სასმელი „ივერიული ფიტო”-ს იდენტური დადებითი მაჩვენებლები სპორტსმენ კალათბურთელებში კვების რაციონში „აპიპურის“ ჩართვის შემდეგ, რაც იძლევა საფუძველს რეკომენდებული იქნეს თანამედროვე ეტაპზე სპორტსმენთა კვებაში მისი აქტიური ჩართვა. შედეგები: საბოლოო შედეგები ჯერ არ არსებობს. კვლევა ჯერ არ დასრულებულა. კალათბურთელები სუბიექტურად აღნიშნავენ გამძლეობის და ენერგიის მატებას. თუმცა, ობიექტური მასალა, რომლითაც ეს მტკიცდებოდეს არ არსებობს. სპორტსმენების ნაწილში აღმოჩენილი ჰისის კონის ლოკები და პარკუჭოვანი ჰიპერტროფიები ჯერ არ გამოსწორებულა. ცხრ. 1, ლიტ. 21.

ავტ.

14.3.3.29. ძაღლის (კიტრის) სოლიტერის ზოგიერთი თავისებურების შესახებ. /დ. ცხომელიძე, ნ. ონაშვილი, ა. აბაშიძე/. ავშვთა კარდიოლოგია. – 2014. – #8. – გვ. 74. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

აღწერილია კიტრის სოლიტერის სასიცოცხლო ციკლი და თავისებურებები. იგი აზიანებს გადამტან მწერებს ჯერ კიდევ ლარვის სტადიაში - ამ მწერების მეტამორფოზის დროს ევრი ლარვოცისტა იხოცება. პარაზიტები ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას გადარჩენილ მწერებში და ძაღლებისა და კატებს მიერ ამ რწყილების გადაყლაპვას უფრო ხელმისაწვდომს ხდიან. ცხოველების კუჭში საბოლოოდ ხდება დაინფიცირებული რწყილების მონელება. ცანინუმ-ის ადაპტაცია გარემოს მიმართ საკმაოდ მაღალია. მისი მოკლე საშვილოსნო ადრე ატროფირდება, კვერცხები კი იფარება სპეციალური კაფსულით. ამავე დროს, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ამ პარაზიტებს შეუძლიათ ანუსიდან ცალკე გამოსვლა მცირე შეჯგუფებების სახით, ან ფეკალიებთან ერთად. უფრო მეტიც, კიტრის სოლიტერის მომწიფებულ პროგლოდიტებს შეუძლიათ სუბსტრატზე დამოუკიდებლად გადაადგილება და ფართოდ გავრცელება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ პარაზიტის განსაკუთრებულ ევლუციურ მნიშვნელობაზე. ეს თასმა ჭია ადვილად შეიცნობა, რადგან თითოეულ პროგლოდიტს გააჩნია ორი ნაკრები და სასქესო ხვრელი თითოეულ გვერდით კიდეზე. ადამიანში იშვიათია ერთზე მეტი პარაზიტის არსებობა, ამასთან, სიმპტომები იშვიათადაა თვალსაჩინო. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.3.30. კლოვეიტის მალამოს გამოყენება კონტაქტური ალერგიული ჰეილიტის მკურნალობის კომპლექსში. /ნ. აბაშიძე, მ. ივერიელი, მ. ორჯაძე, ხ. გოგიშვილი, ლ. ჯაში/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 3-4. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სამკურნალო მალამო „კლოვეიტის“ გამოყენების ეფექტურობის შეფასება კონტაქტური ალერგიული ჰეილიტის მკურნალობის კომპლექსში. კლინიკური გამოკვლევა და მკურნალობა ჩაუტარდა 18-დან 50 წლის ასაკის 24 პაციენტს, რომელთაგან 19 (79,2±1,1%) იყო ქალი და 6 (20,8±1,1%) მამაკაცი. პაციენტები დაიყო ორ ჯგუფად. I ჯგუფში დამატებით აპლიკაციის სახით ვიყენებდით „კლოვეიტის” მალამოს. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ I ჯგუფის პაციენტების მდგომარეობა გაუმჯობესდა უკვე მეორე-მესამე დღეს: პაციენტები აღარ უჩიოდნენ ქავილს, დაჭიმულობის შეგრძნებას, ტკივილს პირის ფართედ გაღების დროს, ტუჩების ზომა უახლოვდებოდა ნორმას. ამრიგად, კონტაქტური ალერგიული ჰეილიტის მკურნალობის სქემაში მიზანშეწონილია სამკურნალო მალამო „კლოვეიტის“ ჩართვა. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.31. კვებითი ალერგიის ეპიდემიოლოგია ავშვთა პოპულაციაში. /ნ. ადამია, ი. ჩხაიძე, ი. უბირია, ქ. არაბაძე, დ. ხაჭაპურიძე, ნ. ქათამაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 4-7. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვებისმიერი ალერგიის გავრცელების შესწავლა და რისკის ფაქტორების გავლენის ხარისხის შეფასება თბილისის, ათუმის, ქუთაისისა და წყალტუბოს ავშვთა პოპულაციაში. გამოსაკვლევმა კონტინგენტმა შეადგინა 1 თვიდან 14 წლამდე ასაკის 2655 ავშვი (2010-2013 წ.). აქედან გოგონა იყო 1359 და ვაჟი 1296 - (I-ჯგუფს შეადგენდა 1-თვიდან 6-წლამდე და II-ჯგუფს - 6-წლიდან 14 წლამდე ასაკის ავშვები). ეპიდემიოლოგიური კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარებულ იქნა 2665 ავშვის სკრინინგი, პირველადი ანკეტა-კითხვარის საშუალებით, რომელიც ივსებოდა უშუალოდ მშობლებთან საუბრის დროს. მიზეზობრივი მნიშვნელობის ფაქტორთა გამოვლენა წარმოებდა ანამნეზური მონაცემების, საერთო შრატისმიერი და სპეციფიკური IgE-ს და ინ ვივო ალერგოლოგიური დიაგნოსტიკის (პრიკ-ტესტები) შედეგების შეჯერების საფუძველზე. მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება წარმოებდა პროგრამული პაკეტის SPSS/V 12.5 (Statistical Paskage for Social Sciencie-ს) გამოყენებით. ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა კვებითი ალერგიის გავრცელება ავშვთა პოპულაციაში - 18,04% (თბილისში - 7,5%, ქუთაისსა და წყალტუბოში - 6,2%, აჭარაში - 4,3). საერთო IgE-ს საშუალო მაჩვენებლები, ორივე შემთხვევაში, 3-5-ჯერ აღემატება ნორმალურ მაჩვენებლებს. ამასთან, ჯგუფებს შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება (P>0,05). კვებითი ალერგიით დაავადებული ავშვების მხოლოდ 3,9%-ს ჰქონდა IgE-ის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში. გამოვლინდა დაგვიანებული დიაგნოსტიკის მაღალი სიხშირე (P<0,001). ამრიგად, მიღებული მონაცემების მიხედვით, მაღალია მართვადი რისკის ფაქტორების ხვედრითი წილი, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ავშვთა პოპულაციაში კვებითი ალერგიის განვითარების თავიდან აცილების მიზანმიმართულ და ეფექტურ პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას. ცხრ. 1, ლიტ. 22.

ავტ.

14.3.3.32. საქართველოს ქიმიური მრეწველობის მუშაკთა ჯანმრთელობის ძირითადი რისკ-ფაქტორების ჰიგიენური დახასიათება. /ლ. აქრაძე, რ. კვერენჩხილაძე, მ. ციმაკურიძე, გ. კვერენჩხილაძე, ს. ნოზაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 24-27. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია საქართველოს ქიმიური მრეწველობის წამყვანი მიმართულებების - დარიშხანისა და მისი პრეპარატების, ნატრიუმის ციანიდის და ამონიუმის გვარჯილის წარმოებების მუშაკთა შრომის პირობები ამ საწარმოებში მომუშავეთა ჯანმრთელობის ძირითადი რისკის ფაქტორების გამოვლენის, მათი ფორმირების განმაპირობებელი გარემოებების დადგენისა და საწარმოო გარემოს გაჯანსაღების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. გამოვლენილია გამოკვლეულ წარმოებათა სამუშაო ზონების ჰაერის მავნე ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურების მნიშვნელოვანი მაჩვენებლები. ზოგიერთ მათგანში, მაგ., დარიშხანისა და მისი პრეპარატების წარმოებაში, აღნიშნული გარემოება ძირითადად განპირობებულია ტექნოლოგიური ციკლის წყვეტილობით, ხოლო ამონიუმის გვარჯილისა და ნატრიუმის ციანიდის წარმოებებში, ტექნოლოგიური პროცესის დახურული სქემით მიმდინარეობის მიუხედავად, საწარმოო გარემოს ჰაერში ტოქსიკური ნაერთების გამოყოფა, გარკვეულწილად, განპირობებულია საწარმოო აგრეგატების არასრულყოფილი ჰერმეტულობით, გამწოვი ვენტილაციის არასაკმარისი ეფექტურობითა და სხვა საწარმოო და არასაწარმოო ფაქტორებით. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.33. წითელას დროს განვითარებული მწვავე ჰეპატიტის სინდრომი. /თ. გეგეშიძე, ე. ვაშაკიძე, მ. კვიტაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 31-32. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია 2013 წლის წითელას ეპიდემიის დროს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრში ჰეპატო-ბილიარული სისტემის დარღვევებით მოთავსებული პაციენტების ავადმყოფობის ისტორიები. დიაგნოზი დასტურდებოდა სეროლოგიურად, იმუნოფერმენტულ კვლევაში წითელას საწინააღმდეგო IgM კლასის ანტისხეულების აღმოჩენით. ღვიძლის დაზიანების სინდრომი ვლინდებოდა სრული იოქიმიური და სეროლოგიური (A, B, C ჰეპატიტის და EBV მარკერები) კვლევით. პაციენტთა 60%-ში გამოვლინდა ჰეპატიტის სინდრომი – მიმდინარე სიყვითლით (23%) და ტრანსამინაზების აქტივობის მატებით (37%). ღვიძლის დაზიანება შეგვხვდა მოზრდილებში და, ძირითადად, საშუალო და მძიმე მიმდინარეობის დროს. თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა გართულება ღვიძლის უკმარისობით. ტრანსამინაზების და ილირუბინის დონე 3-4 კვირაში ნორმალიზდებოდა. წითელას დროს ჰეპატიტის სინდრომის განვითარება შეიძლება ჩაითვალოს არა დაავადების გართულებად, არამედ წითელას შემადგენელ პათოგენეზურ რგოლად. განსაკუთრებით საინტერესოა წითელას მძიმე შემთხვევების ანალიზი იმ ავშვებში, რომელთაც ჩატარებული ჰქონდათ გეგმიური აცრები. ყველა ამ შემთხვევაში სისხლში აღმოჩენილი იყო წითელას საწინააღმდეგო IgM კლასის ანტისხეულები. საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისთვის, ვფიქრობთ, აუცილებელია კვლევების შემდგომი გაგრძელება. ლიტ. 8.

ავტ.

14.3.3.34. თავისა და კისრის მიდამოს ღია ჭრილობების ქირურგიული ინფექციის მკურნალობის ოპტიმიზირება აქტერიოფაგების გამოყენებით. /გ. გვასალია, ნ. ხოტენაშვილი, თ. დანელია, გ. მერაბიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 38-41. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ყბა-სახის მიდამოს ღია ჭრილობების ქირურგიული ინფექციის მკურნალობის და მისი თავიდან აცილების ეფექტურობის შეფასების მიზნით ოთხი წლის განმავლობაში შესწავლილ იქნა 235 დაზარალებული, რომელთა შორის „ახალი", არადაჩირქებული ჭრილობები ჰქონდა 185 პაციენტს, დაჩირქებული – 50-ს. აქტერიოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აქტერიების რიცხვის უმეტესი ნაწილი, რომელიც „ახალი" ჭრილობებიდან გამოიყოფა პირველი 6 საათის განმავლობაში, შემდგომში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭრილობის ინფექციის განვითარებაში. ყბა-სახის მიდამოს ღია ჭრილობების დაჩირქება უვითარდებათ დაზარალებულების 12,4%-ს. მათში ჭრილობის ინფექციის გამომწვევები არიან S. aureus, Streptococcus spp, E coli, proteus spp და Klebsiella ჭრილობის ინფექციის ფაგოპროფილაქტიკა ამცირებს დაჩირქების სიხშირეს 3,4%-მდე. დაჩირქებული ჭრილობების ფაგოთერაპია დანამდვილებით აუმჯობესებს ჭრილობის შეხორცების მიკრობილოგიურ და კლინიკურ პარამეტრებს, საშუალოდ 5.2±0.3 დღემდე ამცირებს შეხორცების ვადებს ან ჭრილობებზე მეორადი ნაკერების დადების პერიოდს. ლიტ. 4.

ავტ.

14.3.3.35. ჯანდაცვის რეფორმა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა საქართველოში. /ნ. გოკიელი, შ. ზარნაძე, ი. ზარნაძე, დ. კიტოვანი, ლ. ლომთაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 41-43. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზანია ჯანმრთელობის შენარჩუნების ხელშეწყობა. რესურსების ეფექტური გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ადგილობრივ და ეროვნულ პრიორიტეტებს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისებს მიეკუთვნება: მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის ეპიდემიოლოგიური შეფასება და კონტროლი, გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენცია, გარემოს მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის სხვა პრობლემების ამოცნობა და პრევენცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. მიმოხილვითი კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ჯანმრთელობის ხელშეწყობაში მონაწილეობას იღებენ კერძო კომპანიები. მტკიცებით მედიცინაზე დაყრდნობით, სკრინინგის განვითარება და ჯანმრთელობის პრევენციის კალენდრის შეფასება იძლევა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალ მოდელს ჯანმრთელობის ხელშეწყობაში, სკრინინგსა და დაავადებათა პრევენციის სერვისებში. ლიტ. 8.

ავტ.

14.3.3.36. ფაქტობრივი კვების ჰიგიენური შეფასება კვებითი ქცევის დარღვევის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპის დროს. /თ. დარსანია, . ყურაშვილი, შ. ზარნაძე, ი. ზარნაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 49-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით. კვებითი ქცევის ფსიქოლოგიური ტიპების განსაზღვრა ხდებოდა მოდიფიცირებული კითხვარის საფუძველზე (Academic Department of Psychiastry, St-Georges Hospital Medical School), ანკეტების გამოყენებით. შესწავლილ იქნა სხვადასხვა კვებითი ქცევის ფსიქოტიპების (რაციონალური, ემოციონალური, ექსტერნალური, შეზღუდული) მქონე ადამიანების რაციონის ენერგეტიკული ღირებულება და ქიმიური შედგენილობა. კვებითი ქცევის დარღვევების ყველა ვარიანტისას აღინიშნა ნორმასთან შედარებით ენერგიის ჭარბი მიწოდება. ექსტერნული ტიპის მქონე პირების კვებითი ენერგეტიკული ღირებულება იყო ყველაზე მაღალი. ემოციოგენური ტიპის დროს გადაჭარბებამ შეადგინა 14,7%. ჭარბი ენერგიის მიღება უფრო ხშირად ემოციოგენური ტიპის ქალებში აღინიშნა. სურ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.3.37. საქართველოს მოსახლეობის მიერ საკვები პროდუქტების მოხმარების სიხშირის შეფასება. /თ. დარსანია, . ყურაშვილი, შ. ზარნაძე, ი. ზარნაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 51-53. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანი იყო საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქტების სიხშირის შეფასება. კვლევა ჩატარდა საქართველოს მასშტაბით. განხილულ იქნა მიღებული პროდუქტების რაოდენობის შესაბამისობა რეკომენდებულ სიდიდეებთან. შესწავლილ იქნა რესპონდენტთა აზრი მიღებული

პროდუქტების რაოდენობაზე და შეთავაზებულ იქნა მათთვის, გამოეთქვათ მოსაზრება იმის თაობაზე, განზრახული ჰქონდათ თუ არა შეემცირებინათ ან გაეზარდათ მოცემული ჯგუფის პროდუქტთა მიღება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში. კვლევის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ: მოსახლეობის მიერ კვების პროდუქტების მიღების მაკროსტრუქტურაზე გარდა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, გავლენას ახდენს კვებითი უპირატესობები, რომლებიც განაპირობებენ ენერგიის ჭარბ მიღებას, საკვები ნივთიერებების არაბალანსირებულობას, ცხოველური ცილების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების არასაკმარის, ხოლო ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების, ქოლესტერინის ჭარბ მიღებას. ცხრ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.3.38. მძიმე ლეპტოსპიროზის მიმდინარეობის თავისებურებები საქართველოში. /ე. ვაშაკიძე ე. მეგრელიშვილი, თ. გეგეშიძე, მ. კვიტაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 58-59. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ლეპტოსპიროზი მთელ მსოფლიოში გავრცელებული ზოონოზური დაავადებაა, რომლის გამომწვევია სპიროქეტა – Leptospira interrogans. დაავადების პათოგენეზში წამყვანია საწყის ეტაპზე გენერალიზებული ინფექცია – სეპტიცემია, რასაც მეორე ფაზაში ვასკულიტი მოჰყვება, ორგანოთა იმუნური მექანიზმის დაზიანებით და პოლიორგანული უკმარისობის განვითარებით. საქართველოში Leptospira interrogans-ის ყველაზე ხშირად ცირკულირებადი სეროტიპებია: L.icterohaemorragiae, L. canicola, L. grippotyphosa, L. ballum. უკანასკნელ 5 წელიწადში დაავადების ინციდენტობამ 0,63-დან 1,32-მდე მოიმატა და საერთო ლეტალობამ შეადგინა 7-14%. საქართველოში მძიმე ლეპტოსპიროზი ხასიათდება მაღალი ლეტალობით, რომელიც უკავშირდება დაავადების პირველ დღეებში პოლიორგანული უკმარისობის განვითარებას. ლეტალობის უშუალო მიზეზებია: თირკმლების მწვავე უკმარისობა, თრომბო-ჰემორაგიული სინდრომი, ინფექციურ-ტოქსიკური შოკი. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.3.39. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის მოსახლეობის ფაქტობრივი კვების მდგომარეობის შეფასება. /ნ. ვეფხვაძე, ნ. ცხოვრებაძე, მ. ხორბალაძე, ი. კუგოტი, ი. ცხოვრებაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 63-65. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის მოსახლეობის ფაქტობრივი კვების მდგომარეობის შესწავლა და ძირითადი საკვები ნივთიერებების მოხმარების ადეკვატურობის შეფასება; დეფიციტის ან ჭარბი კვების განვითარების სიხშირისა და მიზეზების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობის კვების ოპტიმიზაციისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. დადგინდა, რომ საკმარისი ენერგეტიკული ღირებულების საკვების მიღების პირობებში ადგილი აქვს ალანსირების მოშლას, მაღალი კალორიულობის საკვების მიღებას, ვიტამინებისა და მაკროელემენტების დეფიციტს. აღნიშნული ხარვეზების კორექციისათვის საჭიროა მოსახლეობის განათლება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება ცხოვრების ჯანსაღი წესის და კონკრეტულად ჯანსაღი კვების პრინციპების შესახებ. ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.40. შპს „ჯორჯიან მანგანეზი“-ს ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სამუშაო ზონის ჰაერის დაბინძურების მდგომარეობის ჰიგიენური დახასიათება. /რ. კვერენჩხილაძე, ა. ჩიქოვანი, მ. ქვათაძე, მ. არაბიძე, ქ. ხვადაგიანი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 88-90. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მაღაროებსა და მათ გამამდიდრებელ ფაბრიკებში, მუშათა შრომის პირობების შესწავლის კომპლექსური კვლევების ფარგლებში, ჩატარდა საწარმოო ზონის ჰაერში საწარმოო მტვრისა და მავნე ქიმიური ნივთიერებების შემცველობის შესწავლა. კვლევები ჩატარდა „პროფესიულ დაავადებათა პრევენციისა და მონიტორინგის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. დადგინდა სამუშაო ზონის ჰაერში მტვრისა და ტოქსიკური აირების შემცველობის მომატებული კონცენტრაციები. მტვრის კონცენტრაციები ზდკ-ს აღემატება გაზომვათა 68,3-100% შემთხვევაში, ხოლო ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა - 76% შემთხვევაში. ამ მაჩვენებლების მიხედვით შრომის პირობები ფასდება, როგორც მავნე, ძირითადად, 3.2. და 3.3. კლასები. სამუშაო ზონის ჰაერის მტვრითა და მავნე ნივთიერებებით დაბინძურება (უმეტესწილად მანგანუმის ნაერთების აეროზოლით), ამ სამუშაო ადგილებზე, განპირობებულია ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებით. ამასთან, მათი მაღალი კონცენტრაციის მიზეზი უნდა იყოს მოძველებული დანადგარები და სისტემები, მათი არაჰერმეტულობა, სავენტილაციო სისტემების არარსებობა ან

მწყობრიდან გამოსვლა; ხოლო ზოგადად, სამუშაო ადგილების არასწორი ორგანიზაცია. ჩატარებული კომპლექსური კვლევების საფუძველზე შემუშავდა პროფილატიკურ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსი. იგი მოიცავს სხვადასხვა მიმართულების რეკომენდაციებს. ლიტ. 9.

ავტ.

14.3.3.41. სამედიცინო დაზღვევა და მისი თავისებურებანი საქართველოში. /ნ. კვიჟინაძე, ს. ყორღანაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 92-94. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების მოდელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის განვითარების დონესთან, ჯანდაცვის პოლიტიკასთან, კულტურასა და ისტორიულ გამოცდილებასთან. ჯანდაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე, მისთვის გამოყოფილი სახსრები უნდა ემსახურებოდეს სხვადასხვა პრინციპების დამყარებას, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მთავარი გამოწვევა სამედიცინო ხარჯების და შემთხვევების ეფექტური მართვა და სამედიცინო მომსახურებებზე ფასის კონტროლია. არსებული სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები: ა) ზოგიერთ ქვეყანაში დაზღვევის ორგანოები იუროკრატიულ მონოპოლიებად იქცნენ, რის გამოც გაუგებარი ხდება, თუ ვის ინტერესებს იცავენ კომპანიები პაციენტების, სამედიცინო პერსონალის თუ საკუთარი თანამშრომლების;) დაზღვევის საშუალო შესატანი თანხა იმ მინიმალური მოთხოვნილებებზე მეტი ან ნაკლებია, რომელიც აუცილებელია ხარისხიანი სამედიცინო დახმარების გასაწევად; გ) სამედიცინო დაწესებულებები კარგად არიან აღჭურვილი რთული თანამედროვე ტექნიკით, მაგრამ მაღალი ღირებულების გამო მათი გამოყენება გამიზნულია მხოლოდ განსაზღვრული სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.42.ასაკის, სქესის და ანთროპომეტრული პარამეტრების გავლენა ლიმფოციტების სუბპოპულაციებზე საქართველოს პოპულაციაში. /ზ. ლასარეიშვილი, ნ. ფანცულაია, მ. იობაძე, ნ. ქიქოძე, ი. ფანცულაია, თ. ჩიქოვანი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 103-107. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ორგანიზმის დაბერების პროცესში იმუნურ სისტემაში განვითარებულ ცვლილებებს გადამწყვეტი როლი ეკუთვნის. ასაკთან ასოცირებული დაავადებების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული იმუნურ დაბერებასთან. ამიტომ, იმუნური სისტემის დაბერებაზე მომქმედი ფაქტორების გამოვლენას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იმუნოლოგიური დაბერება სხვადასხვა საარსებო გარემოში განსხვავებულად მიმდინარეობს, რის გამოც აქტუალურია მისი შესწავლა განსხვავებულ გეო-კლიმატურ პირობებში მაცხოვრებელ და სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პოპულაციებში. გამოკვლეულ იქნა 250 პრაქტიკულად ჯანმრთელი მოხალისე საქართველოს პოპულაციიდან. შესწავლილია პერიფერიულ სისხლში ლიმფოციტების სუბპოპულაციების პროცენტული შემცველობა და შეფასებულია მათზე ასაკის, სქესის და ანთროპომეტრული პარამეტრების გავლენა. T- ლიმფოციტების რაოდენობრივი მონაცემები სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში ფლუქტუაციას განიცდის. კვლევაში არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ლიმფოციტების მაჩვენებლებსა და ანთროპომეტრულ პარამეტრებს შორის. ცხრ. 2, სურ. 1, ლიტ. 29.

ავტ.

14.3.3.43. როტავირუსული ინფექცია საქართველოში. /თ. მეგრელიშვილი, მ. ლაშქარაშვილი, ხ. ზახაშვილი, ნ. ერიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 117-118. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილ იქნა 0-5 წლამდე ასაკის ავშვთა კონტინგენტში ინფექციური დიარეების ეტიოლოგიური სტრუქტურა. 5 წლამდე ასაკის ავშვთა კონტინგენტში, შემთხვევათა 29%-ში, მწვავე გასტროენტერიტების ეტიოლოგიურ ფაქტორს როტავირუსები წარმოადგენდნენ. დაავადების მიმდინარეობას ახასიათებდა საშუალო და მძიმე ექსიკოზით გართულებული ფორმები, რომლებიც ჰოსპიტალურ მკურნალობას საჭიროებენ. შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა როტავირუსული ინფექციის პროფილაქტიკა, აცრების ეროვნულ კალენდარში „როტარიქს“ - ვაქცინის შეტანით. ცხრ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.3.3.44. ვაგინალური ინფექციების ეტიოლოგური სტრუქტურა და ეპიდემიოლოგიური თავისებურებები. /ე. მირველაშვილი, მ. ძაგნიძე, ე. კიკაჩეიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 118-119. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

2010-2013 წლებში ჩატარებულ იქნა 250 პაციენტის ვაგინალური ფლორის აქტერიოლოგიური გამოკვლევა. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ვაგინალური სეკრეტიდან გამოყოფის სიხშირის მიხედვით პირველ ადგილზე იყო S. epidermidis – 52,3%. მეორე ადგილი ეკავა T. vaginalis – 24,3%, ხოლო მესამე ადგილი - საფუარისებურ სოკოს C.albicans - 15,7%. შემთხვევათა 1/3-ში გამოვლინდა მონო-ინფექცია, ხოლო 2/3-ში – შერეული ინფექცია, მათ შორის, ხშირი კომბინაცია იყო S.epidermidis + T.vaginalis, T.vaginalis + C.albicans, T.vaginalis + E.coli. შერეულ ინფექციებს შორის გამოვლინდა მიქსტინფექციური ეტიოლოგიის ვაგინიტი, გამოყოფილი სამი ან მეტი სიმბიოტით. ცხრ. 2, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.3.45. ჰემოლიზურ-ურემიული სინდრომი (HUS) და ამებური დიზენტერია საქართველოში. /ე. პაჭკორია, ე. ვაშაკიძე, თ. მეგრელიშვილი, ლ. თევზაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 124-125. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

2009-11 წწ. აღინიშნა HUS სინდრომით დაავადებულ პაციენტთა მნიშვნელოვანი ზრდა. 2012 წლის ზაფხულის თვეებში, HUS-ით გართულებული ჰემორაგიული კოლიტის შემთხვევების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლისას გამოვლინდა ამებური დიზენტერიის 25 შემთხვევა (კვლევა ტარდებოდა ინფექციური პათოლოგიის და დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრებში). მათგან ორ შემთხვევაში დაავადების მიმდინარეობა გართულდა HUS-ით. ორივე პაციენტი იყო მდედრობითი სქესის, 65 და 36 წლის. ახალგაზრდა პაციენტი იყო 14 კვირის ორსული. დაავადების დინამიკაში ორსულ პაციენტს დასჭირდა დიალიზი, ხოლო მეორე 65 წლის პაციენტი იმყოფებოდა ნეფროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ. ლეტალურ გამოსავალს ადგილი არ ჰქონია. შრომა ყურადსაღებია იმ თვალსაზრისით, რომ HUS-ით დაავადებულ პაციენტებს უტარდებოდათ მიზანმიმართული კვლევები ენტეროჰემორაგიული ეშერიქიოზის გამოსავლენად. აღნიშნულ შემთხვევებში ამებური დიზენტერიის დადასტურება მოხდა განავალში E histolytica ანტიგენის აღმოჩენით (იფა) (მგრძნობელობა - 100%, სპეციფიკურობა - 94,7%). განავლის აქტერიოლოგიური კვლევით არც ერთი ენტეროპათოგენური აქტერია არ იქნა გამოყოფილი, არც შიგატოქსინის არსებობა stx1, stx2) PCR კვლევით არ დადასტურდა. თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურაში მონაცემები ამებიაზის HUS სინდრომით გართულებული შემთხვევების შესახებ მწირია. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.46. ექსტრაინტესტინალური E.Coli პოსტქოლეცისტექტომიურ მასალაში და ანტიბიოტიკების მიმართ მისი რეზისტენტობის შესწავლა საქართველოში. /ე. პაჭკორია, ე. ვაშაკიძე, თ. მეგრელიშვილი, ლ. თევზაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 125-127. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია პათოგენური E.Coli-ის და ESBL შტამების როლი ექსტრაინტესტინური აბდომინური პათოლოგიის - ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტის განვითარებაში. მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მაღალრეზისტენტული, ფართო სპექტრის ეტალაქტამაზას მაპროდუცირებელი E.Coli - (ESBL) შტამების სიხშირე. E.Coli-ის ხვედრითი წილის დასადგენად ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტის განვითარებაში, ჩატარდა 130 პოსტოპერაციული ნაღვლის უშტის ქსოვილის აქტერიოლოგიური ანალიზი და გამოყოფილი კულტურების ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობის შესწავლა. ამჟამად მიმდინარეობს ESBL-შტამების გენომის ანალიზი (MISEQ – Illumina Platform) (NCDS). გამოკვლეული იყო 130 პაციენტის ნაღვლის უშტის ქსოვილი. გამოიყო 28 კულტურა (22%), მათ შორის E.Coli - 9 შემთხვევაში (32%); მათგან 6 - ESBL შტამი იყო. გამოვლინდა E.Coli-ის შტამების დომინირება სხვა პათოგენებთან შედარებით. შევისწავლეთ გამოყოფილი E. Coli შტამების ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობელობა. ESBL-მაპროდუცირებელი E.Coli შტამები რეზისტენტული იყო პენიცილინის და ცეფალოსპორინების ჯგუფის ანტიბიოტიკების მიმართ და, აგრეთვე, დადგინდა რეზისტენტობა ციროფლოქსაცინის და იმიპენემის მიმართაც. ამგვარად, პოსტქოლეცისტექტომიური მასალის აქტერიოლოგიური კვლევისას, ნაღვლის უშტის სხვადასხვა პათოლოგიების დროს, ESBL-მაპროდუცირებელი E.Coli შტამების არსებობა მიუთითებს საქართველოში E. Coli -ის მაღალი რეზისტენტული შტამების ცირკულირებაზე. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.47. ფიზიკური ვარჯიშის როლი დაავადებათა პრევენციაში: ახალი პერსპექტივები. /თ. სვანიშვილი, ე. თათარაძე, ნ. ჭაბაშვილი, ზ. სოფრომაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 127-128. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი დაბალხარჯიანი პრევენციული მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა ფიზიკური ვარჯიშის პროგრამები.

ყოველდღიური ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს ფარმაცევტული და ზოგადად – ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას საზოგადოებისთვის. ოლო წლების გამოკვლევების თანახმად, გულსისლხძარღვთა სისტემის დაავადებებთან და მეტაბოლურ დარღვევებთან ერთად (რომლებიც ტრადიციულად ფიზიკური ვარჯიშის პროგრამების შემუშავების ძირითად სამიზნედ განიხილებოდა), ფიზიკური აქტივობის პრევენციული ეფექტი შეეხება ონკოლოგიურ და აუტოიმუნურ დაავადებებსაც, როგორიცაა მაგალითად ძუძუს, საშვილოსნოს და მსხვილი ნაწლავის კიბო, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს ფიზიკური ვარჯიშის, როგორც დაავადებათა მკურნალობის და პრევენციის ერთ-ერთი მეთოდის განვითარებას. ლიტ. 11.

ავტ.

14.3.3.48. საქართველოს ზოგიერთ წარმოებაში დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე ქიმიური ზემოქმედების რისკის შეფასება. /ი. ღვინერია, ვ. სააკაძე, მ. ჟურული, ო. ღვაბერიძე, ლ. აქრაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 138-140. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შეფასებულ იქნა საქართველოს საწარმოებში (სს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და სს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა) დასაქმებულების ჯანმრთელობაზე ქიმიურ ნივთიერებების ზემოქმედების რისკი. გამოვლინდა, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულებზე მოქმედი 17 ქიმიური ნივთიერებიდან 5.8% მიეკუთვნება I კლასის განსაკუთრებით საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, 11.7% - II კლასის მაღალი საშიშროების ქიმიურ ნივთიერებებს, 41,1% - III კლასის საშუალოდ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს და 41,1% - IV კლასის ნაკლებად საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს. სს თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში დასაქმებულებზე მოქმედი 32 ქიმიური ნივთიერებიდან 6,2% მიეკუთვნება I კლასის განსაკუთრებით საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, 31,2% - II კლასის მაღალი საშიშროების ქიმიურ ნივთიერებებს, 24,5% - III კლასის საშუალოდ საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს და 40.6% - IV კლასის ნაკლებად საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს. მაღალი ტოქსიკურობის ნივთიერებათა კომბინირებული მოქმედება ქმნის დასაქმებულთა ჯანმრთელობის მაღალ პროფესიულ რისკს, რაც საჭიროებს შესაბამისი პრევენციული გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარებას. ცხრ. 2, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.3.49.„ჯორჯიანმანგანეზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები. /ნ. ჩხაიძე, თ. თოდუა, მ. თურმანაული, თ. თოდუა, გ. კვერენჩხილაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 147-149. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დაავადებათა მიზეზებისა და მათი გამომწვევი რისკ-ფაქტორების გამოვლენის მიზნით შპს „ჯორჯიანმანგანეზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ჩატარებულ იქნა ეპიდემიოლოგიური კვლევები. პირველადი მასალა მოპოვებულ იქნა რესპონდენტების პირისპირ გამოკითხვის მეთოდით. შრომის ჰიგიენურად მავნე პირობების მავნეობის კლასების მიხედვით, მაღალი მაჩვენებლები გამოიკვეთა იმ მომუშავეთა შორის, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ კლასებში: 3.2, 3.3, 3.4, 4.0. განსაკუთრებით აღსანიშნავი და საყურადღებოა მავნეობის 4.0 კლასის არსებობა, როგორც საშიში, ანუ ექსტრემალური კლასისა, რაც შეიძლება გახდეს პროფესიული და პროფესიით განპირობებული დაავადებების განვითარების წინაპირობა. ჩატარებული კვლევების საფუძველზე შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაავადებათა პრევალენტობის შემცირების, მომუშავეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნების, უნარშეზღუდულობისა და სიკვდილობის შემცირების, სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესების და სამედიცინო მომსახურების ხარჯების შემცირების პრევენციის მიზნით, შემუშავებულია მიზანმიმართული პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი. სურ. 5, ლიტ. 7.

ავტ.

14.3.3.50. თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. /მარ. ციმაკურიძე, ნ. ხუნაშვილი, მ.ციმაკურიძე, დ. ზურაშვილი, ნ. ხაჭაპურიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 150-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ასაკობრივ-სტაჟობრივი და პროფესიული თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავებულია მიზანმიმართული პროფილაქტიკური გამაჯანსაღებელი ღონისძიებები აღნიშნული დარგის მუშაკებისათვის. კვლევამ დაადასტურა სამუშაო გარემოს ფაქტორების გავლენა დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. კერძოდ, ძირითად ჯგუფში პრაქტიკულად ჯანმრთელი პირი 4.6-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა საკონტროლო ჯგუფის ანალოგიურ

მაჩვენებელზე (P<0.001). ძირითადი პროფესიების ყველა ასაკობრივ ჯგუფში და ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე პირებში დაავადებულთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა საკონტროლო ჯგუფის ამავე ასაკობრივი და სტაჟის მქონე ჯგუფების მაჩვენებელს (P<0.05÷P<0.001). ცალკეული ორგანოებისა და სისტემების მიხედვით ჯანმრთელობის ეფექტების ანალიზისას დადგინდა, რომ მეტროპოლიტენის მუშაკთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევებში წამყვანია სისხლის მიმოქცევის, ნერვული და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები. ამ დაავადებების განვითარების რისკის ფაქტორებს წარმოადგენს ხმაური, ვიბრაცია, ფსიქოემოციური დატვირთვა, სხეულის იძულებითი მდგომარეობა და სხვ. ცხრ. 3, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.3.51. საქართველოში პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის მიმართულებები. /რ. ჯავახაძე, ნ. ხატიაშვილი, ხ. ჩიგოგიძე, მ. ციმაკურიძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 168-170. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
დასაქმებულთა ჯანმრთელობის შენარჩუნება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს. მსოფლიოში, ყოველწლიურად, საწარმოში უბედური შემთხვევებისა და დაავადებებისაგან იღუპება 2,34 მილიონი ადამიანი, მათ შორის, დიდი უმრავლესობა, დაახლოებით 2,02 მილიონი, სხვადასხვა პროფესიული დაავადებების შედეგად; ყოველდღიურად 6300 სიკვდილის შემთხვევიდან, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესთან, 5500 გამოწვეულია პროფესიული დაავადებით. ჯანმო-ს 2007 წლის მაისში ჩატარებულ ასამბლეაზე მიღებულ იქნა გლობალური გეგმა, რომლის მიხედვითაც რეკომენდაცია ეძლევათ ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შრომის მედიცინის ეროვნული სისტემის შექმნისათვის. სტატიაში განხილულია საქართველოში პროფესული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები და მათი გადაწყვეტის მიმართულებები. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.3.52. ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის მინერალური წყლის კვლევა. /ნ. გორდაძე, ი. თარხან-მოურავი, მ. კაკაბაძე, ნ. დიდებულიძე, ლ. მეტრეველი, ი. სიხარულიძე, მ. კორძაია/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. 9-13 ოქტომბერი. – 2014. – გვ. 29-35. – ქართ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
ჩატარდა ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში არსებული მინერალური წყლის ექსპერიმენტული კვლევა ორგანიზმზე ზეგავლენის გამოსავლენად. ვიკვლევდით ქლორიდულ-სულფატურ-ჰიდროკარბონატული, კაჟმჟავა მინერალური წყლის 30-დღიანი პერორალური მიღებისას მის გავლენას ვირთაგვას კუჭის, ღვიძლის და თირკმლის ჰისტოლოგიურ სტრუქტურებზე. საცდელი ჯგუფის 10 ვირთაგვა 30 დღის განმავლობაში სტანდარტულ დიეტასთან ერთად ღებულობდა მინერალურ წყალს, ხოლო 10 საკონტროლო ცხოველი დროის ამავე მონაკვეთში სვამდა ონკანის წყალს. ორივე ჯგუფის ცხოველების ცდიდან გამოყვანა მოხდა ერთდროულად. ორგანოებიდან ამოკვეთილი ნაჭრები დაფიქსირდა 4%-იანი ფორმალინის ხსნარში. ანათლები შეიღება ჰემატოქსილინით და ეოზინით. პრეპარატების აღწერა და მიკროფოტოების გადაღება ჩატარდა შუქოპტიკურ მიკროსკოპში Ergeval-MF. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გამოკვლეული მინერალური წყალი კუჭში, ღვიძლსა და თირკმელში არავითარ ცვლილებებს არ იწვევს. მაშასადამე, ამ წყალს რაიმე პათოლოგიური გავლენა ორგანოების სტრუქტურასა და, შესაბამისად, ფუნქციაზე არ გააჩნია და შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული პრაქტიკაში. ლიტ. 3.

ავტ.

14.3.3.53. ადამიანის მოძრაობების იომექანიკური კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი მნიშვნელობა პათოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას. /გ. ელიავა, პ. კასრაძე, თ. ცინცაძე, ლ. თოფურია, მ. ტაბიძე/. სამედიცინო რეაბილიტაციის, პრევენციისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თანამედროვე ასპექტები. საერთ. სიმპ. – საირმე. 9-13 ოქტომბერი. – 2014. – გვ. 161-165. – ინგლ.; რეფ.: ინგლ., ქართ.
ადამიანის სხეულის ისეთი იომექანიკური პარამეტრების განსაზღვრა, როგორიცაა სხეულის მასების საერთო ცენტრი ანუ სხეულის სიმძიმის ცენტრი, გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სხეულის წონასწორობაზე, მისი მოძრაობების სრულყოფაზე. საწყის ვერტიკალურ მდგომარეობაში ადამიანის სხეულის სიმძიმის ცენტრი დაახლოებით გავის მეორე მალის დონეზეა. მწოლიარე მდგომარეობაში მასების საერთო ცენტრი ანუ სიმძიმის ცენტრი გადაადგილდება თავისკენ დაახლოებით 1%-ით. ჩვენ მიერ განსაზღვრული იყო მასების საერთო ცენტრის ვერტიკალური რხევების ამპლიტუდა 19-20 წლის ასაკის მდედრობითი სქესის ჯანმრთელ პირებში. აღმოჩნდა, რომ ადამიანის სხეულის მასების საერთო

ცენტრის ვერტიკალური რხევების ამპლიტუდის ცვლილებები მოძრაობის დროს მნიშნელოვანწილად დამოკიდებულია ნაბიჯის სიგრძეზე სხვა მაჩვენებლებთან შედარებით. ადამიანის სხეულის მასების საერთო ცენტრის ვერტიკალური რხევების ამპლიტუდის ცვლილების შესწავლა მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ მისი დინამიკა მოძრაობის ორგანოების დაავადებების დროს, როცა შეზღუდულია მოძრაობების მოცულობა და ასევე მოგვცემს საშუალებას დავსახოთ სამოძრაო რეაქციის ოპტიმიზაციის გზები. ლიტ. 5.

ავტ.

14.3.3.54. კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ზონაში ალნეოლოგიური რაიონის ფორმირების ზოგიერთი საკითხი. /ნ. ახვლედიანი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 103 - 108. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ალნეოლოგიურ რაიონში საკურორტო მკურნალობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით კურორტოლოგიური რესურსების მოწესრიგების, მათი რაციონალურად განაწილების, ასევე ფუნქციური ზონირების დახმარებით ტერიტორიის მოწყობის საკითხები. ვრცლად შესწავლის მიზნით, მაგალითისათვის განხილულია ქალაქებთან – ზუგდიდთან და სენაკთან განლაგებული ალნეოლოგიური კურორტების და საკურორტო ადგილების ჯგუფი: მენჯი, ცაიში, ია, ქვალონი, ხორგა, ყულევი, ნოქალაქევი. სურ. 3, ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.3.55. ნიტრატ-ნიტრიტის შემცველობის ცვლილება მწვანილეულის კულინარიული დამუშავებისას. /გ. ანდრიაძე, ე. მხჩიანი, ე. შენგელია, ლ. გვასალია/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #1(715). – გვ. 109-113. – ქართ.; რეზ.; ქართ., ინგლ., რუს.

ხელით დაქუცმაცებული მწვანილეულის 2-3 სთ-ის განმავლობაში ჰაერზე დაყოვნებისას ხდება მასში არა მარტო ნიტრიტების, არამედ ნიტრატების დაგროვება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროის ამ ინტერვალში საკვებად მათი გამოყენებისას ორგანიზმი განიცდის ნიტრატ-ნიტრიტით ძლიერ დატვირთვას. აქედან გამომდინარე, უმჯობესია მწვანილეულის მიღება დაქუცმაცებისთანავე. სურ. 2, ცხრ. 3, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.3.56. ალკოჰოლიზებული შთამომავლობის თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის გლიოკაპილარულ ურთიერთობათა დახასიათება. /რ. ჩიხლაძე, ნ. რამიშვილი, ზ. ცაგარელი, ლ. გოგიაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 129-134. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ვირთაგვას თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების სენსომოტორული ქერქის ნიმუშებში (ჰემატოქსილინი და ეოზინი) შეფასებულია გლიის მორფოლოგია, ასევე გლიური ინდექსები ინტრანატალური ალკოჰოლიზაციის შემდეგ სიცოცხლის 1 და მე-7 დღეს. მიღებულია, რომ სიცოცხლის პირველი 7 დღის პერიოდში პერინატალურად ალკოჰოლიზებული შთამომავლობის თავის ტვინის სენსომოტორულ ქერქში წამყვანია ნეიროგლიოციტების პროლიფერაცია, გლიოკაპილარულ ურთიერთობათა გარდაქმნა, დისცირკულაციური ხასიათის ძვრები, რაც ქერქის შესწავლილი უბნის ყველა შრეშია გამოხატული, მათ შორის მე-5 შრეში. სავარაუდოა, რომ ნეირონთა ცვლილებები (კვდომა) წარმოადგენს გლიოკაპილარული ურთიერთობების პათოლოგიის მორფოლოგიურ გამოსახვას - თავის ტვინის ქერქში სისხლის მიმოქცევის შემცირების და ჰემატოენცეფალური არიერის დეზორგანიზაციის შედეგს. ცხრ. 1, სურ. 5, ლიტ. 22.

ავტ.

14.3.3.57. ფარმაცევტული მეთოდის - ADAPT-ის ანალიზი, რომელიც გამოიყენება ჯანდაცვის ხელშეწყობის პროგრამებში. /ნ. კვიჟინაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 90-92. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის ანალიზის მიხედვით, რომელიც ჩატარდა არიზონას უნივერსიტეტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, ცხადი გახდა, რომ ADAPT მეთოდი წარმატებულია საგანმანათლებლო პროცესში და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. იგი მნიშვნელოვანია ფარმაცევტებისათვის დაგეგმვის, განვითარების და მაღალი სტანდარტების დანერგვის საქმეში, რომელიც ფართოდ გამოიყენება ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამებში. როგორც ფარმაცევტები და სტუდენტები ამტკიცებენ, აღნიშნული ინსტრუმენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დოკუმენტაციის წარმართვის საქმეში, რომელიც მიმართული იქნება ჯანდაცვის ეროვნული მიზნების და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ლიტ. 9.

ავტ.

3.4. სამედიცინო იოტექნოლოგიები

14.3.4.1. C-სილიკონურ და ალგინატურ მატრიცებში პოლიმერიზებული ცივი გამყარების აზისური აკრილატის „რედონტ-კოლირი“ ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და მორფოლოგიის შედარებითი შეფასება. /მ. ოგატირენკო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 33-37. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ალგინატური ან სილიკონური საყალიბე მასალის მატრიცად გამოყენების უპირატესობის განსაზღვრა გადამწყვეტია უშუალო და შუალედური პროტეზების ხარისხის განსაზღვრისათვის, რომლებიც პირდაპირი მეთოდითაა დამზადებული ცივი გამყარების აკრილატის გამოყენებით. კვლევის მიზანს შეადგენდა C-სილიკონურ და ალგინატურ მატრიცებში პოლიმერიზებული ცივი გამყარების აზისური აკრილატის „რედონტ-კოლირი” ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების და მორფოლოგიის შედარებითი შეფასება. ნიმუშები პოლიმერიზებული იყო C-სილიკონურ - „Zeta plus-putty“ („Zhermack“, იტალია) და ალგინატურ - „Ypeen“ („Spofa Dental“, ჩეხეთი) მატრიცებში სხვადასხვა რეჟიმში: 1) პნევმოპოლიმერიზატორში „ავერონი“, წნევით 3 ატმ, ტემპერატურა - 45^{0}C 15 წუთის განმავლობაში; 2) პოლიმერიზაცია წყალში, ტემპერატურა - 45^{0}C, 15 წუთის განმავლობაში. განისაზღვრა შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: მოხრილობა დატვირთვის დროს, დარტყმითი სიბლანტე, მოხრითი დაძაბულობა დაზიანების დროს, სიმკვრივე ჰეპლერის მიხედვით, წყალტევადობა. ნებისმიერად შერჩეული ორი წერტილის ელექტრონულ-მიკროსკოპიული გამოკვლევა ჩატარდა ელექტრონულ მიკროსკოპზე JSM-840 (ფირმა „Jeol“, იაპონია) მეორადი ელექტრონების რეჟიმში გარჩევადობის შესაძლებლობით 4 ნმ 200-ჯერადი გადიდების პირობებში. დადგენილია, რომ აკრილატის „რედონტ-კოლირი” პოლიმერიზაციის ოპტიმალური რეჟიმი არის პოლიმერიზაცია პნევმოპოლიმერიზატორში „ავერონი”: წნევა - 3 ატმ, ტემპერატურა - 45^{0}C 15 წუთის განმავლობაში. ნიმუშების ზედაპირის მორფოლოგიის შესწავლის შედეგები მიუთითებს, რომ ალგინატური საყალიბე მასალის მატრიცად გამოყენება იძლევა პროტეზის უკეთესი ზედაპირის მიღების საშუალებას; თუმცა, ალგინატური საყალიბე მასალების ტექნოლოგიური თვისებების გათვალისწინებით, მათი გამოყენებისას დრო, რომლის განმავლობაშიც ყალიბი-მატრიცას ზომები სტაბილურია, შეზღუდულია, რაც ასახულია მწარმოებლის რეკომენდაციებში. ცხრ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.4.2. ირთვული ტრანსკრიპციული ფაქტორის (NF-κB) როლი ვირთაგვას თავის ტვინის ჟანგვითი მეტაბოლიზმის მექანიზმის დარღვევაში ქრონიკული ჰიპომელატონინემიის დროს. /ი. ფრენკელი, ვ. ჩერნო/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 99-102. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ექსპერიმენტში ვისტარის ხაზის 20 მამრ ვირთაგვაზე, მასით 180-220 გ, შესწავლილია NF-κB აქტივაციის როლი თავისუფალი რადიკალებისა და იონერგეტიკული პროცესების მდგომარეობაზე თავის ტვინის ჰემოსფეროების ქსოვილში მოდელირებული ქრონიკული ჰიპომელატონინემიის პირობებში (24-საათიანი სინათლის რეჟიმში, ექსპოზიცია დოზით 1500 ლუქსი, 55 დღის განმავლობაში). ნაჩვენებია, რომ ინტრაპერიტონეულად (ყოველდღე, მუდმივი განათების 7 ოლო დღის მანძილზე) ირთვული ფაქტორის κB (NF-κB) ინჰიბიტორ II JSH-23-ს (4-მეთილ-N-(3-ფენილპროპილ)ბენზოლ-1,2-დიამინი) შეყვანა დოზით 1 მგ/კგ მასაზე, იწვევს O_2 პროდუქციის მნიშვნელოვან დაქვეითებას მიტოქონდრიებისა და ლეიკოციტების NADPH ოქსიდაზას მიერ, ამცირებს ზეჟანგვითი ჟანგვის მეორადი სუბსტრატების წარმოქმნას, აძლიერებს სუპეროქსიდდისმუტაზას და კატალაზას აქტივობას, AO პოტენციალს, ატფ-ის შემცველობასა და ენერგეტიკულ პოტენციალს. ავტორების მიერ დადგენილია თავის ტვინში აღნიშნული დარღვევების NF-κB-დამოკიდებულება ქრონიკული ჰიპომელატონინემიის დროს. ცხრ. 2, ლიტ. 13.

ავტ.

14.3.4.3. ანტიოქსიდაციური აქტივობა და პოლიფენოლების შემცველობა საქართველოში მოზარდი ვაშლის სხვადასხვა სახეობაში. /ნ. გოგია, მ. გონგაძე, ზ. უკია, მ. ესაიაშვილი, ი. ჩხიკვიშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 107-112. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

თანამედროვე მიდგომით, საკვები მცენარეების იოლოგიურად აქტიურ ნაერთებს შესწევთ პათოლოგიური პროცესების მოდულაციის უნარი რიგი დაავადების დროს (ონკოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ფილტვის დაავადებები, ალცჰეიმერი და სხვა დეგენერაციული პროცესები). კვლევის მიზანი იყო განახლებული მონაცემების წარმოდგენა საქართველოში მზარდ ვაშლის სხვადასხვა ჯიშზე ისეთი ნაერთების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ავლენენ მათ როლს დაავადების განვითარებისას და მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. გამოკვლეულ იქნა ვაშლის 11 სახეობა: კეხურა, ანტონოვკა, ანანი, გოლდენი, როკკი, სინაფი, აჩაბეთი, ჩემპიონი, აიდარიდი, ჯონაგოლდი და სტარტი. საერთო პოლიფენოლების რაოდენობა და ანტიოქსიდანტური აქტივობა შესწავლილია ვაშლის კანისა და რბილობის ექსტრაქტებში ფოლინ-დენისის მოდიფიცირებული მეთოდით, ფოლინ-ჩოკალტეს რეაქტივის გამოყენებით და DPPH რადიკალის განეიტრალების მეთოდით. დადგენილია, რომ ვაშლის შესწავლილი სახეობებიდან ადამიანის ჯანმრთელობისათვის სხვა ჯიშებზე მეტად სასარგებლოა კეხურა, ვინაიდან მდიდარია პოლიფენოლური ნაერთებით და ახასიათებს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობა; ასევე, კარგი მაჩვენებლები აქვს ანტონოვკას და აჩაბეთის ჯიშის ვაშლებს. აღსანიშნავია, რომ ვაშლის კანი მეტ სასარგებლო ნაერთს შეიცავს. აქედან გამომდინარე, სტატიის ავტორები რეკომენდაციას უწევენ ვაშლის მიღებას კანის გაუცლელად. ცხრ. 1, სურ. 3, ლიტ. 14.

ავტ.

14.3.4.4. პროგესტერონის იმუნომოდულაციური აქტივობის შესწავლა ჟურკატ-უჯრედების ექსპერიმენტულ მოდელზე./ა. გოხელაშვილი, ნ. გოგებაშვილი, ი. დათუნაშვილი, ნ. ეჟიტაშვილი, ლ. ჯაში, თ. სანიკიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #7-8 (232-233). – გვ. 112-116. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია პროგესტერონის ეფექტი T-ლიმფოციტების ციტოტოქსიურობაზე ინ ვიტრო ჟურკატ-უჯრედების მოდელურ სისტემაში. ჟურკატ-უჯრედების სტიმულირება ხდება 50 μg/მლ ფიტოჰემაგლიტინინის (PHA) საშუალებით 37^{0}C ტემპერატურაზე 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ PHA სცილდებოდა ცენტრიფუგირებით და ინკუბირდებოდა 24 საათის განმავლობაში პროგესტერონის გარეშე და პროგესტერონის დამატების პირობებში (0.07 და 0.7 μლ). განისაზღვრა პროგესტერონის მოქმედება აპოპტოზის ინტენსივობასა და ექსპრესიაზე ერთობლივად ინკუბირებულ ინტაქტურ და PHA-სტიმულირებულ ჟურკატ-ჯრედებში. დადგენილია, რომ პროგესტერონი არ ახდენს ზემოქმედებას აპოპტოზის ინტენსივობის და ციტოკინების ექსპრესიის დონეზე ინტაქტურ ჟურკატ-უჯრედებში, მაგრამ დოზადამოკიდებულად ხელს უწყობს აპოპტოზის მნიშვნელოვან ინტენსიფიკაციას (88%) და ციტოტოქსიურ აქტივობას ერთობლივად ინკუბირებულ ინტაქტურ და PHA-სტიმულირებულ ჟურკატ-უჯრედებში (შეფარდება I-2/I-10 მცირდება 2.56-დან 1.53-მდე). ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.4.5. სიმსივნური უჯრედების ვარიაბელური მემბრანული პოტენციალის შესაძლო ეფექტი სხვადასხვა სახის კანცეროგენულ პროცესზე. /გ. გოგიჩაძე, თ. გოგიჩაძე, ე. მისაბიშვილი, გ. კამკამიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 116-120. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სიმსივნურ უჯრედებს, ნორმალური ანალოგებისაგან განსხვავებით, ზედაპირზე გააჩნიათ ვარიაბელური ელექტრული მუხტი, რომელიც დამოკიდებულია ამ ტიპის უჯრედების მეტაბოლიზმის ინტენსივობაზე და გარემოს წყალბადურ ინდექსზე. სახელდობრ, დაბალი pH-ის შემთხვევაში მათ გააჩნიათ დაბალი უარყოფითი მუხტი ან ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი მუხტიც კი, ხოლო მაღალი pH-ის შემთხვევაში (ტუტე გარემო) აღინიშნება მაღალი უარყოფითი მუხტი. წინამდებარე სტატიაში ავტორები ასაბუთებენ, რომ მაკროორგანიზმში სიმსივნის მეტასტაზირების, პროგრესირებისა და ინვაზიის პროცესებს საფუძვლად უდევს სიმსივნური უჯრედის ვარიაბელური მემბრანის ელექტრული მუხტის ზუსტად ეს ფენომენი. ლიტ. 27.

ავტ.

14.3.4.6. პეპტიდური იორეგულატორისა და კობალტის იონების გავლენა აკროცენტრული ქრომოსომების ასოციაციებსა და ირთვაკის ორგანიზატორების აქტივობაზე ჰიპერტროფული კარდიომიოპათიით დაავადებულებისა და მათი ნათესავების ლიმფოციტებში. /თ. ჯოხაძე, თ. უაძე, მ. გაიოზიშვილი, მ. როგავა, თ. ლეჟავა/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 134-137. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია პეპტიდური იორეგულატორის - ლივაგენის ((Lys-Glu-Asp-Ala) განმხოლოებული და კობალტის იონებთან კომბინირებული ზემოქმედების გავლენა აქტიურ ირთვაკის ორგანიზატორთა და აკროცენტრული ქრომოსომების ასოციაციათა სიხშირის მაჩვენებლებზე ჰიპერტროფული

კარდიომიოპათიით (ჰკმ) დაავადებულთა და მათი ნათესავების ლიმფოციტებში. ნაჩვენებია, რომ ლივაგენ-კობალტის კომბინირებული მოქმედებისას მკვეთრად იზრდება დიდი ზომის 2-ქულიანი ირთვაკის ორგანიზატორის სიხშირე როგორც დაავადებულთა, ისე ნათესავების ჯგუფებში. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ორივე შესწავლილ ჯგუფში საკვლევი ნაერთების გავლენა აკროცენტულ ქრომოსომათა ასოციაციებში გაერთიანების სიხშირეზე, რაც ამ მაჩვენებლის მკვეთრ ზრდაში გამოიხატა. ამ შემთხვევაშიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა ლივაგენით და კობალტით ერთობლივი ზემოქმედება, რადგან როგორც ირთვაკის ორგანიზატორთა აქტივობა, ისე აკროცენტრულ ქრომოსომთა ასოციაციებში გაერთიანების სიხშირე დამოკიდებულია ქრომატინის დეკონდენსაციის ხარისხზე, კეთდება დასკვნა, რომ ლივაგენისა და კობალტის იონების ზემოქმედებით როგორც ჰკმ-თი დაავადებულების, ისე მათი ნათესავების ლიმფოციტებში ადგილი აქვს ჰეტეროქრომატინიზებული ქრომატინის დეკონდენსაციას, რაც ინდივიდთა საკვლევ ჯგუფებში კონდენსაციის შედეგად ინაქტივირებული გენების გამოთავისუფლების წინაპირობა შეიძლება იყოს. მიღებული შედეგები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პრევენციული ღონისძიებების ჩატარებისას როგორც მაღალი რისკის ჯგუფის ინდივიდებში, ისე დაავადებულთა კომპლექსურ თერაპიაში. სურ. 3, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.4.7. საქართველოში მოზარდი მსხვილი გოგრის (Cucurbitae maxima Duch) თესლის ზეთის ცხიმოვანი მჟავები და მათი იოლოგიური აქტივობა. /ბ. კიკალიშვილი, დ. ზურაბაშვილი, დ. ტურაბელიძე, ჯ. ანელი, ლ. შანიძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 138-141. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

საქართველოში კულტივირებული მსხვილი გოგრის თესლის ზეთში ჩატარებულია მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენებით თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი მათი შემადგენლობა გაანგარიშებულია პროცენტული თანაფარდობის მიხედვით. დადგენილია მათი შემადგენლობა $C_{12:0}$-დან - $C_{22:0}$-მდე. ზეთში იდენტიფიცირებულია 0,2±0,01 მგ% ლაურინის, 0,3±0,01 მგ% მირისტინის, 9,0±0,7 მგ% პალმიტინის, 5,5±0,4 მგ% სტეარინის, 28,1±1,0 მგ% ოლეინის, 40,2±1,9 მგ% ლინოლის, 12,1±1,0 მგ% ლინოლენის, 2,0±0,2 მგ% არაქინონის და 1,2±0,1 მგ% ეგენის ცხიმოვანი მჟავები. დადგენილია, რომ საქართველოში მოზარდი თეთრი გოგრის თესლის ზეთი შეიცავს იოლოგიურად მნიშვნელოვან ცხიმოვან მჟავებს, რომელთა უნიკალური თანაფარდობა მნიშვნელოვანია პრაქტიკული მედიცინის ასპექტში. ცხრ. 1, ლიტ. 11.

ავტ.

14.3.4.8. ვირთაგვებში ლიგატურ-ინდუცირებული პარადონტიტის მოდიფიცირებული მოდელის კლინიკური და იოქიმიური მაჩვენებლების ანალიზი. /ი. ჩუმაკოვა, ა. ვიშნევსკაია, ა. კაკაბაძე, ლ. ყარალაშვილი, ზ. კაკაბაძე/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 63-69. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სადღეისოდ „ლიგატურით“ ინდუცირებული მოდელი პარადონტიტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელია. ვირთაგვებში მის შექმნასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, შემოთავაზებულია ამ მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი, სადაც ჩვეულებრივისგან განსხვავებით გამოიყენება ამბის ლიგატურა, რომელიც ფიქსირდება არა მეორე მოლარის, არამედ ცენტრალური საჭრელი კბილის გარშემო. კვლევის მიზანი იყო „ზეჟანგური“ და „ლიგატურით“ ინდუცირებული პარადონტიტის მოდელების შედარებითი შეფასება. ვისტარის ხაზის 36 თეთრ ვირთაგვაზე ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტების 2 სერია. ცხოველები დაყოფილი იყო ჯგუფებად: ინტაქტური (კონტროლი) და ვირთაგვები, რომელთა რაციონში 45 დღის განმვლობაში ყოველდღიურად „ზეჟანგურ“ ზეთის დამატებით (საკვების მასის 5%) იწვევდნენ პარადონტიტს; „ლიგატურით“ პარადონტიტის ინდუცირება ხდებოდა 14 დღის განმავლობაში ცენტრალურ საჭრელზე ამბის ლიგატურის დადებით. იოქიმიური მეთოდებით ხდებოდა ღრძილში და სისხლის შრატში ელასტაზას და კატალაზას აქტივობის და მალონის დიალდეჰიდის შემცველობის განსაზღვრა. მორფოლოგიური მეთოდებით ხდებოდა ქვედა ყბის ალვეოლური მორჩის ატროფიის ხარისხის განსაზღვრა. პარადონტიტის ორივე მოდელში ვირთაგვის პარადონტის ქსოვილში და მთლიანად ორგანიზმში აღინიშნა ცვლილებები, დამახასიათებელი ადამიანისათვის იგივე დაავადების დროს. თვალით ადვილად შეიმჩნევა პარადონტის ქსოვილის ანთება, აღინიშნება მეტაბოლური დარღვევები ღრძილის ქსოვილში; იცვლება სისხლის იოქიმიური მაჩვენებლები; პროგრესირებს ალვეოლური მორჩის ძვლოვანი ქსოვილის განლევა. ორივე მოდელის შედარებითმა ანალიზმა უჩვენა, რომ ლიგატურით ინდუცირებულ პარადონტიტს გააჩნია რიგი უპირატესობები „ზეჟანგური“ პარადონტიტთან შედარებით, კერძოდ, მოდელირების შედარებით მცირე

პერიოდი, პარადონტის ქსოვილის მეტად გამოხატული კლინიკური სურათი და ალვეოლური მორჩის ძვლის რეზორბციის ჩქარი ტემპი. ცხრ. 3, ლიტ. 16.

ავტ.

14.3.4.9. ყურძნის წიპწის და ქინძის ზეთების ზემოქმედება პირის ღრუს სითხის იოქიმიურ მაჩვენებლებზე პარადონტიტით ავადმყოფებში. /მ. ნიკოლაიშვილი, მ. გოგუა, ქ. ფრანჩუკი, ტ. ტუპინაშვილი, დ. ზურაბაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 69-73. – რუს., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

I და II ხარისხის სიმძიმის პარადონტიტით ავადმყოფებში განვითარებულ იოქიმიურ ცვლილებათა შორის ადგილი აქვს ლაქტატდეჰიდროგენაზას რაოდენობის მატებას, ტუტე ფოსფატაზას აქტივობის ზრდას და ამილაზას აქტივობის დაქვეითებას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა ზეჟანგური ნივთიერებების მატება, რაც იწვევს პირის ღრუში პათობაქტერიების და პაროდონტიტის სიმძიმის გაზრდას. ყურძნის წიპწის და ქინძის ზეთი მცენარეული წარმოშობის პრეპარატებია ანტიოქსიდანტური მოქმედებით. მათი ზემოქმედება პირის ღრუზე იწვევს სტატისტიკურად სარწმუნოდ ამილაზას მატებას და ტუტე-ფოსფატაზას და ლაქტატდეჰიდროგენაზას შემცირებას, რაც, ასევე, იწვევს პირის ღრუს pH-ის ნორმალიზებას. აღსანიშნავია, რომ ქინძის ზეთით აპლიკაცია ნაკლებად ეფექტურია. ცხრ. 3, ლიტ. 12.

ავტ.

14.3.4.10. სტრუქტურულ და არასტრუქტურულ გენებს შორის სხვაობა C ჰეპატიტის ვირუსის მეორე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში. /თ. ცერცვაძე, მ. ქარჩავა, ლ. შარვაძე, ლ. გაწერელია, ე. დოლმაზაშვილი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 74-78. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

C ჰეპატიტის გენოტიპების მაღალი სიზუსტით დადგენა მნიშვნელოვანია როგორც მკურნალობის გამოსავლის პროგნოზირების, ასევე, სწორი ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმის შერჩევისათვის და, შესაბამისად, მკურნალობის ადეკვატური გამოსავლის მიღების მიზნით. C ჰეპატიტის გენოტიპების დასადგენად იდეალური მიდგომა მისი როგორც სტრუქტურული, ასევე, არასტრუქტურული გენების შესწავლაა, რადგანაც, იშვიათად, მაგრამ მაინც აღინიშნება ამ ორ ფართოდ გამოყენებად უბნებს შორის სხვაობა გენოტიპების იდენტიფიცირების კუთხით. კვლევის მიზანია ამ ორი უბნის შედარება C ჰეპატიტის უფრო ზუსტი გენოტიპირებისათვის. რეტროსპექტული კვლევის ფარგლებში გამოყენებულია 108 პაციენტის სისხლის ნიმუში. კვლევისთვის შერჩეული იყო იმ პაციენტთა მასალა, რომელშიც ჩატარებული იყო C ჰეპატიტის გენოტიპირება სტრუქტურული გენის ამპლიფიკაციაზე დაფუძნებული Versant HCV genotyping მეთოდის მეშვეობით. კვლევის პროცესში განმეორებით გაკეთდა გენოტიპირება, ამჯერად, არასტრუქტურულ გენების ამპლიფიკაციაზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით. ორი სხვადასხვა უბნის ამპლიფიკაციის მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნა, რომ მეორე გენოტიპის შემთხვევაში მიღებულია 72%-იანი განსხვავება გენოტიპირების დადგენის კუთხით. ამ სხვაობის საფუძველზე სავარაუდოა, რომ მეორე გენოტიპების უმრავლესობა წარმოადგენს რეკომბინანტულ ვირუსს, რომლის სტრუქტურული ნაწილი მეორე გენოტიპია, ხოლო არასტრუქტურული - პირველი გენოტიპი. საკვლევ მასალაში აღმოჩენილი განსხვავება იძლევა ვარაუდის საფუძველს რეკომბინანტული ფორმების არსებობის შესახებ. კვლევის შედეგები წარმოშობს ამ ნიმუშების დეტალური კვლევის აუცილებლობას სექვენირებით და ღრმა ფილოგენეზური ანალიზით. ცხრ. 1, ლიტ. 15.

ავტ.

14.3.4.11. მწვავე ანთებითი ტკივილის ეპიგენეტიკური რეგულაცია. /ე. აბზიანიძე, ე. კვარაცხელია, თ. ტყემალაძე, ქ. კანკავა, გ. ღურწკაია, მ. ცაგარელი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #10 (235). – გვ. 78-81. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

მწვავე ტკივილი ასოცირებულია ქსოვილის დაზიანებასთან, რომლის შედეგადაც გამოიყოფა ანთებითი მედიატორები. უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევები მიუთითებს ეპიგენეტიკური მექანიზმების (დნმ-ის მეთილირება), მონაწილეობაზე ტკივილის განვითარებაში. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ვირთაგვების ენაზე 10%-იანი მდოგვის ზეთის აპლიკაციით გამოწვეული მწვავე ტკივილის დროს DNMT3a და 3b დონე მომატებულია (36% და 42%, შესაბამისად), DNMT1 სეკრეცია მნიშვნელოვნად არ იცვლება. ქსეფოკამის (0.4 მგ/კგ) წინასწარი შეყვანა აქვეითებს DNMT3a და 3b რაოდენობას (25% და 24%, შესაბამისად). მიღებული მონაცემები ადასტურებს მოსაზრებას, რომ დნმ-მეთილტრანსფერაზას ინჰიბირება შესაძლებელია იწვევდეს ტკივილის კუპირებას. ამდენად, სავარაუდოა, რომ ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები (ცალკე, ან დნმ-მეთილირების ინჰიბიტორებთან

კომბინაციაში), როგორც მარეგულირებელი აგენტები მოქმედებენ ეპიგენეტიკურ მექანიზმებზე ტკივილის პროცესში მონაწილე ანთებითი მედიატორების აქტივობის ცვლილების გზით. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.4.12. გახსნის ტესტის გამოყენება ლორატადინის შემცველი ჯენერიკების იოექვივალენტობის შესაფასებლად. /ქ. არამიძე, თ. ჩიკვილაძე, მ. ჯორჯიკია, ჰ. იორამაშვილი, თ. ოთარაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 19-21. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია საქართველოში რეგისტრირებული ლორატადინის შემცველი ოთხი მყარი ორალური წამლის ფორმიდან მოქმედი ნივთიერების ინ ვიტრო გამოთავისუფლება. დადგენილია, რომ ოთხივე საკვლევი ობიექტი აკმაყოფილებს ფარმაკოპეის სტატიის მოთხოვნას ტესტზე „გახსნა“. ვინაიდან ოთხივე ნიმუშიდან 80%-ზე მეტი რაოდენობით ხდება ლორატადინის გამოთავისუფლება 60 წუთის განმავლობაში. შედარებულია საკვლევი ნიმუშების და რეფერენტული პრეპარატის ხსნადობის პროფილები და დადგენილია, რომ სამი ნიმუშის (#2, #4 და #5) ხსნადობის პროფილი შეესაბამება რეფერენტულს და შესაბამისად, ეს ნიმუშები არის რეფერენტული მედიკამენტის ექვივალენტური. რაც შეეხება #3 ნიმუშს (მსგავსების კოეფიციენტი – 49,87%, განსხვავების კოეფიციენტი – 9,07%) – ინ ვიტრო კვლევის შედეგები არადამაკმაყოფილებელია და თერაპიული ექვივალენტობის დასადგენად მოითხოვს დამატებით ინ ვივო კვლევას. ცხრ. 2, სურ. 2, ლიტ. 8.

ავტ.

14.3.4.13. ოფლოქსაცინის შემცველი მყარი დოზირებული სამკურნალო ფორმებიდან ინ ვიტრო გამოთავისუფლების შესწავლა. /ქ. არამიძე, თ. ჩიკვილაძე, მ. ჯორჯიკია, ჰ. იორამაშვილი, თ. ოთარაშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 22-24. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შესწავლილია საქართველოში რეგისტრირებული ოფლოქსაცინის შემცველი ოთხი მყარი ორალური წამლის ფორმიდან მოქმედი ნივთიერების ინ ვიტრო გამოთავისუფლება. დადგენილია, რომ ოთხივე საკვლევი ობიექტი აკმაყოფილებს ფარმაკოპეის სტატიის მოთხოვნას ტესტზე „გახსნა“, ვინაიდან ოთხივე ნიმუშიდან 80%-ზე მეტი რაოდენობით ხდება ოფლოქსაცინის გამოთავისუფლება 30 წუთის განმავლობაში; შედარებულია საკვლევი ნიმუშების და რეფერენტული პრეპარატის ხსნადობის პროფილები და დადგენილია, რომ მხოლოდ ორი ნიმუშის (#3 და #4) ხსნადობის პროფილი შეესაბამება რეფერენტულს და შესაბამისად, მხოლოდ ეს ორი ნიმუში არის რეფერენტული მედიკამენტის ექვივალენტური. რაც შეეხება #2 და #5 ნიმუშებს – ინ ვიტრო კვლევის შედეგები არადამაკმაყოფილებელია და თერაპიული ექვივალენტობის დასადგენად მოითხოვს დამატებით ინ ვივო კვლევას. ცხრ. 3, სურ. 2, ლიტ. 6.

ავტ.

14.3.4.14. კოხლეარული იმპლანტაციის გავლენა ავშვების ინტელექტუალურ განვითარებაზე მძიმე სმენაჩლუნგობის დროს, რავენის მატრიცის მიხედვით. /თ. დევდარიანი, ნ. მანჯავიძე, ქ. გოგბერაშვილი, ზ. ქევანიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 53-56. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

შრომის მიზანს წარმოადგენდა სმენაჩლუნგობის შემთხვევებში ავშვის კოგნიტური განვითარების შეფასება კოხლეარული იმპლანტაციის შემდეგ. ჩატარებულ იქნა კოჰორტული კონტროლირებადი კვლევა. კვლევის საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა 3-7 წლამდე ასაკის 25 სმენადაქვეითებული ავშვი. ძირითად საკვლევ ჯგუფში ჩართულ იქნა 10 ავშვი მძიმე III-IV ხარისხის სმენაჩლუნგობით, რომელთაც ჩაუტარდათ კოხლეარული იმპლანტაცია. შესწავლილ იქნა მათი ინტელექტის მაჩვენებელი იმპლანტაციიდან 6-12 თვის შემდეგ. ჯგუფებს შორის შედარება მოხდა Mann-Whitney'-ს არაპარამეტრული ტესტით 2 დამოუკიდებელი ჯგუფისათვის. კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ I-II ხარისხის სმენის დაქვეითების შემთხვევაში ავშვის ინტელექტის მაჩვენებელი ჩამორჩება პრაქტიკულად ჯანმრთელი ავშვის ინტელექტს ($P<0.001$). ავშვის კოგნიტური (ინტელექტუალური) განვითარებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მიზეზით იქნება გამოწვეული სმენის დაქვეითება. კვლევით დადგინდა, რომ დროული ინტერვენცია სმენაჩლუნგობის კორექციის მიზნით (კოხლეარული იმპლანტაცია), იწვევს ავშვის ინტელექტუალური განვითარების დაჩქარებას და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი სწორი და ნორმალური განვითარებისათვის. ინტელექტის მიხედვით I და II საკვლევ ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო იყო. ინტერვენციიდან 6-12 თვის

შემდეგ ინტელექტუალურ მაჩვენებელს შორის განსხვავება ჯანმრთელ და იმპლანტირებულ ავშვებს შორის სტატისტიკურად არასარწმუნო იყო (P>0.01). სურ. 1, ლიტ. 10.

ავტ.

14.3.4.15. საქართველოში გავრცელებული Betulamedwedewi -ს პოლიფენოლების ანტიოქსიდანტური აქტივობა. /ლ. ზარდიაშვილი, მ. ჯოხაძე, ჯ. კუჭუხიძე, მ. მაისაშვილი, ვ. მშვილდაძე/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 66-67. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჩატარებულია საქართველოში გავრცელებული ენდემური მცენარე - არყის (Betulamedwedewi ოჯ. Betulaceae) პოლიფენოლური შენაერთების ექსტრაქციული ფრაქციონირება. შესწავლილია მეთანოლიანი ექსტრაქტისა და ორგანული ფრაქციების – ნ-ჰექსანი, ქლოროფორმი, ეთილაცეტატი - ინ-ვიტრო ანტიოქსიდანტური აქტივობა DPPH რეაქტივით. მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით ხასიათდება მეთანოლიანი ექსტრაქტი (IC50 0.38±0.03 μg/dL) და ეთილაცეტატიანი ფრაქცია (IC0 0.19±0. μg/mL), რაც აიხსნება მათში პოლიფენოლური შენაერთების მაღალი შემცველობით. მნიშვნელოვანი ანტიოქსიდანტური აქტივობა ახასიათებს ნ-ჰექსანიან და ქლოროფორმიან ფრაქციებსაც (IC50 0.63±0.03 μg/mL და 0.84±0.04 μg/mL შესაბამისად), რაც აიხსნება მათში ჰიდროფობური შენაერთების, მათ შორის, პოლიფენოლების არსებობით. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.3.4.16. ფარმაკო- და ეკოგენეტიკური დიაგნოსტიკის თანამედროვე ასპექტები. /მ. ჭიპაშვილი, ე. იმნაძე, ც. გიგინეიშვილი/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 161-163. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ადამიანის იმუნიტეტის გენეტიკური დეტერმინაცია უდავოა. ვინაიდან მემკვიდრული განსხვავებები საკმარისად შესწავლილი არ არის, ამიტომ საჭიროა შეიცვალოს მიდგომები ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ. აუცილებელია წინასწარი ფარმაკოგენეტიკური დიაგნოსტიკა როგორც კონსერვატიული, ისე ოპერაციული მკურნალობის დროს. რაც შეეხება საკვები და კვებითი დანამატების გენეტიკურ კონტროლს, ეს მოითხოვს სათანადო სამსახურების მუშაობის მეთოდების დახვეწას და კვლევებს მოლეკულურ დონეზე. დღეს უნებრივი საკვებიც კი იწვევს მოულოდნელ ინდივიდუალურ რეაქციებს, რაც განპირობებულია ინდივიდის მემკვიდრული თავისებურებებით. ამიტომ ფარმაკო და დიეტოთერაპიის თანამედროვე სტრატეგიები დაფუძნებული უნდა იყოს მოლეკულურ-გენეტიკურ კვლევებზე. ინდივიდების პათოლოგიური რეაქციები საკვებზე და სამკურნალო პრეპარატებზე გამოწვეულია იოქიმიური მეტაბოლური დეფექტებით. ფერმენტული, რეცეპტორული, ტრანსპორტული, ანტიგენური ცილოვანი სისტემების მემკვიდრული დეფექტები იწვევენ არა მარტო მნიშვნელოვან ფუნქციურ ცვლილებებს, არამედ ისინი ხდება ინვალიდობის და ლეტალური შემთხვევების მიზეზიც. ამიტომ, აუცილებელია პაციენტის ეკო- და ფარმაკოგენეტიკური დიაგნოსტიკა. არ არსებობს დაავადებების რეზისტენტული ფორმები, არამედ არსებობს ცნობილი სამკურნალო პრეპარტებისადმი გენეტიკური ტოლერნატობა. ლიტ. 6.

ავტ.

14.3.4.17. კლინიკური ფარმაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. /თ. ჭუმბურიძე, ნ. ნემსიწვერიძე, გ. სიმონია, ნ. აფციაური, თ. კილასონია/. თსსუ სამეცნიერო შრომათა კრებული. – 2013. – #47. – გვ. 163-164. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

კვლევის მიზანს შეადგენდა საქართველოს სინამდვილეში კლინიკური ფარმაცევტის პრობლემების გაცნობა, რისთვისაც ჩატარდა გამოკითხვა. რესპონდენტები იყვნენ ექიმები, ფარმაცევტები და პაციენტები. გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ექიმთა და ფარმაცევტთა ურთიერთთანამშრომლობას მხარს უჭერს რესპონდენტთა თითქმის 90%. ექიმის და ფარმაცევტის თანამშრომლობის შემაფერხებელ მიზეზად ექიმის პოზიციას ასახელებენ. სამწუხაროა, რომ რესპონდენტთა აზრით ექიმებსა და ფარმაცევტებს შორის წამალთა დანიშნვის საკითხებში თანხმობა არ არის. გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ექიმისა და ფარმაცევტის ურთიერთთანამშრომლობა დადებით გავლენას იქონიებს პაციენტის მდგომარეობაზე; რომ პროფესიული გაუგებრობის აღმოფხვრის მიზნით საჭიროა ექიმების ინფორმირება და კლინიკური ფარმაცევტის ინსტიტუტის შემოღება, რაც თავისთავად გულისხმობს ფარმაცევტული განათლების შემდგომ სრულყოფას კლინიკური ფარმაციის მიმართულებით, რასაც უდაოდ ხელს შეუწყობს კლინიკური ფარმაციის სპეციალობით მაგისტრების მომზადება და აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტების ტრეინინგები კლინიკურ ფარმაციაში. სურ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

3.5. სხვა სამედიცინო მეცნიერებები

14.3.5.1. Induratio penis plastica და ვაგინური პენეტრაციის შესაძლებლობა სასამართლო ექსპერტიზის კონტექსტში. /კ. ალბრეხტი, გ. კედია, ს. იუკერტი, ლ. ჰაგემაიერი, მ. კუჩიკი, მ. კლინჩარი/. საქართველოს სამედიცინო სიახლენი. – 2014. – #9 (234). – გვ. 89-93. – გერმ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
მამაკაცის სასქესო ორგანოს დევიაციის საკმაოდ ხშირ მიზეზს წარმოადგენს induratio penis plastica, აგრეთვე ცნობილი, როგორც Morbus Peyronie. ხშირად ადგილი აქვს დორზალურ გადახრას. სექსუალურ დელიქტში აღნიშნული დაავადება რალდებულის მიერ მოიყვანება, როგორც სქესობრივი კავშირის შეუძლებლობის მიზეზი. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა 30 პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის შესწავლა induratio penis plastic-ის შედეგად განვითარებული პენისის დევიაციით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პენისის დევიაციის ხარისხის და ვაგინური პენეტრაციის ინდივიდუალურ შესაძლებლობის დადგენას. პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებოდათ 80^0-დან 90^0-მდე დორზალური ან 60^0-იანი ლატერალური დევიაცია, არ შეეძლოთ სქესობრივი კავშირის დამყარება. 3 პაციენტს 30^0-დან 40^0-მდე ვენტრალური დევიაციით არ ქონდა მნიშვნელოვანი პრობლემა ვაგინური პენეტრაციის დროს. მიღებული შედეგები ავტორების მიერ განხილულია სასამართლო მედიცინის ასპექტში. სურ 1, ლიტ. 18.

ავტ.

4. აგრარული მეცნიერებები

4.1. სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა

14.4.1.1. საქართველოს ნიადაგების ძირითადი ტიპების აგროქიმიური დახასიათება. /თ. ურუშაძე, ა. თხელიძე, თ. ურუშაძე/. Annals of agrarian science. (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #4. – გვ. 24-31. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.
საქართველოს ნიადაგების ძირითადი ტიპების აგროქიმიური კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საერთო ფართობის 22,5%-ზე ჰიდროლიზებული აზოტის შემცველობა დაბალია, 59,4%-ზე - დაბალი ან საშუალოა, მაღალი შემცველობა საერთო ფართობის მხოლოდ 18,0%-ზეა. ამრიგად, აზოტოვანი სასუქები გამოყენებული უნდა იქნეს ნიადაგების თითქმის ყველა ტიპისათვის. ნიადაგის საერთო არეალის 54,3% ხასიათდება მოძრავი ფოსფორის დაბალი შემცველობით, დაბალი ან საშუალოთი - 40,9%. საშუალო შემცველობაზე მეტით აღინიშნება ნიადაგების საერთო არეალის 4,8%. ამრიგად უმეტესად გამოყენებულ უნდა იქნეს ფოსფორის 1,0-1,25 ნორმა. გაცვლითი კალიუმის დაბალი შემცველობა აღინიშნება საერთო ფართობის მხოლოდ 0,8%-ზე, დაბალი ან საშუალო შემცველობა - 16%-ზე, საშუალოზე მაღალი - საერთო ფართობის 27,6%-ზე, კალიუმის მაღალი შემცველობა დაფიქსირდა საერთო ფართობის 55,6%-ზე. შემდგომი 4-5 წლის განმავლობაში ნიადაგების ეს ტიპები არ საჭიროებს კალიუმის სასუქებს. მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგების გაცვლითი კალიუმის რაოდენობა დაბალია ან ძალიან დაბალი და კალიუმის სასუქების გამოუყენებლობის შემთხვევაში სწრაფად გამოვლინდება ამ ელემენტის დეფიციტის სიმპტომები და ადგილი ექნება დაბალ მოსავლიანობას. ლიტ. 22.

ავტ.

14.4.1.2. საქართველოს შავი ნიადაგების გენეტიკური თავისებურებები. /თ. ურუშაძე, დ. მაჭავარიანი, თ. ურუშაძე/. Annals of agrarian science. (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #2. – გვ. 29-34. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.
შავი ნიადაგები (ე.წ. არის შავმიწა) ხასიათდება მკვეთრად გამოსახული დიფერენციაციით, მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, მზარდი დაწიდულობით, თიხა მექანიკური შედგენილობით. ნიადაგის პროფილს აქვს შემდეგი აგებულება: A-B(Ca)-BC(BCCa)-CCa. ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია: ზედა ფენის ფისიან-შავი შეფერილობა, შუა ნაწილის გატიხება და გაკარბონატება. ეს ნიადაგები გავრცელებულია შიდა და გარე კახეთის მთათაშორის ვაკე ადგილებში და, ნაწილობრივ, შუა ქართლში. ძირითად ელემენტარულ ნიადაგწარმომქნელ პროცესებს წარმოადგენენ: ჰუმუსის წარმოქმნა, ჰუმუსის დაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზირება და სლიტიზაცია. ცხრ. 5, ლიტ. 12.

ავტ.

14.4.1.3. რაჭასა და სვანეთში დარიშხანით დაბინძურებული ნიადაგების ტოქსიკურობის დონის კვლევა. /რ. გიგაური, შ. ჯაფარიძე, ტ. გოგიბერიძე, ნ. ხავთასი/. Annals of agrarian science. (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #2. – გვ. 42-45. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.
საქართველოს ორ რეგიონში (რაჭასა და სვანეთში) სტანდარტული ტესტების TCLP და WET გამოყენებით შესწავლილ იქნა ნიადაგებში დარიშხანის ტოქსიკურობის დონე, აგრეთვე მისი ფორმები, ვალენტობა და არეალები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა დასკვნა ყოფილი სამთო-ქიმური კომბინატების გარშემო 2-3 კმ-ის ფარგლებში ნიადაგის უვარგისობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად და საქონლის გასარეკად. ცხრ. 3, ლიტ. 5.

ავტ.

14.4.1.4. არახელსაყრელი პირობებისადმი სოკოს ნაყოფსხეულების მორფოლოგიური თავისებურებები. /მ. კუცია/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. – #2(4). – გვ. 10-17. – ქართ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
წარმოდგენილია დაავადების გამომწვევი სოკოების ზოგადი მიმოხილვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში სასოფლო–სამეურნეო კულტურების სოკოვან დაადებებს და მათი არახელსაყრელი პირობებისადმი შეგუების უნარს. მოტანილია კვლევითი მონაცემები სოკოს ნაყოფსხეულების ანატომიური და მორფოლოგიური თავისებურებების შესახებ. სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.4.1.5. ასიმეტრიული, კომბინირებული ნიადაგ-დამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო მანქანა. /ა. სამადალაშვილი, ტ. მოდებაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2014. – #2(4). – გვ. 24-32. – ქართ.; რეზ.: ინგლ., ქართ.
ასიმეტრიული, კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო მანქანით შესაძლებელია შესრულდეს ხეხილის ნარგავების ძირების გარშემო ნიადაგის დამუშავება (ფრეზვა) და მინერალური სასუქების დოზირებულად (ადგილობრივად) შეტანა. მანქანა შედგება სახნავი ფრეზისაგან, მინერალური სასუქების სათავსი უნკერისაგან, სასუქის გამომბნევი ვალცებისაგან, რომელთა ჩართვა-გამორთვა ხორციელდება ცეცის საშუალებით და ამძრავისაგან, რომელიც ამვრაში მოდის ტრაქტორის სიმძლავრის ამრთმევი ლილვიდან. მანქანა აგრეგატირდება სიმეტრიულადაც და შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი გუთნებით მთლიანი ხვნის შემდეგ ნიადაგის ზედაპირული დამუშავებისათვის, მინერალური სასუქების შესატანად და ალახეული თესლის მობნევით თესვისათვის (სასუქის ნაცვლად). სურ. 2, ლიტ. 2.

ავტ.

4.2. მეცხოველეობა და მერძევეობა

14.4.2.1. საქართველოს მეცხვარეობის ზოგადი დახასიათება. /მ. ცინცაძე/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 102-105. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.
წარმოდგენილია მეცხვარეობის განვითარების უახლესი ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა, გაშუქებულია საქართველოში არსებული ცხვრის ჯიშები, მათი კონსტიტუცია, ექსტერიერი, პროდუქტიული მაჩვენებლები და დღევანდელი სავალალო მდგომარეობა. მითითებულია, რომ საჭიროა აღორძინდეს მეცხოველეობის ეს დარგი, გაიზარდოს ცხვრის სულადობა, რაც ხელსშეუწყობს მისი პროდუქციის ზრდას და ეს ძალზედ წაადგება საქართველოს საბზრო ეკონომიკას. ლიტ. 1.

ავტ.

4.4. აგრარული იოტექნოლოგიები

14.4.4.1.ბიოლოგიურად აქტიური სტილბენოიდების ტრანსფორმაცია ყურძნიდან წითელ ღვინოში, კვებით დანამატში და სასმელში. /მ. ეჟუაშვილი, პ. ვაშაკიძე, ნ. ვეფხიშვილი, ლ. ელანიძე/. Annals of agrarian science. (აგრარული მეცნიერების მაცნე). – 2014. – ტ. 12. – #4. – გვ. 63-70. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., რუს.
საქართველოში გავრცელებულ წითელკენკროვანი ჯიშის ყურძნის წვენსა და კანში იდენტიფიცირებულ და განსაზღვრულ იქნა სტილბენოიდების ცის- და ტრანს- პიცეიდები. ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა ყურძნის ჯიშები: საფერავი, კაბერნე-სავინიონი, ოცხანური საფერე, ალექსანდროული, მუჯურეთული, შავკაპიტო, თავკვერი, ალადასტური, ძველშავი, ოჯალეში. პრეპარატულად გამოყოფილი ნივთიერებების იდენტიფიკაცია ჩატარებულ იქნა მჟავე ჰიდროლიზის, თხელფენიანი და მაღალეფექტური თხევადი

ქრომატოგრაფიის, ულტრაიისფერი სპექტროსკოპიის გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ ტრანს-პიცეიდი დიდი რაოდენობით არსებობს ყურძნის წვენში, ხოლო ცის-პიცეიდები - ყურძნის კანში. საფერავიას ჯიშის ყურძნის კლერტებისაგან პიველად იქნა იდენტიფიცირებული ტრანს-რეზვერატროლი. განისაზღვრა წითელ ღვინოში ყურძნის იდენტიფიცირებული სტილბენოიდების ტრანსფორმაცია. შემუშავებულ იქნა ყურძნიდან მიღებული სტილბენოიდებშემცველი იოლოგიურად აქტიური პროდუქტების დამზადების ტექნოლოგია. ცხრ. 6, ნახ. 3, ლიტ. 27.

ავტ.

5. საზოგადოებრივი მეცნიერებები

5.2 ეკონომიკა და იზნესი

14.5.2.1. ინოვაციური პროცესების მოდელების ევოლუცია. /ზ. გასიტაშვილი, ს. ხუციშვილი, ჯ. გაგლოშვილი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 55-64. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია თანამედროვე საწარმოებში ეფექტური ინოვაციური პროცესების წარმართვის პრობლემები. განხილულია ინოვაციური პროცესის მოდელების ევოლუციის პერიოდები, კერძოდ, წარმოდგენილია მოდელების ხუთი "თაობა", მარტივი ხაზოვანი მოდელებიდან რთულ არახაზოვანქსელურ და ინტერაქტიულ მოდელებამდე. გაანალიზებულია ასეთი მოდელების ძირითადი მახასიათებლები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია არახაზოვანი მოდელების ძირითადი თავისებურებები და განვითარების მთავარი მიმართულებები. სურ. 8, ლიტ. 3.

ავტ.

14.5.2.2. ავიაგადამზიდველების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე მოქმედი მაკრო და მიკროფაქტორები. /ი. სუხიტაშვილი, ნ. დუმბაძე, მ. სუხიტაშვილი, . დავითაძე/. საჰაერო ტრანსპორტი. – 2014. – #1(9). – გვ. 42-53. – რუს.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და გამწვავებული კონკურენციის პირობებში ავიაგადამზიდველები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ დანახარჯების შემცირებასა და მგზავრების მომსახურების ხარისხის ამაღლებას, რითაც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებას გადაადგილებაზე. ამიტომ თანამედროვე პირობებში უპრიანია, რომ ავიაკომპანიებმა გაითვალისწინონ ოპტიმალური თანაფარდობა „ტარიფი-ხარისხი". ასეთ შემთხვევაში, მისაღებ ფასთან ერთად, გადამზიდველი მომხმარებლებს შესთავაზებს ხარისხიან მომსახურებას, რაც კომპლექსში ავიაბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას აამაღლებს. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.2.3. საინვესტიციო პროცესზე მოქმედ რისკ-ფაქტორთა ანალიზი. /მ. ლომსაძე-კუჭავა/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 117-124. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია საინვესტიციო პროცესზე მოქმედი რისკ-ფაქტორები. ასახულია, თუ რას წარმოადგენს რისკი და როგორ შეიძლება მისგან თავის დაცვა. ახსნილია, თუ როგორ განსხვავდებიან ინვესტიციები ერთმანეთისაგან რისკების მიხედვით. აღნიშნულია უკუგების პროცესი, რომელიც არის ინვესტიციის შედეგად მიღებულ ან მისაღებ შემოსავალებს და გასავლებს შორის სხვაობა. სტატიაში საუბარია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაზე, სადაც აქტუალური ხდება რისკ-ფაქტორების განაწილების საკითხები. ინვესტიციების ჩადების მოსალოდნელი შედეგების შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, როგორებიცაა: „წმინდა მიმდინარე ღირებულების", „უკუგების საპროცენტო განაკვეთი", ინვესტიციის „ამოღების" მეთოდი. ცხრ. 1, სურ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

14.5.2.4. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მოდელირება ენერგოკომპანიებში. /ნ. გიორგიშვილი/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 125-133. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია ენერგოკომპანიებში გადაწყვეტილებების მიღების პრობლემები და თავისებურებები. დახასიათებულია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მოდელირება, რისთვისაც გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობის მაჩვენებლები. მოცემულია პრობლემების გადაჭრის ძირითადი ეტაპები და ალტერნატივების შეფასება. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 9.

ავტ.

14.5.2.5. გლობალური ეკონომიკის პირობებში ლიდერობის განვითარების თავისებურებები. /გ. ამყოლაძე, ა. გაბრიჭიძე, მ. გიორგობიანი, მ. ზედგინიძე, ნ. ხარაძე/. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები. – 2014. – #1. – გვ. 141-145. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
განხილულია გლობალური ეკონომიკის, აზრისა და ფირმაზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორების ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი სიტუაციების სამართავად მაღალი ემოციური ინტელექტის დონის მქონე ლიდერის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები. ლიტ. 5.

ავტ.

14.5.2.6. საქართველოს სამთო და გეოლოგიურ საწარმოთა საინოვაციო საქმიანობის ანალიზი. /გ. ტაბატაძე, გ. ლობჟანიძე, თ. უტულაშვილი, . ცერცვაძე/. სამთო ჟურნალი. – 2014. – #2(33). – გვ. 84-91. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგ.
გაანალიზებულია სამთო და გეოლოგიურ საწარმოებში ინოვაციების, ანუ სიახლეების დანერგვის მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, აღნიშნული საწარმოების საინოვაციო საქმიანობა მაინც დაბალ დონეზეა. ამას განაპირობებს როგორც სამთო-გეოლოგიურ საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკური თავისებურებები, ასევე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიც. ანალიზის საფუძველზე დასახულია დარგში საინოვაციო საქმიანობის გააქტიურების ზოგიერთი ღონისძიება. ლიტ. 11.

ავტ.

14.5.2.7. მცირე და საშუალო იზნესის ხელშეწყობა. /დ. სილაგაძე/. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #3(24). – გვ. 6-11. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განხილულია მცირე და საშუალო იზნესის განვითარების აუცილებლობა, რადგან ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე იზნესი თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის საფუძველია. მის წილად მოდის საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობის 60-80%. მოცემულია საქართველოს იზნეს-სექტორში სოფლის მეურნეობის დარგის არსებული მდგომარეობა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მაჩვენებლების მიხედვით. აღნიშნულია, რომ ის გადაიქცა უცხოური პროდუქტების ყველაზე დიდ მომხმარებლად. ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველო ოლო ადგილზეა. განხილულია სახელმწიფოს მიერ გატარებული და მიმდინარე წელს გასატარებელი ღონისძიებები. განსაზღვრულია მცირე და საშუალო იზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის გასატარებელი ღონისძიებები და მათ განხორციელებაში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის როლი.

ავტ.

14.5.2.8. აგრარული რისკები და დაზღვევა. /ნ. ამენია/. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2015. – #1(26). – გვ. 41-45. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
საქართველო მიწათმოქმედების ქვეყანაა. მსოფლიოში არსებული 52 ტიპის ნიადაგიდან 49 საქართველოში გვხვდება, თუმცა, ანკეტისთვის ეს ფაქტი არაფერს ნიშნავს - სოფლის მეურნეობა მაღალი რისკების სეგმენტად არის მიჩნეული და, ამიტომაც, დაკრედიტების მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობას მხოლოდ 1,9% უჭირავს. სოფლის მეურნეობის ყველაზე დიდი თავსატეხი აგროდაზღვევაა. რაც შეეხება დაკრედიტებას, ანკეტის უმრავლესობა სესხების გაცემას თავს არიდებს, რადგან სოფლის მეურნეობა მაღალრისკიან დარგად მიიჩნევა. საერთაშორისო სტატისტიკა და მაგალითები მეტყველებს იმაზე, რომ სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს აგრარული სფეროს დაზღვევის განვითარებაში. ასევე შესაძლებელია სუბსიდიებით ძალიან ეფექტურად გაიზარდოს ხალხში დაზღვევის ინტერესი და უბიძგოს მათ ისარგებლონ აღნიშნული ტიპის დაზღვევით.

ავტ.

14.5.2.9. ხარისხის მენეჯმენტი და ISO 9000 - იზნესის ახალი მოდელი. /დ. ჩახვაშვილი, ო. ტომარაძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 111-114. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
ISO-ს სტანდარტები უნივერსალური ხასიათისაა, რაც აადვილებს მათ გამოყენებას. ისინი არ გვთავაზობს ცალკეული პროდუქციის ან მომსახურეობის ხარისხის გაზომვის აბსოლუტურ კრიტერიუმებს. ეს თავისთავად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან ხარისხი, არის პროდუქციის ან მომსახურეობის უნარი დააკმაყოფლილოს ამა თუ იმ ადამიანის მოთხოვნა, მოთხოვნები კი, როგორც ვიცით უსასრულოა. ISO 9000 სტანდარტი გამოხატავს ხარისხის სისტემის ფუნქციონირების მეთოდოლოგიას, რომელმაც

თავისთავად უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი ხარისხი, ამით, კი განაპირობოს მომხმარებლთა დაკმაყოფილების მაღალი ხარისხი. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.10. საკრედიტო რისკების შეფასების ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება. /ე. თურქია, ზ. არხოშაშვილი, ც. ფხაკაძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 115-120. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განიხილება საბანკო საკრედიტო სისტემის ტექნოლოგიური განვითარებისა და სრულყოფის საკითხები. საკრედიტო რისკების შეფასების თვალსაზრისით ყურადღება გამახვილებული სესხის გაცემის ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობაზე. ამ თვალსაზრისით შემოთავაზებულია მსესხებლის გადახდისუნარიანობის კვლევის ანალიტიკური და ფორმალიზებული მეთოდები (ანკეტირების, პორტფოლიოს მეთოდები, სკორინგისა და კლასიფიკაციის ხის მოდელები) და ამ მეთოდების ავტომატიზაციის მექანიზმები. პრაქტიკული მაგალითის სახით წარმოდგენილია სესხის გაცემის იზნეს-პროცესის აღწერის დიაგრამა, სესხის გაცემის კვლევის გადაწყვეტილების მიღების ხის მოდელი და სკორინგის ალგორითმი. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.11. ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის სრულყოფის ამოცანები და სტანდარტები. /ე. თურქია, ნ. მოროზი, თ. ქაჩლიშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 121-124. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

საოპერაციო რისკების მართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ კრიტიკულ საკითხებზე დროული და სწორი რეაგირებისთვის აუცილებელია ორგანიზაციის შიგა სისუსტეებზე და ორგანიზაციაზე მოქმედ გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვების, ცენტრალიზებული მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის პროცესების მაქსიმალური ავტომატიზაცია, შესაბამისი მეთოდებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვა. ამ თვალსაზრისით, სტატიაში ყურადღება ეთმობა ორგანიზაციებში საოპერაციო რისკების მართვის პროცესის პრობლემებს და ამ პრობლემების სრულყოფისთვის განხილულია მონაცემთა ავტომატიზებულად დამუშავებისა და დანერგვის ამოცანები და სტანდარტები. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.12. საბირჟო საქმიანობის ინფორმაციული მხარდაჭერა. /მ. თევდორაძე, მ. სალთხუციშვილი, მ. გედევანიშვილი, ნ. ლოლაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 125-130. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

განხილულია აზრების ინფორმაციული ინფრასტრუქტურის კომპონენტები და სეგმენტები; გამოყენებადი დოკუმენტები; ინფორმაციის სახეობები. დახასიათებულია ირჟის ინფორმაციული სამსახურის ფუქნციები და ის ფუქნციები, რომლებსაც ასრულებს ირჟის ინფორმაციის საკითხებში მხარდამჭერი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები. განხილულია საბირჟო სისტემაში ინფორმაციის გადაცემის არხები და მეთოდები. ცხრ. 1, ლიტ. 2.

ავტ.

14.5.2.13. საქმის წარმოების პროცესების მოდელირება ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის განაწილებულ სისტემებში. /თ. სუხიაშვილი, გ. მანიევი, ი. შურღაია/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 131-136. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის სისტემების ავტომატიზაცია მოითხოვს განაწილებული, მრავალდონიანი სისტემის შექმნას. მსგავსი სისტემების ანალიზისა და დაპროექტებისათვის გამოიყენება მოდელირების უნიფიცირებული ენა (UML ტექნოლოგია) და მის საფუძველზე დამუშავებული სხვადასხვა CASE საშუალებები. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ სისტემების მართვაში არსებული პრობლემების გამო საქმის წარმოების პროცესების მოდელირება არსებული ტექნოლოგიით მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომას ადეკვატური მოდელების ასაგებად და, შესაბამისად, იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც თავს იჩენს მსგავსი სისტემების ფუნქციონირებისას. მოყვანილი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სისტემებისათვის დამუშავდეს მოდელთა ნიმუშები, რომლებიც აუცილებელია მსგავსი კომპიუტერული სისტემების ასაგებად. ნახ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.14. სუპერმარკეტის იზნეს-პროცესების მართვა. /გ. ჯანელიძე, ნ. გოგილაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 137-140. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
წარმოდგენილია კომერციული ორგანიზაციის, კერძოდ სუპერმარკეტის ძირითადი იზნეს-პროცესების ორგანიზება და მართვა, მუდმივად ცვალებად გარემოში საბოლოო მიზნის მიღწევის გათვალისწინებით. იზნეს-პროცესების ორგანიზებისა და მართვისადმი ასეთი მიდგომა აამაღლებს სუპერმარკეტის კონკურენტუნარიანობას. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.15. ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მნიშვნელობა და გამოყენება ეკონომიკაში. /შ. მეტრეველი/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 89-92. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას) არის საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ეკონომიკური ინფორმაციის თანამედროვე სისტემა, რომელიც გამოიყენება მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მაკროდონეზე საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობის ანალიზის და რეგულირების, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის. ამ სისტემაში შემავალი მაჩვენებლები და კლასიფიკაციები ასახავენ საბაზრო ეკონომიკის სტრუქტურას, მისი ფუნქციონირების მექანიზმებს. იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ რა ხდება ეკონომიკაში და განვმარტოთ ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი შედეგები აუცილებელია რაიმე წესით დალაგდეს ინფორმაცია, როგორც სამეურნეო ერთეულებზე, ასევე მათ მიერ ჩატარებულ სხვადასხვა სახის ოპერაციებზე და მათ აქტივებსა და პასივებზე. ასეთი სახის მოწესრიგება კი ხორციელდება ეას-ის ფარგლებში მნიშვნელოვანი წესებისა და პროცედურების მეშვეობით. საქართველოს ეროვნულ ანგარიშებში ამჟამად მიმდინარეობს სექტორული ანგარიშების ექსპერიმენტული გაანგა-რიშებები. სექტორული მიკუთვნების გარდა, მნიშვნელოვანია მონაცემთა წყაროების მოპოვებაც. არაფინანსური კორპორაციების ანგარიშში ასახული მაჩვენებლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სამეწარმეო სექტორის რეგულარული კვარტალური და წლიური გამოკვლევები, რომელიც ტარდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. გარდა საკუთარი ძალებით მოპოვებული მონაცემებისა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური იყენებს საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის მონაცემებსაც: ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ეროვნული ანკის მონაცემებს. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.2.16. მოტივაციის პარადიგმა შედარებით მენეჯმენტში. /ა. კატუკია/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 97-101. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
მოცემულია ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციები, რომელიც მუდმივად აფართოებს სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. განხილულია მცირე და საშუალო იზნესში მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა-შენარჩუნების, კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის, მოქნილობის, დამოუკიდებლობის ხარისხის დანერგვის საკითხები. სახელმწიფოს უსაფრთხო და სწრაფი განვითარების შიგა და გარე ეკონომიკური ფაქტორების კვლევა და მისი სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება. ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა გულისხმობდა დემოკრატიულ პროცესებს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მენტალურ სფეროებში. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აღნიშნული პროცესები განსხვავებულად განვითარდა, რომელმაც ეკონომიკის განვითარების დონის მაღალ საფეხურებს აღნიშნულ ქვეყნებში სხვადასხვა ნიშნულით მიაღწია. ლიტ. 10.

ავტ.

14.5.2.17. განტის გრაფიკის გამოყენების შესაძლებლობები აუდიტის მართვის პროცესში. /ტ. კიკვაძე, ი. ფარსეღაშვილი/. იზნეს – ინჟინერინგი. – 2014. – #4. – გვ. 55-57. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
განიხილება აუდიტის მართვის პროცესში სხვადასხვა რესურსების დაგეგმვისას განტის გრაფიკის გამოყენების უპირატესობები. დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის უმნიშვნელოვანეს პირობას აუდიტის პროცესის განხორციელების ვადის შეკვეცა წარმოადგენს, რისთვისაც აუცილებელია დროითი პარამეტრების გამოთვლა და მიმდინარე სამუშაოებისათვის საჭირო ადამიანური რესურსების განსაზღვრა, სასურველი ეფექტის მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მიღწევისათვის. სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული განტის გრაფიკის აგების ეტაპები და დაგეგმილი გრაფიკის შესრულების პროცესში რესურსების განაწილების ვარიანტები. სურ. 2, ცხრ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.18. ქართული ღვინის ექსპორტის მარკეტინგული კვლევა. /თ. იძინაშვილი, თ. აბუაშვილი, თ. წერეთელი/. იზნეს – ინჟინერინგი. – 2014. – #4. – გვ. 187-189. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
რუსეთის მიერ ქართული ღვინის ემბარგოს შემდეგ მისი ექსპორტის მაჩვენებელმა საგრძნობლად დაიწია და მისი ზრდა მხოლოდ 2011 წლიდან დაფიქსირდა. 2013 წელს ქართული ღვინო ხმაურით დაბრუნდა რუსულ აზარზე, თუმცა ეს წელი ღვინისთვის წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ამ აზარზე. 2014 წელს საქართველოდან მსოფლიოს 19 ქვეყანაში 15.4 მილიონი ოთლი გავიდაგასაყიდად, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 243%-ით მეტია. ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი აზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც. ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, რუსეთის აზრის გარდა, ასათვისებელი აქვს იმავე ელორუსის საექსპორტო კვოტებიც; საქართველოს არც ევროკავშირის აზარი აქვს ათვისებული. ამის მიზეზია ევროსტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავითვალისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის აზარზე ახალი პერსპექტივები ეხსნება. ლიტ. 5.

ავტ.

14.5.2.19.საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები და პერსპექტივები. /ს. პავლიაშვილი, ლ. ჯანგულაშვილი/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 12-20. – ქართ.;რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.
განხილულია საქართველოში ანტიმონოპოლიური საქმიანობის პრეისტორია, ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციონირების ეტაპები. ნაჩვენებია, რომ ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენად „მკაცრი“ ან „რბილი“ უფლებებით იქნება აღჭურვილი ეს სამსახური, არამედ იმაზე, თუ რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივი და ინსტიტუციური აზა, რამდენად გამოხატულია ხელისუფლების პოლიტიკური ნება და ამ სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიონალიზმი. მოცემულია კონკურენციის ახალი კანონის მოკლე ანოტაცია; გაკეთებულია დასკვნა, რომ უნდა შეიქმნას თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკის ახალი სამოქმედო პროგრამა, რომლის საშუალებით საქართველოს მთავრობა შეძლებს მოიყვანოს კანონმდებლობა და ინსტიტუტები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. მოცემულია რეკომენდაციები თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობისათვის. ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.20. საერთაშორისო და რეგიონალური ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები. /გ. ნადირაშვილი, დ. ჯანგულაშვილი/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 20-30. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.
განხილულია საერთაშორისო და რეგიონალური ტურისტული ნაკადების მოძრაობისა და საფინანსო შემოსავლები მსოფლიოში და მაკრორეგიონების მიხედვით. აღნიშნული წარმოდგენას გვაძლევს, თუ რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული ქვეყნების ტურისტული რესურსები, როგორია ცალკეული გეოგრაფიული მიმართულებების მიღწევები 1990-2004 და 2000-2010 წლებში, აგრეთვე პერსპექტივები 2020 წლამდე პერიოდში. ცხრ. 5, ლიტ. 10.

ავტ.

14.5.2.21. თანამედროვე ადამიანის მოთხოვნები ხარისხზე. /ი. ადეიშვილი/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 50- 52. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.
დახასიათებულია ადამიანის მოთხოვნები ხარისხთან დაკავშირებით. განხილულია მასლოუს თეორია ხარისხის ხუთ დონესთან დაკავშირებით. მოცემულია ხარისხის პრობლემები კონკურენციის პირობებში. გაანალიზებულია ხარისხის ფილოსოფიის სტადიები. ავტორი ეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სურსათის ეროვნული სააგენტოს საქმიანობას და გამოთქვამს რამდენიმე სურვილს ხარისხის შესწავლის საკითხებში გაუმჯობესების თვალსაზრისით. ლიტ. 5.

ავტ.

14.5.2.22. ქართული თხილი მსოფლიო აზარზე. /ა. ზედგინიძე/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 70-74. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

განხილულია ქართული თხილის სამეურნეო მნიშვნელობა, მისი წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მსოფლიო აზრის მოთხოვნა. ნაჩვენებია საქართველოსა და მსოფლიოში თხილის გავრცელების არეალი, გაანალიზებულია ოლო წლებში საქართველოში თხილის წარმოებისა და მსოფლიო აზრებზე მისი რეალიზაციის მაჩვენებლები. ცხრ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.2.23. კოლხეთის დაბლობის დასაშრობ ფართობებზე საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების პრინციპები. /რ. ერაია/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 30-32. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

კოლხეთის დაბლობის დასაშრობ ფართობებზე საბაზრო სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ფერმერულ მეურნეობათა ასოციაციების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მელიორაციული ორგანიზაციების მიერ როგორც პირველი და მეორე, ასევე მესამე რიგის დასაშრობი სამუშაოების შესრულებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურება, ასევე პერსპექტიულია უფილიალო კომერციული (ძირითადად სააქციო) ანკების ჩამოყალიბება. ლიტ. 4.

ავტ.

5.3. განათლება

14.5.3.1. M-LEARNING განათლებაში - პრობლემები და პერსპექტივები. /მ. გეგეჭკორი, ვ. ახტაძე, თ. ლომინაძე, მ. თევდორაძე, თ. კაიშაური/. ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 213-215. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

განმარტებულია თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიის, მობილური სწავლების (M-Learning) არსი. მოცემულია მისი დახასიათება, მოკლედ მიმოხილულია მობილური სწავლების ძირითადი თავისებურებები და ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ M-Learning-ზე მოთხოვნილების ზრდას. ნაჩვენებია სასწავლო დაწესებულებებში სწავლებისა და სწავლის პროცესში M-Learning-ის ჩართვის, დამკვიდრების და გამოყენების შესაძლებლობები, პრობლემები და პერსპექტივები. განხილულია ამ ტიპის სწავლების მთელი რიგი უპირატესი და ნაკლოვანი მხარეები. მოცემულია მობილური სწავლების კატეგორიების ჩამონათვალი და მათი მოკლე განმარტებები. ლიტ. 7.

ავტ.

14.5.3.2.საინჟინრო განათლება ევროპაში: მომზადება პროფესიული საინჟინრო სტანდარტებისთვის - CDIO ინიციატივა. /ო. ზუმბურიძე, გ. ძიძიგური, თ. ლომინაძე, ნ. ჟიჟილაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 7-10. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

საინჟინრო განათლება ევროპული საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა. შემუშავებულია მთელი რიგი სტანდარტებისა და ინიციატივებისა, რომლებსაც ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები წარმატებით ნერგავენ თავის სასწავლო პროცესში იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი და შრომის აზარზე მორგებული პროფესიონალი ინჟინრების გამოშვება. ნაშრომში წარმოდგენილია ევროკომისიის მიერ საგრანტო კონკურსის TEMPUS-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ENGITEC (Modernizing Higher Engineering Education in Georgia, Ukraine and Uzbekistan to meet the Technology Cgallenge", 530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-GPCR) მიმდინარეობისას ჩატარებული ევროპული საინჟინრო განათლების წამყვანი ინსტიტუციების კვლევი შედეგები. ლიტ. 4.

ავტ.

14.5.3.3. საინჟინრო განათლების პროგრამების მიმოხილვა წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში: დიდი რიტანეთის (University of Leeds), შვედეთის (Kunglika Tehnika Hogskolan) და იტალიის (Politenico Do Torino) მაგალითები. /ო. ზუმბურიძე, გ. ძიძიგური, თ. ლომინაძე, ნ. ჟიჟილაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 11-16. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

ევროკომისიის მიერ საგრანტო კონკურსის TEMPUS-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის ENGITEC (Modernizing Higher Engineering Education in Georgia, Ukraine and Uzbekistan to meet the Technology Cgallenge", 530244-TEMPUS-1-2012-1-SE-TEMPUS-GPCR) მიმდინაროებისას ჩატარდა საინჟინრო სასწავლო პროგრამების შესწავლა წამყვან ევროპულ საინჟინრო უნივერსიტეტებში. ნაშრომში წარმოდგენილია ამ კვლევის შედეგები და საინჟინრო პროგრამების ძირითადი ასპექტები მანქანათმშენებლობის პროგრამის მაგალითზე. სურ. 2, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.3.4. სწავლების თანამედროვე მეთოდები ჩაშენებული მართვის სისტემების შესასწავლად. /ნ. მჭედლიშვილი, ი. მოსაშვილი, ი. დავითაშვილი/. იზნეს – ინჟინერინგი. – 2014. – #4. – გვ. 43-45. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

Matlab/Simulink-ის და FPGA დაფის გამოყენებით შესწავლილ იქნა ჩაშენებული მართვის სისტემა. DSP B უილდერ-ისა და მომხმარებლის იბლიოთეკის დახმარებით აგებულია სტანდარტული Simulink დიზაინი დისკრეტული ინტეგრატორებით, PID კონტროლერით, PMW გენერატორით და A/D კონტროლერით, რომელიც წარმოდგენს FPGA იმპლემენტაციის გარემოს. „შემთხვევის შესწავლის" მეთოდით ხდება ჩაშენებული მართვის სისტემის დემონსტრირება Matlab/Simulink გარემოში. სურ. 4, ლიტ. 4.

ავტ.

5.4. სოციოლოგია

14.5.4.1. იომეტრიული ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში. /ა. ფრანგიშვილი, ლ. იმნაიშვილი, მ. ედინეიშვილი, ნ. კირკიტაძე, ზ. მაცაბერიძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 25-30. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

წარმოდგენილია ელექტრონულ საარჩევნო სისტემებში იომეტრიის გამოყენების უპირატესობები და პრობლემები. შემოთავაზებულია იომეტრიული საარჩევნო სისტემის პერსპექტიული პროტოკოლი. გაანალიზებულია იომეტრიული საარჩევნო სისტემის კონკრეტული გამოყენების შედეგები. სურ. 3, ლიტ. 4.

ავტ.

14.5.4.2. ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტენდენციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. /გ. ძიძიგური, მ. ნონიკაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 46-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

მოცემულია აღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პროცესში ჩართული პერსონალის კვალიფიციურობისა და კომპეტენტურობის გამოვლენისა და მათი განვითარების გზები. კერძოდ, განხილულია თომას ჟილბერტის მიერ შემუშავებული ქცევის საინჟინრო მოდელის (BEM) გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშნული მოდელის მიხედვით მოქმედება გვაძლევს პიროვნებისა და ორგანიზაციის ეფექტიან საქმიანობაზე ნეგატიური გავლენის მქონე არიერების სისტემური იდენტიფიცირების, საქმიანობის ეფექტიანობის შემცირების პირობების გამოვლენის საშუალებას. ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი ელემენტებია სამუშაოს ანალიზი და პოზიციების კომპეტენციების შემუშავება. ეს ორი პუნქტი ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესში. თანამშრომლის შესაბამისობა მის სამუშაო დავალებებთან შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ სამუშაო ანალიზის შედეგების შეფასებას. მოცემულია დასმული პრობლემების გადაჭრის კონკრეტული ქმედებების ავტორისეული ვარიანტი. ცხრ. 1, ლიტ. 5.

ავტ.

14.5.4.3. პროფესიული შერჩევის პროცესში გამოყენებული ტესტების სანდოობა. /მ. ნონიკაშვილი/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 141-144. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.

კადრების პროფესიული შერჩევა და განაწილება სამუშაო ადგილებზე, კანდიდატთა შერჩევა მიზნობრივი სწავლებისთვის თანამედროვე პირობებში კონკრეტულ ეკონომიკურ გამოხატულებას იძენს. პიროვნების უნარის სწორი დიაგნოსტიკა ხელს უწყობს თითოეული ადამიანის შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების შესაფერისი პროფესიის შერჩევას მისი ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით. ობიექტური შეფასება ძირითადად მიიღწევა ტესტების საკმაოდ კარგად დამუშავებული და მოქნილი სისტემის მეშვეობით. პროფესიული შერჩევის ტესტირების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტესტის სანდოობის გაზომვას. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული პროფესიული შერჩევის ტესტების სწორად გამოყენების საკითხი სანდოობასთან მიმართებაში, მოცემულია სანდოობის შეფასების მეთოდები და გაწერილია ამ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ლიტ. 4.

ავტ.

14.5.4.4. ინტელექტის გაზომვის პრობლემა თანამედროვე მეცნიერებაში. /ჯ. ნიკურაძე, ვ. მელაძე, ვ. კვინტრაძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 160-163. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
ადამიანის გონებრივ შესაძლებლობათა შეფასება განსაკუთრებულად აქტუალური გახდა XIX საუკუნის მე-2 ნახევარში. პირველი გამოკვლევები ეკუთვნის ინგლისელ ფრენსის გალტონს, რომელიც აღიარებულია ემპირიული მიდგომის ფუძემდებლად ინტელექტის პრობლემის შესწავლაში. მოცემულ ნაშრომში განხილულია ყველაზე გავრცელებული კვლევის შედეგები, მიძღვნილი აღნიშნული პრობლემისადმი. ამჟამად, ყველაზე წარმატებულად ითვლება ლ. პენროუზისა და ჯ. რავენის მიერ შექმნილი „რავენის პროგრესული მატრიცების“ მეთოდი. ი.ვ. უსელცოვას კვლევებით (2006), ნაჩვენებია მისი უპირატესობა სხვა მეთოდებთან შედარებით. ლიტ. 3.

ავტ.

14.5.4.5.ინტელექტი და მისი ზოგიერთი მოდელი. /ჯ. ნიკურაძე, ვ. კვინტრაძე, ვ. მელაძე/. მართვის ავტომატიზებული სისტემები. – 2014. – #1(17). – გვ. 164-167. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
განხილულია ინტელექტთან დაკავშირებული საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს, ჯერ კიდევ არ არსებობს ინტელექტის, საერთო, ყველასთვის მისაღები დეფინიცია. სტატიაში მოყვანილია სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულება (მოდელები) ინტელექტის არსის შესახებ. მათ შორის განსხვავებების მიუხედავად მათ ევრი საერთოც გააჩნიათ. ნაჩვენებია ეს განსხვავებები თუ მსგავსებანი ამ სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის. ლიტ. 4.

ავტ.

14.5.4.6. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კვლევის ახალი ალტერნატიული მეთოდების დამუშავება. /ნ. გავარდაშვილი, ა. გავარდაშვილი/. მეცნიერება და ტექნოლოგიები. – 2014. – #2(716). – გვ. 54-60. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგ., რუს.
საქართველოს რეგიონებში (სიღნაღის, დუშეთის, გორის რაიონები, ქ. რუსთავი, ქ. ათუმი) მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დადგენის მიზნით 2014 წლის 1 მაისიდან 21 მაისამდე განხორციელდა სოციოლოგიური გამოკითხვა (თითოეულში 300 რესპოდენტი). რესპონდენტების არჩევა მოხდა შემთხვევითი არჩევითობის პრინციპით, რომლის დროსაც რესპონდენტებმა 1-დან 5-მდე ქულების მინიჭებით შეაფასეს ცხოვრების ხარისხი. ცხოვრების ხარისხის განსაზღვრისათვის (რომლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები ყოველ წელს იცვლება) დამუშავდა მათემატიკური მოდელი რვა კომპონენტის გათვალისწინებით. ესენია: სიცოცხლის უსაფრთხოება, ეკოლოგიური პრობლემები, ჯანდაცვა, განათლების სისტემის ეფექტურობა, გენდერული მდგომარეობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობა. სურ. 1, ცხრ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

5.5. სამართალი

14.5.5.1. „სიკვდილის უფლება“ განზომილებათა დრამატულ კვეთში. /მ. უგრეხელიძე, ე. გოცირიძე/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 36-52. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
არის თუ არა ევთანაზიის მოთხოვნა უნებითი, „ადამიანის მიერ მართლზომიერად ნაგულვები უფლება“? პასუხი დადებითია: ევთანაზიის უფლებას ისევე შეიძლება ჰქონდეს არსებობის პრეტენზია, როგორც ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს. ის უშუალოდ წარმოდგება ადამიანის ღირსებიდან და პრინციპიდან, რომ ადამიანი საშუალება კი არ უნდა იყოს, არამედ მიზანი. იგი ისეთივე უნებითი, თანდაყოლილი, ადამიანისათვის იმთავითვე თანაარსი და მის მიერ „მართლზომიერად ნაგულვები უფლებაა“, როგორც სხვა ძირითადი უფლებები. ამას განაპირობებს ფუნდამენტური სამართლიანობის იდეა. ლიტ. 11.

ავტ.

14.5.5.2. უფლება და ღირებულება - დაცვის გარანტიები და რეალობა. /მ. ცაცანაშვილი/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 53-59. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
სტატია ეძღვნება ადამიანის უფლებთა დაცვის რეალური გარანტიების ფილოსოფიურ-სამართლებრივ გააზრებას, რასაც სახელმწიფოსა და სოციუმს შორის დიალოგის ახალი მოდელი შემოაქვს. ნაჩვენებია ამ

იდეის მთავარი ღირებულების - ღირსებისა და თავისუფლების ლოგიკური აქსიომების მნიშვნელობა უფლებათა დაცვის რეალური გარანტიების შესაქმნელად. გაანალიზებულია უფლებათა და ვალდებულებათა კორელაციის მნიშვნელობა სამართლის სისტემის ფორმირებაში, რომელიც უფლებათა რეალიზაციის ინსტრუმენტი და სახელმწიფოს ვალ-დებულების გარანტიაა. დასაბუთებულია იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის მნიშვნელობა უფლებათა დაცვის გარანტიების პრაქტიკულ სფეროში – სამართალშემოქმედებისა და სამართლის რეალიზაციის პროცესში. აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ გადასვლის და მოდელირების მეთოდების საფუძველზე მოცემულია 21-ე საუკუნის დასაწყისში უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების ეფექტურობის დაქვეითების მიზეზები. ფორმულირებულია ამ სფეროში კრიზისის დაძლევისა და თანხმობის მიღწევის მოდელი. ამ ახალი მოდელის ღირსებაა სამართლის სისტემის თვითორგანიზაცია ისეთ საწყისებზე, როგორიცაა: 1. არა მხოლოდ უფლებაა უზენაესი ღირებულება, არამედ უფლებებშიც უნდა აისახოს ღირსება და თავისუფლება; 2. არა მარტო სახელმწიფო და სამართალია უფლებათა დაცვის გარანტი, არამედ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის მუდმივი დიალოგი უფლებებისა და ვალდებულებების კორელაციური სისტემების შექმნაზე. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.5.3. დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი – სიცხადე ძირეულ საკითხში. /პ. გურული/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 60-66. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

დანაშაულის პროვოკაციის საკითხმა მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო. მიუხედავად თითქმის ორსაუკუნოვანი კვლევა-ძიებისა, მის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობას დღემდე დასასრული არ უჩანს. მკვლევართა ნაწილი მის სრულ კრიმინალიზაციას მოითხოვს, სხვები კი – მისი ნაწილობრივი ლეგალიზაციის მომხრენი არიან. ამასთან არასაკმარისად ამახვილებენ ყურადღებას დანაშაულის პროვოკაციის ობიექტის საკითხზე, ამიტომ გამოთქმულ მოსაზრებათა მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს შევსებასა და დახვეწას. ვინაიდან დანაშაულის ობიექტი არის ღირებულება, რომლის დაცვის იდეაც საფუძვლად უდევს ქმედების კრიმინალიზაციას, მასთან დაკავშირებით მცირეოდენმა გაუგებრობამაც კი შეიძლება იმთავითვე გაამრუდოს სამართლებრივი პრაქტიკა. მაშასადამე, საჭიროა მაქსიმალური სიცხადის შეტანა დანაშაულის პროვოკაციის ობიექტის საკითხში. საგულისხმოა, რომ განსხვავებული ისტორიული პირობების გამო, სხვადასხვაგვარი მიდგომები ჩამოყალიბდა კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნებში. მათი შედარებითი ანალიზის წყალობით შეიძლება მნიშვნელოვნად გამდიდრდეს არსებული ცოდნის მარაგი. ლიტ. 28.

ავტ.

14.5.5.4. ნიშნობის ინსტიტუტის ტრადიციული და თანამედროვე შეფასება სამართლებრივი და სამოქალაქო თვალსაზრით. /ნ. როსეფაშვილი, ნ. ივანელაშვილი/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 75-79. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

კაცობრიობამ თავისი ისტორიული განვითარების მრავალსაუკუნოვან გზაზე ევრი ტრადიცია შეიძინა, რომელთაგან გარკვეული ნაწილი დღემდეც არის შემორჩენილი. შემორჩენილ ტრადიციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ქორწინება, რომლის უაღრესად საინტერესო შემადგენელი ნაწი-ლია ნიშნობა. სწორედ ნიშნობის ინსტიტუტის ტრადიციული და თანამედროვე სამართლებრივი ასპექტები წარმოადგენს ჩვენი მიმოხილვის ობიექტს. ნიშნობა იყო და არის წინასაქორწინო შეთანხმება, რომელიც იდება ქალსა და ვაჟს შორის და მთავრდება მათი ქორწინებით. თავისი მნიშვნელობის გამო ნიშნობის წეს-ჩვეულება თანდათან სა-მართლებრივი რეგულირების სფეროში მოექცა. ზოგიერთ თანამედროვე სახელმწოფოში (მაგ. თურქეთი, გერმანია) ნიშნობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები ასახულია კანონმდებლობაში. საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტს აქვს შემორჩენილი უფრო მეტად ტრადიციული ხასიათი და ნაკლებად სამართლებრივი. ქართულ კანონმდებლობაში დასახვეწია ნიშნობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი. ლიტ. 10.

ავტ.

14.5.5.5. მარტოხელა დედის სამართლებრივი სტატუსი ქორწინების გარეშე შვილის დაბადების შემთხვევაში – ზოგადი მიმოხილვა. /ლ. ჭიღლაშვილი/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 80-84. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატია მოიცავს მარტოხელა დედის სამართლებრივი სტატუსის პრობლემურ საკითხთა მიმოხილვა-ანალიზს. კონკრეტულად საუბარია ქალზე, რომელმაც შვილი ქორწინების გარეშე გააჩინა და მარტოხელა დედის მძიმე ტვირთი იკისრა. სახელმწიფოს მხრიდან იგი საჭიროებს გარკვეულ პრივილეგიებს და

მხარდაჭერას. მართალია საერთაშოროსო სამართალმა საქართველოს კანონმდებლობისა და ქალთა უფლებების დაცვის მექანიზმების შექმნაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, მაგრამ ფაქტია, საქართველოში ევრი საერთაშორისო ნორმა ჯერ კიდევ ნაწილობრივ სრულდება. სტატიის ძირითადი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის საფუძველზე, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად განხორციელდეს საქართველოში მარტოხელა დედის სოციალური და მორალური საკითხების სამართლებრივი რეგულირება. ლიტ. 18.

ავტ.

14.5.5.6. პატივის, როგორც პირადი ცხოვრების გამოვლენის ფორმის, დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები. /მ. იჭია/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 126-133. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

კვლევამ ცხადყო, რომ პატივის სოციოლოგიურ-იურიდიული შინაარსის განსაზღვრა მნიშვნელოვანია პატივის ონტოლოგიური უნების გასარკვევად. ამასთან, პატივი განსხვავდება ღირსებისაგან, მით უმეტეს, სამოქალაქო სამართლებრივი გაგებით. თუმცა პატივსა და ღირსებას, ნორმატიული თვალსაზრისით, ახასიათებს მსგავსი მოთხოვნის უფლებები, რომლებიც აქვს ყველა ფიზიკურ ირს, როგორც ადამიანს. ეთიკურ-იურიდიულად პატივი და ღირსება ნორმატივებისა და ჯერ არსის სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან მხოლოდ პატივისცემის მოთხოვნის უფლება იძლევა საშუალებას, რომ თანასწორებად იყვნენ განხილული ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად არათანაბარი არიან და, სოციალური გაგებით, არათანაბარი პატივი აქვთ. ამდენად, პიროვნების მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის საზოგადოებრივი აღიარება უკავშირდება პატივს, რომელშიც შეიძლება აისახოს პირადი ცხოვრება. პატივის სოციოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, რომელიც ფაქტობრივად მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ცნებაშია წარმოდგენილი, პატივის სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა ისევე, როგორც პატივის კერძო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ფართოა. პატივის დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ფორმები, რომლებშიც არ შედის დასჯა, მაგრამ იგულისხმება მოქმედების შეწყვეტა, უარყოფა, ზიანის ანაზღაურება და სხვა, არ შემოიფარგლება პიროვნების მხოლოდ ერთი ასპექტის უზრუნველყოფით. სამოქალაქო სამართლით დაცვაში მოიაზრება პიროვნების სრულად დაცვა, მით უმეტეს, ზოგადი პიროვნული უფლების დახმარებით. ამდენად, განსაკუთრებულია პატივის კერძო სამართლებრივი დაცვის სპეციფიკა. ლიტ. 26.

ავტ.

14.5.5.7. ფიცი, როგორც მტკიცებულება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით. /მ. კოპალიანი/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 133-138. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად საუბარია სხვადასხვა მტკიცებულებათა ჩამონათვალზე, კერძოდ, ფიცზე, ფიცის როლსა და დანიშნულებაზე საქართველოში, ფიცის სუბიექტზე, მოფიცრებზე, თანამოფიცრებზე, ვალდებულებით წარმოშობილ და ფიცზე დამყარებულ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.5.8. სიკვდილით დასჯის საკითხები საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა ლოკის ქვეყნებში. /გ. ასათიანი/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 142-147. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

სტატია მიმოიხილავს სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ფორმის გამოყენებას საქართველოში უძველესი დროიდან 20-ე საუკუნის მიწურულამდე. მოკლედ არის განხილული, როგორც ფეოდალური, ასევე საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა. კერძოდ, დანაშაულები, რომელთათვისაც სხვადასხვა ისტორიულ პეროდში იყენებდნენ სასჯელის უმაღლეს ზომას – სიკვდილით დასჯას. სტატიაში ასევე საუბარია იმ გზაზე, რომელიც გაიარა ქართულმა სახელმწიფომ და სამართალმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორიც არის სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების უარყოფა. განხილულია ყოფილი „სოციალისტური ლოკის" ქვეყნების გამოცდილება სიკვდილით დასჯის სასჯელად გამოყენებასთან და შემდეგში მის გაუქმებასთან მიმართებაში. ლიტ. 5.

ავტ.

14.5.5.9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიები. /კ. კობერიძე/. მეცნიერება და ცხოვრება. – 2014. – #2(10). – გვ. 148-151. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

მოკლედაა მიმოხილული ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის სოციალური და მატერიალურ-ტექნიკური გარანტიების შესახებ, რიგ ევროპულ ქვეყნებში სასამართლოთა დაფინანსების

წესები. ასევე, ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარება, სასამართლო სისტემაში ოლო დროს გატარებული რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებას. ლიტ. 7.

ავტ.

14.5.5.10. ადამიანის უფლებების და საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ურთიერთგადაკვეთა: მიმოხილვა. /გ. ხატიძე/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 6-20. – ინგლ.
ადამიანის უფლებების დაცვის არსისგან განსხვავებით, საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა მიზანს წარმოადგენს ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების დაცვა და ხელშეწყობა. მაგრამ ხშირია საერთაშორისო სამართლის ამ ორი განსხვავებული სფეროს ურთიერთგადაკვეთა, რაც ნათლად დასტურდება საინვესტიციო დავებით, როდესაც ამ დავათა ფარგლებში საინვესტიციო არბიტრაჟს უწევს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევაც. გლობალიზაციის მზარდი პროცესის, საჯარო და კერძო პირთა ურთიერთდამოკიდებულების და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განმახორციელებელ პირთა ძალაუფლებისა და მათი გავლენის მხედველობაში მიღებით. აშკარაა, რომ საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულება მისთვის დამახასიათებელი ერთწახნაგოვანი სისტემიდან უნდა გარდაიქმნას და გახდეს ორწახნაგოვანი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხებიც. ასეთი გარდაქმნის გარეშე, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო საინვესტიციო სამართლის ურთიერთგადაკვეთა ხასიათდება როგორც მატერიალური, ისე პროცესუალური სირთულეებით. ლიტ. 60.

ავტ.

14.5.5.11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა - შუქ-ჩრდილები. /ი. კელენჯერიძე/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 21-30. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ.
სტატიაში განხილულია ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ფუნქციის - საკონსულტაციო დასკვნის გაცემის სამართლებრივი ასპექტები. გამახვილებულია ყურადღება საკონსულტაციო დასკვნის როგორც დადებით, ასევე იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც კონვენციის მე-16 დამატებით ოქმში იქნა გაცხადებული. ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის ფუნქცია, რასაც კონვენცია გვთავაზობს, წარმოადგენს გზამკვლევს სამართლებრივ საკითხებში, ვინაიდან ეროვნულმა იურიდიციურმა ორგანომ შეიძლება სწორად ვერ გადაწყვიტოს სამართლებრივი საკითხი. რაც შეეხება კონვენციის მე-16 ოქმით შემოტანილ სიახლეს - საქმის გადაწყვეტის პროცესში საკონსულტაციო დასკვნის გაცემას ეროვნული უმაღლესი იურისდიქციებისათვის - აღნიშნულმა შეიძლება შეზღუდოს ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობა და ისინი მოექცნენ სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გავლენის ქვეშ. ამასთანავე, შეიძლება სტრასბურგის სასამართლო აღმოჩნდეს თავის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის მძევალი, ვინაიდან ეროვნული სასამართლოების მიერ საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია შემდგომში ისევ სტრასბურგის სასამართლოში გასაჩივრდეს. მაშასადამე, აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია ამცირებს ეროვნული იურისდიქციების დამოუკიდებლობის ხარისხს. ვიმედოვნებთ, რომ ევროსაბჭოს სახელმწიფოები, რომელთათვის მნიშვნელოვანია თავიანთი ქვეყნის იურისდიქციების დამოუკიდებლ;ობა, არ მოახდენენ აღნიშნული ოქმის რატიფიკაციას. ლიტ. 22.

ავტ.

14.5.5.12. ახალი მოსაზრებები ჩინურ-ევროპული ურთიერთობების შესახებ ძალაუფლების გლობალური ალანსის პერსპექტივიდან. აბრეშუმის გზის მირაჟი. /დონ ა. პოპესკუ/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 31-56. – ინგლ.; რეფ.: ინგლ.
საუკუნის დასაწყისში ძალიან ძნელია იწინასწარმეტყველო მომავალი საერთაშორისო წესრიგი, რადგან ხშირად ხდება არასწორი და დამაბნეველი გადაწყვეტილებების მიღება. ავტორისეული კვლევის მეთოდების საფუძველზე (სფეროს კვლევა, რეალობის მიღება ისტორიული და შეფარდებითი განზომილების პერსპექტივის შესწავლიდან) სტატია ნაწილობრივ ნათელს ფენს ევროკავშირის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში სწრაფი გარდაქმნების პირობებში, რომელიც გამოწვეულია გლობალური ეკონომიკით და გარემოს დაცვით. საიტერესოა ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობის რამოდენიმე დონეზე განხილვა (რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა კატეგორიასა და ინტერესზე) ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ პარტნიორობის და მიმდინარე ევოლუციის ფონზე. საერთაშორისო არენაზე ცდილობენ წარადგინონ მხოლოდ დიპლომატიური სიახლოვის და ურთიერთგაგებისთვის ზოგიერთი

აუცილებელი კრიტერიუმი. შეერთებული შტატები და რუსეთი არის გლობალური ფენომენი რთული, მრავალმხრივი ტრაექტორიებით, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს თანამედროვე უნივერსალურ ისტორიაზე. საერთაშორისო არენაზე ერთდროულად აღმოცენებული ევროკავშირის და ჩინეთის ევოლუცია არ აისახება ძველ დუალისტიკურ მოდელის მიღებასა და გათავისებაში, რომელიც შექმნილია ორი იდეოლოგიური ჯგუფის მიერ დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ორივე ცდილობს მოსინჯოს გარკვეული მმართველობის და გაფართოების ფორმა: პირველი ცდილობს აირჩიოს ევროპული ინტეგრაციის გზა და ასე გამოირჩეს სახელმწიფო თანამშრომლობის და სახელმწიფოებს შორის ეროვნებათშორისი დიალოგის კლასიკურ ლანდშაფტზე, მეორე ეყრდნობა ფიზიკური არქიტექტურის უპირატესობებს, რომელიც ადებს კეთლდღეობას, რათა მისი არსებობა საგრძნობი იყოს საერთაშორისო არენაზე. და ოლოს სტატიაში მცდელობაა წინ წამოიწიოს, გარკვეულ შინაარსობრივ ფარგლებში, ცივილიზაციის ის არსებითი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებულ პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობის უკეთ აღქმას, ახალ რეალობის წინ წამოწევას. ლიტ. 104.

ავტ.

14.5.5.13. ჰონკონგი, ჩინეთი - 1997 (რა გზით ვიაროთ აფხაზეთისკენ?!). /ჯ. გახოკიძე, ს. მიდელაშვილი/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 67-75. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ.

საქართველოსთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს კონფლიქტების დარეგულირება აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ჩინეთის მთავრობის ინოვაციური მიდგომა ჰონკონგის მიმართ, რადგან იგი საინტერესო გახდა როგორც ისტორიული, ისე პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჰონკონგის პრობლემის გადაწყვეტა მოახერხა მშვიდობიანად და ყოველგვარი პრობლემის გარეშე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი არის აბსოლუტურად ახალი მოდელი ტერიტორიული მოწყობისა. იგი ჩინეთის სახელმწიფოს მხრიდან რეალპოლიტიკის გამოვლინებაა. რეალპოლიტიკა კი კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის უალტერნატივო და ერთადერთი სწორი გზაა. როგორც ჩანს, ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, კონფლიქტების ჩიხიდან გამოყვანას განსხვავებული სტრატეგია სჭირდება, რაც უნდა გაითვალისწინოს როგორც საქართველოს ხელისუფლებამ, ისე საერთაშორისო თანამეგობრობამ. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.5.14. უნების ნორმატიული წესრიგის გამოყენებადობა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი სისტემების მიმართ ადამიანის უფლებათა შუქზე. /ბ. სავანელი/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 84-97. – ინგლ.; რეფ.: ინგლ.

სამეცნიერო სტატია არის ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი უნებისა და ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა გადაკვეთაზე, რომლის მიზანია უზრუნველყოს მდგრადი მშვიდობისა და გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი უწესრიგობის თავიდან აცილება გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა ზედამხედველობის ქვეშ. შემოთავაზებული თეორია მკითხველს ახალ მექანიზმს იმ მიზნით სთავაზობს, რათა არსებული უწესრიგობა გადაილახოს და მოსალოდნელი უწესრიგობა თავიდან იქნეს აცილებული, ანუ კაცობრიობა დახურული წრიული პოზიციიიდან სპირალური განვითარების პოზიციაზე გადავიდეს. სტატია, ავტორთა აზრით, საინტერესო იქნება, ფიზიკის, მათემატიკის, იოლოგიის, ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკისა და სამართალმცოდნეობის ან მათთან დაკავშირებულ სფეროებში მოღვაწე მკვლევარების, პროფესიონალებისა და წარმატებული სტუდენტებისათვის. ლიტ. 5.

ავტ.

14.5.5.15. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროგრესული მეთოდი. /ე. შუბითიძე/. სამართლი და მსოფლიო. – 2015. – #1. – გვ. 98-109. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ.

ფიზიკურ პირთა შემოსავლის მიმართ დაბეგვრის პროგრესული მეთოდის გამოყენება რესურსების გადანაწილების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ნაშრომი მიზნად ისახავს დაბეგვრის ამ მეთოდის უპირატესობის წარმოჩენას საქართველოში მოქმედი პროპორციულ მეთოდთან შედარებით. თუმცა, აქვე ხაზგასმულია პროგრესულ მეთოდზე ტრანსფორმირების შემთხვევაში მოსალოდნელი რისკები. ნაშრომში მოცემულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის პროგრესული განაკვეთის უპირატესობების სამართლებრივ შეფასება, ეკონომიკური ფაქტორების უკანა პლანზე დახევით, რაც შესაძლოა ვერ ქმნიდეს სრულყოფილობის ეფექტურ სურათს, მაგრამ იძლევა ალტერნატიული (სამართლებრივი) ხედვის შესაძლებლობას და ამზადებს ნიადაგს საგადასახადო სამართალში, როგორც დარგთაშორის სფეროში დისკუსიის წარმართვისათვის. გადასახადის გადამხდელთა შორის

საქართველოში არსებული უთანასწორობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, რაც ჯინის კოეფიციენტით დგინდება, რესურსების გადანაწილება უთუოდ პრიორიტეტული ამოცანაა, რათა შემცირდეს სოციალური უთანასწორობა და შეიქმნას თვითრეალიზაციის თანაბარი პირობები, დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა და ა.შ. მნიშვნელოვანია სწორედ იმის გააზრება, რომ პროგრესული დაბეგვრის საჭიროება კონკრეტულად დღესდღეობით არსებულ პირობებშია ეფექტური. ამასთან, აუცილებელია პროგრესიულობის ხარისხის დადგენისას სავარაუდო რისკების სათანადო შეფასება და მათი მართვის მიზნით პრევენციული მექანიზმების ფორმირება. ლიტ. 15.

ავტ.

14.5.5.16. სასამართლო ხელისუფლების ფუნქცია აღსრულების პროცესში. /ზ. ჭყონია/. მართლმსაჯულება და კანონი. – 2013. – #3(38) – გვ. 122-127. – ქართ.; რეფ.: ინგლ.

ხელისუფლების დანაწილების თეორიის ფუძემდებელთა და ნაშრომში მოყვანილ სხვა მოაზროვნეთა მოსაზრებების გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში აღსრულების ფუნქცია არ უნდა შედიოდეს, ვინაიდან ამ ფუნქციის მის მიერ განხორციელება დაარღვევს იმ ალანსს, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე უნდა იყოს დაცული. სწორედ ამიტომაც აუცილებელია სასამართლოს საპროცესო კონტროლი (და არა უწყებრივი) არა მარტო თავად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, არამედ საერთოდ სააღსრულებო წარმოებისას, რაც თავისთავად ემსახურება ამ პროცესის კანონიერების დაცვას და აღსრულების ეფექტურად წარმართვას, შესაბამისად როგორც კრედიტორის, ისე მოვალის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას ამ პროცესში. ლიტ. 20.

ავტ.

14.5.5.17. სამოქალაქო სააღსრულებო სამართლის ევოლუცია საქართველოში. /ზ. ჭყონია/. მართლმსაჯულება და კანონი. – 2014. – #2(41). – გვ. 122-132. – ქართ.; რეფ.: ინგლ.

საქართველოს სააღსრულებო წარმოების განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ფეოდალური ეპოქის ქართულ სამართლის შესწავლამ მოგვცა საფუძველი დასკვნისა, რომ იმ პერიოდში არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილების და სხვა იურისდიქციის აქტების აღსრულების ეფექტური მექანიზმები, რაც რასაკვირველია გახლდათ აღსრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიები. საქართველოს სამეფო-სამთავროებში არსებული დახვეწილი და ქმედითი სამართალწარმოების სისტემა 1801 წლიდან რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათან ჩაანაცვლა მკვეთრად გამოსახულმა რეაქციულმა და წოდებათა უთანასწორობაზე დაფუძნებულმა სამართალწარმოებამ. შედეგად ნაცვლად მანამდე არსებული დახვეწილი სააღსრულებო სისტემისა მივიღეთ სრულიად არაეფექტური სააღსრულებო და ზოგადად სამართალწარმოების სისტემა. სააღსრულებო წარმოების და ზოგადად სამოქალაქო სამართალწარმოების განვითარების კუთხით პროგრესულად უნდა შეფასდეს 1864 წლიდან გატარებული სასამართლო რეფორმა და ამ რეფორმის შედეგად საპროცესო სამართლის გამოყოფა ცალკე დარგად, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიუხედავად რეფორმისა, ფაქტობრივად სააღსრულებო წარმოება კვლავ რჩებოდა არაეფექტურად. 1918-1921 წლებში საქართველოში ფაქტობრივად არ შეცვლილა სამოქალაქო სამართალწარმოების და შესაბამისად სააღსრულებო წარმოების სისტემა. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს საქართველოში სააღსრულებო წარმოება გახლდათ ნაკლებად ეფექტური. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგადად სამართლწარმოებისას საკანონმდებლო დონეზე უგულვებელყოფილი იყო მხარეთა საპროცესო უფლებები. საქართველოს სააღსრულებო სამართლის ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ ეფექტური სააღსრულებო წარმოების შექმნის აუცილებელი გზა გახლავთ სააღსრულებო ორგანოების უწყებრივი დამოუკიდებლობა, რასაკვირველია მათი სასამართლო ხელისუფლების საპროცესო და არა უწყებრივი (ადმინისტრაციული) კონტროლის ქვეშ. ლიტ. 6.

ავტ.

14.5.5.18. სასამართლო ორგანიზაციისა და სამოქალაქო პროცესის განვითარება საქართველოში (ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი). /ზ. ჭყონია/. მართლმსაჯულება და კანონი. – 2014. – #3(42). – გვ. 81-101. – ქართ.; რეფ.: ინგლ.

საქართველოში სამოქალაქო პროცესის და სასამართლო ორგანიზაციის განვითარების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა სამოქალაქო სამართალწარმოების და სასამართლო ორგანიზაციის კარგად ორგანიზებული სისტემა, რაც XIX-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთთან შეერთების შემდგომ ჩაანაცვლა სამართალწარმოებამ, რომლის დროსაც

არსებითად უგულვებელყოფილი გახლდათ პროცესის ძირითადი პრინციპები: დისპოზიციურობა, შეჯიბრობითობა, საჯაროობა და სხვა. მართალია ფორმალურად ამ პრინციპებს სრულად აღიარებდა რუსეთის იმპერიაში 1864 წლის მიღებული სამოქალაქო სამართალწარმოების წესდება, თუმცა მათი დამკვიდრება პრაქტიკაში არასრულფასოვნად ხდებოდა, მით უფრო ამიერკავკასიაში, სადაც სასამართლო რეფორმა შეკვეცილი სახით გატარდა. საბჭოთა ანექსიის შემდეგ კი საქართველოში ჩამოყალიბდა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მის პოლიტიკურ ნებაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული სასამართლო სისტემა. საბჭოთა კანონმდებლობა არ სცნობდა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებას რამდენიმე შტოდ. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასამართლო ორგანო საბჭოთა პერიოდში საერთოდ არ განიხილებოდა, როგორც „ხელისუფლება". სასამართლოზე პროკურატურის ზედამხედველი ფუნქცია მნიშვნელოვნად ზღუდავდა მის დამოუკიდებლობას და შესაბამისად გამორიცხავდა სამართლიანი სასამართლოს არსებობას. სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოს ინკვიციზიური ხასიათი, პროკურორის მონაწილეობა და მისი შეუზღუდავი როლი, ფაქტობრივად უგულვებელყოფდა დისპოზიციურობის, შეჯიბრობითობისა და სამოქალაქო პროცესის აღიარებულ სხვა პრინციპებს. ლიტ. 4.

ავტ.

5.6. პოლიტიკური მეცნიერებები

14.5.6.1. ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფოს მართვის სრულყოფის მიმართებით. /გ. ღვინეფაძე, თ. ღვინეფაძე/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 64-68. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.
მოცემულია რეკომენდაციები სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაზე მომუშავე უშუალო შემსრულებლებთან ურთიერთკავშირების სრულყოფისა და მათი მართვის დახვეწის მიმართებით. ლიტ. 3.

ავტ.

14.5.6.2. რეგიონის მდგრადი განვითარების ორგანიზაციული სისტემის ეფექტურად მართვის მოდელის შემუშავება. /ა. ფრანგიშვილი, მ. მაჭარაძე, ზ. გასიტაშვილი, მ. კიკნაძე/. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. – 2014. – #18. – გვ. 19-24. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ნაშრომი მიზნად ისახავს შეიმუშაოს რეგიონული განვითარების ფაქტორების სივრციდან მაღალი მნიშვნელობის (გავლენის ხარისხის მქონე) ფაქტორთა ქვესივრცე, რომელიც გახდება საბაზისო, შემდეგ კი მის საფუძველზე შესწავ-ლილი იქნება რეგიონული განვითარების ეკონომიკა, რაც მეტად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული საკითხების შესასწავლად ეფექტურად გამოიყენება სოციალურ-ეფექტური სიტუაციების მოდელირება. ნაშრომში განხილულია მოდელის შედგენის და მასზე სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების საშუალებით ეკონომიკური მდგრადობის შესწავლის საკითხები. ცხრ. 1, სურ. 2, ლიტ. 3.

ავტ.

14.5.6.3. ფედერალიზმის პერსპექტივები უკრაინაში. /გ. გორაძე/. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე. – 2014. – #7. – გვ. 67-73. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
სტატია მიზნად ისახავს უკრაინის შესაძლო ფედერალიზაციის შედეგების გაანალიზებას. კონსტიტუციის მიხედვით, უკრაინა არის უნიტარული სახელმწიფო ერთი ავტონომიური წარმონაქმნით – ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკით, რომელსაც კონსტიტუციაში ცალკე თავი აქვს დათმობილი და განსაზღვრულია კომპეტენციათა სფერო. ცალკეული მეცნიერები თუ პოლიტიკოსები გამოთქვამენ მოსაზრებას უკრაინის ფედერალიზაციის თობაზე და მისაბაძ მაგალითად ელგიას, ზოგჯერ კი კანადასაც ასახელებენ, ანუ ზოგადად რომ ვთქვათ, უკრაინისთვის ოპტიმალურ მოდელად იპოლარულ ფედერალიზმს მიიჩნევენ. სტატიაში ვრცელი ადგილი ეთმობა ელგიურ ფედერალიზმს და ცალკეულ ავტორთა მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ელგიური მოდელი უკრაინისათვის სახელმძღვანელო ვერ გახდება. სტატიაში ასევე სკეპტიკური პოზიციაა გამოხატული ზოგადად იპოლარული და ეთნიკური ფედერალიზმის მიმართაც, ვინაიდან ასეთ ქვეყნებში განსაკუთრებით ძლიერია დეზინტეგრაციული პროცესები. სტატიაში ყურადღება არის გამახვილებული იმ ცალკეულ უარყოფით მომენტებზე, რამაც შეიძლება თავი იჩინოს უკრაინის ნებისმიერი ფორმით ფედერალიზაციის შემთხვევაში. კერძოდ: იუროკრატიზაცია, გადაწყვეტილებების მიღების დაყოვნება,

ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის კონტროლის პრობლემა, საბიუჯეტო კრიზისი, დამატებითი ხარჯები, ეკონომიკის ჩაკეტვა და ცალკეული რეგიონების რუსულ ეკონომიკაზე დამოკიდებულება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკრაინისთვის საუკეთესო გზა იქნება სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია უნიტარიზმის პირობებში. პარალელურად უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო მოხელეების ოპტიმიზაცია, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი იუროკრატიზმის უარყოფითი ელემენტები სახელმწიფო მართვაში. ლიტ. 24.

ავტ.

5.9. სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებები

14.5.9.1. სახელმწიფო და სასამართლო სისტემის მართვის სრულყოფის საკითხები. /გ. გოგიჩაიშვილი, გ. სურგულაძე, მ. ახობაძე, გ. ღვინეფაძე, თ. სუხიაშვილი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2014. – #4(494). – გვ. 43-48. – ქართ.; რეფ.: ქართ., ინგლ., რუს.

თანამედროვე კომპიუტერულ სისტემებს, წინამორბედებისაგან განსხვავებით, მუშაობა უწევთ ტერიტორიულად და დროში განაწილებულ ქსელურ გარემოში. ამასთან, მათ მოეთხოვებათ სწრაფად მოახდინონ მისადაგება ახალ მოთხოვნებთან. თანამედროვე კომპიუტერული სისტემების შექმნისადმი ასეთი მიდგომა მოითხოვს ერთობლივი ქმედებების დეტალურად შეთანხმებას არა მარტო სასამართლო სისტემის მუშაკებს შორის, არამედ მათი ურთიერთობებისა ზემდგომი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები კომპიუტერული სისტემების დამპროექტებლებისათვის ხელისუფლების ამ შტოებს შორის ურთიერთობების სრულყოფისათვის. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.